

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

შალვა კიკალიშვილი

აშშ-ს პოლიტიკა ერაცის მიმართ
სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,
პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

თბილისი
2015

შინააარსი

შესავალი	3
თავი I. ერთი გადაწყვეტილების მრავალი მიზეზი: როგორ იქცა ერაყი აშშ-ს მთავარ სამიზნედ	23
§1. რატომ ერაყი? ომის ლობისტები	23
§2. სადამ ჰუსეინი და მასობრივი განადგურების იარაღი	48
§3. პრეზიდენტი ჯორჯ უოკერ ბუში და ერაყი	67
თავი II. რეალობის გაუთვალისწინებლობის სინდრომი – რატომ ვერ შესძლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში კონტროლის დამყარება	93
§1. ომისთვის მზადების ფაზა: ჰქონდა თუ არა თეთრ სახლს ერაყის ომისშემდგომი მოწყობის გეგმა	93
§2. ერაყის ოკუპაციის საწყისი ფაზა: ექსპერიმენტების ხანა	101
§3. საოკუპაციო ძალების მთავარი გამოწვევა – აჯანყებები და მაროდორობა	135
§4. ცვლილებების პერიოდი	146
დასკვნა	155
გამოყენებული ლიტერატურის სია	166

შესავალი

დღეისათვის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები მეტად აქტუალურია. ის სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობა, რაც გამეფებულია რეგიონში, არ არის ერთი დღის ან წლის შედეგი. არსებული კონფლიქტის ფესვები განსაკუთრებით ღრმად იჭრება ბოლო რამდენიმე დეკადის ისტორიაში. სპარსეთის ყურის მეორე ომი გარკვეულწილად დაკავშირებულია დღევანდელ მოვლენებთან და ის არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი ისტორიოგრაფიაში. კონფლიქტი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ მთავარ კრიზისად არის მიჩნეული, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. ჩვენ მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ, რათა ნათელი მოგვეჩინა იმ მრავალი კითხვისათვის, რაც დღეისათვის არსებობს რეგიონში. საკვლევი თემა მით უფრო საინტერესო და აქტუალურია, რომ ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. გამომდინარე აქედან თავმოყრილი და გაანალიზებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი შენატანია უახლესი ისტორიის კვლევაში.

საკვლევი თემის მიზანია სხვადასხვა სახის დოკუმენტური წყაროებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე წარმოვაჩინოთ, თუ რატომ შეიჭრა ამერიკის შეერთებული შტატები ერაყში; ვინ იყვნენ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშეები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ერაყში შეჭრის გადაწყვეტილების მიღებაზე; რა იყო მათი მთავარი მოტივი; რის მიღწევას ცდილობდნენ ამერიკელები ერაყში და, საბოლოო ჯამში, რამდენად წარმატებული გამოდგა მათი წამოწყება; რამდენად ეფექტური იყო აშშ-ს მმართველობა ერაყში და ა.შ. მკვლევართა შორის არ არის ერთიანი აზრი კონფლიქტის ირგვლივ. სახელდება მრავალი მიზეზი და საბაბი, რის გამოც გაჩაღდა ომი სპარსეთის ყურეში. ფაქტია, რომ ერთი პასუხი კითხვაზე არ არსებობს და მიზეზები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ის ბუნდოვანება, რაც გასდევს აშშ-ს ხელისუფლების ქმედებებსა და ნაბიჯებს, დღემდე არ არის გაფანტული. ჩვენის მხრივ, ჩვენ შევეცადეთ არსებულ დოკუმენტებსა და კვლევებზე დაყრდნობით გარკვეულწილად ჩვენი წვლილი შეგვეტანა სიმართლის დადგენაში.

საკითხის კვლევისას მოხდა მისი კომპლექსური შესწავლა ისტორიული მეთოდის შესაბამისად. ისტორიის მეთოდოლოგიის მიერ დადგენილი პროცედურების თანახმად ჩატარდა მასალის კრიტიკული ანალიზი, რის შემდეგაც მოხდა ინფორმაციის სინთეზური გადამუშავება, რამაც საშუალება მოგვცა სწორად გაგვეაზრებინა საკვლევი საკითხი. დამუშავდა მოცულობითი წყაროთმცოდნეობითი ბაზა და მოხდა ისტორიოგრაფიის მიმოხილვა. ასევე შესწავლილ იქნა ჟურნალისტური მასალა: ბექდური, ტელე თუ ვიდეო მონაცემები. საჭიროებისამებრ მოხდა ვერბალური გასაუბრება ქუვეითის მოსახლეობის ნაწილთან და აქ მცხოვრებ ერაყელებთან, რომლებმაც შესაბამის კითხვებზე გაგვცეს პასუხი.

ჩვენი საკვლევი თემის ირგვლივ არსებობს უამრავი მასალა. დიდი რაოდენობის დოკუმენტებია დაცული ეროვნული უსაფრთხოების არქივში (განთავსებულია ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში). სწორედ ამ არქივიდან მოვიპოვეთ მათი დიდი ნაწილი. ასევე განხილული გვაქვს პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშისა თუ მისი დროინდელი აქტიური პოლიტიკური ფიგურების სიტყვები, მოხსენებები, მემორანდუმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, ფედერალური გამომძიების ბიუროსა და თავდაცვის დეპარტამენტის მიერ შედგენილი დოკუმენტები. გვერდს ვერ ავუვლიდით ერაყის კოალიციური ღრობითი მთავრობის მიერ მიღებულ ბრძანებებს. სხვადასხვა ჯგუფების დასკვნებსა და მოხსენებს ანალოგიური წონის მნიშვნელობა აქვთ.

ერაყისა და მასობრივი განადგურების იარაღის კვლევის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ შედგენილი დოკუმენტი **„ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამები“**, რომელშიც საუბარია ერაყის შესაძლებლობებზე და მოყვანილია მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების მაგალითები. ეს დოკუმენტი მით უფრო საინტერესოა, რადგან მასში საუბარია, რომ სადამ ჰუსეინს სურდა მასობრივი განადგურების იარაღის ფლობა, თუმცა ჯერჯერობით მას არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა. დოკუმენტი 2002 წლის ოქტომბრით თარიღდება (CIA 2002).

ამავე ასპექტის კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების **„დაზვერვის კომიტეტის სხდომის ანგარიში – ომამდე აშშ-ს სა-**

დაზვერვო უწყებების ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შეფასებაზე“. 521-გვერდიან დოკუმენტში დეტალურად არის გაანალიზებული სადამ ჰუსეინის პირადი კონტაქტები ურანის მწარმოებელ ქვეყნებთან, განხილულია შესაძლო გარიგებები და მოყვანილია პროცესის ვრცელი ანალიზი და შეფასება. მას თან ერთვის ერაყისა და ტერორიზმის შესაძლო კავშირის აღწერა ფაქტებით და არგუმენტებით. დოკუმენტი მეტად ღირებულია ჩვენთვის, რადგან მასში დაცული ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის ჯორჯ უოკერ ბუშისა და თეთრი სახლის ადმინისტრაციის რწმენასთან, რომ ჰუსეინს ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღის აქტიური პროგრამა ან კავშირი ტერორიზმთან – კონკრეტულად კი ალ-კაიდასთან (*Report on the U.S. Intelligence Community's Prewar Intelligence Assessments on Iraq 2004*). გამოყენებული გვაქვს აგრეთვე ბრიტანეთის მთავრობის მიერ მომზადებული მოხსენებები და დოკუმენტები ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ (**British Government Briefing Papers on Iraq 2002**).

ტერორიზმის და კონკრეტულად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის კვლევის საქმეში ხაზგასმით გამოიყოფა „9/11 კომისიის ანგარიში“. 585-გვერდიანი დოკუმენტი დეტალურად განიხილავს ტერორიზმს და მისგან მომავალ საფრთხეებს. დოკუმენტი დღემდე კრიტიკის საგანია. ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ კომისიის მიერ უნდა ჩატარებულიყო სერიოზული გამოძიება იმის დასადგენად, თუ ვინ იყო რეალურად 11 სექტემბრის ტერაქტის შემოქმედი, მაგრამ მათი დასკვნა ადასტურებს, რომ ტერაქტი მხოლოდ ალ-კაიდას მოწყობილია (**Kean... 2004**). სწორედ ეს ნაწილი გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ დოკუმენტს „ეროვნულ სირცხვილს“ უწოდებენ. ჩვენი აზრით, მისი კვლევა რეალურად ეფუძნება ფაქტებს და მონაცემებს, რის გამოც გამოტანილი დასკვნები არსებითად სწორია.

ფედერალურ გამოძიების ბიუროს ომის წინ და ომის შემდგომაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მათ მიერ ჩატარებული საქმიანობიდან აღსანიშნავია სადამ ჰუსეინის დაკითხვების ოქმები. დოკუმენტების ეს კრებული მეტად ხელშემწყობია ერაყის დიქტატორის პორტრეტის წარმოსადგენად. საუბარი ეხება თითქმის ყველა სფეროს – მისი პოლიტიკური კარიერის დაწყებიდან ბოლო დრომდე. ჩვენ შევისწავლეთ 20 დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მათი დეკლასი-

ფიცირების შემდეგ. ამან მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი სადამ ჰუსეინის მსოფლ-მხედველობის აღქმაში და იმის გაანალიზებაში, თუ რას ფიქრობდა იგი საკუთარ თავზე, ამერიკასა თუ ზოგადად ტერორიზმზე (**Hussein Interview Session 1 2004; Hussein Interview Session 2 2004; Hussein Interview Session 3 2004; Hussein Interview Session 4 2004; Hussein Interview Session 5 2004; Hussein Interview Session 6 2004; Hussein Interview Session 7 2004; Hussein Interview Session 8 2004; Hussein Interview Session 9 2004; Hussein Interview Session 10 2004; Hussein Interview Session 11 2004; Hussein Interview Session 12 2004; Hussein Interview Session 13 2004; Hussein Interview Session 14 2004; Hussein Interview Session 15 2004; Hussein Interview Session 22 2004; Hussein Interview Session 23 2004; Hussein Casual Conversation Document 24, 2004; Hussein Interview Session 25 2004;**).

პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის შეფასებისთვის საჭიროდ მიგვაჩნია მისი არაერთი უმნიშვნელოვანესი სიტყვის კვლევა. 1999 წლიდან 2003 წლამდე ჩვენ შევისწავლეთ მისი მრავალი გამოსვლა რამაც ხელი შეგვიწყო ძირითადი საკვლევი საკითხის შესწავლის წინ წაწევაში. პრეზიდენტობამდე მისი განცხადებები გამოირჩევა უფრო მოკრძალებული ტონით. მაგალითად, 1999 წელს იგი აცხადებს, რომ ამერიკამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ახალი სახელმწიფოებისა თუ ერების ჩამოყალიბების პროცესში მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ იმავე წელს იგი აღნიშნავს, რომ მკაცრი იქნებოდა ერაყის მიმართ. 2000 წელს პრეზიდენტობის კანდიდატ ელ გორთან დებატებისას იგი აღნიშნავს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების როლი არ არის შევარდეს ქვეყანაში და განაცხადოს: „ჩვენ ამას ასე ვაკეთებთ და თქვენც ასე უნდა გააკეთოთ.“ (**Gore-Bush Debate 2000**). საინტერესოა 2001 წლის 20 სექტემბერს პრეზიდენტის გამოსვლა, სადაც იგი საუბრობს ალ-კაიდას, მშვიდობისა და შიშის ბრძოლაზე. გარკვეულწილად ეხება ისლამსაც. 2002 წლიდან მოყოლებული მისი მიდგომა სადამ ჰუსეინის მიმართ აბსოლუტურად მტკიცე და მკაცრი ხდება და ახსენებს, რომ უნდა მოიშოროს იგი. მომდევნო სიტყვებში აქცენტს აკეთებს ერაყის მიერ ურანის შემენის მცდელობებზე. ომის შემდგომ კი იგი უფრო მეტად მშვიდობასა და ერაყის სტაბილურობაზე ახდენს აქცენტირებას და ერაყის დემოკრატიულ პრიციპებზე მოწყობაში ხედავს ზოგადად მთელი რეგიონის გარდაქმნის გზას (**Bush 1999a; Bush 1999b; Bush 1999c; Bush 2001; Bush 2002a; Bush 2002b; Bush 2002c; Bush 2003a; Bush 2003b; Bush 2007; White House 2002**).

აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც 2002 წლის სექტემბერში გამოიცა. დოკუმენტში მიმოხილულია ქვეყნის ზოგადი სტრატეგიული კურსი და ნახსენებია, რომ ეროვნული პოლიტიკა უნდა გახდეს „მშვიდობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების“ პროპაგანდისტი. განხილულია ტერორიზმის წინააღმდეგ ომის წარმართვის მნიშვნელობა და შტატების საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგია ყველა სფეროში (**The National Security Strategy 2002**).

2002 წელს წარმომადგენლობით პალატაში, საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის წინაშე განიხილეს პრეზიდენტის საერთაშორისო ბიუჯეტი. შედგა დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ერაყში რეჟიმის ცვლილების მტკიცედ სჯერათ და შტატების სურვილია, ხელი შეუწყოს ერაყს მეზობლებთან მშვიდობიან ურთიერთობასა და დემოკრატიულობაში (**Powell 2002**).

ყურადსაღები წყაროა ოსამა ბინ ლადენის 1996 წელს გამოცემული ფატვა, სადაც იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო ოკუპაციაში ადანაშაულებს, რადგან სამხედრო ბაზები განათავსა ახლო აღმოსავლეთში. ბინ ლადენი ომს უცხადებს ამერიკას იმ პოლიტიკის გამო, რასაც ის რეგიონის მიმართ ატარებს (**Fatwa Nr. 1. 1996**). ასევე საინტერესო ფაქტია ისიც, რომ თეთრი სახლის ძირითადი დეპარტამენტები არ ითვალისწინებენ ამ ფატვას საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებისას.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტი „ერაყის მომავლის პროექტი“. ჩვენთვის საინტერესო და ღირებულია ეს დოკუმენტი, რადგან მასში საუბარია ერაყის ომისშემდგომი მოწყობის იდეებზე. ძირითადი საუბარი შეეხება ერაყში არსებულ ნავთობის ველებს და მათი მომავალი გადანაწილების სამი მოდელი არის წარმოდგენილი (**Future of Iraq 2003**).

2002 წლის 15 აგვისტოთი დათარიღებულ დოკუმენტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა მმართველობამ შეადგინა, ჩვენი თეზისისათვის მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს. აქ ცენტრალური მმართველობა განიხილავს სამხედრო ინტერვენციის შესაძლო ვადებს. საორიენტაციოდ მოყვანილია ამერიკელი სამხედროების რაოდენობა და ერაყში შეჭრა დაყოფილია ოთხ ფაზად. თითოეული

ფაზისათვის ნავარაუდებია დღეების კონკრეტული რაოდენობა, რომლის მიხედვითაც უნდა ემოქმედა სამხედრო ძალებს (**Compartment planning effort 2002**).

ეროვნული უსაფრთხოების არქივში წარმოდგენილი ინფორმაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. საინტერესო მონაცემებია დაცული პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის გარემოცვის შესახებ. განსაკუთრებით საჭირო ცნობებს მის ირგვლივ შეკრებილ ნეოკონსერვატორებზე გვაწვდის ელექტრონული მოხსენების ნომერ 326-ე წიგნი. ირკვევა, რომ ორი გამოჩენილი ნეოკონსერვატორი **რიჩარდ პერლი** და **პაულ ვულფოვიცი** ბუშის კანდიდატობისას მისი პოლიტიკური მრჩეველების გუნდში იყვნენ. შემდგომში ორივე წამყვან პოზიციებზე დაინიშნა. კარგადაა ცნობილი მათი აგრესიული დამოკიდებულება ერაყის მიმართ, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გადაწყვეტილების მიღებაში (**The Iraq War – Part I 2010**).

ამავე არქივში დაცულია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მემორანდუმი. საბუთი 2001 წლის 23 იანვრით თარიღდება. განხილულია ერაყის კუთვნილი ალუმინის მიღების ირგვლივ წარმოქმნილი სიტუაცია. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით პრიორიტეტული გახდა, აეღოთ „სწორი მიმართულება“ და არ ეჩქარათ მიღების საზოგადოებისათვის წარდგენა, სანამ რეალური დასკვნა არ დაიდებოდა (**Walker to Power 2001**). ალუმინის მიღების საქმეს შტატებში განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ, ვინიდან ერაყში ბირთვული იარაღის საწარმოებლად აქტიური პროგრამების არსებობის ერთ-ერთ სამხილად სწორედ ამას მოიაზრებდნენ.

ჯონ პრადოსისა და კრისტოფერ ეიმსის მიერ მომზადებულ მასალაში განხილულია თეთრი სახლის წარმომადგენლების დამოკიდებულება ერაყიდან მომავალი საფრთხეების მიმართ. სადამ ჰუსეინს ისინი უმაღლესი ხარისხის პოტენციურ საფრთხედ განიხილავდნენ. ამ წყაროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქმედი პოლიტიკოსების მოსაზრებების კვლევისათვის, რადგან მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების უკან ხშირად სწორედ მათი პირადი დამოკიდებულება იდგა (**Prados & Ames 2010**).

ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი ცნობები აქვს **საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს**. ამ შემთხვევაში

გამოვყოფთ ორ დოკუმენტს. პირველი 2002 წლით თარიღდება და მასში დეტალურად არის აღწერილი, რა შესაძლებლობები ჰქონდა სადამ ჰუსეინს წარსულში და რა სახის სამუშაოები ჩაატარეს ინსპექტორებმა (**Dilton 2002**). მეორე დოკუმენტი წარმოადგენს მოხსენებას, რომელშიც საუბარია ერაყის მიერ შეძენილ ალუმინის მილებზე. დასკვნის სახით კეთდება შემდეგი: ერაყს სურს ალუმინის მილების გამოყენება, მაგრამ არა მასობრივი განადგურების იარაღისთვის, არამედ რაკეტის გარსისთვის (**El Baradei 2003**). ორივე ცნობა საყურადღებოა იმ მიზეზით, რომ ისინი ხაზს უსვამენ ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის ფლობის ან მისი პროგრამების არსებობის საეჭვოობას.

აღნიშვნის ღირსია 1998 წლის 31 ოქტომბრის პრეზიდენტ ბილ კლინტონის სიტყვა და ნეოკონსერვატორების გავლენით მიღებული „ერაყის თავისუფლების აქტი“. დოკუმენტში პრეზიდენტი საუბრობს ერაყთან დიალოგზე. იგი აღნიშნავს, რომ საგნებით შესაძლებელია ერაყის დემოკრატიულ მთავრობასთან ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდეს კეთილმეგობრული ურთიერთობა. თუმცა იგი აქვე ამატებს, რომ, არსებული ხელისუფლების მისწრაფებიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. ჩვენთვის ეს დოკუმენტი იმით არის საინტერესო, რომ სწორედ 1998 წელს შემუშავდა პირველი გეგმა. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქტიური ნაბიჯები უნდა გადაეღო ერაყში დემოკრატიის გასავრცელებლად. მოცემულია კონკრეტული ნაბიჯები: მასმედიის მხარდაჭერა, ოპოზიციური ჯგუფების დაფინანსება, შესაძლო სამხედრო დახმარების აღმოჩენა და ა.შ. (**Statement by the President 1998**).

კონფლიქტის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე რეზოლუციას და უშიშროების საბჭოს დოკუმენტს. ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ 687-ე და 1483-ე რეზოლუციებზე. გაეროს 687-ე რეზოლუცია ითვალისწინებდა სპეციალური კომისიის შედგენას და დაუყოვნებელ ინსპექტირებას ერაყში ქიმიური, ბიოლოგიური იარაღისა და სარაკეტო შესაძლებლობების გამოსაკვლევად (**Resolution 687 1991**). გაეროს 1483-ე რეზოლუციას განსაკუთრებული ღირებულება აქვს. ამ რეზოლუციით ამერიკის შეერთებულ შტატებს მიენიჭა საოკუპაციო ძალის სტატუსი (**Resolution 1483 2003**).

1483-ე რეზოლუციის მიღებამდე, 2003 წლის 8 მაისს წერილი მისწერეს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს პრეზიდენტს გაეროში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მუდმივმა წარმომადგენლებმა ჯერემი გრინსტოკმა და ჯონ ნეგროპონტემ (**Letter to UN 2003**). ჩვენ საინტერესოდ მიგვაჩნია ეს წერილი, რადგან მასში ნათლად აისახება ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება კონფლიქტისადმი და სურვილი, არ წარმოეჩინა თავისი თავი იმპერიალისტურ და ოკუპანტ ქვეყნად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების კარგი კრებულია დაცული ერაყის „ნავთობი საკვების სანაცვლოდ“ პროგრამის ოფისის ვებგვერდზე. ეს პროგრამა 1996 წელს ამოქმედდა 986-ე რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც უკრძალავდა ერაყს 2 მილიარდ დოლარზე მეტი ნავთობის გაყიდვას 180 დღის პერიოდში (**Oil For Food 2010**).

საყურადღებოდ მიგვაჩნია ერაყში შექმნილი კოალიციური დროებითი ხელისუფლების მიერ შემუშავებული დოკუმენტები, განსაკუთრებით კი მმართველის, პოლ ბრემერის ბრძანებების კრებული, რომელსაც უაღრესად დიდი გავლენა ჰქონდა ერაყში მიმდინარე მოვლენებზე. ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს კოალიციური დროებითი მთავრობის პირველ, მეორე, მეთორმეტე, მეჩვიდმეტე, ოცდამეჩვიდმეტე, ოცდამეცხრამეტე, მეორმოცე და ოთხმოცდამეთოთხმეტე ბრძანებებზე (**CPA Order 1 2003; CPA Order 2 2003; CPA Order 12 2003; CPA Order 17 2003; CPA Order 37 2003; CPA Order 39 2003; CPA Order 40 2003; CPA Order 94 2004**). პირველი და მეორე ბრძანება უაღრესად ღირებული წყაროა, რადგან ამ ბრძანებების საფუძველზე დაიწყო ერაყის სხვადასხვა ინსტიტუტების დე-ბაასიფიკაცია და დაიშალა ძალოვანი უწყებები. ყველაზე დიდი კრიტიკის საგანი სწორედ ეს ორი ბრძანებაა, რადგან პირველ შემთხვევაში რამდენიმე ათასი ადამიანი პარტიული ნიშნით გაათავისუფლეს სხვადასხვა სამსახურიდან, მეორე შემთხვევაში კი ძალოვანი უწყების თანამშრომლები, თავის შეიარაღებასთან ერთად აღმოჩნდნენ ქუჩაში. ეს უაღრესად დიდი შეცდომა გამოდგა, რადგან ამან საფუძველი შეუქმნა მალევე წამოწყებულ ორგანიზებულ აჯანყებებს. დანარჩენი ბრძანებები ემსახურებოდა ერაყში უცხოური ბიზნესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და ერთგვარად თავისუფალი ბაზრის პრინციპების გან-

ვითარებას. უცხოელ ინვესტორებს უფრო მეტი საშუალება მიეცათ, აქტიურად ჩართულიყვნენ ერაყის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

კოალიციური დროებითი ხელისუფლების შესახებ ღირებულ ცნობებს გვაწვდის კორპორაცია RAND-ს არქივში დაცული დოკუმენტი. პირველი ასახავს კოალიციური დროებითი მთავრობის ისტორიას. მოცემულია დისკუსია მისი შექმნის იდეის, გეგმისა და პრაქტიკული განხორციელების ირგვლივ (**Dobbins... 2009**). აქვე გვინდა აღვნიშნოთ იმავე კორპორაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევა, რომელიც ზალმაი ხალილზადმა, ენდრიუ მარშალმა და ჯონ უაითმა ჩაატარეს. საუბარი ეხება ამერიკის სამხედრო ფილოსოფიასა და დონალდ რამსფელდის რევოლუციურ მიდგომას (**Khalizad, White, Marshall 1999**).

სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით კარგი ინფორმაცია აქვს წარმოდგენილი გენერალ ენტონი ზინის. იგი ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა რამსფელდის დოქტრინას და სამხედროთა მცირე რაოდენობის გამოყენებას. ამიტომ მან საკუთარი ხედვა წარმოადგინა კოდური სახელწოდებით „უდაბნოს გადალახვა“. დოკუმენტში საუბარი იყო დამატებითი სამხედრო კონტინგენტის გამოყენების შესაძლებლობებზე (**Zinni 2006**).

დონალდ რამსფელდი გვევლინება სამხედრო სტრატეგიისა და გეგმის ძირითად შემოქმედად. მას დასაწყისში სხვა მისწრაფება ამოძრავებდა, რასაც ადასტურებს 2003 წლის სიტყვა: იგი არ აპირებდა ამერიკის შეერთებული შტატები ერაყში გრძელვადიანი კამპანიისათვის გაეწირა (**Rumsfeld 2003**). ამას ადასტურებს 2003 წელს თავისივე სიტყვაში. მის გვერდით აუცილებლად უნდა ვახსენოთ დიკ ჩეინი, ნავთობკომპანიების ინტერესების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველი. ამას იგი არც მალავდა და ყველასთვის სავსებით ცნობილი ფაქტი გახლდათ. სადემონსტრაციოდ გამოდგება 1999 წლის სიტყვა (**Cheney 1999**).

1992 წელს შემუშავდა **თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო**, სადაც საუბარი იყო მსოფლიოს სტრატეგიულ წერტილებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბატონობის შესახებ. დოკუმენტის ერთ-ერთი შემქნელი პოლ ვულფოვიცი იყო. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ იგი შტატების პირველობის დემონსტრირებას ეხებოდა. ჩვენთვის საინტერესო ამ შემთხვევაში ისაა, რომ სტრატეგიულ სფეროდ მოიაზრებოდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთი, არამედ დასავლეთ ევროპა და სსრკ-ს

ყოფილი ტერიტორიები (1992 Draft). დონალდ რამსფელდი ერთ-ერთი ფუძემდებელია ამერიკის შეერთებული შტატების პირველობის დემონსტრირებისა. მისი იდეა 90-იან წლებში შექმნილ დოკუმენტს: „შოკი და შიში – სწრაფი დომინირების მოპოვება“ ეხმიანებოდა (Ullman & James 1996). „სამხედრო საქმეში რევოლუციის“ ყველაზე საინტერესო ნაწილი იყო იარაღის სისტემის გაყიდვის პროპაგანდა და იმ პოლიტიკური თუ სტრატეგიული ცვლილებების გატარება, რაც საჭირო იქნებოდა. ეს კარგად აისახა დოკუმენტში სახელად „ამერიკის თავდაცვის აღდგენა“ (Kagan & Schmitt 2003).

საინტერესო დეტალებს იძლევა ამერიკელი სამხედროებისათვის პრაქტიკული საქმიანობის სახელმძღვანელო, სადაც აღწერილია, რომ სტრატეგია ერაცის მიმართ 2006 წლისათვის არის „გაწმენდის, დაკავებისა და შენარჩუნების“ მოტივით ინსპირირებული (Field Manual 2006).

შტატების ნავთობისადმი ლტოლვას ეხება დოკუმენტი „სტრატეგიული ენერჯეტიკის სფეროში პოლიტიკის ცვლილების გამოწვევები XXI საუკუნეში.“ დოკუმენტის შემოქმედნი მიუთითებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სერიოზული ნავთობინტერესები აქვს ახლო აღმოსავლეთში. დოკუმენტი 2001 წლით თარიღდება (Morse 2001).

2006 წელს შეიქმნა ერაცის შემსწავლელი ჯგუფი ჯეიმს ბეიკერისა და ლი ჰამილტონის მონაწილეობით. მათ შეიმუშავეს დოკუმენტი, სადაც მოცემული იყო არაერთი რეკომენდაცია, თუ როგორ უნდა გამკლავებოდნენ ერაცის კრიზისს. გარკვეულწილად ისინი რეკომენდაციას უწევდნენ სამხედროთა რაოდენობის ზრდას რათა ერაცში წესრიგი დაემყარებინათ. თუმცა ეს რამსფელდის დოქტრინას პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა. ასევე აღნიშნავდნენ, რომ შტატებს სწრაფად უნდა გადაეცათ ხელისუფლება ერაცელებისათვის (Baker & Hamilton 2006)

ერაცის შიდა სიტუაციის კვლევისას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიძიეთ 2010 წლის 29 იანვრით დათარიღებულ დოკუმენტში. წყარო წარმოადგენს ტონი ბლერის მოხსენების ტრანსკრიპტს. მასში საუბარია იმ ტერორისტულ აქტებზე, რაც ერაცში ხდებოდა. ბლერი ასევე აღნიშნავს ალ-კაიდასა და ირანის ურთიერთობას და მათ ჩარევას ერაცის საქმეში (Blair 2010).

საკვლევი საკითხის გარშემო უკანასკნელ წლებში უამრავი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა. არაერთი ნაშრომი ეხება უშუალოდ ომის აღწერას, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაანალიზებას; მრავალი პუბლიკაცია მოგვითხრობს თეთრი სახლის ადმინისტრაციის იმ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფიგურებზე, რომლებსაც ხელეწიფებოდათ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა.

პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის ადმინისტრაციის შესახებ ფასეული ნაშრომი შექმნა ბობ ვუდუორდმა. მან განიხილა 2001 წლის 11 სექტემბერის ტერაქტის შემდგომი ადმინისტრაცია ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ჭრილში. წიგნი კარგ ცნობებს იძლევა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომების შესახებ, როდესაც იგეგმებოდა ქვეყნის სტრატეგია და საპასუხო მოქმედებები (**Woodward 2002**). თავის მეორე ნაშრომში იგი საუბრობს ერაყის ომისწინა მდგომარეობაზე და განიხილავს უშუალოდ ომის დაგეგმვის საკითხს ადმინისტრაციის მაღალჩინოსნების დონეზე (**Woodward 2004a**). მისივე ნაშრომებიდან უნდა გამოვყოთ 2006 წელს გამოცემული წიგნი *“State of Denial: Bush at War. Part III”*, სადაც ავტორი მეტად მნიშვნელოვან საკითხს ეხება. საუბარია ბუშის ადმინისტრაციის მიერ სიმართლის დამალვის შესახებ – საზოგადოების, კონგრესისა და ხშირად საკუთარი თავისთვისაც კი. ვუდუორდი კრიტიკულად აფასებს ერაყის ომს. იგი წერს არაკომპეტენტურობაზე, გადაწყვეტილებების ცვლილებებზე და ერაყში არსებული რეალური ვითარების არგათვალისწინებაზე. მისი შეფასებები ამჯერად მკვეთრად განსხვავდება ზემოხსენებულ ორ წიგნში მოცემული შეფასებებისაგან (**Woodward 2006**). ბობ ვუდუორდის წიგნების ეს სერია ჩვენი კვლევისათვის ძალიან ხელშემყოფი და მნიშვნელოვანია. ისინი გვიქმნიან წარმოდგენას თეთრი სახლის ადმინისტრაციისა და თავად პრეზიდენტის შესახებ.

ერაყის ომის დაგეგმვიდან საომარი მოქმედებების წარმართვის ჩათვლით კარგი კვლევა აქვს ჩატარებული „ვაშინგტონ პოსტის“ პენტაგონის კორესპონდენტ თომას რიქსს. ავტორი კრიტიკულად განიხილავს ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებს ომისა და ოკუპაციის ირგვლივ (**Ricks 2006**). მისივე ავტორობით გამოსული მეორე წიგნი ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და პოლიტიკური დაწესებულებების მცდელობას, გაუმკლავდნენ იმ სავალალო მდგომარეობას, რაც 2003 წლის შემდეგ შეიქმნა. განხილულია გენ. პეტრეუსის, გენ. ოდიერნოსა და გადამდგა-

რი გენერალ კინის პოზიციები, დამატებით რამდენიმე ათასი სამხედრო გაეგზავნათ ერაყში (**Ricks 2009**).

თეთრი სახლის ადმინისტრაციაში მიმდინარე დებატების მისეულ მიმოხილვას გვთავაზობს ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციაში თავდაცვის მინისტრის მოადგილე დაგლას ფეისი. იგი აქცენტს აკეთებს კონკრეტულ საკითხზე – უნდა ჩაბმულიყო თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები გრძელვადიან ოკუპაციაში. მას მოჰყავს უშუალოდ იმ მოვლენების დეტალური აღწერა, რომელთა მონაწილეც თავად იყო. ფეისი ოკუპაციას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დამარცხდა სტივენ ჰედლისთან, რომელსაც ბუშის მეორე ადმინისტრაციაში ეკავა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის პოსტი (**Feith 2008a**).

საომარი მოქმედებების დეტალური და სანდო აღწერა აქვს მოცემული ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სარდლობის მეთაურ გენერალ ტომი ფრენკსს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა კოალიციურ ჯარს ომის დროს (**Franks... 2005**). საყურადღებოა აგრეთვე ჯორჯ პეკერის ნაშრომი (**Packer 2005**), რომელიც განიხილავს სამ ძირითად მიმართულებას. მასში მოცემულია ერაყის ომის ინტელექტუალური საწყისები, პოლიტიკური პროცესებისა თუ რეალური შედეგების აღწერა და ერაყში რეჟიმის ცვლილების ასპექტები. ავტორი გვაწვდის ცნობებს ნეოკონსერვატორთა შესახებ. ერაყის აღწერილობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი და განხილულია პოლ ბრემერის დროებითი მმართველობაც.

ნეოკონსერვატორებისა და მათი გავლენის, პოლიტიკის, მიზნებისა და იდეოლოგიის შესახებ კვლევა აქვთ ჩატარებული ლენ კოლოდნისა და ტომ შახტმენს (**Colodny... 2009**), ჯონ დამბრელს (**Dumbrell 2008**), სტეფან ჰალპერსა და ჯონათან ჰალპერს (**Halper... 2004**), რივერტ შიერს (**Scheer 2008**), თომას ედსალს (**Edsall 2006**). გამოვყოფთ რობერტ კაგანისა და უილიამ კრისტოლის კვლევასაც (**Kagan & Kristol 2004**).

ერაყთან ომის დაგეგმვის, შესრულებისა და ომის შემდგომი პერიოდის შესახებ კვლევა ჩატარეს „ნიუ იორკ თაიმსის“ სამხედრო კორესპონდენტმა მაიკლ გორდონმა და გადამდგარმა გენერალმა ბერნარდ ტრეინორმა. ნაშრომი დაფუძნებულია წყაროების შესანიშნავ კრებულზე. მასში, ფაქტობრივი მასალასთან ერთად, გადმოცემულია

მიმდინარე მოვლენების ანალიზიც. კვლევა ფოკუსირებას ახდენს ნაჩქარევ და ალალბედზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ავტორები გადმოგვცემენ ცნობებს იმ დაძაბული ურთიერთობების შესახებ, რაც თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდსა და ერთიანებული შტაბის მეთაურ გენერალ რიჩარდ მაიერსსა და ცენტრალური მმართველობის მეთაურ გენერალ ტომი ფრენკს შორის ვითარდებოდა. ისინი გვიჩვენებენ მათ ინტერესებს და მისწრაფებებს, ასევე მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა წარმართათ საომარი მოქმედებები (**Gordon & Trainor 2007**).

სამხედრო სტრატეგიაში ცვლილებებზე და განვითარებებზე წერს თავის ნაშრომში კეიტ შიმკო. იგი აღწერს ამერიკის სამხედრო ძალებში რეკოლუციურ ცვლილებებს XXI საუკუნის გარიჟრაჟზე – საუბარია მაღალ ტექნოლოგიურ, განვითარებულ სამხედრო ძალებზე (**Shimko 2010**). იმავე საკითხს განიხილავს პიტერ სინგერი. იგი საუბრობს ომის წარმართვის ტრანსფორმაციაზე განვითარებული და ტექნოლოგიურად წინ წაწეული სამხედრო ძალების გამოყენებით (**Singer 2009**). სპარსეთის ყურის მეორე ომი განხილული აქვს რონ სუსკინდს, რომელიც აცხადებს, რომ დონალდ რამსფელდს საკუთარი დოქტრინით, პირველ რიგში, შტატების სამხედრო უპირატესობის ჩვენება სურდა (**Suskind 2006**).

ერაყთან წარმართული ომის ძირითადი სტრატეგი დონალდ რამსფელდი გახლდათ. სწორედ მასზე და მის ირგვლივ განვითარებულ პოლემიკაზე მოგვითხრობენ ავტორები: ბრედლი გრეჰემი (**Graham 2009**), ბენ ბული (**Buley 2008**), ენდრიუ ბაჩევიჩი (**Bacevich 2005a**), ჯეიმს კიტფილდი (**Kitfield 2005**) და დეილ ჰერსპრინგი (**Her-spring 2008**). ეს ავტორები ხშირად მიუთითებენ იმ დაპირისპირებაზე, რაც პენტაგონის მაღალჩინოსნებთან ჰქონდა რამსფელდს, რადგან რამსფელდის დოქტრინა კამათს იწვევდა. მიუხედავად ამისა, თავდაცვის მდივანს საკუთარი პოზიციის შეცვლა აზრადაც არ მოსვლია. საინტერესოდ არის აღწერილი ერაყის წინააღმდეგ გეგმის შემუშავების პროცესი. ავტორების კვლევა ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან იგი გვეხმარება გავარკვიოთ სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო მაღალჩინოსნის პოზიცია ერაყის წინააღმდეგ წარსამართი ომის შესახებ.

პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის დოქტრინა კარგად აქვს განხილული იან შაპიროს. ის წარმოგვიდგენს დოქტრინის არაერთ ასპექტს და ამახვილებს ყურადღებას

მის საერთაშორისო არეალზე, უნილატერალურ ჩართულობაზე, უცხოური რეჟიმების ცვლილების ხელშეწყობასა და ა.შ. იგი ასევე ამტკიცებს, რომ შეკავების თეორია ყველაზე კარგად შეუწყობდა ხელს ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებისა და დემოკრატიის დაცვას მომავალში (**Shapiro 2007**). ბუშის დოქტრინასვე ეძღვნება მერი ბაკლისა და რობერტ სინგჰის ნაშრომი (**Buckley & Singh 2006**).

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ გზამკვლევად გამოდგება ივო დაალდერისა და ჯეიმს ლინდსის წიგნი (**Daalder & Lindsay 2003**). ასევე მნიშვნელოვანია ლოიდ გარდნერის პუბლიკაცია (**Gardner 2008**) თუ კაროლინ კენედი-პაიპის ნაშრომი (**Kennedy-Pipe 2008**) მაიკლ კოქსისა და დაგ სტოუკსის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში. შტატების საგარეო პოლიტიკას ისრაელთან ურთიერთობის ჭრილში განიხილავენ ჯონ მირშაიმერი და სტივენ უოლტი (**Mearshaimer & Walt 2007**).

თეთრი სახლის ადმინისტრაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების იმპერიალისტური ზრახვების შესახებ კარგი მოსაზრებები აქვთ წარმოდგენილი ნილ ფერგიუსონს (**Ferguson 2005**) და ჩარლი სევიჯს (**Savage 2007**).

პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის პოლიტიკას აფასებენ და განიხილავენ თავიანთ შრომებში ჯონ დევისი (**Davis 2006**), რობერტ დრაპერი (**Draper 2008**), ანტონია ჯუჰაში (**Juhasz 2006**), თ. ს. ლანგსტონი (**Langston 2007**), ტიმოთი ლინჩი და რობერტ სინგჰი (**Lynch & Singh 2008**), ჯოფრი პერეტი (**Perret 2007**), პიტერ შვეიცერი და როშელ (რონდა) შვეიცერი (**Schweizer & Schweizer 2004**), რობერტ სვანსბრო (**Swansbrough 2008**), ჯეკობ ვაისბურგი (**Weisburg 2008**), ნიკ რიჩი და პოლ როჯერსი (**Ritchie & Rodgers 2007**). ჩეინისა და ბუშის ერთობლივი მოღვაწეობა გახდა შირლი ვარშოუს კვლევის საგანი (**Warshaw 2009**).

რიჩარდ კლარკი კრიტიკულად აფასებს პრეზიდენტის დამოკიდებულებას ტერორიზმთან და მას და მის ადმინისტრაციას 11 სექტემბრის ტერაქტამდე ალ-კაიდას მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებს. მისი აზრით, შტატებს სურდა მსოფლიო ეკონომიკაზე გავლენა მოეხდინა და ჰქონოდა წვდომა ერაყის ნავთობზე. ამიტომ ეს ომის ერთ-ერთი მიზეზად მოჰყავს. (**Clarke 2004**). იმავე იდეის მომხრეები არიან მაიკლ კლერი (**Klare 2004**), ალან გრინსპენი (**Greenspan 2007**), ალ გორი (**Gore**

2007), სტეფან პელეტერი (**Pelletiere 2004**), ნაფიზ მოსადექ აჰმედი (**Ahmed 2003**), უილიამ კლარკი (**Clarke 2005**). ამ სიაში მოცემულ ავტორებს აერთიანებთ მოსაზრება, რომ ძირეული მიზეზი, რის გამოც ამერიკის შეერთებული შტატები შეიჭრა ერაყში, გახლდათ მისი უხვი ნავთობის ველები და სურვილი, გავლენა ჰქონოდათ ნავთობით ვაჭრობაზე.

რეგიონში დომინირების პოლიტიკისა და მისწრაფების ჭრილში განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადაგმულ ნაბიჯებს და ზოგადად სტრატეგიას კევინ ფილიპსი (**Phillips 2006**) და პოლ რობერტსი (**Roberts 2005**). შტატების ნავთობინტერესების შესახებ კარგი კვლევა აქვთ ჩატარებული რობერტ ბრაისს (**Bryce 2004**), პოლ ბეგალას (**Begala 2002**), ჯონ (ხუან) დომინგო კოულს (**Cole 2009**) და იან რატლეჯს (**Rutledge 2006**). რობერტ ბრაისი დამატებით საუბრობს პრეზიდენტის პირად ინტერესებზე ერაყის მიმართ. საუბარი ეხება ბუშების ოჯახის ხანგრძლივ ისტორიას და მათ პირად ინტერესს ნავთობის მიმართ. მათ მიერ მოწოდებული ცნობები მნიშვნელოვნად ხელშემწყობია აშშ-ს ხელისუფლების ინტერესების კვლევის საქმეში.

სადაც ჰუსეინის ფენომენის კვლევით დაინტერესებული ისტორიკოსებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ავტორების მოსაზრებები, როგორცაა ჯეიმს რაიზენი (**Risen 2006**), ჯეინ კრამერი და ტრევორ თრალი (**Cramer & Thrall 2009**), ჯონ პრადოსი (**Prados 2004**), ჯეიმს ბემფორდი (**Bamford 2005**), მაიკლ ისიკოფი და დევიდ კორნი (**Issikoff & Corn 2006**). ავტორებს წარმოადგენილი აქვთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდნენ თეთრი სახლის ადმინისტრაცია და მასთან დაკავშირებული ჯგუფები საზოგადოებაში შეექმნათ აზრი, რომ სადაც ჰუსეინი უმაღლესი ხარისხის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა.

ჯორჯ ბუშ-უმცროსის მიერ მეორე არჩევნებში გასამარჯვებლად და პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად ერაყის ომის გამოყენების იდეას იკვლევს არაერთი ავტორი. ამათგან აღსანიშნავია ჯულიან ზელიზერი (**Zelizer 2009; Zelizer 2010**), რას ბეიკერი (**Baker 2009**) და ჯეიმს მური (**Moore 2004**). წარმოადგენილი ფაქტები ასაბუთებს, რომ ჯორჯ უოკერ ბუში დამოუკიდებლად მოქმედებდა და მტკიცედ იყო დარწმუნებული საკუთარ გადაწყვეტილებებში ერაყისა თუ ზოგადად საგარეო პოლიტიკის მიმართ. პრეზიდენტის ძალაუფლების სიდიადეზე დარწმუნებით საუბრობენ

სტეფან სკორონეკი (**Skowronek 2008**); სტივენ შიერი (**Schier 2004; Schier 2008**); ლუ დუბოსი, ჟან რიდი და კარლ კენონი (**Dubose, Reid, Cannon 2003**). ეს მკვლევარები ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერს წარმოაჩინენ ერთპიროვნულ, ძლიერ და დამოუკიდებელ მმართველად, რომლის გადაწყვეტილებებზე გავლენა არავის მოუხდენია.

მეტად საჭირო ცნობებს იძლევა თავად ჯორჯ ბუშის ავტორობით გამოცემული წიგნი (**Bush 2010**). მემუარში საუბარი ეხება პრეზიდენტის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს პირად ცხოვრებაში თუ კარიერაში – დაწყებული 1986 წლიდან, როდესაც მან უარი თქვა სასმელზე, და დასრულებული 2008 წლის ეკონომიკური კრიზისით. წიგნში აშკარად შეინიშნება ის ცვლილება, რაც პოლიტიკურ სტრატეგიაში მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. პრეზიდენტს განხილული აქვს ასევე ის გადაწყვეტილებები, რაც უშუალოდ ომის დაგეგმვასა თუ წარმართვას უკავშირდება. მკითხველი აშკარად იგრძნობს, რომ უმცროს ბუშს მამის დაწყებული საქმის ბოლომდე დასრულება სურს და ამისათვის იყენებს კიდევ მის ხელთ არსებულ ბერკეტებს. ფაქტების გადმოცემის თვალსაზრისით მემუარი აშკარად მიგნებაა საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისათვის. აქვე დავძენთ, რომ სიტუაცია ყოველთვის არ არის ობიექტურად შეფასებული და ხშირად იგრძნობა საკუთარი მოსაზრებების დამტკიცების მცდელობა, ვიდრე რეალური სიტუაციის გათვალისწინება (**Bush 2010**).

ერაყში შეჭრას ერთგვარად აკვიატებულ იდეად მოიაზრებენ ჯონ ნიუჰაუზი და ფრედ კაპლანი. ნიუჰაუზი განიხილავს ამერიკას როგორც იმპერიალისტურ ძალას და მოჰყავს შესაბამისი არგუმენტები (**Newhouse 2003**). კაპლანიც დაახლოებით იმავე აზრის მატარებელია და ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკას წარუმატებლად მიიჩნევს (**Kaplan 2009**).

უდავოდ საინტერესოა კრეიგ ანგერის მიერ დაწერილი ნაშრომი, სადაც იგი აკრიტიკებს ბუშების პოლიტიკას. წიგნში იგი ეხება იმას, თუ რატომ არ გაითვალისწინა უმცროსმა ბუშმა მამამისის რჩევა და ქვეყანა ომისკენ წაიყვანა, როგორ მანიპულირებდა მისით რიჩარდ ჩეინი და რა გავლენა ჰქონდათ ნეოკონსერვატორების ჯგუფს გადაწყვეტილებების მიღებაზე (**Unger 2007**).

რიჩარდ ჩეინის გვერდით ხშირად მოიხსენიებენ დონალდ რამსფელდს. ჯეიმს მანი (**Mann 2004**), პრატაპ ჩატერჯი (**Chatterjee 2009**); ბრიუს მონტგომერი (**Montgomery 2009**) და ნაომი კლეინი (**Klein 2007**) ასაბუთებენ, რომ ორ გავლენიან პოლიტიკოსს ათწლეულების მანძილზე ჰქონდათ ურთიერთობა ერთმანეთთან და ერთობლივად ცდილობდნენ ზოგადად პრეზიდენტის ინსტიტუტის გამლიერებაზე მუშაობას. ბუშების გვარის პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე და მათ ინტერესებზე კვლევა ჩატარებული აქვს ასევე კევინ ფილიპსს (**Phillips 2004**).

ერაყში ომის შემდეგ მიმდინარე მოვლენებზე შესანიშნავი კვლევა აქვთ ჩატარებული ერთის მხრივ ლორენს ფრიდმენს (**Freedman 2008**), მეორე მხრივ კი ბერნარდ ო'ლირისა და ჯონ მაკგარის (**O'Leary & McGarry 2005**).

რესპუბლიკური პარტია მრავალჯერ გამხდარა კვლევის საგანი. ამ შემთხვევაში მის სიძლიერესა და გავლენაზე საუბრობს ოლე რუდოლფ ჰოლსტი (**Holsti 1996**) და სკოტ მაკკლელანი (**McClellan 2008**).

თეთრი სახლის ადმინისტრაციის შეცდომებსა და ერაყის ომის შემდგომ წამოწყებულ ქაოსს განიხილავს პიტერ გალბრაითი წიგნში „ერაყის დასასრული: როგორ შექმნა ამერიკის არაკომპეტენტურობამ დაუსრულებელი ომი“ (**Galbraith 2006**). იგი აღწერს ამერიკის მხრიდან სუსტ მზაობას ერაყის ომის შემდგომი მდგომარეობისათვის, განიხილავს ჩამოყალიბებული დროებითი მთავრობის სისუსტეს, არაკომპეტენტურობასა და უფუნქციობას და კრიტიკულად აფასებს ზოგადად წამოყვებულ კამპანიას. მეორე წიგნში: „უნებლიე შედეგები: როგორ გააძლიერა ამერიკის მტრები ერაყის ომმა“ (**Galbraith 2008**), ავტორი კვლავინდებურად აკრიტიკებს უმცროსი ბუშის პოლიტიკას და მის გადაწყვეტილებებს. ავტორის აზრით შტატების მიერ წამოწყებულმა ომმა, რომელსაც მისი მსოფლიო ლიდერობა უნდა უზრუნველყო, პირიქით, დააკარგვინა მას ისეთი სტრატეგიული მოკავშირე, როგორც თურქეთია (**Galbraith 2006; Galbraith 2008**). ტერორისტულ ორგანიზაცია ალ-კაიდაზე კარგი კვლევა აქვს ჩატარებული როჰან გუნარატნას (**Gunaratna 2002**).

სპარსეთის ყურის მეორე ომის მიმდინარეობას განიხილავენ ჯონ დოუერი (**Dower 2010**); მარკ დანერი (**Danner 2006**); ჯოზეფ სტიგლიცი და ლინდა ბილმსი (**Stiglitz & Bilmes 2008**). ომის მსვლელობასა და მის შემდგომ ვითარებას ეხება ასევე

კარენ ილდიზი (**Yildiz 2004**). ფრედერიკ კაგანი განიხილავს როგორც ომის მიმდინარეობას, ასევე გეგმების შემუშავების პროცესს (**Kagan 2005**).

სტივ კოლი, განიხილავს რა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ისტორიას, ეხება ტერორისტების საკითხს და აცხადებს, რომ ტერორისტების დაფინანსება სწორედ არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან ხდებოდა (**Coll 2004**). საუდის არაბეთსა და ტერორიზმს ფართოდ განიხილავენ სტივენ შვარცი (**Schwartz 2003**) და დორ გოლდი (**Gold 2003**). ამერიკის შეერთებული შტატებისა და საუდის არაბეთის ურთიერთობაზე წერს გერალდ პოზენერი (**Posener 2005**). საუდელ პრინც ბანდარ ბინ სულთანზე, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საუდის უახლეს ისტორიაში, ცნობებს გვაწვდის უილიამ სიმპსონი (**Simpson 2006**). დევიდ ფრამი და რიჩარდ პერლი წარმოაჩენენ არა მხოლოდ საუდის არაბეთის დანაშაულს არამედ ამერიკის შეერთებული შტატების მიკერძოებულ პოლიტიკასაც (**Frum & Perle 2003**).

სპარსეთის ყურის მეორე ომში კერძო კონტრაქტორების, ბიზნესსექტორის თუ ინტერესების ჩართულობასა და მათ მნიშვნელობაზე ინფორმაციას გვაწვდიან დებორა ავანტი (**Avant 2005**); ჯერემი სკაჰილი (**Scahill 2007**) და პოლ ვერკუილი (**Verkuil 2007**). ომის შედეგად კორპორაციების სარგებლიანობა გამოკვლეული აქვს სოლომონ ჰიუსს (**Hughes 2007**)

ვიცეპრეზიდენტ რობერტ ჩეინისა და მისი გავლენის, მიზნებისა თუ პრეზიდენტთან ურთიერთობის სტატუსის შესახებ სხვადასხვა დროს კვლევა აქვთ ჩატარებული ბარტონ გელმანს (**Gellman 2008**), სტეფენ ჰეისს (**Hayes... 2007**) და ჯეინ მაიერს (**Mayer 2008**).

სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელის პოლიტიკური კარიერა და მისი ჩართულობა თეთრი სახლის ადმინისტრაციაში მიმდინარე პროცესებში შეისწავლეს კარენ დე იანგმა (**DeYoung 2006**) და კრისტოფერ ო'სალივანმა (**O'Sullivan 2009**).

საკითხის კვლევისას განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა იმ მთავარი პოლიტიკური აქტორების მიერ დაწერილი წიგნები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ორ ქვეყანას შორის წარმართული კონფლიქტის დაგეგმვა-აღსრულებასა თუ ერაცის ომისშემდგომ მოწყობაში. საინტერესო ცნობები აქვს ტონი ბლერს თავის მემუარებში. იგი აღწერს იმ პოლიტიკურ ვითარებას, რაც ომის წინ იქმნებოდა და საუბ-

რობს კონფლიქტში დიდი ბრიტანეთის ჩართულობაზე. მას განხილული აქვს ერაყში ომის შემდეგ მომხდარი მოვლენების მიზეზებიც (**Blair 2010**).

აუცილებლად უნდა გამოვყოთ დონალდ რამსფელდის მემუარი. რა თქმა უნდა, ავტორი განიხილავს საკუთარ მოსაზრებას შტატების სამხედრო რევოლუციური მიდგომის შესახებ, რომელიც „რამსფელდის დოქტრინის“ სახელით გახდა ცნობილი. საკითხის კვლევისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია რამსფელდის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თუმცა მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს წარმოდგენა, რომ ავტორი მხოლოდ ნათელი კუთხით წარმოაჩენს საკუთარ გადაწყვეტილებებს (**Rumsfeld 2011**), მაგრამ ეს ზოგადად მემუარებისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა.

ერაყში ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის კოალიციური დროებითი მთავრობის მეთაური პოლ ბრემერი (**Bremer & McConnell 2006**). ერთგვარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ცდილობს საკუთარი თავის რეაბილიტაციას და გვაძლევს ახსნა-განმარტებებს იმ გადაწყვეტილებების გარშემო, რომლებიც მის სახელთანაა დაკავშირებული. ის ერთგვარად ცდილობს პასუხისმგებლობა სხვა მნიშვნელოვან ფიგურებზე გადაანაწილოს. მიუხედავად ამისა, წიგნი აშკარად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს ერაყის შიდა პოლიტიკის კვლევის საქმეში.

ერაყის შიდა ვითარებაზე ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ალი ალავის წიგნი. ავტორი აიად ალავის, ერაყის ყოფილი პრემიერ მინისტრისა და ყველაზე გამოჩენილი ოპოზიციონერის აჰმედ ჩალაბის ნათესავია. შესაბამისად, მის მიერ მოწოდებული ცნობები ხშირ შემთხვევაში ერაყის ინტერესებს უფრო განიხილავს. მას წარმოდგენილი აქვს საკუთარი ხედვა და მოსაზრებები იმ ხარვეზებზე, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით შექმნილი კოალიციური დროებითი ხელისუფლების მუშაობას ახლდა თან, თუმცა აქვე ერაყელებსა და ერაყსაც აბრალებს არსებულ მდგომარეობას (**Allawi 2007**).

საკითხის კვლევისას არ შეიძლებოდა ყურადღების არმიქცევა მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისთვისაც. სპარსეთის ყურის მეორე ომი და მისი შემდგომი მოვლენები აქტიურად შუქდებოდა როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული მედიის თუ ტელევიზიების მიერ. ასევე გვერდს ვერ ავუვლით სხვადასხვა პოლიტიკოსების

ბრიფინგებს, რადგან ხშირად სწორედ მათ სიტყვებში ჟღერდებოდა იმ პერიოდის თეთრი სახლის ადმინისტრაციის მთავარი მოტივები და მისწრაფებები. მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია სხვადასხვა ტელევიზიებისა თუ გაზეთების საინფორმაციო და ანალიტიკურმა მიმოხილვებმა.

ნაშრომში წარმოადგენს მასში განხილული საკითხების ახლებური ინტერპრეტაციის ცდას. გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს იმ ხარვეზების კვლევა, რაც ამერიკელებმა დაუშვეს ერაყში ომის შემდგომ. ერაყთან ომი განხილული გვაქვს როგორც აშშ-ს მცდელობა, შეინარჩუნოს სამხედრო-ეკონომიკური უპირატესობა და დაამყაროს ჰემონია რეგიონში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ პრეზიდენტი ჯორჯ უოკერ ბუში, ერაყში შეჭრის გადაწყვეტილების მიღებისას, პირველ რიგში, პირადი მოტივებით ხელმძღვანელობდა. მის მეორე საზრუნავს წარმოადგენდა ნავთობი, ხოლო მესამე პლანზე აყენებდა ერაყის მხრიდან ბირთვული საფრთხის შესაძლებლობის არსებობას. რაც შეეხება რეგიონის დემოკრატიზაციას, ბუშისთვის ეს ასევე სასურველი იყო, მაგრამ არა გვგონია, რომ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღებისას. ჩვენი აზრით, ერაყის დემოკრატიზაციას უფრო პროპაგანდისტული დანიშნულება ჰქონდა, ხოლო 11 სექტემბერის ტერაქტი გახლდათ ერთ-ერთი საბაზი, და არა მიზეზი, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომის წამოსაწყებად. გარდა ამისა, გამოყოფილია დროებითი კოალიციური ხელისუფლების მეთაურის, პოლ ბრემერის მიერ დაშვებული შეცდომები, რაც განსაკუთრებით გამოიხატა მის პირველ ორ ბრძანებაში. სწორედ ამ ბრძანებების შედეგი იყო ერაყში დაწყებული აჯანყება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებაა კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და შედეგები, რომლებიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც აშშ-ს საგარეო ურთიერთობების, ისე ახლო აღმოსავლეთის საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს. გარდა ამისა, შესაძლებელია მისი გამოყენება დამატებითი ლიტერატურის სახით სასწავლო პროგრამებში.

თავი I

ერთი გადაწყვეტილების მრავალი მიზეზი: როგორ იქცა ერაყი აშშ-ს მთავარ სამიზნედ

§1. რატომ ერაყი? იმის ლობისტები

2003 წლის 19 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შენაერთები შევიდნენ ერაყში. 21 დღის შემდეგ ამერიკულმა ნაწილებმა ფაქტობრივად სრული კონტროლი დაამყარეს ერაყზე. მიუხედავად ამისა, ეს აღმოჩნდა კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება „მოიგო იმი, მაგრამ წააგო მშვიდობა“. ერაყის ტერიტორიის დაკავების შემდეგ აშშ-ს ხელისუფლება წააწყდა უამრავ ახალ პრობლემას, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გადაუჭრელია. ყოველივე ამის შედეგად ჩნდება კითხვაც, იყო თუ არა საერთოდ საჭირო სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ.

არსებობს არაერთი ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ რა ამოძრავებდა რეალურად პრეზიდენტ ბუშსა და მის ადმინისტრაციას ერაყში შეჭრისას. ამ თემაზე მსჯელობისას ხშირად დაისმის კითხვები: ვინ იყვნენ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშეები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს გადაწყვეტილების მიღებაზე? რა იყო მათი მთავარი მოტივი? რის მიღწევას ცდილობდნენ ერაყში? საბოლოო ჯამში რამდენად წარმატებული გამოდგა ეს წამოწყება? ამ სიის გაგრძელება უდავოდ კიდევ შესაძლებელია. თუმცა როგორც საკითხის ერთ-ერთი მკვლევარი **რობერტ ჯერვისი** მიიჩნევს: „რომ გავიგოთ, რა მოხდა, ჩვენ ღრმად და კრიტიკულად უნდა გავაანალიზოთ იმ პირთა იმედები და შიშები, რომლებმაც მიიყვანეს ქვეყანა ომამდე“ (**Jervis 2011:44**). მრავალი სხვა ანალიტიკოსის მსგავსად, ჯერვისი ასკვნის, რომ ერთი დამაკმაყოფილებელი პასუხის მოძიება თითქმის შეუძლებელია. ერთ-ერთი მიზეზი ამისა კი არის კითხვების სიმრავლე, ხოლო „იმედებისა და შიშების“ ძიებამ კი შეიძლება შეთქმულების თეორიამდეც კი მიგვიყვანოს.

ერაყი არასოდეს ყოფილა ბუშის პოლიტიკაში უყურადღებოდ მიტოვებული

საკითხი. საპრეზიდენტო კამპანიისას იგი ამტკიცებდა, რომ იქნებოდა მკაცრი ჩრდილოეთ კორეასა და ერაყის მიმართ (**Bush 1999c**). იგი ასევე აცხადებდა, რომ თუკი სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღზე მუშაობას გააგრძელებდა, იგი მას მოიშორებდა (**Yildiz 2004:90**). ბუმს სჯეროდა, რომ ერაყს კვლავ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღის აქტიური პროგრამები. 2000 წლის საპრეზიდენტო კამპანიისას **კონდოლიზა რაისმა** ბუმის მომავალი საგარეო პოლიტიკა ერაყის მიმართ აღწერა როგორც ერთგვარი შეკავების კურსი, რომელიც ითვალისწინებდა სადამ ჰუსეინის იზოლირებას, რათა მას საფრთხე არ შეექნა მეზობლებისათვის. „*თუ ისინი (ერაყელები) შეიძენენ მასობრივი განადგურების იარაღს, მაინც ვერ გამოიყენებენ მას, რადგან ნებისმიერი მცდელობა ეროვნული განადგურების ტოლფასი იქნება*“ (**Rice 2000**). მან ერაყის იზოლაციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სადამის ადგილი პოლიტიკაში არაა. რაისმა ნათელჰყო, რომ ერაყში რეჟიმის ცვლილება არ იყო დღის წესრიგიდან მოხსნილი. მისი თქმით, „*არაფერი შეიცვლებოდა, სანამ სადამი ქვეყნის სათავეში იდგა... ამერიკის პოლიტიკამ ყველა არსებული საშუალება უნდა გამოიყენოს, მათ შორის ოპოზიციის დაფინანსებაც, ჰუსეინის მოსაშორებლად*“ (**Rice 2000**).

ინაუგურაციამდე ერთი კვირით ადრე **პრეზიდენტი ბუში** შეხვდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ **ჯორჯ ტენეტსა** და მის მოადგილე **ჯეიმს პევიტს**. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მომავალი ვიცეპრეზიდენტი **რიჩარდ ჩეინი** და მომავალი ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი **კონდოლიზა რაისი**. ტენეტმა უთხრა დამსწრეებს, რომ ამერიკას სამი სერიოზული საფრთხე ემუქრება. ერთ-ერთი ალ-კაიდა იყო, რომელიც თანადროულ და უდიდეს მუქარას წარმოადგენს. დანარჩენი ორი კი მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ჩინეთის მზარდი სიძლიერე გახლდათ (**Daalder & Lindsay 2003:75**). ამან ბუმს ეროვნული უსაფრთხოების სამი ძირითადი ფოკუსის აღქმის საშუალება მისცა (**Woodward 2002:30**). მეორე პუნქტი კი პირდაპირ დაუკავშირა ერაყის რეჟიმისაგან მომავალ პოტენციურ საფრთხეს. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, 19 დეკემბერს ბუში შეხვდა **ბილ კლინტონს**. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნო კამპანიიდან გამომდინარე დაასკვნა – ბუმის მთავარი სადარდებელი ეროვნული სარაკეტო თავდაცვა და ერაყი იყო. ბუშიც დაეთანხმა, მაგრამ კლინტონმა ურჩია, რომ მისი პრიორიტეტები ყოფილიყო – ალ-

კაიდა, ახლო აღმოსავლეთის დიპლომატია, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ აზიაში ბირთვული შეჯიბრი და მხოლოდ შემდეგ ერაყი (Gordon & Trainor 2007:15). 2001 წლის 6 თებერვალს პრეზიდენტმა ბუშმა გამოაცხადა, რომ აშშ განაახლებდა ერაყში ოპოზიციური ძალების დაფინანსებასაც. ეს პირველი შემთხვევა იყო 1996 წლის შემდეგ, როდესაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის ოპონენტებს ერაყის დატოვება მოუწიათ (Gordon & Trainor 2007:15).

11 სექტემბრის ტერაქტამდე ბუშის ადმინისტრაცია არ განიხილავდა ერაყის პრობლემას ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტების უფროსების დონეზე. განხილვა მხოლოდ მოადგილეთა დონეზე ხდება (Feith 2008:199). 2001 წლის გაზაფხულზე კონდოლიზა რაისმა მოამზადა დოკუმენტი სახელწოდებით „ერაყის განთავისუფლების სტრატეგია“. დოკუმენტის მიხედვით, პირველ რიგში, დაუყოვნებელი წვრთნა და სამხედრო დახმარება უნდა გასწეოდა ერაყის ოპოზიციურ ძალებს. შემდეგ ის უნდა შეეიარაღებინათ, რათა უზრუნველყოთ სადამის რეჟიმის წინააღმდეგ ეფექტური მოქმედებები. ბოლოს კი ამერიკის სამხედრო ძალებს უნდა გადაედგათ საბოლოო ნაბიჯები სადამ ჰუსეინის დასამხობად (Feith 2008:206). ამავე პერიოდში თავდაცვის მდივნის მოადგილე პოლ ვულფოვიცმა წარმოადგინა ჰუსეინის წინააღმდეგ სტრატეგია, რომელიც სულაც არ მოითხოვდა ამერიკელი სამხედროების ერაყში შეჭრას. უფრო მეტად აქცენტი კეთდებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებაზე ერაყის წინააღმდეგ და ამერიკული წვრთნებით ერაყში არსებული დემოკრატიული ოპოზიციის გაძლიერებაზე. სტრატეგია ასევე გულისხმობდა ოპოზიციისათვის ფინანსების გაზრდას, ამავედროულად ქურთული ჩრდილო რეგიონის მიმდინარე სანქციებიდან ამოღებით. თავდაცვის მდივნის მოადგილემ, იკითხა ხომ არ უნდა შეექმნათ სამხრეთში ისეთივე ავტონომია, როგორც ჩრდილოეთში იყო ქურთების სახით, იმ მიზნით, რომ სადამ ჰუსეინისაგან მხოლოდ „ბაღდადის გუბერნატორი“ დარჩენილიყო (Feith 2008:204). მთავრობის მაღალჩინოსნები ასევე განიხილავდნენ, უნდა დაეჭირათ თუ არა მხარი ამბოხებისათვის და რა იქნებოდა ამერიკისა და ჰუსეინის მოწინააღმდეგე ჯგუფებთან თანამშრომლობის საუკეთესო გზა (Feith 2008a). 1 ივნისს მეთაურთა შეხვედრაზე ოთხი ძირითადი მოსაზრება ჩამოყალიბდა: 1. შეკავების პოლიტიკის გაგრძელება; 2. ამასობაში ოპოზიციური ძალების

აქტიური მხარდაჭერა; 3. სამხრეთ ერაყში სასარგებლო პირობების შექმნა ამბოხისათვის; 4. ამერიკის ერაყში შეჭრის დაგეგმვა (**Gordon & Trainor 2007:16**). ტერაქტამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განიხილავდნენ გადატრიალების პოლიტიკასაც, თუმცა მათ კარგად იცოდნენ, რომ სადამს უფრო კარგად ეხერხებოდა გადატრიალების ჩახშობა, ვიდრე ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს – მათი დაგეგმვა (**Feith 2008a**).

ერაყთან კონფლიქტის გაჩაღება არაერთი დამკვირვებლისათვის ბურუსითაა მოცული. **პოლ ო'ნილი, აშშ-ს ფინანსთა მინისტრი** აცხადებს, რომ 2001 წლის იანვარში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს პირველი შეკრებები ბუშის თეთრ სახლში სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდა ერაყის საფრთხის თემატიკასა და **სადამ ჰუსეინის** რეჟიმის დამხობას (**Packer 2005:39**). ეს ნათლად მიუთითებს, რომ ერაყი მუდამ განიხილებოდა ამერიკისათვის ეროვნულ საფრთხედ და რომ ჯორჯ ბუშ-უმცროსი აშკარად ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სამოქმედოდ. 2001 წლის თებერვალში **სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა** წამოიწყო ახლო აღმოსავლეთის ტურნე. მისი მიზანი იყო ერაყისათვის ახალი სანქციების დაწესება. ფეისი თავის სტატიაში წერს: „9/11-ის ტერაქტამდე რამდენიმე თვით ადრე, პაუელი მხარს უჭერდა საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების გადახედვას, იმ იმედით, რომ სანქციათა სუსტ კასკადს უფრო მეტად შეეძლო საერთაშორისო მხარდაჭერის შენარჩუნება“ (**Feith 2008a**). ამერიკის ძირითადი მიზანი ამ დროისათვის იყო ე.წ. შეკავების პოლიტიკა, სადამის იზოლირება და მეზობელი ქვეყნებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასევე უნდა ეკონტროლებინათ, რომ სადამს არ დაერღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაკისრებული სანქციები და მასობრივი განადგურების იარაღი არ გამხდარიყო საფრთხე მთელი რეგიონისათვის, ნავთობის მიწოდება მსოფლიო ბაზარზე კი არ უნდა შეფერხებულიყო. ამერიკას უკვე გალიზიანება ეტყობოდა, გაეროს რეზოლუციებს სასარგებლოდ რომ ვერ იყენებდა. 27 ივლისით დათარიღებულ შიდა მიმოწერაში დეპარტამენტების მეთაურებისადმი თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი მოუწოდებს, რომ დროა მათ სახალხოდ აღიარონ სანქციების უუნარობა გრძელვადიანი პერიოდისათვის. მათ სადამი ვერ მოაქციეს „ყუთში“, რომელიც ჰუსეინმა უკვე დიდი მანძილით დატოვა. ფაქტობრი-

ვად ნავთობის კონტრაბანდის პროგრამის შეჩერებით **პაუელის დოქტრინას** შეეძლო იმ ფულის ამოღება, რომელიც სადამის რეჟიმმა მოიპოვა (**Plett 2001**). 2001 წლის 1 ივნისს გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია 1352, რათა 30 დღით გაეხანგრძლივებინა პროგრამა „ნავთობი საკვების სანაცვლოდ“ და ნება დაერთოთ სანქციების შესაძლო გადახედვისათვის (**BBC 2001**). იმ პერიოდში ბრიტანელი მაღალჩინოსნებიც კი აცხადებენ: „*ძნელი წარმოსადგენია, ლონდონმა და ამერიკამ ნება დართონ სადამ ჰუსეინს, კვლავ აკონტროლოს საკუთარი ნავთობი*“ (**Mason 2001**). სანქციების ამოქმედების პოლიტიკა საბოლოო ჯამში კრახით დასრულდა. მას აკლდა მხარდაჭერა ჩინეთის, რუსეთისა და საფრანგეთის მხრიდან. ყველა მცდელობა შედეგის გარეშე დასრულდა. 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ უსაფრთხოების საბჭომ დამატებით ხუთი თვით გადაავადა პროგრამის ამოქმედება (**Rubinoff & Segall 2001**). 2001 წლის 29 ნოემბერს პროგრამა კიდევ 6 თვით გაგრძელდა. ამ შემთხვევაში არსებული მდგომარეობა შენარჩუნდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი უკვე მომხდარი იყო, რაც ყველას ახსოვდა (**Oil For Food 2010**).

ჯორჯ უოკერ ბუშის ადმინისტრაცია შეუდგა საქმიანობას იმ ფილოსოფიით, რომ რაიმე უნდა მოეხერხებინათ სადამის მოსაშორებლად. 2001 წლის 11 სექტემბრიდან მოყოლებული ნათელი გახდა, რომ ტერაქტს გამოიყენებდნენ აშშ-ს პირველობის მოსაპოვებლად და ერაყში ტერორის საწინააღმდეგო ომის წამოსაწყებად. **ბუშს** იმთავითვე სურდა გამხდარიყო პრეზიდენტი, რომელმაც მოიგო ომი და ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდა, რომ ომი ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედებად ექცია. **ჩეინის** სურდა კანონიერი პრეცედენტების სერიის შექმნა, რაც პრეზიდენტის ძალაუფლებას გაზრდიდა. **რამსფელდს** ომის გამოყენება სურდა თავისი ოცნების – სამხედრო სისტემის რევოლუციური ტრანსფორმირების მისაღწევად. სამივე მათგანმა მიზნის მისაღწევად ერაყის გამოყენება გადაწყვიტა.

ომის წამოსაწყებად გამოყენებული ბრალდება ერაყის მიმართ მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ ვერ დადასტურდა ომის დასრულების შემდეგაც. ხოლო ამ არგუმენტის დასაცავად გამოყენებული სამხილები კი ხშირად თითქმის დანაშაულები. რამდენიმეკვირიანი ბრძოლისა და ბაღდადის წარმატებით დაკა-

ვების შემდეგ, აშშ-ს სამხედრო კამპანიის წარმატება საპირისპირო მხარეს წავიდა. ამერიკის სამხედრო ძალები ერთგვარად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ომის შემდგომი მოვლენებისათვის. მაროდორებმა გაძარცვეს ერაყის სამთავრობო შენობების უმრავლესობა. ერაყის ეროვნულ მუზეუმში დაცული შეუფასებელი ექსპონატები დაუცველი დარჩა და საბოლოო ჯამში მოიპარეს კიდევ. ერაყი ქაოსში გაეხვა, რადგან ამერიკის მხრიდან საჭირო რაოდენობის სამხედროთა მობილიზება არ განხორციელდა (ცნობილია, რომ რამსფელდის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რაც შეიძლება ცოტა სამხედრო გამოყენებინათ ერაყის ომისათვის) (**Rumsfeld 2011: Part X, Chapter 31**). ერაყის არმია დაითხოვეს – ისინი ჩვეულებრივ მოქალაქეებში გაითქვიფნენ და დამატებითი საფრთხე შექმნეს. ერაყელები კი გახდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის მომსწრენი, მაგრამ ამერიკამ ვერ მოახერხა რაიმე სახის სამთავრობო სისტემის ჩამოყალიბება. გარკვეული პერიოდი წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდებაც კი ვერ აღადგინეს. ამერიკელი სამხედროები გამოცდილი მეამბოხეების მხრიდან თავდასხმების ქვეშ მოექცნენ.

სწორედ ამ ქაოსში ერაყში დაიწყო ფუნდამენტური ისლამისტი ლიდერების შესვლა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ტერორისტულ მიმდინარეობებს. ყოველდღიურმა „დაბომბვებმა“ ტალღასავით გადაუარა ერაყს. 2006 წელს რიჩარდ ნორტონი, ჯეიმს ბეიკერის მეთაურობით შექმნილი ერაყის შემსწავლელი ჯგუფის წევრი წერს: *„აშშ-ს ისტორიის მიმოხილვისას უკიდურესად რთულია მიაგნო ესოდენ ცუდად ინფორმირებულ და კონტრპროდუქტიულ საპრეზიდენტო გადაწყვეტილებას, ვიდრე ერაყში შეჭრა და ოკუპაცია“* (**Silverstein 2007**). ასეთ შემთხვევაში დაისმის კითხვა, თუ რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება. პასუხის ძიებისას აუცილებლად საჭიროა ამ პერიოდში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ფიგურების გაანალიზება. ერაყში შეჭრის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვერსია სწორედ მათ, კერძოდ, ომის ლობისტ პოლიტიკოსებს უკავშირდება, რომელთა შორისაც უმრავლესობა ნეოკონსერვატორებს გამოყოფს. მკვლევარების, ანალიტიკოსებისა და ჟურნალისტების ნაწილი თანხმდება, რომ ერაყში შეჭრის გადაწყვეტილება სწორედ ნეოკონებმა (ნეოკონსერვატორებს ხშირად სწორედ ამგვარი შემოკლებული სახით მოიხსენიებენ – **შ.კ.**) მიიღეს (**Packer**

2005: Chapter 2. Fevered Minds; Ricks 2006: Part I.; Ferguson 2007; Mearsheimer... 2007:128-132). სანამ უშუალოდ მათზე გადავიდოდეთ, პირველ რიგში, შევხვით თავად ტერმინ „ნეოკონსერვატიზმს“ და მის წარმოშობას.

1990 წლამდე ტერმინი „ნეოკონსერვატიზმი“ არც კი გამოიყენებოდა რაიმე კონკრეტული ფილოსოფიის მქონე საერთაშორისო პოლიტიკის სკოლის აღსანიშნავად. მანამდე ამ იდეოლოგიის პოლიტიკოსებს უფრო მეტად „რეიგანისეულ დემოკრატიზად“ მოიხსენიებენ. მათი ფილოსოფიის მიხედვით, ეროვნული უსაფრთხოება ყველაზე კარგად მიიღწევა ქვეყნის გარეთ თავისუფლებისა და დემოკრატიის ლობირებით, პროდემოკრატიული მოძრაობების დახმარებით, საგარეო დახმარებებისა და კონკრეტულ შემთხვევებში სამხედრო ინტერვენციის გამოყენებით. ნეოკონსერვატიზმი დემოკრატიული მშვიდობის თეორიას ქადაგებს, რომელიც აუცილებლად ქვეყნის შიდა დემოკრატიითაა შესაძლებელი (**Dumbrell 2008:31**). აქედან გამომდინარე, ნეოკონსერვატორები არიან იმ ჯგუფის წევრები, რომლებიც გამართლებულად მიიჩნევენ აშშ-ს მხრიდან ძალის გამოყენებას გრძელვადიანი ინტერესების მისაღწევად. ამისათვის კი რეჟიმის ხასიათის ცვლილებასაც არ ერიდებოდნენ. ძირითადად ისინი ერთიანობით და ერთობით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა კი მათი იდეების გავლენა ჯორჯ ბუშ-უმცროსის საგარეო პოლიტიკაზე აშკარად არის შესამჩნევი.

ცნობილი ნეოკონსერვატორები – **პოლ ვულფოვიცი, რიჩარდ პერლი, ელიოტ აბრამსი და დევიდ ვურმსერი**, რომლებიც ჯორჯ ბუშ-უმცროსის მრჩეველებად იყვნენ დანიშნულნი, საჯაროდ უჭერდნენ მხარს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ამერიკის პოლიტიკას 1990 წლიდან. როგორც იქნა, პრეზიდენტმა ბუშმა მათთვის სასიამოვნო ნაბიჯი გადადგა.

თავიდანვე მათ არ დაიშურეს ენერჯია და ყველანაირად ეცადნენ ბუშისათვის ხელი შეეწყობთ. ორი გამოჩენილი ნეოკონსერვატორი **რიჩარდ პერლი** და **პოლ ვულფოვიცი** ბუშის კანდიდატობისას მისი პოლიტიკური მრჩეველების გუნდში იყვნენ (**The Iraq War – Part I 2010**). თავდაცვის მდივანი **დონალდ რამსფელდი** ერაცის არსებული რეჟიმის შეცვლის იდეის მომხრეთა გუნდში აღმოჩნდა. იყო მოლოდინი, რომ **კოლინ პაუელი**, რომელსაც თავად ჰქონდა სამხედრო გამოცდილება და კარგად იცნობდა აღნიშნულ რეგიონს, მოახერხებდა ანტიერაცული ტალღის დაბალანსებას.

მაგრამ იმ პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც იგი მოხვდა, არაა გასაკვირი მისი გადაწყვეტილება, ერაყში რეჟიმის შეცვლის მსურველთა რიცხვში გაწევრიანებულიყო. სამი ძირითადი პოსტი ახალი თავდაცვის დეპარტამენტში – თავდაცვის მდივანი (დონალდ რამსფელდი), თავდაცვის მდივნის მოადგილე (პოლ ვულფოვიცი) და თავდაცვის მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში (დაგლას ფეისი) – ნეოკონსერვატორებს ერგოთ. უფრო მეტიც, მათ მოკავშირეებიც კი მოიპოვეს თეთრ სახლში ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის კონდოლიზა რაისის სახით (Davis 2006:47). ამიტომ გახდნენ ნეოკონსერვატორები ამერიკის ძირითადი პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელები ერაყის მიმართ.

ანტიერაყული გუნდი იმდენად მძლავრად მოქმედებდა, რომ როდესაც ანტი-ტერორისტული განყოფილების მეთაურმა რიჩარდ კლარკმა სააგენტოების პირველ შეკრებაზე ტერორიზმის საკითხის ირგვლივ სცადა აღ-კაიდასა და მისგან მომავალი საფრთხის შესახებ საუბარი, ვულფოვიცმა კვლავ ერაყის საკითხი წამოსწია. აღსანიშნავია, რომ ვულფოვიცი მანამდეც თავგამოდებით ცდილობდა ერაყის საკითხის ლობირებას. (Packer 2005: 40)

ბობ ვუდვორდის თანახმად, 2001 წლის აგვისტოსათვის ერაყის მიმართ ნეოკონსერვატორთა სტრატეგია ძირითადად გამოიხატებოდა „ანკლავის სტრატეგიაში“, რომელიც გულისხმობდა ერაყში ჰუსეინის ხელისუფლებისაგან თავისუფალი ზონების მხარდაჭერას ერაყის ქურთისტანსა და შიიტებით დასახლებულ სამხრეთში. ეს ანკლავები მხარდაჭერას აღმოუჩენდა ერაყის ოპოზიციას და, საბოლოო ჯამში, ჰუსეინის დიქტატს ბოლო მოეღებოდა. ვულფოვიცის ნათქვამი პაუელმა გაიგო, თითქოს 25 მილიონი ერაყელი ეგრევე გადმოვიდოდა ამერიკელების მიერ ხელგამართულ ოპოზიციასთან. მისი აზრით, ეს იყო ყველაზე აბსურდული, სტრატეგიულად წარმოუდგენელი წინადადება, რომელიც მას ოდესმე გაუგონია. ამიტომ პრეზიდენტ ბუშს ურჩევდა, არ მიეცა არავისთვის უფლება, ებიძგებინათ რაიმესკენ, სანამ ამის მყარი მიზეზი არ ექნებოდა (Woodward 2004a: Part 1).

ნეოკონები ხაზს უსვამენ იმ ცვლილებებს, რაც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მოხდა. ისინი ერთგვარად სიამაყით აცხადებდნენ, რომ გავლენა იქონიეს ლიდერებ-

ზე, რათა მათ ეს იდეები გაეზიარებინათ (**Holmes 2003; Leopold 2003**). შესაძლოა, სწორედ ამიტომ არის მეცნიერთა შორის გაბატონებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2001 წლის მტკივნეულმა მოვლენებმა **ჯორჯ ბუშს, დონალდ რამსფელდსა და დიკ ჩეინის** შესაძლებლობა მისცა, ნეოკონსერვატორული იდეები უფრო იოლად „გაეყიდათ“ (**Halper & Clark 2004:14**).

11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ნეოკონსერვატორებმა მალევე დაიწყეს თავიანთი მისწრაფების განვითარება. 11 სექტემბერსვე **რიჩარდ პერლმა დევიდ ფრამი**, ბუშის ბიოგრაფიაზე მომუშავე ავტორი, დაიბარა თეთრ სახლში და უთხრა, რომ ტერორიზმის ხელშემწყობი ქვეყნების არდასჯის გამო, შესაძლებელია ტერორისტები უფრო კარგად და ეფექტურად ამოქმედდნენ. მისივე თქმით, თუ გლობალური ტერორიზმი „სერიოზულად“ უნდა აღიქვას ამერიკამ, მას ასევე მოუწევს მოქმედება იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უმართავენ ტერორიზმს (**Perle 2003**). 2001 წლის 19 სექტემბერს პერლი ხელმძღვანელობდა **უსაფრთხოების პოლიტიკის საბჭოს**, რომელიც ძირითადად ერაყის საკითხს განიხილავდა (**Gordon & Trainor 2007:15**). როგორც **იან შაპირო** წერს, 2001 წლის სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ტერორიზმის განხილვა სისხლის სამართლის დანაშაულად ნეოკონსერვატორთა მიერ ფართოდ იქნა გამოყენებული სამყაროს მართვის მათეული ხედვის განსახორციელებლად (**Shapiro 2007:120**). ფაქტია, რომ ერაყის საკითხი მუდამ განიხილებოდა თეთრი სახლის ადმინისტრაციაში, მაგრამ აქამდე არსებულმა მოსაზრებებმა და თეორიებმა სამოქმედო გეგმის სახე სწორედ ტერაქტის შემდეგ მიიღო. ნეოკონსერვატორთა იდეებისათვის ფრთების შესხმაც სწორედ ამ პერიოდიდან აქტიურდება. **რობერტ კაგანი და უილიამ კრისტოლი** ამერიკის მხრიდან საერთაშორისო პოლიტიკაში თავდაჯერებულობის ზრდას მოითხოვენ. „ახლა არის დრო, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები უნდა წამოდგეს და იტვირთოს მსოფლიო ლიდერობის რეალური პასუხისმგებლობა და საჭიროებები“ (**Kagan & Kristol 2002**).

ერაყში ომის წამოწყების ასახსნელად ორი მკვლევარი, **ჯონ მირშაიმერი და სტეფან უოლტი**, იკვლევენ ნეოკონსერვატორთა ზეგავლენის თეორიას. წიგნში „**ისრაელის ლობი და აშშ საგარეო პოლიტიკა**“ ისინი აღნიშნავენ, რომ ნეოკონსერვატორები ღიად უჭერდნენ მხარს „ისრაელის ლობირების“ კამპანიას, რათა დაერწმუნ-

ნებინათ ლიდერები, რომ 11 სექტემბრის ტერაქტს მყისიერი რეაგირება სჭირდება (Mearsheimer & Walt 2007:234). სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა უნდა გამხდარიყო იმ დიდი გეგმის ნაწილი, რაც ითვალისწინებდა ერაყიდან მომავალი საფრთხის აღმოფხვრას და ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელებას (Mearsheimer & Walt 2007:255). ერთი შეხედვით, ეს ასეცაა, მაგრამ მათი არგუმენტის სისუტე ისაა, რომ ომი ერაყთან გაცილებით ადრე დაიგეგმა, ვიდრე ცნობილი ტერორისტული აქტი მოხდებოდა.

ანტიერაყული რიტორიკა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა პერიოდში გაიზარდა. ეს მოსწონდათ როგორც დემოკრატებს, ასევე რესპუბლიკელებს. ნეოკონსერვატორების მიზანი იყო ერაყში სასურველი ხელისუფლების მოყვანა ნებისმიერი გზით. ნეოკონსერვატული არსის ძირითადი იდეა იყო „დემოკრატიის ექსპორტი“ (Davis 2006: Part I, Chapter 2). მთავარი პუნქტი ერაყში მოსახდენი ცვლილებების შესახებ გეგმაში იყო ოპოზიციური ძალის მაქსიმალური დახმარება. სასურველი კანდიდატი აღმოჩნდა აჰმედ ჩალაბი – ექსპატრიატი ერაყიდან, რომელიც დაახლოებული იყო ისეთ ნეოკონსერვატორებთან, როგორც პოლ ვულფოვიცი და რიჩარდ პერლი.

ჩალაბი დიდი ხანია იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინტერესების სფეროში. ცსს ფინანსებს არ იშურებდა ერაყში ოპოზიციური ძალების ხელშესაწყობად. სწორედ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შეიქმნა 1992 წელს ერაყის ეროვნული კონგრესი და აჰმედ ჩალაბი გახდა მისი მეთაური. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ერაყის ეროვნული კონგრესის დაფინანსებას რენდონ გრუპის მეშვეობით ახორციელებდა. ეს კომპანია უშიშროების დეპარტამენტისთვისაც ეწეოდა საერთაშორისო პოლიტიკურ სამუშაოებს (Dizard 2004).

ერაყის ეროვნული კონგრესი დახმარებას ქურთებისგანაც იღებდა. ძირითადად ეს სამხედრო სახის მხარდაჭერა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ეს კონგრესი უნდა ყოფილიყო პლატფორმა ერაყში დემოკრატიული სისტემის დასამყარებლად. 1993 წლისათვის აჰმედ ჩალაბიმ დაიწყო ერაყის მთავრობის შეცვლის გეგმის განხორციელება. მთავარი როლი ენიჭებოდა ეროვნულ კონგრესს, რომელიც მოაწყობდა რევოლუციურ ამბოხებას: სამხრეთში შიიტები მოაწყობდნენ საპროტესტო გამოსვლებს, ჩრდილოეთში კი – ქურთები. ამ გზით ერაყის სათავეში ეროვნული კონგრესი

მოვიდოდა, რომელიც ამერიკასთან და ისრაელთანაც მეგობრული პოლიტიკის მიმდევარი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამერიკასთან შეთანხმებით ხდებოდა. ჩალაბის გუნდში იყვნენ ისეთი გამოცდილი სამხედრო წარსულის მქონე პირები, როგორცაა გენერალი უეინ დაუნინგი და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ოფიცერი დუეინ „დიუი“ კლარიჯი. სწორედ ისინი გახდნენ ერაყის ეროვნული კონგრესის მოხალისეების სამხედრო ინსტრუქტორები. გენერალი დაუნინგი თვითონ მუშაობდა ერაყში განსახორციელებელი მოქმედებების გეგმებზე (Global Security).

აჰმედ ჩალაბის „ენდშპილი“ (ასე უწოდებდა იგი თავის გეგმას) მარცხით დასრულდა 1995 წელს. გეგმა ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ ერაყი მომწიფებული იყო რევოლუციისთვის და არცერთი სამხედრო დანაყოფი არ იბრძოლებდა სადამ ჰუსეინის მთავრობის შესანარჩუნებლად. ძნელი მისახვედრია, თუ რატომ ფიქრობდნენ ასე გეგმის შემოქმედნი, რადგან ეს ძალები იბრძოდნენ სადამის მხარეს ქურთებისა და შიიტების აჯანყებებისას. 1995 წელს წამოწყებული „რევოლუციური“ მოძრაობა მარცხით დასრულდა. ერაყის ჯარმა მართლაც იბრძოლა მთავრობის მხარეს და ერაყის ეროვნული კონგრესის დაახლოებით 100 აქტივისტი დახოცა. ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ შეუწყვიტა დაფინანსება კონგრესს. ერაყის ეროვნული კონგრესი, რომელიც „ქოლგის“ ფუნქციას ასრულებდა ერაყში არსებული ოპოზიციური ძალებისთვის, დაიშალა. მასში მხოლოდ ჩალაბი და მისი რამდენიმე თანამოაზრე დარჩა, რომლებმაც ლონდონში დაიდეს ბინა (Lang 2004).

კულმინაციურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ბილ კლინტონის მიერ 1998 წელს „ერაყის განთავისუფლების აქტის“ მიღება, რომელიც ფაქტობრივად ამტკიცებდა ნეოკონსერვატორთა მოსაზრებას ერაყის შესახებ. 1998 წლის 31 ოქტომბრის განცხადებაში პრეზიდენტი კლინტონი პირდაპირ აღნიშნავდა: *„ამერიკის შეერთებული შტატები ელოდება შესაძლებლობას, გამართოს დიალოგი დემოკრატიულ მთავრობასთან და ამ გზით მოახდინოს ერაყის რეინტეგრაცია ნორმალურ საერთაშორისო ცხოვრებაში. მაგრამ სამხილები მეტყველებენ, რომ მსგავსი ცვლილება ერაყის არსებული ხელისუფლების ქვეშ არ მოხდება. ...ამერიკის შეერთებული შტატები ყოველგვარ დახმარებას უწევს ერაყის საზოგადოების ყველა სექტორის ოპოზი-*

ციურ ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ მოსახლეობის მხარდამჭერი მთავრობის მოყვანა ქვეყანაში“ (**Statement by the President 1998**).

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტის სიტყვა ნათელყოფდა ამერიკის ძირითად პოლიტიკურ კურსს – შეეცვალა ერაყის რეჟიმი. კლინტონი დაუფარავად აცხადებდა ქვეყნის მიზნების შესახებ და არ ერიდებოდა იმის აღიარებასაც, რომ ყოველგვარ დახმარებას გაუწევდა ერაყის ოპოზიციას. მსგავსი სახის მისწრაფებები სწორედ ნეოკონსერვატორებს ახასიათებდათ. კლინტონის ადმინისტრაციამაც არ დააყოვნა და ოფიციალური პოლიტიკა ერაყის მიმართ „დაამთხვია“ ნეოკონსერვატორთა კურსს. 1998 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა მიიღო საჯარო კანონი 105-174, რომლის ძალითაც 5 000 000 დოლარი გამოიყო ერაყის დემოკრატიული ოპოზიციის გადამზადების, კომუნიკაციის, ორგანიზაციისა და სხვათა დასაფინანსებლად. „**ერაყის თავისუფლების აქტის**“ მიხედვით, ამერიკას უნდა მიეღო ყველა ზომა, რათა შეეცვალა ერაყის არსებული რეჟიმი. დახმარება ითვალისწინებდა ტელე-რადიო მაუწყებლობის ხელშეწყობას, რისი მიღწევაც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს მხრიდან 1999 წლისთვის უნდა მომხდარიყო (ამისთვის 2 000 000 აშშ დოლარი გამოიყო). საჭიროებისამებრ პრეზიდენტს შეეძლო სამხედრო დახმარების გაწევაც სამხედრო ტრენინგების ჩათვლით. შესაძლებელი იყო ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. მაგრამ მოქმედებდა აკრძალვაც – არცერთი ორგანიზაცია, რომელსაც სადამ ჰუსეინთან ან მის გარემოცვასთან ჰქონდა კავშირი, არ სარგებლობდა ამერიკისგან დახმარების მიღების უფლებით (**Statement by the President 1998**).

„**ერაყის თავისუფლების აქტი**“ თითქოს ნეოკონსერვატორთა გამარჯვებას მოასწავებდა, მაგრამ კლინტონის ადმინისტრაციის შემდგომმა ნაბიჯებმა იმედები გაუცრუა მათ. ხელისუფლებას არანაირი ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს დასახული ამოცანების შესასრულებლად.

უმცროსი ბუშის ადმინისტრაციისას კი ნეოკონსერვატორებმა დაარწმუნეს **დიკ ჩეინი** იმ საფრთხეში, რასაც ერაყი შეიცავდა. ჩეინიმ თავის მხრივ დაარწმუნა ბუში, რომ ჰუსეინი უნდა წასულიყო (**Mearsheimer... 2007:247**). აქ ისიც უნდა აღინიშნოს, თავად პრეზიდენტ ბუშს იმდენად დარწმუნება კი არ სჭირდებოდა, რამდენადაც საბაბის მოძიება. მასაც მკვეთრად ჩამოყალიბებული მოსაზრება ჰქონდა ერაყისა და

პირადად ჰუსეინის მიმართ. მისი დამოკიდებულება აშკარად ბუშების ოჯახის ისტორიას უკავშირდება.

მკვლევრები თანხმდებიან, რომ სრულად არ იციან წინაისტორია, რაც წინ უძღოდა ერაყში შეჭრას. მათი ნაწილი, ეყრდნობა რა ჟურნალისტურ ცნობებს ჩეინისა და ნეოკონსერვატორთა ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერის – ბერნარდ ლუისის ხშირი შეხვედრების შესახებ, ამტკიცებს, რომ ტერაქტიდან მალევე ჩეინი გადაიბირეს და იგი უკვე ეთანხმებოდა დემოკრატიისთვის ომის წამოწყების გეგმას. ამის შემდეგ ჩეინი აქტიურად იცავს დემოკრატიის გავრცელების იდეას და თავის გამოსვლებსა და მიმართვებში იშველიებს ისეთ სიტყვებს, როგორცაა: „მშვიდობა და თავისუფლება ახლო აღმოსავლეთში“. **მირშაიმერსა და უოლტს** ერთ-ერთ სამხილად მოჰყავთ ჩეინის სიტყვა 2002 წლის 26 აგვისტოს: „როდესაც საფრთხე აღმოიფხვრება, რეგიონში მცხოვრებ მშვიდობის მოყვარულ ხალხს ექნება შესაძლებლობა განავითარონ ის ღირებულებები რაც საფუძველს დაუდებს გრძელვადიან მშვიდობას“ (**Mearsheimer... 2007:255**).

მიუხედავად ამისა, ძნელია დაიჯერო, რომ ჩეინი, რომელიც მუშაობდა ნიქსონის, ფორდის, მამა ბუშისა და უმცროსი ბუშის ადმინისტრაციაში, ასე ადვილად გახდა გადაბირებისა და მანიპულაციის საგანი. ჩეინი მშვენივრად იცნობდა მათ. ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ მან დემოკრატიის გავრცელების ეს გეგმა ასე მალე აითვისა. იგი ათწლეულების მანძილზე ღიად უარყოფდა მსგავს იდეალისტურ ეროვნულ პროექტებს. გამოცდილი პოლიტიკოსი უფრო მეტად ნავთობის ლობირებასთან ასოცირდება. მას დემოკრატიის დამცველ პოლიტიკოსთან არასდროს აიგივებდნენ (**Cheney 1999; Hayes 2007:473**). ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ ჩეინი 1995-2000 წლებში იყო ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის, „ჰელიბერტონის“ აღმასრულებელი დირექტორი (**Ricks 2006:18**). ეს კომპანია ნავთობწარმოებასთანაა დაკავშირებული. 1998 წელს ჩეინიმ განაცხადა: „იქ უნდა წავიდეთ, სადაც ნავთობია. პოლიტიკურად ამაზე არ ვფიქრობ“ (**Bruno & Valette 2001**). ომი ჩეინისათვის იყო საშუალება, რათა უფრო ნაყოფიერად ჩაბმულიყო ნავთობინტერესებში. ჩეინის ბუშის ადმინისტრაციის დროს მიეცა საშუალება, განეხორციელებინა თავისი სურვილი: შეესუსტებინა სამთავრობო რეგულაციები და საშინაო ენერგეტიკული პოლიტიკა საგარეო პოლიტი-

კასთან გაერთიანებინა. ჩეინი შეხვდა ექსპერტებს ენერგეტიკის დარგში მთავრობისათვის გეგმის შესამუშავებლად, რათა ენერგორესურსების შიდა წარმოება გაეზარდათ. ამავდროულად მან ინსტრუქციები მისცა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, „საგარეო პოლიტიკა განეხილათ ნავთობის ველების მოპოვების კრილში“ (Mayer 2004).

გარდა ამისა, ჩეინი შექმნილ ვითარებას აღიქვამდა როგორც შესაძლებლობას თავისი მოსაზრების განსახორციელებლად და საპრეზიდენტო ხელისუფლების გასაძლიერებლად. ჩეინის პარტნიორი ამ საქმეში დევიდ ადინგტონი გახლდათ. 11 სექტემბერს ჩეინიმ მას დაურეკა თეთრი სახლის ბუნკერიდან და მიბრუნება უბრძანა (Montgomery 2009:122). მომდევნო დღეებში ისინი მუშაობდნენ ბრძანებებისა და კანონების სერიაზე, რაც მიმართული იყო პრეზიდენტის ძალაუფლების გასაძლიერებლად. ტერაქტიდან მალევე ბუშმაც დაიწყო მოქმედება. მან გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რათა ემოქმედა სწრაფად და გაბედულად. ბუშმა იმავე დღეს ნათლად აჩვენა ყველას, რომ ტერაქტის შემდეგ საკუთარ თავს აღიქვამდა როგორც ომის პრეზიდენტს და სხვა მანამდე არსებული პრიორიტეტების იგნორირება მოხდებოდა. 11 სექტემბრის დილას, როდესაც მისი ლიმუზინი ფლორიდას საჯარო სკოლას შორდებოდა, მან ჩეინისთან სატელეფონო საუბარში თავისი მიზანი ჩამოაყალიბა: „ჩვენ უნდა გავიგოთ, ვინ ჩაიდინა ეს და უნდა გავანადგუროთ ისინი“ (Kessler 2003). ჩვენი აზრით, ეს აბსოლუტურად სწორი და გამართლებული დამოკიდებულება იყო საკითხისადმი. სხვა საქმეა, რამდენად ჯდებოდა ერაყი 11 სექტემბრის ტერაქტის მომწყობთა სიაში.

ბუშის პირადმა მოსაზრებებმა გავლენა იქონიეს მის გადაწყვეტილებებზე. ტომას ლანგსტონი აღწერს იმ ნაბიჯებს, რაც ბუშმა გადადგა კონფლიქტის გასაფართოებლად, რათა ომი ერაყთან გარდაუვალი ყოფილიყო (Langston 2007). ბუშმა 11 სექტემბერსვე განაცხადა, რომ აშშ ომს წამოიწყებდა ტერაქტში დამნაშავეების წინააღმდეგ. მისივე თქმით ტერორისტებსა და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორიზმს ერთსა და იმავე კრილში განიხილავდნენ. 15 სექტემბერს მან გენერალ ჰიუ შელტონს აცნობა, რომ ერაყზე თავდასხმას შეაჩერებდა სანამ ალ-კაიდასა და თალიბანზე შეტევები არ განხორციელდებოდა ავღანეთში. 12 ნოემბერს კი სამხედროებს ერაყზე თავდასხმის გეგმის მომზადება დაავალა, რათა ომისათვის ფუნ-

ქციონირებადი სტრატეგია არსებულიყო.

საკითხის განხილვისას ცხადი ხდება, რომ არ მომხდარიყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი და ნეოკონსერვატორთა ძლიერი ინტელექტუალური ჩარევა თეთრი სახლის ადმინისტრაციის საქმეში, სავსებით შესაძლებელია ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთოდ არც წამოეწყო ომი ერაყთან (Marshall 2003). ამერიკამ ჰეგემონის როლი ითამაშა. ამასთან, მას არ ამოძრავებდა იმპერიული ზრახვა და სურდა მსოფლიო წესრიგის აღდგენა და კაცობრიობის სასარგებლოდ ლიდერობის უზრუნველყოფა, – ასეთ დასკვნას აკეთებს რობერტ კაგანი ერთ-ერთ სტატიაში (Kagan 2004b). აშკარად იგრძნობა თეოდორ რუზველტის სამხედრო იმპერიალიზმის სული – „ცივილიზაციის დამცველებმა უნდა იმოქმედონ ცივილიზაციის ოპონენტების საწინააღმდეგოდ“ (Kagan & Kristol 2004:73). რა თქმა უნდა, ამერიკას ნეოკონები აღიქვამენ ცივილიზაციად, ხოლო დასავლეთის ყველა ოპონენტს – ბარბაროსებად.

ნეოკონსერვატორების გარდა, ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციაში იყვნენ ერაყთან ომის სხვა ლობისტებიც, რომელთაც სულ სხვა მიზნები ამოძრავებდათ. როგორც ჩვენ უკვე ზევით აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ასეთი პირი იყო ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი. მისი თანამოაზრე იყო თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი, რომელმაც ასევე შეუწყო ხელი ერაყთან დაპირისპირებას. თავდაცვის მდივნის პოსტის დაკავების მომენტიდან იგი მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა და უდიდესი გავლენა ჰქონდა ერაყში შეჭრისა და მისი შემდგომი მოწყობის გეგმების შემუშავებაში. ის მიიჩნევდა, რომ გაერთიანებული შტაბის უფროსი გეგმის შესრულებაში არ უნდა ყოფილიყო გარეული და მტკიცედ იცავდა „გოლდუოტერ-ნიკოლსის აქტის“¹ გაძლიერებას. როდესაც ბუშის ადმინისტრაციამ პირველი შეტევები განახორციელა

¹ 1986 წლის გოლდუოტერ-ნიკოლსის თავდაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაციის აქტი. დოკუმენტს ხელი პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მოაწერა. ამ აქტის წყალობით მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტში ძირეული ცვლილებები. გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარის უფლებამოსილება გაიზარდა და პაკარდის კომისიის (შეიქმნა 1986 წელს თავდაცვის დეპარტამენტში ფინანსური საკითხების მენეჯმენტის შესასწავლად) რამდენიმე შემოთავაზებაც განხორციელდა. სამხედრო მმართველობის სისტემა დაიხვეწა. ამერიიდან პრეზიდენტი გადასცემდა ბრძანებას თავდაცვის მდივანს, ეს უკანასკნელი კი მას აწვდიდა საბრძოლო მეთაურებს. ამით გვერდს უვლიდნენ სამსახურების უფროსებს. მათ პრეზიდენტისა და თავდაცვის მდივნის მრჩევლების როლი მიენიჭათ.

ერაყში არასაფრენი ზონის შესაქმნელად 2001 წლის თებერვალში, ოფისის დაკავებიდან ერთ თვეში რამსფელდმა პენტაგონს განუცხადა: „*მე ვარ თავდაცვის მდივანი. მე ვარ მთავარი მმართველობაში*“ (Woodward 2004a: Chapter 1).

როდესაც რამსფელდმა თანამდებობა დაიკავა, მას ორი სურვილი ჰქონდა: სამხედრო ტრანსფორმაცია და მალული თავდასხმის შესაძლებლობა. რამსფელდს სურდა ტექნოლოგიური წინსვლა იმ დონეზე, რომ უკან ჩამოეტოვებინა ყველა ოპონენტი. მან განაცხადა: „*ამიერიდან სამხედრო სამსახურები არ იმოქმედებენ სხვადასხვა შესაძლებლობებით. ყველა მათგანი ერთნაირად ამუშავდება – ისინი გამოიყენებენ და შორი მანძილიდან თავდასხმას მიიტანენ ზუსტი დამიზნების რაკეტებით*“ (Kagan 2005:232). მისი შემდგომი მიზანი იყო შესაძლო მოულოდნელი თავდასხმის მომზადება (Woodward 2002:20).

ჩეინი და რამსფელდი ათწლეულების მანძილზე ერთად მუშაობდნენ ამერიკის შერთებული შტატების უზენაესობის მოსაპოვებლად, შესანარჩუნებლად და გასამყარებლად. ამისათვის მათ პრინციპული მიდგომა გააჩნდათ მთელი რიგი საკითხებისადმი.

ჩეინისა და რამსფელდის აზრით, ამერიკის პირველობა, პირველ რიგში, გაიზრდებოდა მისი სამხედრო სიძლიერის ეფექტური და დამოუკიდებელი დემონსტრაციით. სწრაფი და გადამწყვეტი გამარჯვება გაამყარებდა აშშ-ს ხელმძღვანელობის სიძლიერეს. ეს კარგი სიგნალი იქნებოდა სხვა სახელმწიფოებისათვის, რომ მათი მხრიდან მომავალში ამერიკის რაიმე სახის გამოწვევა სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს. ძალის ეფექტური და იაფი დემონსტრაცია შეასუსტებდა ადგილობრივ წინააღმდეგობასაც და კონგრესს, მედია სივრცეს, სასამართლო სისტემასა და საჯარო სექტორს აიძულებდა ორჯერ დაფიქრებას, სანამ რაიმე სამხედრო მოქმედების წინააღმდეგ გამოვიდოდნენ (Suskind 2006: Chapter Two).

კერძო სექტორისა და ბიზნესის ჩართულობის გაზრდა, ამერიკის მთავრობის როლის შემცირების ფონზე, გაამყარებდა ქვეყნის პოზიციას. **ჩეინი და რამსფელდი** ხშირად იყენებდნენ კერძო ინდუსტრიებს სამთავრობო სერვისების შესასრულებლად. მათი რწმენით, კერძო ბიზნესი უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე მთავრობის ბიუროკრატია. ეს მოსაზრება მოითხოვდა არა მხოლოდ გადასახადების შემცირებას და

სამთავრობო რეგულაციების შესუსტებას, არამედ იგი ითვალისწინებდა სასურველი კონტრაქტებით უზრუნველყოფასა და წახალისებებს, რათა კერძო სექტორს მოეხდინა მთავრობის სერვისების შეთვისება. ამერიკელების სიძლიერე კიდევ უფრო გაიზრდებოდა ახალი სავაჭრო კავშირებით სხვა ქვეყნებთან. (Schreyer 2013).

ვიეტნამის ომის დაწყების შემდეგ კონგრესმა ერთგვარად შეზღუდა პრეზიდენტის უფლება დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ. ადმინისტრაციის ლიდერების მოსაზრებით, პრეზიდენტის ძალის ასე შეზღუდვა ამერიკისათვის ზიანის მომტანი იყო. მათი რწმენით, **პრეზიდენტს სჭირდებოდა ძალაუფლება**, რათა დამოუკიდებლად, საიდუმლოდ და ეფექტურად ემუშავა. ამერიკის ინტერესების დასაცავად გადაწყვეტილება უნდა მიეღო კონგრესის ან სამამართლოს მხრიდან ხელის შემლის გარეშე. ერთ-ერთი, რაც ამისათვის უნდა გაკეთებულიყო, იყო წარმატებული პრეცედენტების ციკლი, როდესაც პრეზიდენტი მოქმედებდა ამ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (Warshaw 2009: Chapter 6).

ქვეყნის ძლიერება უფრო შენარჩუნდებოდა **სამხედრო ძალების ტრანსფორმირებით**. იგულისხმება კარგად დაფინანსებული და ტექნოლოგიურად განვითარებული სამხედრო დანაყოფების შექმნა, რომლებიც სამყაროს ნებისმიერ წერტილში იმოქმედებდნენ მინიმალური დანაკარგით. ეს ახალი მიდგომა ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა 70-იან წლებში გავრცელებულ „პაუელის დოქტრინას“,² რომელსაც ორი ძირითადი ხარვეზის გამო იწუნებდნენ. ერთი ის, რომ ძალიან დიდი რაოდენობის სამხედროთა მობილიზება იყო საჭირო, მეორე კი საჯარო სექტორის საკითხი გახლდათ, რადგან აუცილებელი იქნებოდა ამერიკელი ხალხის თანხმობის მიღება და მათთვის კონფლიქტიდან გამოსვლის (Exit Plan) სტრატეგიის შეთავაზება, სანამ ჯარი საერთოდ ჩაებმებოდა ბრძოლაში. ე.წ. „**სამხედრო საქმის რევოლუციას**“ აშშ-ს სამხედრო ძალების გამოყენება უნდა გაემარტივებინა, დანაკარგი მინიმუმამდე დავიდოდა.

² **პაუელის დოქტრინა** – ჟურნალისტების მიერ დამკვიდრებული ტერმინია, რომელიც აშშ-ს მხრიდან ძალის გამოყენებას შესაძლებლად თვლის იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დადებითი პასუხი მთელ რიგ კითხვებზე (მაგალითად, არის თუ არა ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საშიშროება, უჭერს თუ არა მხარს ამ ქმედებას აშშ-ს მოსახლეობა, ამოწურულია თუ არა სხვა საშუალებები და ა.შ.). პაუელის დოქტრინა მნიშვნელოვნად ეყრდნობა და ფაქტობრივად განავრცობს უაინბერგერის დოქტრინას, რომელიც თავდაცვის მდივანმა კასპარ უაინბერგერმა ჩამოაყალიბა 1984 წელს.

ამ ხედვის განხორციელებით ამერიკა სწრაფად იმოქმედებდა, ზუსტად მართვადი იარაღითა და მსუბუქი ქვეითი შენაერთებით (**Watts 2011: Chapter2, Chapter3**).

ამერიკის უზენაესობისათვის ბრძოლა მოითხოვდა არაბეთის ყურეში სრულ ჰეგემონიას. მსოფლიოში უპირობო პირველობის მისაღწევად ამერიკელებს უნდა გაეგრძელებინათ არაბეთის ყურისა და, რაც მთავარია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავთობის კონტროლი. მას ასევე არ უნდა დაეშვა სხვა ზესახელმწიფოს შემოსვლა რეგიონში და ამ რესურსების გამოყენება ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ.

ჩეინი და რამსფელდი 70-იანი წლებიდან მიხვდნენ, რომ ამერიკელი საზოგადოების მობილიზება ამბიციური საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად რთული იყო. არადა, ისინი თვლიდნენ, რომ **აშშ-ს უნდა სცოდნოდა და გაეცნობიერებინა მომავალი საფრთხეები**. ამისთვის საჭირო იყო, რომ მოსახლეობას ნათლად დაენახებინათ, თუ რა საფრთხეს უქმნიდნენ ამერიკას საშიში ძალები. ეს ერთადერთ გზად მიაჩნდათ სამხედრო ბიუჯეტის ზრდისა და პრეზიდენტის ძალაუფლების გამყარების საკითხზე საერთო თანხმობის მისაღწევად.

ქვეყნის სამხედრო დომინანტობის ხაზგასასმელად **ჩეინი და რამსფელდი** აუცილებლად თვლიდნენ ხშირ საგარეო გამარჯვებებს. ამგვარ გამარჯვებებსა და განგრძობად რიტორიკას მომავალ საფრთხეებზე რესპუბლიკელთა გამარჯვების უზრუნველყოფა შეეძლო მომავალ არჩევნებში, რადგან თავისი წარმატებული მმართველობის პრეცედენტით ხალხში პოლიტიკურ წარმატებას მიაღწევდნენ.

ამერიკის ისტორიაში მანამდეც არაერთხელ დაფიქსირებულა რეალისტების, მტკიცე ნაციონალისტებისა თუ ნეოკონსერვატორების გეგმები მსოფლიო უზენაესობის მოპოვების შესახებ, მაგრამ **დიკ ჩეინისა და დონალდ რამსფელდით** მკაფიოდ ეს პოზიცია არავის ჩამოუყალიბებია. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ უოკერ ბუშმა და მისმა ადმინისტრაციამ.

ერაყის თემატიკაზე მომუშავე მკვლევარები თანხმდებიან, რომ ჩეინისა და რამსფელდს უმთავრესი როლი ეკისრებოდათ ერაყთან ომის წამოწყებაში, მაგრამ კამათი გრძელდება იმის დასადგენად, თუ რა იყო მოტივი ამ გადაწყვეტილების მიღებისას (**Gordon & Trainor 2007: Chapter 3; Danner 2006: The Secret Way to War;**

Ryan 2014). საერთო იდეების გარდა მათ მრავალი განსხვავებული მიზანიც ჰქონდათ, რაც მთლიანობაში ქმნის ფართო სურათს.

მრავალი მკვლევარი გვთავაზობს ჰიპოთეზას, რომელიც მხოლოდ ერთ ან ორ მიზანს ასახელებს იმის წამოწყების მოტივად, თუმცა კიდევ არსებობს რამდენიმე დეტალი, რომელიც საჭიროებს განხილვას და გაანალიზებას რეალობასთან მისაახლოებლად.

შოკისა და შიშის სიგნალი – ერაყის როგორც მაგალითის გამოყენება ამერიკის ერთობლივი სამხედრო სიძლიერის დემონსტრირებისათვის. არაერთი ისტორიკოსი და საკითხით დაინტერესებული პირი ხაზს უსვამს, რომ ჩეინისა და რამსფელდს, პირველ რიგში, აშშ-ს სამხედრო უპირატესობის წარმოჩენა სურდათ. (**Suskind 2006: Chapter One; Gellman 2008: Chapter Five; Gordon & Trainor 2007: Chapter 3; Danner 2006:2-30; Dower 2010: Part 3. Chapter 13; Klein 2007: Part 5, Part 6; Gardner 2008: Chapter 6).** აშშ-ს ხელმძღვანელობის უპირატესობის სადემონსტრაციოდ ხდებოდა ე.წ. ზუსტი დამიზნების იარაღის ფართოდ გამოყენება. 90-იან წლებში რამსფელდი გადააწყდა ნაშრომს „შოკი და შიში – სწრაფი დომინირების მოპოვება“ (**Ullman & James 1996**). აქ საუბარი იყო იმ ფსიქოლოგიურ ეფექტზე, რაც იაპონელებმა განიცადეს ჰიროშიმასა და ნაგასაკის დაბომბვით. ერთ-ერთი ავტორი **ჰარლან ულმანი 2003** წელს ამბობს: „ჩვენ გვინდოდა, რომ მათ შეეწყვიტათ ბრძოლა, შედეგი მომენტალურად დადგებოდა – ჰიროშიმასა და ნაგასაკის ბირთვული დაბომბვის მსგავსად – სულ რაღაც რამდენიმე წუთში და არა დღეებში ან კვირებში“ (**Gardner 2008:166**). სადემონსტრაციო მოდელი ასევე ითვალისწინებდა სხვა მტრულად განწყობილი ქვეყნებისათვის სიგნალის გაგზავნას, რომ ამერიკა ნებისმიერ მომენტში სრული ძალით იმოქმედებდა. სწრაფად წარმატების მიღწევა სამაგალითო იქნებოდა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებიც ეჯიბრებოდნენ ამერიკის სამხედრო ძალას.

„მოულოდნელობა, სიჩქარე, შოკი და რისკი“ იყო რამსფელდის პირადი მიზანი ერაყში შეჭრისა. იმ ბრძოლის წარმართვა, რომელიც აშშ-ს სურდა, ხაზს უსვამდა მობილობაზე, მოქნილობასა და მაღალ ტექნოლოგიურ იარაღზე დაყრდნობას და იმის დემონსტრირებას, რომ ის რეფორმები, რომელსაც ატარებდა თავდაცვის მდივანი პენტაგონში, აშშ-ს ხელმძღვანელობას მოუტანდა დომინირებას XXI საუკუნეში. თავიდანვე რამსფელდმა განსაზღვრა თავისი მიზანი – შეექმნა XXI საკუნის სტან-

დარტების ამერიკული სამხედრო სისტემა. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სამმართველოს³ უფროსი ტომი ფრენკსი აღნიშნავს: „რამსფელდი არის ახალი ეპოქის ცივი გონების მქონე მეომარი,“ რომელიც „ნებისმიერ საფასურს გადაიხდის და ნებისმიერ ტვირთს ზიდავს,“ ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან დასაპირისპირებლად, რათა ამერიკის გადარჩენა უზრუნველყოს. ...მისი მთავარი მიზანია მოიგოს ომი გლობალურ ტერორიზმთან (Franks & McConnell 2005:374).

არსებობდა დაბრკოლებებიც. სამხედრო სიძლიერით ქვეყნების „დაშინების“ პარალელურად ამავე ქვეყნებს შესაძლოა დაესკვნა, რომ აშშ-ს კონგრესი, გაერო ან ამერიკელი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ომის დანაკარგებისადმი ერთგვარად შეზღუდავდა აშშ-ს. ეს მოსაზრება შეიძლება გაჩენილიყო რამსფელდისა და ფრიც კრემერის ხშირი ურთიერთობის ნიადაგზე თავდაცვის მდივნობის პირველი ვადისას (Colodny & Shachtman 2009:2-5). სწორედ ზემოხსენებულმა კრემერმა მოიგონა ტერმინი „მაპროვოცირებელი სისუსტე“. 1970-იან წლებში დონალდ რამსფელდთან შეხვედრისას იგი მუდამ ამახვილებდა ყურადღებას ამერიკის მხრიდან დიპლომატიისა ან სხვა რაიმე რბილი საშუალებების გამოყენების უუნარობაზე ყველა იმ საფრთხის წინააღმდეგ, რაც ქვეყანას ემუქრებოდა. 2006 წელს თავის ერთ-ერთ უკანასკნელ მიმართვაში რამსფელდი პატივისცემას გამოხატავს კრემერის ფილოსოფიის მიმართ: „ცხადი უნდა გახდეს, რომ არა მხოლოდ სისუსტე, არამედ ჩვენი მხრიდან სისუსტის აღიარებაც კი მაპროვოცირებელი შეიძლება იყოს. ჩვენმა მტრებმა რომ დაასკვნან: აშშ-ს არ აქვს სურვილი და ძალა მიიღოს ისეთი მკაცრი გადაწყვეტილებები, რომლებიც დანაკარგსა და მოთმინებას მოითხოვს, ისეთივე სახიფათოა, როგორც სამხედრო ძალის დისბალანსი“ (Rutenburg 2006).

მტრებისადმი ამერიკის სამხედრო სიძლიერის ჩვენებას ასევე მხარს უჭერდა კრემერის კიდევ ერთი შეგირდი ჰენრი კისინჯერი. შემდგომში ეს უკანასკნელი შეარბილებს თავის შეხედულებას და კრემერი ერთგვარად ჩამოიშორებს მას, მაგრამ 2003 წელს, კრემერისადმი მიძღვნილ მოსახსენიებელ სიტყვაში, კისინჯერი ხაზს

³ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სამმართველო არის ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ერთიანი სამხედრო სარდლობის ერთეული. მისი მოქმედების არეალია ახლო აღმოსავლეთი, ეგვიპტე და ცენტრალური აზია.

გაუსვამს, რომ მის პიროვნებაზე ფრიც კრემერმა უდიდესი გავლენა იქონია (**Kissinger 2003**). რამსფელდის მსგავსად, კისინჯერსაც მოსწონდა ერაყის საჩვენებლად გამოყენება. როდესაც **ბობ ვუდუორდმა** ერთხელ ჰკითხა მას, თუ რატომ უჭერდა მხარს ერაყის ომს, კისინჯერმა უპასუხა: „*რადგან ავღანეთი არ იყო საკმარისი, ერაყის ომი კიდევ უფრო დიდი მაგალითი და გზავნილია*“ (**Danner 2006**).

ერაყის ეკონომიკური „დაპყრობა“ ინტერვენციის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის როლის შემცირებასა და კერძო ბიზნესის წამოწევის გვერდით. არსებობს არაერთი წყარო თუ ლიტერატურის ფართო სპექტრი, რომელიც კონკრეტულად მიუთითებს ეკონომიკური ინტერესების სარგებლობაზე. ამხვილებენ რა ყურადღებას ომის ნადავლზე, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „თავისუფალი ბაზრის“ მოდელის გამოყენებით სარგებელი ორმხრივი იყო (**Cook 2005; Klein 2007: Part 1; Moore & Packer 2003**). უცვლელი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა სამთავრობო სამსახურების დიდი ნაწილის კერძო სექტორში გადაცემას, რაც კერძო კომპანიებს მისცემდა ერაყში კონფლიქტის დაფინანსების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ერაყი კონტრაქტორებისათვის აყვავებულ ბაზრად იქცა. ისინი ამარაგებდნენ სამხედროებს, მუშაობდნენ ქვეყნის რეკონსტრუქციაზე, წვრთნიდნენ ერაყელ ჯარისკაცებს და ბრძოლაში ჩაბმაზეც არ ამბობდნენ უარს (**Hughes 2007; Stiglitz & Bilmes 2008: Chapter 5; Scahill 2007: Chapter 6; Verkuil 2007: Part 6, Chapter 3**). ამის შესახებ ყველაზე კარგად წერს **პრატაპ ჩატერჯი**, რომელიც მიიჩნევს, რომ ჩეინი და რამსფელდი 1970-იანი წლებიდან ცდილობენ პენტაგონისა და სხვა უმაღლესი რანგის უსაფრთხოების ინსტიტუტების ბიუჯეტის პრივატიზაციას (**Chatterjee 2009: Part 2**).

ხშირად თვლიან, რომ ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები სწორედ სამხედრო-ინდუსტრიული თუ ნავთობკორპორაციებისათვის მუშაობდნენ (**Begala 2002: Chapter 6. Chapter 9; Bryce 2004: Chapter 17; Juhasz 2006: Chapter 4; Scheer 2008: Chapter 5; Shorrock 2007**). მართლაც, ამ საკითხზე მსჯელობისას ნამდვილად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბუშის ადმინისტრაციას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სწორედ იმ ინდუსტრიებთან, რომლებიც გარკვეულ სარგებელს ნახავდნენ ომით. პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ მრავალი მიდიოდა სწორედ ასეთ კორ-

პორაციებში სამუშაოდ. ამავე დროს, მიმდინარეობდა კადრების დინება მეორე მიმართულებითაც. მაგალითად, ბუშის ადმინისტრაციის 32 წევრი, სანამ ოფისს დაიკავებდა, სამხედრო კორპორაციებში მუშაობდა (აქედან 16 წევრი **ლოქჰიდში**) (**Juhasz 2006: Part 4**). სწორედ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იპოვეს საკუთარი ადგილები ასევე **ექსონის** აღმასრულებლებმა, იურისტებმა და მთავარმა აქციონერებმა (**Begala 2002**). რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ ომი მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების ნიადაგზე წარმოიშვა, თუმცა ინდუსტრიულმა ფაქტორმა აშკარად დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

მორიგი მიზანი, რაც თეთრი სახლის ადმინისტრაციას ჰქონდა განსაზღვრული, იყო პრეზიდენტის როლის ზრდა საგარეო პოლიტიკაში და ომის გამოყენება საპრეზიდენტო ძალაუფლების გაძლიერებაში. არსებობს მოსაზრება, რომ ამერიკაზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ დაიწყო პრეზიდენტის როლის ზრდა საგარეო პოლიტიკაში. ერთგვარად იზრდება მისი ძალაუფლებაც. ამ კონკრეტული ჰიპოთეზის მიხედვით, პრეზიდენტ ბუშისათვის მაქსიმალური ძალაუფლების მინიჭების საქმეში წინა პლანზეა წამოწეული დიკ ჩეინის როლი (**Warshaw 2009; Savage 2007; Gellman 2008: The Agenda; Montgomery 2009: Chapter 8; Mayer 2008: Chapter 1**). როგორც **დევიდ ადინგტონი** აღნიშნავს: „ჩვენ მანამდე გავაგრძელებთ ბრძოლას, სანამ რაიმე უფრო დიდი ძალა არ შეგვაჩერებს“ (**Gellman 2008:330**). რიჩარდ ჩეინის მოსაზრებით, როდესაც აშშ-ს კონგრესი და ამერიკელი ხალხი ებმება საქმეში, ერი სუსტდება. ასეთ დროს კი პრეზიდენტისათვის შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილების მიღება.

დონალდ რამსფელდის დოქტრინის უმთავრესი პრინციპი იყო ჯარის გარდაქმნა კარგად დაფინანსებულ, მაღალტექნოლოგიურ ძალად, რომელიც მინიმალური დანაკარგებით გამანადგურებლად იმოქმედებს ნებისმიერ წერტილში. ამ საკითხებში უფრო მეტად სწორედ დონალდ რამსფელდის პოზიცია ფიგურირებს. ხშირად მიუთითებენ მის დაუღალავ ბრძოლაზე პენტაგონის მაღალჩინოსნებთან (**Graham 2009: Chapter 14; Buley 2008: Chapter 4; Bacevich 2005a: Chapter 6; Kitfield 2005: Chapter 2, Chapter 3; Herspring 2008: Chapter 2**). რამსფელდს სურდა პაუელის დოქტრინის უკუგდება, რადგან იგი ჯარისკაცთა დიდი რაოდენობის გამოყენებას ითვალისწინებ-

და. ამასთან, პაუელის დოქტრინის მიხედვით ყველა დიპლომატიური გზა უნდა მოსინჯულიყო. რამსფელდის აზრით, ეს ამერიკას საგარეო პოლიტიკაში სახიფათოდ შეასუსტებდა. რამსფელდს სურდა ომი ელვისებური სისწრაფით, ფარულად და, რაც მთავარია, გამანადგურებელი შედეგით წარემართა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმაც ერთიანად შეცვალა საომარი მოქმედებების მომავალი (Shimko 2010: Chapter 5; Singer 2009: Part Two). „სამხედრო საქმეში რევოლუციის“ ყველაზე საინტერესო ნაწილი იყო იარაღის სისტემის გაყიდვის პროპაგანდა და იმ პოლიტიკური თუ სტრატეგიული ცვლილებების გატარება, რაც საჭირო იქნებოდა (Kagan 2003; Khalizad, White, Marshall 1999). რამსფელდის ეს შეხედულებები ასევე ითვალისწინებდა ამერიკის შეერთებული შტატების უფრო მკაცრ და აგრესიულ საგარეო პოლიტიკას.

კამათსაც არ იწვევს ის მოსაზრება, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ომის წამოწყებისა სწორედ ნავთობი იყო, თუმცა აქ არის ერთი გასაკვირი ფაქტი: ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტ ნავთობს მოიხმარს, ომს იწყებს ქვეყანაში, რომელიც მეორე ადგილზეა ნავთობის წარმოებით. თავდაპირველად ერაყის წინააღმდეგ ოპერაციას სახელიც სხვა ჰქონდა „Operation Iraqi Liberation“ (Fleischer 2003), თუმცა შემდგომში მას გადაარქვეს სახელი. დასახელების აბრევიატურა OIL ერთგვარად მიუთითებდა კიდევ ომის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს. მსოფლიოს თვალში ეჭვების თავიდან ასაცილებლად იგი შეიცვალა “Operation Iraqi Freedom”-ით, თუმცა კი ჩეინის ყოველთვის სურდა, რომ გაეძლიერებინა ამერიკული სანავთობო კორპორაციების პოზიციები არაბეთის ყურეში (Cheney 1999).

არსებობდა საერთო აზრი, რომ ეკონომიკური წინსვლისათვის აუცილებელი იყო ერაყის ნავთობწარმოების დეცენტრალიზება. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ეროვნული უსაფრთხოების არქივში დაცული დოკუმენტიდან, რომელიც 2003 წლის 20 აპრილით თარიღდება, ირკვევა, რომ ერაყის ომისშემდგომი მოწყობის სამი მოდელი განიხილებოდა: 1. გადაჯგუფება, ნახევრად პრივატიზება და კონტროლის მოპოვება; 2. გადაჯგუფება, პარტნიორების გაჩენა და კონტროლის მოპოვება; და 3. დემონოპოლიზაცია (Future of Iraq 2003).

ერაყიდან მეტი ნავთობის „ამოსაქაჩად“ ამერიკას, პირველ რიგში, ქვეყნის სტა-

ბილიზირება უნდა მოეხდინა. რამსფელდის გეგმის მიხედვით, არ იყო გათვალისწინებული საკმარისი რაოდენობის სამხედროები არსებული ნავთობის ველებისა და ნავთობსადენების დასაცავად. დაგეგმილი კონტინგენტით არც ახალი მასობრივი მშენებლობების დაწყებისათვის საჭირო დაცვის უზრუნველყოფა იყო შესაძლებელი. ეს კი აფერხებდა ნავთობის მოპოვების ზრდას. მაშინაც კი, როდესაც მეამბოხეები თავს ესხმოდნენ ნავთობსადენებს, რამსფელდი უარს აცხადებდა სამხედროთა გაგზავნაზე. 2005 წელის დეკემბერში, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მორიგი სხდომის დროს, რამსფელდი სერიოზულად გაბრაზდა კონდოლიზა რაისის მოსაზრებაზე, რომ ნავთობსადენების დაცვა აშშ-ს ხელმძღვანელობის სტრატეგიის ნაწილი უნდა ყოფილიყო (**Herspring 2008**). ჩეინი, ბუმი და რაისი ნავთობს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ. ამიტომ ამერიკის პირველობის გეგმაში ნავთობს ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი ერთადერთი არ იყო და მრავალ-ასპექტიანი გეგმის ნაწილს შეადგენდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ამერიკა შეიჭრა ერაყში, რათა მსოფლიო ეკონომიკას ჰქონოდა წვდომა არაბეთის უხვ ნავთობზე. (**Klare 2004: Chapter 4; Greenspan 2007: Chapter 1, Chapter 5; Clarke 2004: Chapter 11; Gore 2007: Chapter 4; Ritchie & Rodgers 2007: Part 1; Pelletiere 2004: Chapter 4; Ahmed 2003: Part Two, Chapter 7; Clarke 2005: Chapter 3; Pollack 2003; Morse 2001; Bacevich 2005b**). ამ თვალსაზრისის თანახმად, ამერიკამ დაინახა მზარდი მოთხოვნა ნავთობზე იმ დროს, როდესაც წარმოება ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნასა და ფასის ცვალებადობას. დეფიციტი სადამს უფრო „ამლიერებდა“. მას უკვე დესტაბილიზაცია შეჰქონდა ნავთობის სამყაროში. 90-იან წლების ბოლოს სადამმა აიძულა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (**Organization of the Petroleum Exporting Countries – ე.წ. „ოპეკი“**), შეემცირებინა პროდუქციის შესყიდვა. მან ასევე ნავთობის ევროში გაყიდვა დაიწყო დოლარის ნაცვლად, რითაც სურდა გაეროს სანქციების დარღვევა (**Recknagel 2000**). ჰუსეინმა ხელშეკრულებები დადო რუსეთთან, ჩინეთთან და საფრანგეთთან. ერაყის ლიდერი მხიარულობდა კიდევ, ამერიკას ცხვირი რომ აუბზუა. ამავე დროს, საუდის არაბეთი უკმაყოფილებას გამოთქვამდა აშშ-ს ბაზების გამო და აიძულებდა ამერიკელებს ახალი ადგილები მოენახათ დისლოცირებისათვის. ამიტომ, რეგიონში ბალანსის აღსადგენად, გადაწყდა ერაყთან ომი (**Sharma, Tracy, Kumar 2004**). სადამის მიერ წარმოქნილი საფ-

როზე საბოლოოდ უნდა გამქრალიყო. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია გააგრძელებდა საკმარისი რესურსის მიწოდებას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დამატებით კი ამერიკას ნავთობის წარმოებაზე კონტროლი ექნებოდა. ეს მას საშუალებას მისცემდა კონტრაქტორები მუდმივად დაკავებული ჰყოლოდა ნავთობის დასაცავად. თან იგი გაიმყარებდა მსოფლიო ჰეგემონის პოზიციას (**Independent Media Center 2003**).

ნაწილობრივ მიიჩნევენ, რომ ამერიკა დააფრთხო მსოფლიო ნავთობის წარმოების შემცირებამ და ამის გამო შეიჭრა ერაყში. 1990-იან წლებში ზოგიერთი გეოლოგი ამტკიცებდა, რომ მალე მსოფლიო მიაღწევდა ნავთობწარმოების მაქსიმუმს და ამის გამო სიტუაცია ბაზარზე გაუარესდებოდა (**Campbell & Laherrère 1998**), ეს კი არაბეთის ყურის ირგვლივ გაამძაფრებდა ინტერესს. რეგიონი მსოფლიო ნავთობის ორ მესამედს ფლობდა. ჩეინიმ, ბუშმა და რაისმა იგრძნეს მოსალოდნელი კრიზისი და იმოქმედეს ამერიკისათვის სხვა კონკურენტების ჩამოსაშორებლად. რეგიონში დომინირება იყო უპირობო მიზანი (**Phillips 2006: Chapter; Klare 2008: Chapter 7; Roberts 2005: Part 1**).

ერაყში სასურველი რეჟიმის დამყარებით აშშ-ს ასევე შეეძლებოდა ამერიკული კომპანიებისათვის ნავთობზე წვდომა გაეზარდა (**Bryce 2004: Chapter 23; Cole 2009: Chapter 1; Juhasz 2008: Chapter 8, Part II; Rutledge 2006: Chapter 3, Chapter 4; Muttitt 2005**). ამასთან, ბაზარზე ზედმეტი ერაყული ნავთობი არ უნდა გამოჩენილიყო და ამერიკულ კომპანიებს ფასის ვარდნის გამო ზარალი არ განეცადათ. ამ დროისათვის ნავთობკომპანიები დარვიზისეულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. ისეთი დიდი ნავთობკომპანიები, როგორებიცაა **ექსონი** და **შევრონი**, იერთებენ პატარა და მცირე ბიზნესებს. რეზერვების შენარჩუნება ჭირდა და ნავთობის ახალი წყაროს მოძიება უმნიშვნელოვანესი გახდა ფასის შესანარჩუნებლად. არსებული ნავთობის 90%-ს ერაყის, ქუვეითის, საუდის არაბეთისა და ირანის სახელმწიფო კომპანიები აკონტროლებდნენ. როგორც ჩეინიმ განაცხადა 1999 წელს, „*მსოფლიოს არაერთ ნაწილში შეიძლება ნავთობის მოძიება, მაგრამ ერაყი... საუკეთესო „ნადავლია“*. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული კომპანიები სულმოუთქმელად ელიან რეგიონის ნავთობწარმოებაზე კონტროლის დამყარებას, პროგრესი ნელა მიმდინარეობს“ (**Cheney 1999**).

ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი კვლევა ჯონ (ხუან) კოულის „მიმზიდველ აღმოსავლეთში“ მოცემული. გვიან 90-იან წლებში ჩეინი მუშაობდა ნავთობის ლობისტ ისეთ კომპანიებთან, როგორცაა **USA Engage**. მას სურდა ირანისა და ლიბიის მიმართ გარკვეული სანქციების გატარება (**Cole 2009:137**), მაგრამ კლინტონის ადმინისტრაციის დროს ჩეინის გეგმები ჩაიშალა, რადგან ამერიკის მთავრობას არ სურდა კომპრომისებზე წასვლა. მას შემდეგ, რაც ჩეინი მიხვდა, რომ ამაოდ ელოდა აშშ-ს ხელისშემშლელი რეჟიმების წინააღმდეგ მოქმედებას, მან სტრატეგია შეიცვალა და უფრო მეტად ომისკენ გადაიხარა.

§2. სადამ ჰუსეინი და მასობრივი განადგურების იარაღი

მიუხედავად ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციაში არსებული დაინტერესებისა, ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყება არც ისე იოლი ამოცანა იქნებოდა, რომ არა სადამ ჰუსეინის რიტორიკა და ქმედებები. სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა აშშ-ს ხელისუფლებას, გამოეცხადებინა იგი საფრთხედ. ერაყის დაპყრობის შემდეგ, მრავალი მკვლევარი ახლიდან დააკვირდა კამპანიას, რომელიც მიზნად ისახდა ქვეყნის საზოგადოების დარწმუნებას, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. არაერთი მეცნიერი აცხადებს, რომ დიკ ჩეინიმ და დონალდ რამსფელდმა პენტაგონში შექმნეს „სპეციალური დაგეგმარების ჯგუფი,“ რომელიც სადაზვერვო მასალებზე მუშაობდა. ამ ჯგუფმა ცრუ ინფორმაციის დიდი რაოდენობა შექმნა. ეს დაუზუსტებელი ინფორმაცია გაიფანტა სხვადასხვა დაწესებულებებში – ვიცეპრეზიდენტის ოფისში, მედიასივრცეში, თეთრ სახლში, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და კონგრესში. ჯგუფის მიზანი იყო, აშშ-ს მოსახლეობაში შეექმნა მდგრადი აზრი, რომ სადამ ჰუსეინი უმაღლესი ხარისხის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა. მასმედიის საშუალებებით ვრცელდებოდა გზავნილები, რომ ჰუსეინი მთელ მსოფლიოს უქმნიდა საფრთხეს მასობრივი განადგურების იარაღით. დაიწყო ბრძოლა ინფორმაციის მოპოვებასა და მის გავრცელებაზე (**Risen 2006: Chapter 6; Cramer & Thrall 2009: Chapter 6; Prados 2004: Chapter 2; Bamford 2005: Part Three; Issikoff & Corn 2006: Chapter 12; Prados & Ames 2010**). დღეისათვის ძნელია დარწმუნებით იმის მტკიცება, რომ ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, თუმცა ერთი რამ ფაქტია: ერაყში ბირთვულ

იარაღს ლამის დღემდე ეძებენ და ვერ პოულობენ. სხვა საქმეა, თუ რამდენად გამიზნული იყო ეს პროპაგანდა და რამდენად ფალსიფიცირებული იყო მონაცემები. უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის არსებული ინფორმაცია მართლაც ქმნიდა გარკვეულ საფუძველს, რათა ერაყი დადანაშაულებულიყო მასობრივი განადგურების იარაღის, მათ შორის ბირთვულის, ფლობაში.

სადაც ჰუსეინთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დოკუმენტების კრებული, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა „ინფორმაციის თავისუფლების აქტის“ წყალობით. ეს კრებული შეიცავს ფედერალური გამოძიების ბიუროს მიერ სადაც ჰუსეინის დაკითხვებისა და ზოგადი საუბრების ჩანაწერებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2004 წლის თებერვალ-ივნისში. სულ განსაჯაროებულია 27 დოკუმენტი, თითოეული მათგანისთვის თავის დროზე მინიჭებული იყო გრიფი „საიდუმლო“.⁴ წყაროს მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

ჩანაწერებში საუბარი 1960-იანი წლების ბოლოდან იწყება. ძალზე საინტერესოა თავად ჰუსეინის წარმოდგენა საერთაშორისო და რეგიონალურ პოლიტიკაზე. როდესაც საკუთარ მიღწევებზე ჰკითხეს, მან ჩამოთვალა სოციალური პროგრამები ერაყელებისათვის, ქურთებთან დადებული სამშვიდობო შეთანხმება ადრეულ 70-იანებში, სანავთობო ინდუსტრიის ნაციონალიზაცია 1972 წელს, 1973 წლის ისრაელ-არაბეთის ომში არაბული ბანაკის მხარდაჭერა და ამის შემდგომ დარჩენილი 30 წელი გადარჩენისათვის ბრძოლა. „1968 წელისთვის ხალხს არაფერი არ ჰქონდა. სოფლებსა და ქალაქებში იყო საკვების სიმცირე. სასოფლო სამეურნეო პირობები პრიმიტიული იყო, ხოლო ერაყის ეკონომიკა კი სრულად გახლდათ დამოკიდებული ნავთობის წარმოებაზე, რომელიც ექსპორტზე გაჰქონდა უცხოურ კომპანიებს“ (**Hussein Interview Session 1 2004:1; Hussein Interview Session 14 2004:1-5**). ბაასის მთავრობის საწყისებზე საუბრისას ჰუსეინი არაერთგზის აღნიშნავს ინტერვიუებში, რომ მათ გამოცდილება აკლდათ და ძირითადად ერაყის ბედის განსაზღვრისას მისი ისტორიულად ტრანსფორმაციის უნარი და სხვა ქვეყნების მაგალითების გამეორება უნდა გამოეყენებინათ. აქვე იგი საკუთარ თავს რევოლუციონერად, და არა პოლიტიკოსად, მოიხსენიებს. სადამის

⁴ დოკუმენტების ხილვა შესაძლებელია ვებგვერდზე: <http://nsarchive.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB279>.

თქმით, მას არ მოსწონდა ძალაუფლება და პოზიცია მთავრობაში. ამასთან შედარებით უფრო დიდ უპირატესობას ერაყელ ხალხსა და პარტიას ანიჭებდა. თავის პრეზიდენტობასაც კი ექსპრეზიდენტ ალ-ბაქრს აბრალებს, თითქოს მან ერთგვარი „იძულების“ გზით დაიყოლია იგი წინადადებაზე **Hussein (Hussein Interview Session 5 2004:1; Hussein Interview Session 6 2004:1; Hussein Interview Session 7 2004:1; Hussein Interview Session 8 2004:1)**.

საუბარი ასევე შეეხო პალესტინისა და ქუვეითის საკითხებსაც. ჰუსეინი აღნიშნავს, რომ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი ზოგადად არაბული სამყაროს ჭრილში უნდა განხილულიყო (**Hussein Interview Session 3 2004:1**). ქუვეითზე საუბრისას სადამმა აღნიშნა, რომ არ აპირებდა თავდასხმას, თუ გამოსავალი მოიძებნებოდა. საუბრობს რა ნავთობის ფასზე, ის ქუვეითსა და ამერიკას ეკონომიკური კონსპირაციის მოწყობაში ადანაშაულებს (**Hussein Interview Session 9 2004:3**). ქუვეითთან დაკავშირებით მას რამდენიმე აბსურდული დასკვნა გამოაქვს. მაგალითად, როდესაც იგი საუბრობს ქუვეითელი ხალხის დამოკიდებულებაზე, ახსენებს, რომ მათ უნდოდათ ჩვენთან შემოერთებაო. მაგრამ როდესაც პირომ მისი ამ განცხადების განმარტება მოსთხოვა, სადამმა დაამატა: „ჩვენ ვგრძნობდით, რომ ზოგიერთ ქუვეითელს ასე სურდაო“ (**Hussein Interview Session 11 2004:1**).⁵ ქუვეითის მიმართ ჰუსეინის დამოკიდებულება და მოსაზრება სრულიად უგულებელყოფს ამ ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღქმას. იგი პიროს ეუბნება, რომ საკითხი უნდა განხილულიყო საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში და ამერიკას არ უნდა მოეხდინა სიტუაციის ესკალაცია. 1991 წელს ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი თარიქ აზიზი შეხვდა ჯეიმს ბეიკერს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანს, რომელმაც ისეთი ნაბიჯების გადადგმა მოითხოვა, რაც ერაყს ზიანს მოუტანდა (**Hussein Interview Session 12 2004:1**). ამავე დროს, მას არ უნდა ქუვეითის დათმობა. „ქუვეითი ერაყია. იგი ბრიტანეთმა მიიტაცა

⁵ თავად ქუვეითელების აზრი სადამ ჰუსეინის შესახებ ორ ნაწილად იყოფა. ჩვენს მიერ ჩატარებულმა ვერბალურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ნაწილი მას აფასებს როგორც ძლიერ ლიდერს (განსაკუთრებით ახალგაზრდები), მეორე ნაწილისათვის კი იგი ქვეყნის მტერია. რამდენიმეჯერ დაფიქსირდა მოსაზრება, რომ სწორედ სადამ ჰუსეინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ქუვეითში ის ძირითადი მშენებლობები, რამაც ჩამოაყალიბა ქვეყნის დღევანდელი სახე.

ერაყისგან. ნავთობი რომ არ ყოფილიყო, მას არც კი მიაქცევდნენ ყურადღებას“;⁶ – აცხადებს ერთ-ერთი ინტერვიუს დროს (**Hussein Interview Session 13 2004:1**).

ირან-ერაყის ომის განხილვისას ინტერვიუერი ჯორჯ პირო მას ეკითხება, თუ რატომ წამოიწყო ომი ერაყმა, ირანისაგან მომავალი საფრთხის გამო თუ უბრალოდ ერაყს სურდა არაბულ/ერაყული შათ-ალ-არაბის ტერიტორიის დაბრუნება. ამაზე ჰუსეინი ცალსახად პასუხობს, რომ ირანმა დაარღვია 1975 წლის ალჟირის შეთანხმება სანაოსნო გზებთან დაკავშირებით. ჰუსეინის თქმით, ირანი ერაყის საშინაო პოლიტიკაშიც ერეოდა და მისი მხრიდან 540 თავდასხმა მოხდა ამ პერიოდში ერაყელ მაღალჩინოსნებზე. ბუნებრივია, ჰუსეინი აღიარებდა, რომ ეს ყველაფერი ომის გადაწყვეტილებას კიდევ უფრო ამყარებდა, თუმცა ომის წამომწყებად ის მაინც ირანს ასახელებს, ხოლო პიროს კითხვას ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით კატეგორიულად არიდებს თავს. ჰუსეინის თქმით, „როდესაც 1979 წელს აიათოლა ჰომეინი სათავეში მოვიდა, ორი რამ უბინდავდა გონებას: 1. რელიგიური ფანატიზმი და მოსაზრება, რომ ყველა არაბი ლიდერი ირანის შაჰივით მარტივი სამართავი იყო; და 2. წარსულში ერაყიდან გაგდების კომპლექსი“ (**Hussein Interview Session 2 2004:2**). სადამის თქმით, 1991 წლის ომის შემდეგაც კი ირანი არ წყვეტდა ქუვეითის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებებს და ამ პერიოდში სამხრეთ ერაყში მომხდარი აჯანყების მონაწილეებს სწორედ ირანთან ჰქონდათ კავშირი (**Hussein Interview Session 15 2004:1**).

დაკითხვებისას განხილვის საგანი აგრეთვე გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოტანილი რეზოლუციები, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღს შეეხებოდა. თავიდანვე ჰუსეინი გაეროს არაკეთილსინდისიერებაში ადანაშა-

⁶ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ თვლიდა სადამ ჰუსეინი ქუვეითს ერაყის ნაწილად. ქუვეითის ისტორიის გადახედვა აშკარას ხდის, რომ იგი ნამდვილად არ წარმოადგენდა ერაყის ნაწილს არც ბრიტანეთის პროტექტორატის დროს და არც მანამდე. დაახლოებით 1752-1756 (ზუსტი თარიღი უცნობია) წლებში ქუვეითის მმართველი გახდა საბაჰ I ბინ ჯაბერი. სწორედ აქედან იწყება საბაჰების დინასტიის ისტორიაც. ქუვეითის წამყვანმა ოჯახებმა გადაწყვიტეს სწორედ საბაჰების ოჯახიდან აერჩიათ ლიდერი. ამან შექმნა პრეცედენტი ქვეყანაში, რომელიც დღესაც გრძელდება. 1900-იანი წლების დასაწყისიდან კი ქუვეითი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ არის, რასაც მოსდევს 1961 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობა (**Casey 2007: 29-85**). აქედან გამომდინარე სადამის კატეგორიული განცხადება, რომ ქუვეითი ერაყის ნაწილია და იგი ბრიტანელებმა წამოსწიეს წინა პლანზე, მინიმუმ არაკორექტულია.

ულეხს (**Hussein Interview Session 10 2004:1**) და მიაჩნია, რომ გაერო ამერიკის შეერთებული შტატების მიზნების შესაბამისად მოქმედებდა. მისი თქმით, სწორედ ამას ემსახურებოდა ის რეზოლუციები და სანქციები, რაც ერაყის წინააღმდეგ მიიღეს. ამავე დროს, თავის მთავარ შეცდომად ის თვლის მსგავსი იარაღის განადგურებას გაეროს დამკვირვებლების ჩარევის გარეშე. აქვე ის ამბობს, რომ მსგავსი იარაღის ფლობის შემთხვევაში მას აუცილებლად გამოიყენებდა ამერიკასთან ომის დროს. თეთრ სახლს კი უბრალოდ მიზეზი სჭირდებოდა ერაყის წინააღმდეგ კამპანიის ასაგორებლად და სწორედ ეს ფაქტი გამოიყენეს სათავისოდ (**Hussein Interview Session 4 2004:1**).

სადამ ჰუსეინის ეს განცხადება არ არის რეალობას მოკლებული. მართლაც, ომის წინა პერიოდში გეგმაზომიერად ხდებოდა ფართო მასებისათვის იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რაც ერაყისაგან შექმნიდა მტრის სახეს. პრეზიდენტი საუბრობდა ერაყისა და ალ-კაიდას უტყუარ კავშირზე, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, რეალურად მას ამის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ ჰქონდა. ვერც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ვერც თავდაცვის სადაზვერვო სააგენტო ვერ აწვდიან მას ამგვარ ცნობას. ალ-კაიდასა და ჰუსეინის ერთადერთი შესაძლო დამაკავშირებელი რგოლი იყო **მუჰამედ ატა**, 9/11 ტერაქტის მონაწილე და თვითმფრინავის გამტაცებელი. იგი 2001 წელს პრალაში შეხვდა ერაყის სადაზვერვო სამსახურს, მაგრამ ამ შესაძლო დამაკავშირებელი სამხილის გამოაშკარავებიდან მცირე ხანში ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი ტერაქტში ერაყის დასადასაშაულებლად (**CNN 2001**). ამავე დროს ნატოს გენერალურმა მდივანმა, **ლორდმა რობერტსონმა**, საიდუმლოდ უთხრა აშშ-ს სენატორებს, რომ უმცირესი სამხილიც კი არ არსებობდა ერაყისა და ალ-კაიდას დასაკავშირებლად (**Novak 2001**).

იგივეს მოწმობს ფედერალური გამოძიების ბიუროს დირექტორი რობერტ მიულერი, რომელიც ამბობდა, რომ ათასობით კვალის შესწავლისა და ყველა ჩანაწერის შემოწმების მიუხედავად, ალ-კაიდასა და რომელიმე ქვეყნის დასაკავშირებლად ვერანაირი კვალი ვერ იქნა აღმოჩენილი (**FBI 2002**).

მეორე დამაკავშირებელ რგოლად ამერიკელები ტერორისტულ დაჯგუფება **ანსარ ალ-ისლამს** მიიჩნევდნენ. ეს დაჯგუფება ჩრდილოეთ ერაყში იყო დაბანაკებული. 2003 წელს კოლინ პაუელმა გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე განაცხადა: „მე

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერაყსა და ალ-კაიდას შორის ავბედით კავშირზე. კავშირი რომელიც შედგება ტერორისტული ორგანიზაციებით და მკვლევლობის თანამედროვე მეთოდებით. დღეს ერაყი მასპინძლობს სასიკვდილო დაჯგუფებას **აბუ მუდ'აბ ალ-ზარქავის** მეთაურობით, რომელიც თანამშრომლობს ალ-კაიდას მეთაურის ოსამა ბინ ლადენის წარმომადგენლებთან. ამ დაჯგუფებას ზარქავი 2000 წლიდან უდგას სათავეში. მისი და მისი ბანაკის ერთ-ერთი სპეციალობა არის საწამლავეები. როდესაც ჩვენმა კოალიციამ გაანადგურა თალიბები, ზარქავის ქსელმა შეიარაღებული ბანაკი შექმნა ერაყის ჩრდილოეთში საწამლავეებითა და ასაფეთქებელი მოწყობილობებით სავარჯიშოდ. მართალია, დაჯგუფება ერაყის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გარეთაა, მაგრამ ბაღდადს აქ თავისი აგენტები ჰყავს მაღალ საფეხურებზეც კი. ანსარ ალ-ისლამის ხელმძღვანელობამ ალ-კაიდას წევრებს თავშესაფარიც კი შესთავაზა, მას შემდეგ, რაც ავღანეთში პრობლემები შეექმნათ. ალ-კაიდას არაერთი აქტივისტი დათანხმდა ამ წინადადებას“ (Powell 2003). თუმცა ზემოხსენებული ინტერვიუებისას სადამ ჰუსეინი აღნიშნავს, რომ მას და ოსამა ბინ ლადენს არაფერი საერთო არ ჰქონდათ, პირადად მასთან შეხვედრებს გამორიცხავს და სავარაუდოდ მოკავშირედ უფრო ჩრდილოეთ კორეას მოიხსენიებს, ვიდრე ბინ ლადენს (Hussein Interview Session 25 2004:1).

როჰან გუნარატნა, ტერორისტული კვლევის ცენტრის დირექტორი სინგაპურის უშიშროებისა და სტრატეგიის კვლევის ცენტრში, მას შემდეგ, რაც გაეცნო ავღანეთიდან მოპოვებულ ათასობით დოკუმენტს, აცხადებდა, რომ „ვერ იპოვა ვერანაირი სამხილი ალ-კაიდასა და სადამ ჰუსეინის კავშირის შესახებ“ (Ackerman 2003).

დღეს ძნელია იმის გადაჭრით მტკიცება, რამდენად ცნობილი იყო ყოველივე ზემოთქმული აშშ-ს ხელმძღვანელობისთვის. ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ბუშის ადმინისტრაცია ერაყს კარსმომდგარ მტრად მხოლოდ სადამ ჰუსეინის პიროვნების და მისი რიტორიკის გამო თვლიდა. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ბუშს დიდი ხნის ფიქრი არ დასჭირვებია და ამერიკელი ხალხის თავისუფლების საფრთხედ სწორედ სადამ ჰუსეინი გამოაცხადა, თუმცა რეალურად კავშირი ბინ ლადენსა და ჰუსეინს შორის არ არსებობდა, რასაც სადაზვერვო მონაცემები ცხადყოფდა. როგორც ჩანს, უმთავრესი ამაში მაინც ალბათ ერაყის მხრიდან მასობრივი განადგურების ია-

რადის ფლობის პრობლემა იყო.

არაპროგნოზირებადი რეჟიმების მხრიდან მასობრივი განადგურების, პირველ რიგში, ბირთვული იარაღის მოპოვების პრობლემა ერაცის გარეშე იყო პრობლემა. სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ გაერთიანებულმა ერებმა ერაცის მიმართ მიიღო სანქცია, რომლის ძალითაც ერაცს არ ექნებოდა არაკონვენციური იარაღის ქონის უფლება (**Resolution 687 1991**). როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი ჰქონდა, რომ გაერთიანებული ერების სანქციები ერაცში გამოიწვევდა სახელმწიფო გადატრიალებას და, საბოლოო ჯამში, მიიყვანდა ჯორჯ ბუშ-უფროსის ადმინისტრაციას სასურველ შედეგამდე – სადამ ჰუსეინს მოიშორებდნენ თავიდან. აღნიშნულმა იდეამ არ გაამართლა.

გაეროს 687-ე რეზოლუციის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალური კომისიის შედგენას და დაუყოვნებელ ინსპექტირებას ერაცში ქიმიური, ბიოლოგიური იარაღისა და სარაკეტო შესაძლებლობების გამოსაკვლევად, **საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტომ** პირველი ინსპექცია 1991 წლის 15 მაისს ჩაატარა. 1997 წლისათვის სააგენტოს ჩატარებული ჰქონდა 30 ინსპექცია. ინსპექტორებმა გაანადგურეს ბირთვული პროგრამის განმახორციელებელი ობიექტები, რომელთა საერთო ფართი იყო 50 000 მ², მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული 2000 ნივთი, 600 ტონა სპეციალური სინჯი. სააგენტომ ასევე მოახერხა ბირთვული იარაღისთვის ვარგისი მასალების ამოღება – კონტროლს დაუქვემდებარეს 500 ტონა ბუნებრივი ურანი და 1,8 ტონა მცირედ გამდიდრებული ურანის დიოქსიდი (**Dilton 2002**).

1997 წლის 8 ოქტომბერს გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს გააცნო საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს 6 ოქტომბრის წერილი. აღნიშნული წერილის თანახმად, *„ერაცმა წარმოადგინა პასუხები სააგენტოს კითხვებზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში აღნიშნული პასუხები ძალზე მწირ ინფორმაციას შეიცავს. ...ერაცმა დახმარება აღმოუჩინა საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს აღჭურვილობითა და ადამიანური რესურსებით“* (**Note by the Secretary General 1997:12**).

მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს ხდებოდა 1997 წლამდე. ამის შემდეგ ერაცი აღარ უშვებდა გაეროს მისიას, რათა მათ შეემოწმებინათ რეალური ფაქტები მასობრივი განადგურების იარაღთან მიმართებაში. ამერიკას ზურგს ისიც უმაგრებდა,

რომ სადამ ჰუსეინი უკვე გამოცდილი იყო ქიმიური იარაღის წარმოება-მოხმარებაში. საუბარი ეხება ისეთი ქიმიურ იარაღს, როგორცაა იპრიტი (მდოგვის გაზი), ნერვული აგენტები – ზარინი, ტაბუნი, ციკლოზარინი და VX. 1982-1983 წელს სადამმა ირანთან ომისას და 1988 წელს ქურთების წინააღმდეგ არაერთხელ გამოიყენა ქიმიური იარაღი (**Eland & Gourley 2002:2**).

გაეროს უშიშროების საბჭოს 1991 წლის 687-ე რეზოლუციის მიუხედავად, 1998 წლიდან მოყოლებული 2002 წლამდე ერაყი უარს აცხადებდა გაეროს ინსპექტორთა შემწეობაზე (**Resolution 687 1991**). ბუნებრივია, გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს პერიოდი სადამ ჰუსეინმა გამოიყენა მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების განახლება-განხორციელებისთვის. ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებდა, რომ ერაყიდან მოსალოდნელი იყო ბირთვული საფრთხე და სიფრთხილისკენ მოუწოდებდა საერთაშორისო საზოგადოებას. თან ადმინისტრაცია ხშირად აკეთებდა აქცენტს ერაყსა და ბირთვულ იარაღზე და მის კავშირებზე სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებთან (**Web Social Web Site 2003**).

ჰუსეინი თავად აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც გაეროსთან დაიწყო თანამშრომლობა, მას არ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღის ნასახივ კი. აგენტი პირო მას ახსენებს 2000 წელს გაკეთებულ განცხადებას, სადაც იგი **სამხედრო ინდუსტრიის** წარმომადგენლებს ეუბნება, რომ ერაყი მზადაა სრულად განიარაღდეს, თუ ამას სხვა ქვეყნებიც იზამენ (**Global Policy Forum 2000**). ეს სიტყვები კი შეიძლება აღქმულიყო მასობრივი განადგურების იარაღის ფლობის დამადასტურებლად. ჰუსეინი განმარტავს, რომ ეს მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით ჩაიდინა. იგი უარყოფდა ყოველგვარი არაკონვენციური იარაღის ფლობას და არც რაიმე აქტიური პროგრამის არსებობას ეთანხმებოდა (**Hussein Interview Session 22 2004:1**). მისივე თქმით, მიმართვა, რომელიც მან 2000 წელს გააკეთა, მხოლოდ რეგიონული მიზნებისთვის იყო გაკეთებული. იგი ერაყის მიმართ მომავალი საფრთხეების აღმოსაფხვრელად და მისი თავდაცვისათვის ზრუნავდა. უმთავრეს საფრთხედ კი, რა თქმა უნდა, ირანს აღიქვამდა. ჰუსეინს ეშინოდა, ირანს არ შეეცყო ერაყის სისუსტის შესახებ და ამიტომ მიმართა ერთგვარ ფანდს (**Hussein Interview Session 23 2004:1**). აქ აგენტმა პირომ მას შეახსენა, რომ გაეროს 687-ე რეზოლუციის მე-14 პარაგრაფი ითვალისწინებდა ახლო აღმოსავლეთში

ყოველგვარი მასობრივი განადგურების იარაღისა და სარაკეტო დანადგარებისაგან თავისუფალი ზონის შექმნას (**Resolution 687 1991:6**).

ჯორჯ ბუშ-უმცროსის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გახშირდა ინსინუაციები, რომ ერაყიდან ბირთვული საფრთხე სულ უფრო აქტიური ხდებოდა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უკვე საექვო განცხადებებს აკეთებდა საკითხის ირგვლივ: „მართალია, სადამ ჰუსეინს ჯერ არ აქვს ბირთვული იარაღი ან საკმარისი მასალა მის შესაქმნელად, მაგრამ მას სურს მათი ფლობა. ...რამდენად სწრაფად შეძლებს ერაყი ბირთვული იარაღის მიღებას, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოიპოვებს იარაღისათვის საჭირო მასალას“ (**CIA 2002:1**).

2004 წლის 7 ივლისს დღის შუქი იხილა დოკუმენტმა – „მოხსენება ამერიკის სადაზვერვო გაერთიანების ერაყის ომისწინა სადაზვერვო შეფასების შესახებ“. 521-გვერდიანი დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი სადაზვერვო სამსახურების მიერ შესრულებული სამუშაოები. კომისიამ შეისწავლა სადაზვერვო თანამეგობრობის (Intelligence Community) მიერ მოწოდებული მოხსენებების 15 000 გვერდი და დაკითხა არაერთი უწყების (მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, თავდაცვის სადაზვერვო სააგენტოს, თავდაცვის დეპარტამენტის და ა.შ.) 200-ზე მეტი თანამშრომელი (**Report ... 2004:2-3**). დოკუმენტში კრიტიკულად არის შეფასებული სადაზვერვო სააგენტოების საქმიანობა. გაკეთებული დასკვნები გარკვეულწილად ადანაშაულებს კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების უწყებებს საქმის არასათანადო ყურადღებით შესრულებისათვის. კომიტეტის განცხადებით, სადაზვერვო თანამეგობრობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა ისეთი სახის დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებდა ერაყის მიერ წარმოებული მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების არსებობას, იმ ინფორმაციის შესწავლა კი, რომელიც ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა, არ ხდებოდა (**Report ... 2004:19**). კომიტეტის აზრით, სადაზვერვო თანამეგობრობა ძირითადად ეყრდნობოდა მოსაზრებებს მასობრივი განადგურების იარაღის აქტიური პროგრამების შესახებ. ისინი ან საერთოდ არ განიხილავდნენ, ან მინიმალურ ყურადღებას უთმობდნენ იმ სამხილებს, რომლებიც ადასტურებდნენ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების არარსებობას (**Report ... 2004:18**). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სადაზვერვო თანამეგობრობა 2002 წელს ავრცე-

ლებს ზემოხსენებულ ინფორმაციას, ეს კი თეთრი სახლის ადმინისტრაციას აძლევდა მყარ დასაყრდენს, რათა ერაყის წინააღმდეგ კონფლიქტი გაეჩაღებინათ.

კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ცნობებით ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გარკვეული ეჭვები გააჩნდა ერაყისა და ნიგერის შესაძლო კავშირის შესახებ. იყო მოსაზრება, რომ ნიგერის მთავრობასა და ერაყს შორის იყო მოლაპარაკება ურანის ნედლეულის შემცველი მასის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. პირველი ცნობები ამის შესახებ 2001 წლის 15 ოქტომბერს გაჩნდა. სადაზვერვო მოხსენების მიხედვით, ურანით ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ერაყსა და ნიგერის მთავრობას შორის 1999 წლიდან მაინც არსებობდა და იგი ნიგერის სახელმწიფო სასამართლოს მიერ იქნა დამტკიცებული 2000 წელს. ნიგერის პრეზიდენტმა **მამადუ ტანჯამ** დაადასტურა თანხმობა და ამცნო გადაწყვეტილება ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს. მოხსენება ასევე შეიცავდა ინფორმაციას, რომ ნიგერის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ნასირუ საბომ** ამცნო ერთ-ერთ ელჩს ევროპაში, რომ ნიგერი მზადაა მიაწოდოს ერაყს მრავალი ტონა ურანი (**Report 2004:36**).

საკითხის ირგვლივ წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, თავდაცვის სადაზვერვო სამსახური და ენერგეტიკის დეპარტამენტი მიიჩნევდა, რომ მსგავსი გარიგება მართლაც იყო შესაძლებელი, მაგრამ დაზვერვისა და კვლევის სახელმწიფო დეპარტამენტის ანალიტიკოსებს არ მიაჩნდათ სწორად ინფორმაცია, რადგან ნიგერის ურანის წარმოებას ფრანგული კონსორციუმი განაგებდა. ამიტომ მსგავსი სახის შეთანხმების არსებობა მეტად საეჭვო ხდებოდა (**Report ... 2004:39**). თავად ფრანგული კონსორციუმის დირექტორი აცხადებდა, რომ არ არსებობდა შესაძლებლობა, ნიგერს მიეყიდა ერაყისთვის დაუმუშავებელი ურანი.

მიუხედავად ამისა, მოკლე ხანში მიღებულ იქნა ახალი ინფორმაცია, რომ „[უცხოელი] სახელმწიფო მოხელესაგან“ ცნობილი გახდა ერაყისა და ნიგერის 2000 წლის 5-6 ივლისის შეთანხმების დეტალები – ნიგერი ყოველწლიურად 500 ტონა ურანს მიჰყიდდა ბაღდადს (**Report ... 2004:38**). ეს კონკრეტული ცნობა იმდენად დეტალური იყო, რომ გაჩნდა ეჭვი მის რეალურობასთან დაკავშირებით. გადაწყდა ამ ფაქტის შემოწმება. ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ნიგერში გააგზავნა

სტაჟიანი დიპლომატი ჯოზეფ უილსონი,⁷ რომელსაც ნამუშევარი ჰქონდა როგორც ნიგერში, ისე ერაყში. როგორც შემდეგ გაირკვა, ჯოზეფ უილსონის ვიზიტი გარკვეულწილად განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ მისი მეუღლე, ვალერი ფლეიმი თავად იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაკი.

უილსონმა რამდენიმე დღე დაჰყო ნიგერში და დაასკვნა, რომ არანაირი შეთანხმება არ შემდგარა (**Wilson 2003**). როგორც ჩანს, სწორედ მასზე დაყრდნობით სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვისა და კვლევის ბიურომ გაავრცელა დოკუმენტი, რომ ნიგერიდან ერაყი ვერ მიიღებდა სასურველ გადასამუშავებელ ურანს. ბიუროს აზრით, ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას რამდენიმე ფაქტორი იძლეოდა. ჯერ ერთი, ნიგერის ურანის წარმოებას კონსორციუმი ახდენდა და ერაყს რომ მიეღო ურანი, გვერდს ვერ აუვლიდა ამ კონსორციუმს. გარდა ამისა, მსგავსი ოდენობის ტვირთის მალულად ტრანსპორტირება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა (**Report ... 2004:40**). უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს არცთუ ბოლომდე დამაჯერებელი იყო, რადგანაც ფრანგებს ჰქონდათ ერაყთან თანამშრომლობის გამოცდილება, მათ შორის, ბირთვული პროგრამის ფარგლებშიც. სწორედ საფრანგეთიდან შეიძინა 1976 წელს ბირთვული პროგრამისათვის საჭირო 2 საკვლევი რეაქტორი ერაყმა (**Solingen 2007:143**). ასე რომ, სულაც არ იყო გამოსარიცხი ის გარემოება, რომ ფრანგულ კონსორციუმს ფარულად ჰქონოდა გარიგება ერაყთან დადებული. ნიგერის წარმომადგენლების განცხადებაც შეიძლებოდა უბრალოდ სიცრუე ყოფილიყო და ნიგერს ერაყისაგან დიდი თანხა მიეღო. ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობა თავად კომიტეტის მიერ იქნა გაკრიტიკებული. ერთი რამ ცხადია, გარკვეული ეჭვები ნამდვილად არსებობდა იმის თაობაზე, რომ ერაყს აქტიურად ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამები. ეს კი აშკარად აძლევდა საბაზს თეთრი სახლის ადმინისტრაციას, ინტენსიურად განეხილათ კონფ-

⁷ დოკუმენტში არ სახელდება მისი სახელი, რომელმაც ნიგერში იმოგზაურა, მაგრამ შემდგომში ეს ინფორმაცია მაინც გამოვიდა სააშკარაოზე და 2003 წელს თავად უილსონმაც დაადასტურა ეს ფაქტი (იხ.: **Wilson 2003**).

ლიქტი ახლო აღმოსავლეთში. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სადაზვერვო სააგენტოები თავიანთ მოსაზრებებს ვერ ამყარებდნენ ფაქტებით, რაც, თავის მხრივ, არ აძლევდა საბაზს არცერთ უწყებას კატეგორიული განცხადებები გაეკეთებინა და ერაყი მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაში დაედანაშაულებინა.

2002 წლის 8 მარტს დაზვერვისა და კვლევის ბიურო აქვეყნებს მორიგ მოხსენებას. მასში ნახსენებია, რომ ნიგერის ყოფილი პრემიერ მინისტრი იბრაჰიმ მაიაკი გამორიცხავდა ერაყთან რაიმე საქმიან ურთიერთობას მისი პრემიერ მინისტრობის (1997-1999) ან საგარეო საქმეთა მინისტრობის (1996-1997) დროს. მაიაკი ასევე ამბობდა, რომ მას ჰქონდა შეხვედრა ერაყის წარმომადგენლებთან შესაძლო ბიზნესკავშირების თაობაზე, მაგრამ გაეროს სანქციების გამო უარით გაისტუმრა ისინი (**Report ... 2004:43**).

ამავე დროს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, თავდაცვის სადაზვერვო სამსახურიც და ენერგეტიკის დეპარტამენტიც თანხმდებოდნენ, რომ ერაყი ცდილობდა ურანის წყაროს მოპოვებას აფრიკაში. ნიგერთან ერთად, შესაძლო პარტნიორებად დასახელებული იყვნენ კონგოს სახალხო რესპუბლიკა და სომალი. მიუხედავად ამისა, არ არსებობდა ინფორმაცია, რომ ერაყმა მოახერხა ამ წყაროებიდან ურანის შემენა. ამასთან, **ბირთვული კვლევის ინსტიტუტი** საეჭვოდ მიიჩნევდა საერთოდ ერაყსა და აფრიკის რომელიმე სახელმწიფოს შორის შეთანხმებას და არცერთ ზემოთქმულ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა (**Report ... 2004:48**).

ნიგერისა და ერაყის შესაძლო კავშირების შესახებ ინფორმაცია მართლაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ვერ მოხერხდა იმის გარკვევა, არსებობდა თუ არა შეთანხმება ერაყსა და ნიგერის მთავრობას შორის. ვერც ელჩის ვიზიტმა და მისმა მოხსენებამ შეცვალა დიდად საქმის ვითარება. ფაქტია, რომ როდესაც ამერიკამ ხელში ჩაიგდო უცხოური დოკუმენტები საკითხთან დაკავშირებით, მათ არ ჰქონდათ უფლება, არ გაჩენოდათ ეჭვი.

როდესაც მასობრივი განადგურების იარაღზე საუბრობენ, უმრავლესობა, პირველ რიგში, ბირთვულ იარაღზე ფიქრობს ხოლმე. ერაყთან მიმართებაში კი ერთი რამ ნათელი იყო: ამერიკელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ბაღდადს ჰქონდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი (**Report ... 2004:144**). ერთადერთი, რაზეც ვერ თანხმდე-

ბოდნენ, იყო ბირთვული იარაღის ირგვლივ ატეხილი კამათი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო კვლავ ამტკიცებდა, რომ ერაყს ჰქონდა მოლაპარაკებები ნიგერთან და აუცილებლად შეიძენდა ურანს, მაშინ როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტის სადაზვერვო და კვლევების ბიუროს ანალიტიკოსები ამას შეუძლებლად მიიჩნევდნენ (**Report ... 2004: Part Two: Niger**). აღსანიშნავია, რომ რატომღაც არ ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა სათანადო დონეზე სამთავრობო უწყებებს შორის. მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის არ იქნა მიწოდებული ნიგერისა და ერაყის შესახებ 2002 წლის ოქტომბერში გავრცელებული დოკუმენტები და სწორედ ამიტომ კეთდებოდა ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები ერაყის მიერ ურანის შეძენაზე. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 2002 წლის მოხსენების მიხედვით, „*მას შემდეგ, რაც 1998 წელს დასრულდა ინსპექტირება, ერაყმა მაინც მოახერხა ქიმიური იარაღის შენარჩუნება და გაააქტიურა სარაკეტო პროგრამა. ასევე აწარმოებდა ბირთვული იარაღის ძირეულ კვლევას. ...ბაღდადი აგრძელებს და აფართოებს ორმაგი დანიშნულების ინფრასტრუქტურის შენებას და მალე შეეძლება ქიმიური იარაღის წარმოება. აღმოჩენილია ქლორინი და ფენოლი. მართალია, ორივე ქიმიკატი კანონიერია, მაგრამ ისინი ასევე წარმოადგენენ მასალას ბიოლოგიური იარაღისთვის და ერაყს აქვს საშუალება, გადააქციოს ლეგიტიმური ვაქცინა და ბიოპესტიციდი ბიოლოგიური ომის პროდუქტად“ (**CIA 2002**).*

კომიტეტის დასკვნით, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ და თავდაცვის სადაზვერვო სააგენტომ მიიღეს მცდარი ინფორმაცია, არ შეისწავლეს ისინი დეტალურად და კვლავ ძველ პოზიციაზე დარჩნენ – ერაყი ეძებს ურანის წყაროს აფრიკაში (**Report ... 2004:77**). კომიტეტი ასევე ასკვნის, რომ სადაზვერვო თანამეგობრობის, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა თუ თავდაცვის სადაზვერვო სააგენტოს არ გამოუქვეყნებიათ რაიმე დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა ერაყისა და ნიგერის კავშირს (**Report ... 2004:83**).

ნედლეულის მოძიების გარდა იყო ბირთვული იარაღის წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიების შეძენის საკითხიც. 2001 წლისათვის ამერიკამ შეიტყო, რომ ერაყს სურდა 7075-T6 ალუმინით დამზადებული 60 000 მაღალი გამძლეობის ალუმინის მილის შეძენა. ამ მილების პარამეტრები შემდეგი იყო: გარე დიამეტრი – 81 მილიმეტ-

რი, შიდა დიამეტრი – 74,4 მილიმეტრი, კედლის სისქე – 3,3 მმ, სიგრძე – 900 მმ. მილები ანოდიზირებული უნდა ყოფილიყო ქრომის მჟავით და ტრანსპორტირებისას ცალ-ცალკე უნდა გადაეზიდათ ცვილიანი ქაღალდში გახვეული. აღნიშნული სერიის ალუმინის შენადნობი ძალიან გამძლეა და თუკი მისი დიამეტრი მილად გადაქცევის შემდეგ 75 მმ-ზე მეტია, იგი კონტროლდება **გაეროს უშიშროების საბჭოს 687-ე და 707-ე რეზოლუციებით**, რომლის ძალითაც ერაცს ეკრძალებოდა მილების იმპორტირება მათი ბირთვული პროგრამისათვის ვარგისიანობის გამო (**Report ... 2004:88**).

10 აპრილს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გააკეთა განცხადება, სადაც წერდა, რომ ალუმინის მილების გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ ურანის გამდიდრებისათვის (**Report ... 2004:88**). ამავე დროს, ენერგეტიკის დეპარტამენტმა არაერთხელ გაუსვა ხაზი მილების რეალური დანიშნულების შესახებ საკუთარ დასკვნას. დეპარტამენტის აზრით, ეს მილები სავსებით შეესაბამებოდა იმას, რომელსაც ერაცი რაკეტების გამშვები კამერისთვის იყენებდა. მათი ინფორმაციით, ერაცს მანამდეც ჰქონდა შეძენილი ეს მილები და ახლა აღმოჩენილი 60 000 ალუმინის მილის ზომებიც კი ემთხვეოდა საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს მიერ აღმოჩენილ მილების ზომებს – 800 მმ სიგრძე, 81 მმ დიამეტრი და 3,3 მმ კედლის სისქე. მათ თქმით, 1989 წლისთვის ბაღდადს 160 000 ასეთი მილი ჰქონდა, ხოლო 1996 წლისთვის – 66 737 (**Report ... 2004:90**).

როგორც ვხედავთ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თავგამოდებით იცავდა თავის პოზიციას და მილების ერთადერთ დანიშნულებად ბირთვული პროგრამისათვის ვარგისიანობას ასახელებდა. ირკვევა, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ არაერთი მოხსენება გააკეთა ამ თემასთან დაკავშირებით მაგრამ არცერთში არ იყო კონკრეტულად ახსნილი, თუ რატომ მიიჩნეოდა ის მილებს აპრიორი ბირთვული პროგრამის ნაწილად. ერთ-ერთ დასკვნაში სენატის კომიტეტი აკრიტიკებს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ალუმინის მილების ირგვლივ არასწორი ინფორმაციის გავრცელების გამო (**Report ... 2004:131**). კრიტიკის საგანი გახდა ასევე სადაზვერვო თანამეგობრობის პოზიციაც (**Report ... 2004:132**). საერთო ჯამში, ალუმინის მილების მიერ გამოწვეული დავიდარება და ის დასკვნები, რაც სადაზვერვო უწყებებში გაკეთდა, ძალზე ბუნდოვანია და არანაირად არ უწყობდა

ხელს მდგომარეობის გარკვევას.

იანვარში აშშ-მ შეძლო თავისით დაეთვალიერებინა დაკავებული ტვირთი. ცსს-ს ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ ეს მიწები განსხვავდებოდა სტანდარტული ცენტრიფუგისთვის განკუთვნილი მიწებისაგან, მაგრამ მათი ზომა ემთხვეოდა 1950 წელს ავსტრიელი მეცნიერის მიერ გამოგონილი ციპეს სახელით ცნობილ ცენტრიფუგის ზომებს. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ალუმინის მიწები მიახლოებული ზომებისაა კი არ იყო იმ დროს გავრცელებულ სტანდარტებთან (**Report ... 2004:90**).

აღსანიშნავია ისიც, რომ ერაყი თავად აღიარებდა მსგავსი მიწების ქონას და შემენის სურვილს, მაგრამ არა ცენტრიფუგისათვის, არამედ 81 მმ-იანი რაკეტისათვის (**Report ... 2004:99**). საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტომაც აღნიშნა, რომ ერაყში მართლაც აღმოაჩინეს რამდენიმე ადგილას მაღალი გამძლეობის ალუმინის მიწები და ერაყს მართლაც ჰქონდა **ნასრ სტიტ ისტებლიშმენტის** მიერ დამზადებული 81 მმ-იანი რაკეტები (**Report ... 2004:99**).

ამ ამბავმა დიდი დაინტერესება გამოიწვია ადმინისტრაციაში. სახელმწიფო დეპარტამენტმა გააფრთხილა სახელმწიფო მდივანი პაუელი და მოამზადა ნიმუში ბუშისთვის, სანამ მიწების რეალური დანიშნულების შესახებ დასკვნა დაიდებოდა (გაერთიანებული ერების შეიარაღების ინსპექტორმა, მეორე მხრივ, გადაწყვიტა ნიმუშების გაანალიზება დასკვნის დაწერამდე). პრიორიტეტული გახდა, აეღოთ „სწორი მიმართულება“ და არ ეჩქარათ მიწების საზოგადოებისათვის წარდგენა, სანამ რეალური დასკვნა არ დაიდებოდა (**Walker to Power 2001**).

2002 წლის სექტემბერში თავდაცვის სადაზვერვო სამმართველომ გამოაქვეყნა დოკუმენტი: „**ერაყი ანახლებს ბირთვული იარაღის პროგრამას**“, სადაც აღნიშნა, რომ *„მიწების ალტერნატიული გამოყენება შეიძლება რაკეტის გარსისათვის ან გამშვები მიწების სახით. მაგრამ ეს ნაკლებ სავარაუდოა, რადგან ამ კონკრეტული მიწების მახასიათებლები ემთხვევა 1980 წელს ერაყის მიერ წარმოებული გაზის ცენტრიფუგის როტორის დიზაინს“* (**Report ... 2004:93**).

როგორც ვხედავთ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და თავდაცვის სადაზვერვო სამმართველო ამტკიცებდნენ, რომ მიწები უეჭველად ბირთვული პროგრამისათვის იყო განკუთვნილი. დეკლასიფიცირებული დოკუმენტის შესწავლით

ცხადი ხდება, რომ მათ მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეიცავს მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ რატომ თვლიან უწყების ანალიტიკოსები თავიანთ მოსაზრებას მილების შესახებ უტყუარად მაშინ, როდესაც ყველა სხვა უწყება დარწმუნებულია იმაში, რომ მილები, რომელთა დიდი რაოდენობა ერავს ისედაც ჰქონდა, რაკეტებისათვის არის განკუთვნილი.

2003 წლის მარტში ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორმა გენერალმა მოჰამედ ელ ბარადეიმ გაეროს წინაშე გააკეთა მოხსენება და თქვა, რომ *„ინტენსიურმა სავლეე გამოძიებამ და დოკუმენტების ანალიზმა ვერ გამოავლინა ვერცერთი სამხილი, რომ ერავს სურს ალუმინის მილების გამოყენება რაკეტის გარდა სხვა რამეში“ (ElBaradei 2003)*. ასევე გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ ერავი არ ცდილობს, შეიძინოს სხვა დეტალები ცენტრიფუგისათვის. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების არცერთი სააგენტო თუ დეპარტამენტი არ აკეთებს კომენტარს. ერთადერთი, რაც ცნობილი გახდა, იყო ის, რომ ერავი ცდილობდა მაგნიტების, დასაბალანსებელი მანქანებისა და სხვადასხვა ხელსაწყოს შეძენას. ამ ინვენტარის დანიშნულებაც ისეთივე ბუნდოვანი იყო, როგორც მილების (**Report ... 2004:119**).

პრეზიდენტი ბუში განცხადებებით ცდილობს მაქსიმალურად წარმოაჩინოს სადამ ჰუსეინი ბოროტების სათავედ, რომელსაც აქვს კავშირები ალ-კაიდასთან. განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა მსგავსი მოსაზრებების გავრცელება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ადმინისტრაციის ოფიციალური პირები პირველივე შესაძლებლობისთანავე ცდილობდნენ ერავის საკითხის წამოწევას. 2001 წლის 12 სექტემბერს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრებაზე დონალდ რამსფელდმა წამოაწია ერავის საკითხი. მან განაცხადა: *„რატომ არ უნდა წავიდეთ ალ-კაიდასთან ბრძოლის პარალელურად ერავის წინააღმდეგ?“ (Woodward 2002:42)*. ამ შემთხვევაში რამსფელდი მხოლოდ თავისი სახელით არ საუბრობდა. მისი მოადგილე პოლ ვულფოვიცი იყო იმ პოლიტიკის შემმუშავებელი, რომელიც ერავს სამიზნედ აქცევდა ტერორიზმთან ომის პირველ რაუნდში (**Woodward 2002:42**). ვულფოვიცის აზრით, ერავის საკითხის მოგვარება გაცილებით მარტივი იქნებოდა, ვიდრე ავღანეთის. მაგრამ 5 დღის შემდეგ ბუშმა განაცხადა: *„მე მჯერა, რომ ერავი დაკავშირებულია ტერორისტულ აქტთან, მაგრამ ახლა თავდასხმას ვერ განვახორციელებ სამხილების არარსებო-*

ბის გამო“ (Woodward 2002:42).

უკვე 2002 წლის ოქტომბერში ცინცინატიში პრეზიდენტი გამოდის სიტყვით: „ერაყის მასობრივი განადგურების იარაღი კონტროლირდება მკვლელი ტირანის მიერ, რომელმაც უკვე გამოიყენა ქიმიური იარაღი ათასობით ადამიანის მოსაკლავად. იგივე ტირანმა სცადა დომინირება ახლო აღმოსავლეთში, შეიჭრა და დაიპყრო პატარა მეზობლების ტერიტორია, თავად დაესხა სხვა ქვეყნებს გაფრთხილების გარეშე და აქვს ულმობელი დამოკიდებულება აშშ-ს მიმართ. და როგორც გაეროს იარაღის ყოფილმა ინსპექტორმა განაცხადა – ერაყის ფუნდამენტური პრობლემა არის რეჟიმის ბუნება. სადამ ჰუსეინი არის მკვლელი დიქტატორი, რომელიც ნარკოტიკულ დამოკიდებულებას განიცდის მასობრივი განადგურების იარაღის მიმართ. ...სადამ ჰუსეინს აქვს ქიმიური იარაღის გამოყენების გამოცდილება. მან ბრძანა ირანის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება და საკუთარ ქვეყანაში დაახლოებით 40 ქურთული სოფელი გაანადგურა. ამ ქმედებებმა შეიწირა 20 000 ადამიანი მაინც, 6-ჯერ მეტი, ვიდრე 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის დროს“ (White House 2002).

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად მუშაობდა. 2002 წლის მანძილზე მისი სტრუქტურების მიერ მრავალი მოხსენება დაიწერა. ისინი იცავდნენ პოზიციას, რომ ერაყმა განაახლა ბირთვული პროგრამა (CIA 2002). როგორც **The New York Times** ამტკიცებდა 2004 წლის 4 ოქტომბრის სტატიაში, ვერც ენერგეტიკის დეპარტამენტმა, ვერც სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვამ და მკვლევარ-ანალიტიკოსებმა ვერ მოახერხეს ამ მოხსენებების ნახვა (Barstow, Broad, Gerth 2004).

ამავდროულად პრეზიდენტის ადმინისტრაცია ცდილობდა, პროპაგანდა გაეწია და მასობრივი ინფორმაციის წყაროს გამოყენებით აცნობა მოსახლეობას ალუმინის მილებისა და ბირთვული იარაღის შესახებ. 2002 წლის 8 სექტემბერს **The New York Times** წერდა: „ამერიკის ოფიციალურ პირებს სჯერათ, რომ ალუმინის მილები ცენტრიფუგისთვის იყო განკუთვნილი“ და „ერაყის პრიორიტეტული მიზანია ბირთვული იარაღის შემუშავება“ (Gordon & Miller 2002). სტატია წყაროდ იყენებდა იმ ინფორმაციას, რომელიც თეთრი სახლის მიერ ნებაყოფლობით იქნა გაჟონილი. ვიცეპრეზიდენტი ჩეინი, კოლინ პაუელი და კონდოლიზა რაისი იმავე დღეს გამოჩნდნენ ტელეკრანებზე „კვირის საუბრებში“, რათა ყურადღება გაემახვილებინათ სტატიებზე.

რაისმა განაცხადა, რომ ეს მიღები მხოლოდ ბირთვული იარაღის პროგრამისთვის იყო განკუთვნილი და ერთგვარი გაფრთხილების ტონით განაცხადა: „ჩვენ არ გვინდა ბოლადენილი იარაღი სოკოსებრ ღრუბლად იქცეს“ (CNN 2002).

ამერიკა ჰუსეინს საკუთარ მტრად მიიჩნევდა. აშშ-ში ჰქონდათ შიში, რომ მასობრივი განადგურების იარაღი სწორედ საკუთარ ტერიტორიაზე აუფეთქდებოდათ. ამავე დროს, არსებობდა უტყუარი ცნობები, რომ ერაყს ამ დროისათვის (და არც როდესმე) არ ჰქონდა ისეთი სარაკეტო სისტემა, რომ აშშ-სათვის საფრთხე შეექმნა. ეს თავად აშშ-ს ხელმძღვანელობისთვისაც იყოს ცნობილი. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის „თეთრი ფურცლები – ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამები“, აღწერდა იმ შესაძლებლობებს, რაც გააჩნდა ბაღდადს. ძირითადი რაკეტები, რაც ჰუსეინმა სპარსეთის ყურის პირველი ომის დროს ისროლა საუდის არაბეთისა და ბაჰრეინის მიმართულებით, იყო ალ-ჰუსეინის ტიპის 650 კმ-ის რადიუსის რაკეტა (CIA 2002). ყველაზე დიდი რაკეტა, რაც ერაყს გააჩნდა, იყო 900 კილომეტრი რადიუსის მქონე ალ-აბასი. ამაზე შორს ერაყს რაკეტის გასროლის საშუალება უბრალოდ არ შეეძლო. მართალია, არსებობდა 2002 წელს გამოქვეყნებული ბრიტანული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ერაყს ჰქონდა აკრძალული სარაკეტო სისტემა და იგი ავითარებდა დიდი რადიუსის მქონე რაკეტებს ბომბების ჩამოსაყრელად (British Government Briefing Papers on Iraq 2002:18), მაგრამ გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან საუბრისას სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ მოხსენება მოამზადა დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოყენებით, რაზე დაყრდნობითაც გამოჰქონდა აშშ-ს ხელისუფლებას არასწორი დასკვნები. ამავე დროს, როდესაც ჰუსეინი მიხვდა, რომ ამერიკელებთან ომი გარდაუვალი იქნებოდა, კვლავ დაუშვა ინსპექტორები ერაყში, რათა ომი აცილებინა თავიდან (Hussein Interview Session 24 2004:3).

სადამ ჰუსეინი სწორედ აგენტ ჯორჯ პიროსთან საუბრისას მიხვდა, რომ თურმე შეცდომა დაუშვა, როდესაც გაანადგურა მასობრივი განადგურების იარაღი გაეროს ინსპექტორების გარეშე. მისი აზრით, გაეროს ინსპექტორების შემოსვლა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული – დაბინავება, მოგზაურობა და სხვა დანახარჯები მისი გადასახდელი იქნებოდა. ამიტომ მათი დალოდება გადაიფიქრა და, ზარალის თავიდან აცილების მიზნით, თავად გაანადგურა იარაღი. ფედერალური გამოძიების ბი-

უროს მიერ დაკითხვისას სადამმა განაცხადა, რომ იარაღი არ გადაუმალავს, არამედ გაანადგურა იგი. გაეროს ინსპექტორებმა მოითხოვეს ამ ფაქტის ამსახველი დოკუმენტების წარდგენა და მრავალი ადგილიდან აიღეს ნიმუშები შესამოწმებლად (**Hussein Interview Session 4 2004**). როგორც ჩანს, სადამ ჰუსეინი ამ შემთხვევაში მართლაც არ ტყუოდა და ნამდვილად გაანადგურა თავისი იარაღის, როგორც მინიმუმ, ნაწილი, მაგრამ უბრალოდ დაუჯერებელია, რომ მან ეს გაეროს ინსპექტორების გარეშე მხოლოდ ხარჯების შესამცირებლად გააკეთა.

ერაყის ლიდერი არ ელოდა ამერიკის თავდასხმას 1990 წელს, მაგრამ გრძნობდა, რომ მტრული დამოკიდებულება გაიზარდა მანამდე, ვიდრე იგი ქუვეითს დაესხმოდა თავს. მან დაკითხვისას ფედერალური გამომძიების ბიუროს აგენტს ჰკითხა: „*მე გეკითხები როგორც ამერიკელს, როდის შეწყვიტა ამერიკამ ერაყში მარცვლეულის შეტანა? ...როდის შეუთანხმდა ამერიკა ევროპულ ქვეყნებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ერაყისათვის ტექნოლოგიური აღჭურვილობით ვაჭრობაზე?*“ ამაზე პიროსგან პასუხად მან მიიღო: „1989-ში“. სადამს სჯეროდა, რომ ამერიკას კარგა ხნით ადრე ჰქონდა დაგეგმილი ერაყის განადგურება (**Hussein Interview Session 4 2004**).

ძნელი სათქმელია, რატომ თვლიდა ამერიკა ერაყს „*კარს მომდგარ მტრად*“, მაშინ როდესაც ამის არანაირი რეალური საბაზი არ ჰქონდა (ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდში). უბრალოდ, ახალი საუკუნის დამდეგს ამერიკას არ სურდა დაერღვია ძალთა ბალანსი ახლო აღმოსავლეთში და ყოველგვარ საბაზს ეძებდა, რათა ასე თუ ისე შეენარჩუნებინა და გაემყარებინა პოზიცია. ამერიკის ყველა ნაბიჯი სწორედ ამისკენ მიუთითებს. საბაზის ძებნა კი ბუშის ადმინისტრაციას დიდ ხანს არ დასჭირვებია (თუმცა ესეც საკითხავია, რამდენად რეალური იყო იგი).

დაგლას ფეისი იხსენებს 2001 წლის 11 სექტემბერს. ბუშმა ტელევიზიის საშუალებით გააკეთა განცხადება „*არ მოვითმენთ ტერორიზმს ჩვენი ერის წინააღმდეგ*“ (“Terrorism against our nation will not stand”). ფრაზამ გამაოცა. ეს დასტურზე მეტი იყო, რომ ნიუ იორკში რაღაც ცუდი მოხდა.⁸ პრეზიდენტის სიტყვები მამამისის

⁸ უნდა ითქვას, რომ დაგლას ფეისის ნაშრომის ამ ნაწილში გარკვეულ უცნაურობას აქვს ადგილი. პრეზიდენტმა ბუშმა ზემოაღნიშნული სატელევიზიო გამოსვლა მას შემდეგ გააკეთა, რაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორივე შენობა ტერორისტებმა გაანადგურეს, მოხდა თავდასხმა პენტაგონის შენობა-

განცხადების ექო იყო, რომელიც მან გააკეთა სადამ ჰუსეინის მიერ ქუვეითში შეჭრის შემდეგ 1990 წელს. მაშინ ერი სპარსეთის ყურეში ომის ფაქტის წინაშე დადგა. არა მგონია, ამ სიტყვების შერჩევა დამთხვევა ყოფილიყო. პირველი პრეზიდენტი ბუში გაურბოდა კატეგორიულ განცხადებებს, მოქნილობის შესანარჩუნებლად და საფუძვლიანი პრინციპების თავიდან ასაცილებლად. ამიტომ მისი შეუფერებელი განცხადება, რომ „*ქუვეითის წინააღმდეგ აგრესიის მოთმენა არ შეიძლება*“ (“*this will not stand, this aggression against Kuwait*”), იყო არადადამახასიათებლად გამბედავი და ამიტომ დასამახსოვრებელი. როდესაც გავიგონე, რომ მისი შვილი იგივე სიტყვებს იყენებდა, კრაუფს⁹ ვუთხარი: „*როგორც ჩანს, პრეზიდენტი ომისთვის ემზადება*“. ...*პრეზიდენტის სიტყვები სტრატეგიულ სახელმძღვანელოდ მივიღე*“ (Feith 2008a:3).

§3. პრეზიდენტი ჯორჯ უოკერ ბუში და ერაყი

ჯორჯ უოკერ ბუში ამერიკის 43-ე პრეზიდენტი იყო. მან თეთრი სახლის ოფისი დაიკავა 2001 წლის 20 იანვარს მეტად საკამათო არჩევნების დასრულების შემდეგ, როდესაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფლორიდის შტატის შედეგების ხელახალი გადათვლა შეჩერდა და, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „პოპულარული ხმებით“ ჯორჯ ბუშმა ელ გორთან თითქმის ნახევარი მილიონი ხმით წააგო, მან გაიმარჯვა არჩევნებში, რადგანაც მიიღო ელექტორთა 271 ხმა (გორმა 266 ელექტორის ხმა მიიღო). იგი გახდა მეოთხე პრეზიდენტი ამერიკის ისტორიაში, რომელმაც ვერ დააგროვა ხალხის ხმების უმრავლესობა.¹⁰ არსებობდა მოსაზრება, რომ არჩევნების შედეგიდან გამომდინარე ბუში ერთგვარ დათმობებზე წავიდოდა დემოკრატთა სა-

ზე და იყო კიდევ ერთი სამგზავრო თვითმფრინავის სამთავრობო ობიექტზე ჩამოგდების მცდელობა. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია მთელ მსოფლიოში უსწრაფესად გავრცელდა და როდესაც ფეისი წერს, რომ „ნიუ იორკში რაღაც ცუდი მოხდა“, მისი მხრიდან ადგილი აქვს, მსუბუქად რომ ვთქვათ, არაადეკვატურ მიდგომას. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის სიტყვაში აქცენტები აშკარად სწორად იყო დასმული – შ.კ.

⁹ ჯგვ დაიერ კრაუჩ II იმ დროს იყო თავდაცვის მდივნის თანაშემწე – შ.კ.

¹⁰ ჯორჯ ბუშამდე ასეთი პრეზიდენტები იყვნენ ჯონ ქუინსი ადამსი (1825-1829), რაზერფორდ ჰეისი (1877-1881) და ბენჯამინ ჰარისონი (1889-1893).

სარგებლოდ კონგრესში. მაგრამ ბუმბაც და ჩეინიმაც უკუაგდეს ეს მოსაზრება. ჩეინიმ განაცხადა: „ეს უბრალოდ მიუღებელი წინადადება იყო“ (Hayes 2007:309).

მოვიდა რა ქვეყნის სათავეში, ჯორჯ ბუში პირველი რვა თვე ნაკლებად იყო კონცენტრირებული საგარეო პოლიტიკაზე და მეტწილად ორიენტირებას ახდენდა საშინაო პრობლემებზე. მისი საარჩევნო პლატფორმა ერთგვარად წარმოადგენდა „მოკრძალებულ“ საგარეოპოლიტიკურ კურსს, თუმცა მასაც გააჩნდა საკუთარი მოსაზრება. პირველ რიგში, პრეზიდენტს სურდა „გაურკვეველი სამხედრო მისიების“ დასრულება. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას იგი აცხადებდა, რომ ამერიკას უნდა შეეწყვიტა სახელმწიფოების ამერიკულ ყაიდაზე მოჭრა მსოფლიო მასშტაბით. ამ კურსს იგი არ ეთანხმებოდა და, მით უმეტეს, არ ამართლებდა ამერიკელი სამხედროების გამოყენებას (Bush 1999a). ბუმს არ სურდა ამერიკელი სამხედროების დაუძღვრება ღია სამხედრო ოპერაციებით, როგორც ბოსნიასა და კოსოვოში იყო (Bush 1999c). კლინტონისეული საგარეო პოლიტიკა ბუმისათვის კურსს იყო აცდენილი.

მისი მეორე მოსაზრება ამერიკას უფრო წინ წასწევდა ერთსულოვნების საკითხში. მისი მიზანი იყო ამერიკის საშინაო თავდაცვის გაძლიერება ეროვნული სარაკეტო თავდაცვითი სისტემის შექმნით. არჩევნების წინ იგი აცხადებდა, რომ არ იქნებოდა შეზღუდული იმ გადაწყვეტილებებითა და შეთანხმებებით, რომლებიც არარელევანტურ გარემოებებსა და დროში შეიქნა. ამ შემთხვევაში იგი გულისხმობდა 1972 წლის ანტიბალისტიკური რაკეტების შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის, რომელიც აღნიშნული ტიპის რაკეტების შემცირებას ითვალისწინებდა. ბუში ფიქრობდა, რომ ეს შეთანხმება ნაკლებ რელევანტური იყო XXI საუკუნის ამერიკის გამოწვევებისათვის (Daalder & Lindsay 2003:109). მას არც კლინტონის ადმინისტრაციის დროს ხელმოწერილი „ყოველსმომცველი ბირთვული ტესტირების აკრძალვის შეთანხმება“ გამოპარვია მხედველობიდან. მისი თქმით, ეს შეთანხმება „მხოლოდ სიტყვებსა და ფუჭ იმედებს იძლეოდა ყოველგვარი გარანტიის გარეშე“ (Bush 1999a).

პრეზიდენტს მესამე საკითხად სურდა სამხედრო რეფორმების ჩატარება. წინასაარჩევნო კამპანიის დროს იგი იძახდა, რომ სურდა XXI საუკუნის სტანდარტებთან შესაბამისი სწრაფი და მანევრირებადი არმია. ნებისმიერ მომენტში ჯარი მზად უნდა ყოფილიყო თავდაცვისათვის ბალისტიკური და საზღვაო რაკეტებისა და მასობრივი

განადგურების იარაღის წინააღმდეგ. მას ასევე სურდა სამხედრო სტრუქტურების რეფორმირებაც. იგივე აზრზე იდგა **დონალდ რამსფელდიც (Bush 1999c)**.

ბუშის ადმინისტრაციაში ბევრს ეგონა, რომ კლინტონის პრეზიდენტობისას საერთაშორისო შეთანხმებებს არავინ განიხილავდა ქვეყნის ინტერესების მისაღწევ საშუალებად. კონდოლიზა რაისი ამ პერიოდის შეთანხმებებს უწოდებს „საეჭვო ღირებულების მქონე სიმბოლურ შეთანხმებებს“ **(Rice 2000)**. ბუშმა და მისმა მიმდევრებმა უარყვეს კლინტონის ადმინისტრაციაში პოპულარული შეხედულება, რომ ფურცელზე კარგი სიტყვების დაწერით შესაძლებელი იყო საერთაშორისო ნორმების ჩამოყალიბება, რომელიც გავლენას იქონიებდა ქვეყნების ქცევაზე **(Daalder & Lindsay 2003:45)**.

პირველი სერიოზული ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში გახლდათ ანტიბალისტიკური რაკეტების შეთანხმებიდან გამოსვლა. 2001 წლის 13 დეკემბერს, დოკუმენტის მიერ გათვალისწინებული წესის თანახმად, აშშ-ს ხელმძღვანელობამ ექვსი თვით ადრე გამოაცხადა ამის შესახებ. **დაგლას ფეისმა** აღნიშნა, რომ 9/11-ის ტერაქტამდე მთავარი ფოკუსირება ხდებოდა „*რუსეთსა და ამერიკას შორის ახალ სტრატეგიულ პოლიტიკაზე*“ და **ანტიბალისტიკური რაკეტების შეთანხმების** მშვიდობიან ანულირებაზე **(Feith 2008a:44-45)**. ბუშის ადმინისტრაციამ გააგრძელა კლინტონისეული კურსი და არ გააგზავნა კიოტოს შეთანხმება სენატში რატიფიცირებისათვის. 2002 წლის 6 მაისს მათ სენატიდან გამოიხმეს შეთანხმება საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს დაფუძნების შესახებ **(Bradley 2002)**. თავის დროზე, კლინტონმა ამ დოკუმენტს ხელი კი მოაწერა, მაგრამ ურჩია მომავალ პრეზიდენტს, არ გადაეგზავნა იგი სენატისათვის, სანამ ამერიკის ფუნდამენტური მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა. აშშ-ს ხელმძღვანელობას სურდა, რომ საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოს არ შეძლებოდა საქმის აღძვრა ამერიკელი ოფიციალური პირებისა და მოქალაქეების მიმართ. კლინტონის ადმინისტრაციის მსგავსად, ბუშის ადმინისტრაციაც მიხვდა, რომ დოკუმენტს შესაძლოა მოეხდინა პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო ძეგლის ინიცირება ამერიკელი სამხედროების მიმართ **(Daalder & Lindsay 2003:63-65)**.

ბუშის ადმინისტრაციის ინიციატივით, ამერიკამ დატოვა ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებები იმ მიზეზით, რომ კლინტონმა ზედმეტი ინტერესი და

ინიციატივა გამოიჩინა იმ საქმის მიმართ, რომლის მოგვარებაც ჩართულ მხარეებს არ სურდა. პრეზიდენტის კაბინეტის დაკავებიდან სამი თვის მერეც კი არ არჩეულა ახლო აღმოსავლეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. სახელმწიფო მდივანმა პაუელმა აღნიშნა: „*ბოლოსდაბოლოს, ჩვენ უფრო მონდომებულები ვერ ვიქნებით მშვიდობის დასამყარებლად, ვიდრე თვითონ დაპირისპირებული მხარეები*“ (Daalder & Lindsay 2003:66). თუმცა სიტუაციის გამწვავების შემდეგ, 2001 წლის ივნისში ბუშმა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი **ჯორჯ ტენეტი** და შეზღუდული უფლებების მქონე დესპანი **დენის როსი** გააგზავნა ახლო აღმოსავლეთში. მან ასევე გააუქმა რეგიონში სპეციალური დესპანის პოსტიც (Daalder & Lindsay 2003:66).

ყველა ნაბიჯი, რაც პრეზიდენტობის დასაწყისში გადაიდგა, აშკარად მიუთითებდა ამერიკის შეერთებული შტატების სურვილზე, მინიმუმამდე დაეყვანა აქტიურობა საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე და საშინაო პრობლემატიკაზე მოეხდინა ფოკუსირება. მაგრამ ეს ხდებოდა 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტამდე. 11 სექტემბრის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და აშშ-ს ხელისუფლების ძირითადი ყურადღება მთლიანად დაეთმო ახლო აღმოსავლეთს, მის პრობლემატიკასა და საგარეო პოლიტიკის იმგვარად წარმართვას, რაც სასარგებლო იქნებოდა ამერიკისათვის.

ერაყში შეჭრის გადაწყვეტილებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა. საფრთხის მიმართ ტოლერანტობა და რისკის შეფასება შეიცვალა ტერაქტის შემდეგ. ტერორიზმის გადაფასება მოხდა ჩვეულებრივი კრიმინალური აქტიდან საომარ მოქმედებამდე. როდესაც პრეზიდენტმა 2001 წლის 11 სექტემბრის საღამოს ტელევიზიით მიმართა ამერიკელ ხალხს, მან ისაუბრა ომზე ტერორიზმის წინააღმდეგ. გამოიკვეთა ძირეული ცვლილება ამერიკის პოლიტიკაში. ვულფოვიცმა შემდგომში აღნიშნა, რომ ამერიკის მიმართ ტერორისტული საფრთხე არ შეიცვლებოდა, „*თუ რამდენიმე კრიმინალს მოუვლიდნენ*“ (Wolfowitz 2001).

აშშ-ს თავდაცვის მინისტრი **დონალდ რამსფელდი** იყო პირველი, ვინც 2001 წლის 11 სექტემბერს სადამ ჰუსეინზე თავდასხმის იდეა წამოაყენა. მომდევნო დღეს, როდესაც ბუშის სამხედრო კაბინეტი შეიკრიბა, რამსფელდმა კვლავ წამოსწია შესაძლებლობის გამოყენებისა და ერაყზე თავდასხმის საკითხი (Woodward 2004a:25). ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრებაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა **კოლინ**

პაუელმა განაცხადა, რომ ნებისმიერი მოქმედება ხალხისაგან მხარდაჭერას საჭიროებდა და ერაყზე თავდასხმა, სანამ ალ-კაიდა არ იქნებოდა დამარცხებული, ვერ იქნებოდა პოპულარული ვერც ხალხში და ვერც საერთაშორისო საზოგადოებაში (**Woodward 2002:49**). 13 სექტემბერს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მორიგ სხდომაზე უკვე პრეზიდენტმა დაიწყო ერაყზე თავდასხმისა და მისი ტერაქტთან შესაძლო კავშირის შესახებ საუბარი. ამ სხდომაზე საუბრობდნენ, რომ ერაყი კარგა ხნით ადრე განიხილებოდა საფრთხედ. ჰუსეინის რეჟიმმა მოახერხა ინსპექტირებისათვის ხელის შეშლა და უკვე კარგა ხნის მანძილზე ცეცხლს უხსნიდა ამერიკისა და ბრიტანეთის თვითმფრინავებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებში (**Feith 2008a:14**). აქვე პრეზიდენტმა დაამატა, რომ ნებისმიერ სამხედრო ინტერვენციას ერაყში უნდა მოეხდინა რეჟიმის ცვლილება (**Feith 2008a:15**). 13 სექტემბერს რამსფელდმა მოამზადა წერილი, რომელიც ცნობილია „ფიფქის“ სახელით, რომ ერაყის ირგვლივ არსებული სამხედრო გეგმა გადაემუშავებინათ და მოემზადებინათ სამხრეთ ნავთობის ველების დაკავების სტრატეგია. მისი იდეა იყო მსოფლიოსთვის ჩვენება, რომ ამერიკაზე თავდასხმას სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა და ტერორისტულ დაჯგუფებებთან კავშირი ფატალური შეიძლება გამხდარიყო (**Gordon & Trainor 2007:21-22**). რამსფელდი ერაყს ადანაშაულებდა ტერორიზმთან კავშირსა და მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაში. მისი აზრით, ჰუსეინს შეეძლო, მიეცა ეს იარაღი ტერორისტებისათვის და ისინი ამას ამერიკის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. ერაყზე სერიოზული ზიანის მიყენებით კი დააფიქრებდნენ იმ ქვეყნებს, რომლებიც ტერორიზმს ეხმარებოდნენ (**Feith 2008a:15**).

თავდაცვის მდივანს ერთგვარ ოპოზიციაში ედგა სახელმწიფო მდივანი **კოლინ პაუელი**. აღსანიშნავია, პაუელი პირადად არასდროს დაახლოებია პრეზიდენტს და ადმინისტრაციაში ბევრი მას გარეშე პირად აღიქვამდა (**Woodward 2001**). ამის გამო პაუელი და მისი ჯგუფი ერთგვარად ჩამოიშორეს გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. „*სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს ყოველთვის ჰქონდათ გრძნობა, რომ გადაწყვეტილებას სადღაც სხვაგან იღებდნენ, იქ, სადაც ჩვენ არ ვიყავით მიწვეულები,*“ – აცხადებს ერთ-ერთი წარმომადგენელი (**DeYoung 2006:335**). ადრეულ ინტერვიუებში პაუელი აცხადებს, რომ ტერაქტამდე მრავალ ბრძოლას

აგებდა და თავის ხალხს სახელმწიფო დეპარტამენტში უთხრა, რომ დაეზოგათ ძალე-
ბი მომავლისათვის. თუმცა 2001 წლის ადრეულ სექტემბერში პაუელზე სერიოზული
დარტყმა მიიტანეს სტატიების სერიებით, სადაც ადმინისტრაციის ოფიციალური
პირებისაგან არაოფიციალურად მიღებული ინფორმაცია იბეჭდებოდა (**Moore 2001;**
Mcgeary 2001). პაუელი მიხვდა, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლას აგებდა ჩეინისა
და რამსფელდთან. მან თქვა: „*ფაქტი ისაა, რომ ეს მძიმე დრო იყო*“ (**DeYoung**
2006:337). მიუხედავად ამისა, ერთ მომენტში მან თითქოს წარმატებას მიაღწია. ტომას
რიკსს თავის წიგნში მოჰყავს ერთ-ერთი ნეოკონსერვატორის პატრიკ კლოუსონის ცი-
ტატა, რომელიც 9/11-მდეა გაკეთებული: „*მათ ვისაც ომი უნდოდა, წააგეს და გონივ-
რული სანქციების მომხრეებმა გაიმარჯვეს*“ (**Ricks 2006:28**). მაგრამ ტერაქტამდე
კოლინ პაუელის გავლენა მცირდებოდა და შესაბამისად არც სანქციების მომხრეების
ჯგუფი იყო ძლიერი, ვინაიდან გონივრულმა სანქციებმა არ გაამართლა რუსეთის ვე-
ტოს მზარდი შიშის გამო (**Traynor 2001**). ბუშმა ვერანაირად ვერ გაზარდა თავისი პო-
ლიტიკური კაპიტალი გონივრული სანქციებით. პაუელი კვლავ სანქციებისა და ერა-
ყის შეკავების გეგმას უწევდა ადვოკატირებას, მაგრამ ბუში აღარ უჭერდა მას მხარს.
2001 წლის 9 თებერვალს პაუელი იძულებული გახდა, დათანხმებოდა და განაცხადა:
„*მე კონცეტრაციას მოვახდენ გაეროს პოლიტიკაზე...*“ (**Powell 2009**).

გაეროსადმი რწმენის ნაკლებობა ერთგვარად კვებავდა კიდევ ამერიკელების
ცალმხრივ ჩართულობას. რიჩარდ ჩეინი ფიქრობდა, რომ პრეზიდენტს გაეროსათვის
ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაზე უნდა განეცხადებინა: „*ჩვენ კი არა, ეს თქვენ
არა ხართ მნიშვნელოვანი*“ (**Woodward 2004a: Chapter 15**). ამის მიუხედავად ბუშის
ადმინისტრაცია მაინც ფრთხილობდა ერაყის წინააღმდეგ მარტო გალაშქრებას. მათი
მიზანი იყო პრემიერ ტონი ბლერის მხარდაჭერა, რათა გაეროს უშიშროების საბჭოს
რეზოლუცია მიეღოთ. **სტივენ ჰედლი**, აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული
უსაფრთხოების საკითხებში, დარდობდა იმაზე, რასაც მოიხსენიებს როგორც საკით-
ხის „*იმპერიულ გადაწყვეტას*“ (**Woodward 2004a: chapter 28**).

ერაყზე თავდასხმის შესაძლებლობა კვლავ დადგა დღის წესრიგში 2001 წლის 15-
16 სექტემბერს **კემპ დევიდში** შეხვედრისას. მიუხედავად იმისა, რომ რამსფელდმა
კვლავ ერაყზე სცადა ყურადღების გამახვილება, პრეზიდენტმა მაინც ავღანეთზე

შეჩერება არჩია (Feith 2008a:52). პოლ ვულფოვიცი რამდენიმე დღით ადრე პრეს-ბრიფინგზე აცხადებდა, რომ ომი ტერორის მიმართ არა ერთჯერადი ქმედება, არამედ დიდი კამპანიის ნაწილი იქნებოდა. ახალი პოლიტიკის მიხედვით ტერორიზმის დამხმარე რეჟიმების წინააღმდეგ მოქმედება უნდა დაწყებულიყო. ვულფოვიცის თქმით, მთავარი მიზანი გახლდათ, შეენარჩუნებინათ მაქსიმალურად გრძელვადიანი კამპანია (Wolfowitz 2001).

პრეზიდენტმა ბუშმა **ბობ ვუდუორდს** განუცხადა, რომ მიზანი იყო „ტერორიზმი აღმოეფხვრათ ყველგან, სადაც იგი არსებობდა, რამდენი ხანიც არ უნდა დასჭირვებოდა ამას“ (Woodward 2002:63). ბუშის ახალი დოქტრინა მეტად ეფექტური იყო. ეს გახლდათ ომი, რომელიც მრავალ ფრონტზე უნდა წარმართულიყო: დაზვერვა, ფინანსები, დიპლომატია და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო მოქმედებებიც (Woodward 2002:63). ნოემბრის ბოლოდან უკვე თავად ბუში ამახვილებდა ყურადღებას ერაყზე და რამსფელდს არაერთხელ სთხოვა არსებული გეგმების წარდგენა და ახლების შემუშავება. ამკარაა, რომ ბუშს სურდა ერაყის მიმართ საკუთარი პოლიტიკის შემუშავება იმ საფრთხის გათვალისწინებით, რასაც ტერორიზმის დამხმარე ქვეყნები წარმოადგენდნენ (Feith 2008a:219).

მალევე პენტაგონში იქმნება სადაზვერვო დანაყოფი, რომელსაც ფეისი ხელმძღვანელობს. მათი მიზანი იყო აღმოეჩინათ ერაყის კავშირი 9/11-ის ტერორისტულ აქტთან. 29 სექტემბერს რამსფელდმა სთხოვა გენერალ მაიერსს, შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელს, მოემზადებინა ერაყის წინააღმდეგ სამომარო გეგმა. ცენტრალური მმართველობის მიერ მოთხოვნილი გეგმა ორი საფეხურისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი: 1. მასობრივი განადგურების იარაღის მოძიება და განადგურება; 2. რეჟიმის ცვლილება რამდენიმე თვეში არა უმეტეს 250 000 სამხედროს გამოყენებით. 2003 წლის 24 იანვარს გენერალმა ფრენკსმა წარმოადგინა ერაყში შეჭრის გეგმის საბოლოო ვერსია – **ჰიბრიდული გეგმა (Compartment planning effort 2002)**.

მაიკლ გორდონისა და ბერნარდ ტრეინორის ცნობით, პენტაგონში არსებული და სპარსეთის ომისაგან მიღებული გამოცდილების ნიადაგზე შემუშავებული გეგმები გვერდზე გადადეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმატებული იყო. რამს-

ფელდს თავიდან საკუთარი ტრანსფორმაციული პოლიტიკის გათვალისწინებით სურდა გეგმის მოფიქრება (**Gordon & Trainor 2007:219**).

პრეზიდენტი მაქსიმალურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში. 2002 წლის გაზაფხულზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრ ტონი ბლერთან შეხვედრის შემდეგ იგი ღიად აცხადებდა ერაყში რეჟიმის ცვლილების მიზნებზე: *„მე ავუხსენი პრემიერ მინისტრს, რომ ჩემი მთავრობის პოლიტიკური მიზანია მოიშოროს სადამის რეჟიმი“* (**Bush 2002b; Woodward 2002:330**). 2002 წლის 26 მაისს საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან პრესკონფერენციისას მან განაცხადა: *„ჩემი მთავრობის გაცხადებული პოლიტიკა არის რეჟიმის ცვლილება. როგორც პრეზიდენტ შირაკს განვუცხადე, ჩვენ არ განვიხილავთ საომარ გეგმებს. მე გავაგრძელებ მჭიდრო კონსულტაციებს მასთან. ჩვენ განვიხილავთ სადამ ჰუსეინს როგორც სერიოზულ, მნიშვნელოვან საფრთხეს რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის წინააღმდეგ“* (**Bush 2002b**). აგვისტოს თვეში კონდოლიზა რაისმა წარმოადგინა **„ერაყის განთავისუფლების სტრატეგია“**. ამ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ უნდა შექმნილიყო ერთიანი და დემოკრატიული ერაყი, ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი და კარგი მთავრობის ნიმუში. რამსფელდის აზრით, ეს ერაყისათვის დემოკრატიის დაპირებას ჰგავდა, ამერიკას კი არ შეეძლო მსგავსი პირობის მიცემა. მხოლოდ რეჟიმის ცვლილების დაპირება იქნებოდა შესაძლებელი. 14 აგვისტოს რაისმა, რამსფელდის კომენტარის გათვალისწინებით გადაკეთებული დოკუმენტი წარუდგინა მას. მისი სახელი გახდა: **„ერაყი: მიზნები, ამოცანები და სტრატეგია“**. მიზანი გახლდათ ერაყის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ერაყელი ხალხის განთავისუფლება ტირანიისაგან, *„მათი დახმარება ზომიერებაზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნაში“* (**Feith 2008a:288**). ფეისი წერს, რომ პოსტსადამური ერაყის მოწყობის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობდა. თუმცა რაისის იდეა მომდევნო რამდენიმე თვეში დამტკიცებულ იქნა (**Feith 2008a:289**). რამსფელდი მაინც უკმაყოფილო ჩანდა გამოყენებული ტერმინებით და ამიტომ 29 ოქტომბერს კიდევ რამდენიმე ცვლილება შევიდა დოკუმენტში. მაგალითად, *„ფართომასშტაბიანი დემოკრატიული მთავრობის შექმნის“* იდეა ჩაანაცვლა *წინადადება* – *„დროებითი ადმინისტრაციის შექმნა ერაყში, რომელიც მოამზადებს გარდამავალ პერიოდს არჩევნე-*

ბის გზით მთავრობის შექმნისათვის იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს პრაქტიკულად იქნებოდა შესაძლებელი“ (Feith 2008a:319).

2002 წლის ზაფხულში დაგლას ფეისმა პენტაგონში შექმნა „სპეციალური გეგმების განყოფილება“. მანამდე პენტაგონში მხოლოდ ორი სამოქალაქო პირი მუშაობდა ერაყის საკითხზე სრული დატვირთვით, ახალი განყოფილება კი, დამატებითი თანამშრომლებით, კონცენტრაციას ერაყზე მოახდენდა და განიხილავდა უამრავ მასალას, რაც მოკლე პერიოდში მოგროვდა. სწორედ ამ ჯგუფს დაეკისრა სადამის წინააღმდეგ სამხილების მოძიება. ამ საქმეში ისინი ძირითადად ერაყში მოქმედ ოპოზიციურ ძალებს ეყრდნობოდნენ და არა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციას (Allawi 2007:81).

პრეზიდენტი ბუში დიპლომატიასაც აქტიურად მიმართავდა. მას სურდა, სადამ ჰუსეინს დაემტკიცებინა საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რომ არ ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს და კვლავ დაეშვა გაეროს ინსპექტორები (Woodward 2004a:36). ეს მან აღნიშნა თავის მიმართვაში გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე 2002 წლის 12 სექტემბერს. ერაყი დადებითად შეხვდა მის თხოვნას და დაუშვა ინსპექტირება გაეროს 1441-ე რეზოლუციის შესაბამისად. იმავე წლის 18 დეკემბერს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრებაზე განიხილეს ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის დეკლარაცია. პაუელმა აუხსნა წევრებს, რომ გაეროს წევრები და მათ შორის გაეროს მონიტორინგის, შემოწმებისა და ინსპექტირების კომისიის თავმჯდომარე ჰანს ბლიქსი, ხედავდნენ გარკვეულ ხარვეზებს დეკლარაციაში. პრეზიდენტმა ჰკითხა პაუელს, ნიშნავდა თუ არა ეს, რომ სადამი არ თანამშრომლობდა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. შემდეგ მან დაასკვნა: „ეს სადამისათვის დასასრულის დასაწყისია“ (Feith 2008a:339).

2003 წლის 28 იანვარს თავის მიმართვაში პრეზიდენტმა ისაუბრა ერაყის მთავრობის დამოკიდებულებაზე გაეროს ინსპექტორთა მიმართ, გასაიდუმლოებულ მასობრივი განადგურების იარაღსა და სადამის რეჟიმის მიერ აფრიკაში ურანის ყიდვის მცდელობებზე (Bush 2003a). კოლინ პაუელმაც კი, რომელიც გარკვეული ხნის მანძილზე ომის წინააღმდეგი იყო, გააკეთა განცხადება, რომ „მტკიცედ სჯეროდა ერაყში რეჟიმის ცვლილების“. იქვე მან დაამატა, რომ ერაყისათვის ამერიკას „სურდა დემოკ-

რატული განვითარება, მეზობლებთან მშვიდობა და ერთა ოჯახში კვლავ დაბრუნება“ (Powell 2002). ფეისი აღნიშნავს, რომ ბუშმა ომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაერომ განაცხადა, სადამი სათანადოდ არ თანამშრომლობსო (Feith 2008a:223). 2003 წლის იანვარში კონდოლიზა რაისმა დაასკვნა, რომ ერაყი არ იყო ნდობის ღირსი, რადგან აღმოჩენილი 12 ქიმიური ბომბიდან არცერთი არ იყო ნახსენები გაეროსათვის წარსადგენ დეკლარაციაში. მან განაცხადა: „ერაყი გვიმტკიცებს, რომ იგი არის არა ქვეყანა, რომელსაც სურს განიარაღება, არამედ იგი არის სახელმწიფო, რომელსაც აქვს რაღაც დასამალი“ (Rice 2003).

ბუშს საერთოდ არ სურდა ბლიქსის ინსპექტირების გაგრძელება, რადგან ეს გაართულებდა რეგიონში სამხედროთა განთავსებას. მას არ უნდოდა, კიდევ ერთი წელი მოეცადა. პრეზიდენტი წუხდა, რომ სადამი დაიწყებდა „თამაშს ინსპექტორებთან“ (Woodward 2004b). 2003 წლისათვის ბუშმა იგრძნო, რომ ჰუსეინი უფრო თავდაჯერებული ხდებოდა. მან რაისს განუცხადა, რომ სავარაუდოდ აშშ-ს მოუწევდა საომარი მოქმედებების დაწყება (Woodward 2004b). სამხედრო გეგმები უკვე წელზე მეტია მზადდებოდა. ბუში დიპლომატიურ გადაწყვეტილებასაც ეძებდა გაეროს გამოყენებით. მაგრამ მას შემდეგ რაც 12000-გვერდიანი დოკუმენტი მომზადდა 2003 წლის 27 იანვრისათვის, თავად ჰანს ბლიქსი აცხადებდა, რომ ვერ მოიძებნა ინფორმაცია, რომელიც „მოხსნიდა ან შეამცირებდა არსებულ კითხვებს“ ერაყის მიმართ (Feith 2008a:352). ამის შემდეგ ამერიკას არ ჰქონდა მოთმინება, კვლავ დაეცადა გაეროს ინსპექტორებისათვის. ომის წამზომი ჩაირთო.

თუკი მოვლენათა ამ მსვლელობას მივყვებით, ნათელი ხდება, რომ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, მიუხედავად იმისა, რომ, თავისივე აღიარებით, საგარეო პოლიტიკაში დიდად ვერ ერკვეოდა (Woodward 2006:3), აქტიურად არის ჩაბმული ძირეული გადაწყვეტილებების მიღებაში. ზემოთ მოყვანილ დოკუმენტურ წყაროებსა და გამოკვლევებში წინა პლანზეა წარმოჩენილი მისი ლიდერული და კრიტიკულ მომენტში სწორად მოქმედების თვისებები და თითქოს დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ის მხოლოდ ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომელთა თანახმადაც პრეზიდენტი თავისით თითქმის არაფერს არ წყვეტდა და ძირითადად ძლევამოსილი პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ იყო მოქცე-

ული. ისინი აქცენტს აკეთებენ პრეზიდენტის მრჩევლებსა და ისეთ ტრაგიკულ მოვლენებზე, როგორცაა, მაგალითად, 11 სექტემბრის ტერაქტი. არაერთგზის შევხვდებით უმცროსი ბუშის შეფასებას, სადაც საუბარია მისი ძალაუფლების სიმცირეზე და აღნიშნულია, რომ ის ფსიქოლოგიური პათოსითა და არაკომპეტენტურობით მოქმედებდა (**Packer 2005: Chapter 2; Galbraith 2006: Chapter 5; Ferguson 2007**).

ერთი შეხედვით, ეს თითქოს არ უნდა იყოს სად აზრს მოკლებული (პირველი პრეზიდენტობისას ბუში გამოუცდელი იყო საგარეო პოლიტიკაში და ე.წ. „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები დანიშნა პოსტებზე), მაგრამ ომის წამოწყებას მხოლოდ მისი მრჩევლების ზეგავლენას ან ფსიქოლოგიურ სისუსტეს ვერ მივაწერთ. ჩვენი აზრით, უმცროსი ბუში სულაც არ იყო მართული პრეზიდენტი და სავსებით დამოუკიდებელი ფიგურა იყო. ჯერ კიდევ მამამისის საპრეზიდენტო კამპანიაში მუშაობის პირადად გამოცდილებამ ჩამოუყალიბა არჩევნების მოგების საკუთარი სტრატეგია. უმცროსი ბუში თანამშრომლობდა ისეთ პოლიტიკოსებთან, როგორებიც არიან **კარლ როუჯი და ლი ეტუოტერი**. 1978 წელს კონგრესის არჩევნების წაგება და 1992 წელს მამამისის მარცხი საპრეზიდენტო არჩევნებში იყო მისი კარიერის განმსაზღვრელი მომენტები. ბუშმა ფიცი დადო, რომ გაითვალისწინებდა იმ შეცდომებს, რაც კამპანიების დროს იქნა დაშვებული, რათა არასდროს წაეგო არჩევნები. მისი აზრით, მარცხის მიზეზი ის იყო, რომ მამამისს და მას არ აღიქვამდნენ რესპუბლიკური პარტიის კონსერვატორული ფრთის ლიდერებად (**Bush 2010: chapter 2**). მისთვის წარმატებული პრეზიდენტის მაგალითი იყო რეიგანი, იგი წარმოადგენდა ქვეყნის ძლიერ სახეს. მან შეამცირა გადასახადები და ააგო ეროვნული უსაფრთხოება. ბუშმა შეითვისა ძლიერი პერსონის ამპლუა და ეამაყებოდა ძნელი გადაწყვეტილებების სწრაფად და ყოყმანის გარეშე მიღება. ერთხელ სენატორმა ჯონ მაკკეინმა აღნიშნა კიდევ **ბრენტ სკროუპ-როფტთან** საუბარში, რომ ბუშმა მას უთხრა, თუ რამდენად ესწრაფოდა ის რეიგანისეულ, და არა მამამისის მსგავს, პრეზიდენტობას (**Woodward 2006:419**). პრეზიდენტს მიაჩნდა, რომ ამერიკას განსაკუთრებული პოზიცია ეკავა მსოფლიო ლიდერობისათვის, რათა მას კაცობრიობის საკეთილდღეოდ ემეთაურა და ემოქმედა (**Woodward 2002:341**). ჯერვისი აღნიშნავს, რომ რეიგანამდე არცერთ ადმინისტრაციას არ შეუწირავს სტაბილურობა დემოკრატიის სასარგებლოდ. ამის გათვალისწინებით ბუშის

ადმინისტრაცია აშკარად ჰგავს რონალდ რეიგანისას (Jervis 2003).

მამამისისაგან განსხვავებით, ჯორჯ ბუშს ჰქონდა ხედვა. ჯერ კიდევ თეთრ სახლში შესვლამდე მან ჩამოაყალიბა საკუთარი საგარეო პოლიტიკის ასპექტები. მისი დასკვნით, ამერიკის შეერთებულ შტატებს „*ჰქონდა დიდებული მიზანი: ამ პერიოდის ამერიკის გავლენა ექცია დემოკრატიული მშვიდობის თაობებად*“ (Bush 1999a). პრეზიდენტს მშვიდობის გავრცელების კურსი ჰქონდა აღებული, როგორც ამას აღნიშნავს ხოლმე 1999 წელს. მას ამერიკის გლობალური ლიდერობის გამოყენება სურდა „*მშვიდობის გასაგრძელებლად*“ (Bush 1999a).

გადაწყვეტილების მიმღების როლი ითვალისწინებდა, რომ პრეზიდენტს წინასწარ ჰქონოდა განზრახული სამხედრო ძალის გამოყენება საგარეო პოლიტიკაში არა უკანასკნელი ზომის სახით, არამედ როგორც თავისი ძლიერი ხასიათის დამტკიცების შესაძლებლობა. მან შემოიკრიბა საგარეო პოლიტიკის ისეთი „ქორები“ – რამსფელდისა და ჩეინის სახით, რომლებსაც უკვე აშშ-ს პირველობისათვის ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. 1992 წელს თავდაცვის მდივანი ჩეინი მუშაობდა მოხსენებაზე „*თავდაცვის პოლიტიკის სახელმძღვანელო*“ (Defence Policy Guidance). დოკუმენტმა გაჟონა „ნიუ იორკ თაიმსში“ 1992 წლის 7 მარტს (Tyler 1992). ამ რადიკალურმა გეგმამ პოლიტიკური ქარ-ცეცხლი დაატრიალა, რადგან იგი პლანეტის ყველა სტრატეგიულ წერტილში ამერიკის სამხედრო უპირატესობას მოითხოვდა: „*აშშ-ს სტრატეგია მოითხოვს, აღიკვეთოს ყველა მტრული ძალის დომინირება რეგიონში, რომლის რესურსებიც საკმარისი იქნება გლობალური ძალის წარმოსაქმნელად. ეს რეგიონები მოიცავს დასავლეთ ევროპას, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიას*“ (1992 Draft).

ბუშმა ჩეინი შეარჩია მისი ქორისებური რეპუტაციის, ბუშების ოჯახისადმი ერთგულებისა და მიმდინარე პოლიტიკაში მისი ეფექტურობის გამო. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისთვის. ვიცეპრეზიდენტობის სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით, მას არ ჰქონდა ამომრჩევლის ხმის მოტანის საშუალება. კარლ როუვი, ბუშის მთავარი სტრატეგოსი, სწორედ ამის გამო იწუნებდა ჩეინის. თან ბევრი ჩათვლიდა, რომ იგი მამა ბუშის ადმინისტრაციიდან უბრალოდ გადმოიყვანეს (Bush 2010:70). პრეზიდენტმა იმის გამო შეაჩერა არჩევანი ჩეინიზე, რომ შესძლებოდა სა-

სურველი სტრატეგიის განხორციელება. ბუმს სურდა სწორედ ქორისებური პოლიტიკა და დიკ ჩეინიზე უკეთეს ვიცეპრეზიდენტს ვერც ინატრებდა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მასშტაბებმა და ბუნებამ ამერიკის აზროვნებაში პარადიგმული ცვლილება გამოიწვია. ახალი მიდგომა გახდა საჭირო. ამისათვის კი გზავნილის დროულად მიწოდება უნდა მომხდარიყო, რათა აღედგინათ ამერიკის სიძლიერე საერთაშორისო სისტემაში და შეენარჩუნებინათ იგი, როგორც XXI საუკუნის სუპერძალა. პატრიოტიზმის გამძაფრებული შეგრძნებით ამერიკელი ხალხი ვერ და არ მიიღებდა რბილ პასუხს ამ ტერაქტზე. ჩეინი და რამსფელდი მიხვდნენ, რომ ამერიკის ერთიანობის მრავალი იდეა სწორედ ნეოკონსერვატორთა ფილოსოფიას ემთხვეოდა და ამიტომ უწევდნენ პოპულარიზაციას მათ მისწრაფებებს (**Halper & Clark 2004:14**).

ბუმის აზრით, პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება შეიძლებოდა არჩევნების მოგებით ან მნიშვნელოვანი გამარჯვების მიღწევით, შემდეგ კი შეიძლებოდა მაღალი რეიტინგის გამოყენება პოლიტიკის არჩევნისას (**Schier 2008: Chapter 2 Public Politics**). 2004 წლის გამარჯვების შემდეგ ბუმი ძალზე გულწრფელი იყო თავის პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ. იგი ამბობდა: „*მე ჩემი... პოლიტიკური კაპიტალი დავაგროვე საპრეზიდენტო კამპანიის დროს და ახლა მის დახარჯვას ვაპირებ*“ (**Stevenson 2004**). პოლიტიკოსებს ხშირად სჩვევიათ იაფფასიანი, ყალბი საუბრები რაიმე მიზნის ირგვლივ, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიისას, მაგრამ ის, რასაც პრეზიდენტი აცხადებდა, მოითხოვდა სოლიდური თანხის, დროისა და არსებული რესურსების დახარჯვას.

2004 წლის კამპანიისას ბუმმა პირობა დადო, რომ მხარს დაუჭერდა ჰომოსექსუალთა ქორწინების კონსტიტუციურ აკრძალვას. მას ასევე უნდა წარმოედგინა სოციალური დაცვის რეფორმების კანონპროექტი. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პრეზიდენტმა გადაწყვიტა თავისი პოლიტიკური კაპიტალი დაეხარჯა სოციალური დაცვის რეფორმისათვის. მან წარადგინა სპეციალური პროექტი, მოაწყო არაერთი შეხვედრა მერიაში, რათა თავისი გეგმა განეხორციელებინა. ბუმისათვის სოციალური დაცვა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გეიქორწინებების აკრძალვა (**Kirkpatrick & Stolberg 2005**).

ერაყის ომის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ნაწილი ბუმის სახალხო გამოსვლების რიტორიკას მისი მოტივებისა და მიზნების ანარეკლად მიიჩნევს (**Mearshimer & Walt 2007:245; Desch 2008:7-43**). 2000 წლის დებატებისას ბუშმა პირობა დადო, რომ ამერიკა იქნებოდა ფრთხილი სხვა ქვეყანაში შეჭრის განხილვისას. იგი ამბობდა: „*მე მგონია, აშშ-ს როლი არაა შევარდეს რომელიმე ქვეყანაში და უთხრას – ჩვენ ამას ასე ვაკეთებთ და თქვენც ასე გააკეთეთ*“ (**Presidential Debate 2000**). მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც ოფისი დაიკავა, ეს მოკრძალებული რიტორიკა ბუშმა უმალ დაივიწყა. მსგავსი გამოსვლები პრეზიდენტს წარმატების მისაღწევად სჭირდებოდა. ოფისის დაკავებიდან რამდენიმე თვეში, ბუშმა გამოაჩინა, თუ რა იქნებოდა მისი რეალური პოლიტიკა, როდესაც მან გამოაცხადა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ცალმხრივი ცვლილება. მან არ დაუჯერა კოლინ პაუელის რჩევებს. მან უარი თქვა ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, ანტიბალისტიკური სარაკეტო სისტემისა და საერთაშორისო კრიმინალური სამართლის ხელშეკრულებებზე, კიოტოს ოქმზე¹¹ და ჩრდილოეთ კორეასთან შეთანხმებაც აღარ დაასრულა (**O’Sullivan 2009:141-149**).

მოკრძალებული რიტორიკის გამოყენება **კარლ როუჯის** გეგმის ნაწილი იყო, რათა 2000 წლის არჩევნებისათვის მეტი ხმები მოეზიდა ე.წ. „სვინგ“¹² ამომრჩევლები-საგან. არჩევნებიდან რამდენიმე დღეში **მეთ დაუდმა**, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, როუჯს გაუგზავნა ცნობა, რომ „სვინგ“ ამომრჩევლების რაოდენობა 1986 წელთან შედარებით 24% დან 2000 წელს 6%-მდე დაეცა (**Edsall 2006:52**). ამან საშუალება მისცა ბუშს, მოეშორებინა მოკრძალებული ტონი და უფრო განმარტებითი კურსი დაეჭირა. ეს კი უკვე ჰგავდა მისი რეალური პოლიტიკის მიზნებს. ბუშმა თავისი ფუნდამენტის გასამყარებლად მკვეთრად გადაუხვია მარჯვნივ.

პრეზიდენტი პატივს სცემდა ერთგულებას და სურდა მის მიერ დანიშნული ხალხი სასურველი პოლიტიკის გამტარებელი ყოფილიყო. მაგალითად, რამსფელდი 90-იან წლებში იცავდა ერაყში რეჟიმის ცვლილების პოლიტიკას. იგი ასევე მხურვა-

¹¹ კიოტოს ოქმი წარმოადგენს კლიმატის ცვლილების კონვენციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას.

¹² „სვინგ ამომრჩეველი“ არის ამომრჩეველი, რომელიც არ არის დაკავშირებული არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან და არჩევნებისას ხმას ხან დემოკრატებს აძლევს, ხან – რესპუბლიკელებს.

ლედ უჭერდა მხარს ეროვნულ სარაკეტო თავდაცვას. თუმცა რამსფელდი უფროსი ბუშის პოლიტიკური მტერიც იყო. ჯერალდ ფორდის ადმინისტრაციის დროს სწორედ მან ურჩია პრეზიდენტს, უფროსი ბუშისათვის ჩაებარებინა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობა, რათა ჩამოეშორებინა იგი ვიცეპრეზიდენტობისათვის შეჯიბრისათვის. ჯეიმს ბეიკერი, რომელიც მეგობრობდა ბუშთან და წარსულში ჯორჯ ბუშ-უფროსის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივანიც იყო, გაკვირვებას ვერ მალავდა რამსფელდის წამყვან პოსტზე დანიშვნის გამო და ეუბნებოდა უმცროს ბუშს: „იცი, [რამსფელდმა] მამაშენს რა უქნა?“ (Draper 2008:282). თუმცა რამსფელდის პოსტზე დანიშვნით ბუშმა გააგზავნა სიგნალი, რომ მას სურდა ძლიერი თავდაცვითი პოლიტიკა და მამამისის ფრთხილი მოკავშირეების ჩარევის თავიდან აცილება.

კრიტიკოსები ბუშს აღწერენ, როგორც პოლიტიკის დეტალებში ცნობისმოყვარეობის არმქონე მოთამაშეს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ინსტინქტებს ეყრდნობოდა (McClellan 2008:261). მართლაც, იმპულსური გადაწყვეტილებები მრავლად იყო ბუშის კარიერაში. ამავე დროს, მას შეეძლო აგრესიული არჩევნის გაკეთება. მაგალითისთვის, სწორედ მან ურჩია მამამისს კამპანიაში გამოეყენებინა უფრო შემტევი სტრატეგია ისეთი სარეკლამო რგოლებით, როგორიც იყო ინფორმაცია უილ ჰორტონზე¹³ (Swansbrough 2008:7).

ჯორჯ უოკერ ბუში პროპაგანდირებას უწევდა მშვიდობას და აცხადებდა: „განთავისუფლებულ ერასს შეუძლია გვაჩვენოს თავისუფლების ძალა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგიონის გარდასაქმნელად. იგი მილიონების გულში მოიტანს

¹³ უილ ჰორტონი გახლდათ ამერიკელი მსჯავრდებული, რომელიც მკვლელობის გამო იხდიდა სამუდამო სასჯელს (შეწყალების უფლების გარეშე). მასაჩუსეტსში შემოიღეს მსჯავრდებულებისათვის უქმე დღეებში საშვებულებო გაშვების პროგრამა. ჰორტონი ამ პროგრამის ბენეფიციარი გახდა. იგი ციხიდან რამდენიმე დღით გაუშვეს და ამ პერიოდში მან ჩაიდინა რამდენიმე დანაშაული – შეიარაღებული ძარცვა და გაუპატიურება. მაშინ მასაჩუსეტსის გუბერნატორი იყო მაიკლ დუკაკისი, დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატი 1988 წლის არჩევნების დროს. შვილის რჩევით, ჯორჯ ბუშ-უფროსმა დუკაკისს დასდო ბრალი ამ დანაშაულებებში, რადგან იგი მხარს უჭერდა შვებულების პროგრამას, როგორც მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის საშუალებას. აქ ჩვენს გაოცებას იწვევს ისიც, თუ რატომ უშვებდნენ უქმე დღეებზე ციხიდან ადამიანს, რომელსაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი შეწყალების უფლების გარეშე და რომელსაც არ უნდა დასჭირვებოდა რეაბილიტაცია გარე სამყაროსთან. რბილად რომ ვთქვათ, ეს უცნაური იყო.

იმედსა და პროგრესს. ამერიკის ინტერესი უსაფრთხოებაში, ამერიკის რწმენა თავისუფლებაში – ერთი მიზნისკენ მიგვიყვანს – გავათავისუფლოთ და მშვიდობა ვყოთ ერავში“ (Bush 2003b). ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც 2002 წელს გამოიცა, გვამცნობს, რომ ეროვნული პოლიტიკა უნდა გახდეს „მშვიდობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების“ პროპაგანდისტი (The National Security Strategy 2002).

ბუმის მოტივაციებსა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღებას მიაწერენ პირად ფსიქოლოგიას და მამამისთან დამაბულ ურთიერთობას. ერთ-ერთი ხშირად ნახსენები ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბუმს სურდა, დაეჩრდილა მამამისი – ქვეცნობიერი ოიდიპოსის კომპლექსი. ჰუსეინზე გამარჯვებით, იგი ერთგვარად ჯავრს იყრიდა გამკიცხავ მამამისზე და მეტისმეტად ფრთხილ მრჩევლებზე, როგორებიც იყვნენ ბრენტ სკოუპროფტი და ჯეიმს ბეიკერი (Unger 2007: Chapter 1; Weisburg 2008: Chapter 2).

ბუმი მყარად იყო დაკავშირებული ოჯახურ პოლიტიკურ მანქანასთან. მისი ნავთობისადმი აშკარა ინტერესი გამყარებული იყო საუდის არაბეთთან კავშირით. ოფიციალურად ბუმს დისტანცია უნდა დაეჭირა მამისაგან არჩევნების გამო, მაგრამ როდესაც დახმარება ან რჩევა სჭირდებოდა, უმაღლესი მიმართავდა უფროს ბუმსა და მის მეგობრებს (Schweizer & Schweizer 2004:478).

როდესაც ჯორჯ ბუმი ძალიან დაუახლოვდა ისრაელსა და არიელ შარონს მეორე ინტიფადის¹⁴ დროს 2001 წლის ივლისში, უფროსი ბუმი და ბრენტ სკოუპროფტი

¹⁴ ინტიფადა – პალესტინელთა აჯანყება ისრაელის წინააღმდეგ. პირველი ინტიფადა დაიწყო 1987 წლის 8 დეკემბერს. მის დასრულებასთან დაკავშირებით არსებობს ორი თარიღი: 1. 1991 წელი, როდესაც შედგა მადრიდის კონფერენცია; და 2. 1993 წელი, როდესაც ხელი მოეწერა ოსლოს შეთანხმებებს. აჯანყება დაიწყო მას შემდეგ, რაც ისრაელის თავდაცვის ძალების სატვირთო ავტომობილი დაეჯახა სამგზავრო ავტობუსს. ავარიის შედეგად 4 პალესტინელი დაიღუპა. პალესტინელებმა დაიწყეს ისრაელის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები – არბევდნენ ისრაელის კუთვნილ შენობებს, უარს აცხადებდნენ მათთან მუშაობაზე, არ იხდიდნენ გადასახადებს და ა.შ. ისრაელმა მოახდინა 80 000 სამხედროს მობილიზება და ცეცხლი გაუხსნა პალესტინის მხარეს, რასაც მრავალი სიცოცხლე ემსხვერპლა. მეორე ინტიფადა კი 2000-დან 2005 წლის დასაწყისის ჩათვლით გრძელდებოდა. იგი მას შემდეგ დაიწყო, რაც არიელ შარონი ეწვია იერუსალიმის ძველ ნაწილში მდებარე რელიგიურ კომპლექსს. ამ ადგილს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს მას. იგი მნიშვნელოვანია ქრისტიანებისათვის, იუდეველებისა და მუსლიმებისათვის. პალესტინელებმა შარონის ვიზიტი შეურაცხყოფად და პროვოკაციად მიიღეს. მოსახ-

ფრთხილ დიპლომატიას ატარებენ საუდის არაბეთის დასარწმუნებლად, რომ აშშ დარჩება მისი და მთელი არაბული სამყაროს მიმართ თანაგრძნობით განწყობილი. პრინცი აბდულა წუხდა, რომ პრეზიდენტ ბუშის ევანგელისტური ფონი მას უფრო არიელ შარონთან დაახლოებდა. მამა ბუში ხშირად ესაუბრებოდა საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე პრინც აბდულას და ერთხელ უთხრა კიდევ, რომ მისი შვილის „გული სწორ ადგილზეა“ (Simpson 2006:310). თავად პრეზიდენტმაც სცადა სიტუაციის განმუხტვა და წერილი მისწერა აბდულას. იგი დაჰპირდა, რომ პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე იზრუნებდა. აქვე იყო კომენტარი: „*მე უარვყავი ეს არაორდინალური, არამერიკული მიდრეკილება, რომ ებრაელი ბავშვის სისხლი უფრო წმინდაა და უფრო ფასობს, ვიდრე პალესტინელი ბავშვისა*“ (Simpson 2006:310).

ჯორჯ ბუშის ზოგიერთი გადაწყვეტილება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდა მამამისის პოზიციებთან. ამავე დროს, იყო საკითხები, რომელშიც ის აგრძელებდა მამის პოლიტიკას. სადამ ჰუსეინთან მიმართებაში ბუში აშკარად მოქმედებს არა როგორც მამამისის მოწინააღმდეგე, არამედ როგორც მისი დამცველი (Perret 2007:4). ის სიბრაზით არის აღსავსე იმ კაცის მიმართ, ვინც დაამცირა და მუქარით აავსო მისი ოჯახი. მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინი დაიჭირეს 2003 წლის დეკემბერში, დაიან სოიერისათვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტი აცხადებს, რომ როდესაც მამამისს შეატყობინა ეს, „*იგრძნო დიდი სიამაყე მის ხმაში*“ (ABC News 2003). მან ასევე აღნიშნა, რომ სადამი სიკვდილით უნდა დასჯილიყო, რადგან „*ის მწამებელია, მკვლეელი. მათ სპეციალური ოთახები ჰქონდათ გაუპატიურებისათვის. იგი არის გულისამრევი ტირანი, რომელიც სამართლიანად იმსახურებს განაჩენის უმაღლეს ფორმას*“ (ABC News 2003). აშკარაა, რომ ბუშს პიროვნულად არ მოსწონდა ჰუსეინი. ამას შეეძლო გავლენა მოეხდინა მის გადაწყვეტილებაზე. მიუხედავად ამისა, შურისძიება არ უნდა იყოს ერთადერთი ფაქტორი, რადგან 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ბუშს უმაღლესი არ დაუწყია სადამ ჰუსეინის რეჟიმის შეცვლაზე ზრუნვა. მან კუთხეში მიაღწევდია რიჩარდ კლარკი და სთხოვა მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის სამხილების მოძი-

ლეობამ დაიწყო საპროტესტო აქცია და ქვები დაუშინეს პოლიციას. პასუხად ისრაელის არმიამ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. კონფლიქტის შედეგად რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა ორივე მხრიდან.

ება. ამით კი მას საბაზი და გამამართლებელი საბუთი მიეცემოდა ერაყში შესაჭრელად (**Packer 2005: Chapter 4**). თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტის ყოველი ნაბიჯი იყო იმ გეგმის ნაწილი, რომელიც შემუშავდა სადამ ჰუსეინის მოსაკლავად.

2002 წელს სენატის რესპუბლიკელი კანდიდატისათვის დაფინანსების მოსაგროვებელ აქციაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა, ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღთან ერთად, მრავალი მიზეზი დაასახელა, თუ რატომ იყო სადამ ჰუსეინი საშიში ამერიკისათვის. მან დასძინა: „*ბოლოსდაბოლოს, ეს არის კაცი, რომელმაც სცადა მამაჩემის მოკვლა*“¹⁵ (**King 2002**). 2002 წელს გაეროს წინაშე გამოსვლისას მან განაცხადა: „*1993 წელს ერაყმა სცადა ქუვეითის ემირისა და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის მკვლელობა*“ (**Bush 2002c**). 2002 წლის 19 სექტემბერს თეთრ სახლს სტუმრობდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის 19 წევრი და როდესაც მას სამხრეთ კაროლინელმა რესპუბლიკელმა რიჩარდ ბურმა სთხოვა, კომენტარი გაეკეთებინა სადამ ჰუსეინის მიერ საკუთარი ხალხის გაზით მოწამვლაზე, პრეზიდენტმა განუცხადა: „*დიახ, მე კარგად ვიცი, რომ მან მამაჩემის მოკვლა სცადა*“ (**Woodward 2004a:187**). ერაყის მიზანში ამოღებაც სწორედ ოჯახის მიმართ მოვალეობის მოხდაც შეიძლება ყოფილიყო. ერაყელი აგენტების მხრიდან მკვლელობის მცდელობამ, როგორც ჩანს, დააფრთხო ბუმების ოჯახი. ეს იყო მოვლენა, რომელიც ოჯახში ნათლად ახსოვდათ და სწორედ ამან ჩაუნერგა მათ პირადი სიძულვილი სადამ ჰუსეინისა და მისი რეჟიმის მიმართ.

ერაყში შეჭრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მსჯელობისას, მკვლევართა ნაწილი ხაზს უსვამს რელიგიური ფაქტორის არსებობასაც. ზოგჯერ ჯორჯ ბუმს მოიხსენიებენ, როგორც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის წამომწყებს. ამ თეორიის მიმდევართა აზრით, ბუმის რელიგიურმა რწმენამ დაუბინდა აღქმის უნდარი და დაიწყო ბრძოლა ტერორიზმისაგან სამყაროს გასათავისუფლებლად (**Warshaw 2009: Chapter 5**), თუმცა, როგორც ცნობილია, უმცროსი ბუმი, ბილ კლინტონისაგან განსხვავებით, არ გამოირჩეოდა ზედმეტი რელიგიურობით და ეკლესიასაც კი არ სტუმრობდა ხშირად (**Lawson 2005**). ამავე დროს, მის ადმინისტრაციაშიც და ისეც მრავალი

¹⁵ სადამ ჰუსეინს ბრალი ედება 1993 წელს მომხდარ ტერორისტულ აქტში, რომელიც ქუვეითში მოხდა ჯორჯ ბუმ-უფროსის ვიზიტის დროს.

ქრისტიანი უჭერდა ომს ისლამთან. **ბილ გრეჰემის** (ცნობილი ამერიკელი ქრისტიანი ევანგელისტი, რამდენიმე პრეზიდენტის სულიერი მრჩეველი) შვილმა **ფრანკლინ გრეჰემმა** 2001 წლის 16 ნოემბერს განაცხადა, რომ ისლამი არის „*ძალიან ბოროტი და ავი რელიგია*“ (**Robinson 2003**). 2002 წელს ჯიმი სვაგარტი¹⁶ წინასწარმეტყველ მუჰამედს მოიხსენიებს „*პედოფილად*“ და 2002 წლის 11 ნოემბერს **პეტ რობერტსონმა**¹⁷ მუსლიმებს „*ნაცისტებზე უარესები*“ უწოდა (**Robinson 2003**). ისლამთან ბრძოლის იდეას ნეოკონსერვატორებიც ემხრობოდნენ. ისინი ცდილობდნენ ისლამი დაეკავშირებინათ ტერორიზმთან ომისათვის. **დენიელ ჰაიპსი, მაიკლ ლედინი, დევიდ ფრამი, რობერტ კაგანი** და სხვა ნეოკონსერვატორები ფიქრობდნენ ისლამის დემონიზირებას ისეთი ფრაზების გამოყენებით, როგორცაა „*ისლამოფაშიზმი*“ ან „*ისლამისტური*“ – ტერორიზმის აღნიშვნისას. თავად ბუმს ეს ტერმინები არ გამოუყენებია და მკაცრად ეწინააღმდეგებოდა დისკრიმინაციული ომის წამოწყებას ისლამის წინააღმდეგ (**Halper & Clark 2004:197-198; Stolberg 2006**). პრეზიდენტი ბუში ღიად აცხადებდა საკუთარი რელიგიური მრწამსის შესახებ „*....გლოვისა და სიბრაზის მომენტში ჩვენ აღმოვაჩინეთ ჩვენი მიზანი. მშვიდობა და შიში არიან ომში ჩაბმული. თავისუფლება და შიში, სამართლიანობა და ბოროტება, – ისინი მუდამ ომობდნენ და ჩვენ ვიცით, რომ ამ შემთხვევაში ღმერთი ნეიტრალური არ არის*“ (**Bush 2001**).

კრიტიკოსები, რომლებიც ბუმს წარმოაჩენენ რელიგიური მოტივებით აღჭურვილ ლიდერად, ხშირად იშველიებენ იმ ფრაზებს, რასაც იგი იყენებდა 9/11-ის შემდეგ. 2001 წლის 16 სექტემბერს იგი აცხადებს: „*ეს არის ახალი სახის ბოროტება. ჩვენ ეს გვესმის. ამერიკელ ხალხს ესმის ეს. ეს ჯვაროსნული ლაშქრობაა. ომი ტერორიზმთან საკმაო ხანს გაგრძელდება*“ (**Suskind 2004**). მსგავსი რიტორიკით შესაძლებელი იყო ცივილიზაციათა შეტაკების ინიცირება. ამავე დროს, ის სულაც არ ასახავდა ჯორჯ ბუშის რეალურ შეხედულებებს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეთყველებს მისი

¹⁶ ცნობილი ამერიკელი პასტორი, განსაკუთრებით პოპულარული XXს. 80-იან წლებში თავისი სატელევიზიო ქადაგებების გამო. მისი გავლენა მკვეთრად შეამცირა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ურთიერთობაში მხილებამ 1988 და 1991 წლებში, რის შემდეგაც მან დაკარგა სასულიერო წოდება.

¹⁷ ცნობილი ამერიკელი სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე. 1988 წელს იყო ჯორჯ ბუშის მეტოქე რესპუბლიკური პარტიის პრაიმერიზების დროს, რის გამოც იძულებული გახდა, უარი ეთქვა პასტორის წოდებაზე.

საჯარო გამოსვლები. 17 სექტემბერს ბუში სტუმრობს ვაშინგტონის ისლამურ ცენტრს, სადაც საუბრობს ისლამზე, როგორც მშვიდობიან რელიგიაზე. „ტერორის სახე არ არის ისლამის სახე. ისლამი სრულიად სხვა სახისაა“ (Ford 2001). მან ასევე დაგმო რასისტული თავდასხმები მუსლიმურ საზოგადოებაზე, რაც 9/11-ის შემდეგ დაიწყო: „ეს არ არის ის ამერიკა, რომელსაც მე ვიცნობ. ამას ამერიკა არ დაუშვებს. ისლამი არის მშვიდობა“ (Green 2001).

ყველაზე მყარი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ აშშ არ იყო „წმინდა ომში“ ჩაბმული, არის ის, რომ, მიუხედავად ტერორიზმთან კავშირისა, ბუშმა ომი არ გამოიყენა ისლამური ქვეყნების: საუდის არაბეთის, გაერთიანებული საამიროების, პაკისტანის ან ეგვიპტის წინააღმდეგ. ის არცერთ გამოსვლაში არ უკავშირებს ამ ქვეყნებს რაიმე საფრთხეს. 9/11-ის ტერაქტამდე თვითმფრინავის გამტაცებლების დიდი ნაწილი რამდენიმე თვით ადრე ფულად გზავნილებს იღებდა სწორედ საამიროებიდან 119 500, 18 000 და 42 000 ამერიკული დოლარის ოდენობით (Coll 2004:564). 9/11-ზე არსებული დასკვნის მიხედვით, სწორედ პაკისტანი დაეხმარა „თალიბანს მიმდევრების გაწვრთნაში“ და მრავალი სადაზვერვო და სამხედრო სამსახური სიმპათიით იყო განწყობილი ტერორიზმის მიმართ. ისინი არც იმას უარყოფდნენ, რომ პაკისტანელი მეცნიერი აბდულ ქადირ ხანი მონაწილეობას იღებდა ბირთვული იარაღის შექმნაში (Kean, Hamilton, Ben-Veniste, Kerrey, Fielding, Lehman, Gorelick, Roemer, Gorton, Thompson 2004). ეგვიპტე მშობლიური ქვეყანა იყო მთავარ გამტაცებელ მოჰამედ ატასთვის და ალ-კაიდას მეორე ხელმძღვანელ აიმან ალ-ზავაჰირისთვის. მრავალ ფუნდამენტურ ისლამურ დაჯგუფებას ჰქონდა კავშირი ტერორიზმთან. ყველაზე გამორჩეული ეგვიპტის ისლამური ჯიჰადი და ეგვიპტის ისლამური ჯგუფი იყვნენ. ისინი თანამშრომლობდნენ ალ-კაიდასთან სხვადასხვა ტერორისტული აქტების ჩატარებისას. მათ მოუწყვეს ტერაქტი ჰოსნი მუბარაკს 1995 წელს და 1997 წელს ლუქსორში 58 ტურისტის დახოცვაც მათი ნამოქმედარია (Gunaratna 2002:137).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვეყანა, რომელიც ყველაზე ღიად უჭერდა მხარს ალ-კაიდას, საუდის არაბეთი იყო (Schwartz 2003; Posener 2005: Chapter 2; Baer 2003). 11 სექტემბერს თვითმფრინავების 19 გამტაცებლიდან 15 საუდის არაბეთიდან იყო. ოსამა ბინ ლადენიც აქ გაიზარდა და კვლავ ჰქონდა კავშირი არაერთ ლიდერთან.

ალ-კაიდას იდეოლოგია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საუდელ ვაჰაბიტებთან. კონგრესის კვლევამ აჩვენა, რომ საუდელეები და საუდის მთავრობაც კი აფინანსებდნენ ფონდებს, რომლებიც რესურსებს აწვდიდნენ ალ-კაიდას (**Blanchard & Prados 2007**).
ერაყზე გაცილებით მარტივი ტერაქტში საუდის არაბეთის დადანაშაულება იქნებოდა. ნეოკონსერვატორებმა ესეც სცადეს. ტერაქტის შემდეგ მათ შექმნეს სახალხო კამპანია რათა გაეწყვიტათ საუდის არაბეთთან კავშირი და მტრების სიაში შეეყვანათ იგი (**Gold 2003: Chapter 10; Glazov 2002**). ნეოკონსერვატორთა ერთ-ერთი დამფუძნებელი **ნორმან პოდჰორეცი** ახლო აღმოსავლეთში ტოტალური ომისკენ მოუხმობდა „აშშ-ს პროტექტორატის დამყარებით საუდის არაბეთის ნავთობის ველებზე“ (**Podhoretz 2002**).

ნეოკონსერვატორთა ძახილი საუდის არაბეთის წინააღმდეგ განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა დევიდ ფრამისა და რიჩარდ პერლის წიგნში „ბოროტების დასასრული“, რომელიც 2003 წელს გამოვიდა. ავტორები არა მხოლოდ ჩამოთვლიან საუდის არაბეთის დანაშაულს, არამედ ამბობდნენ, რომ აშშ-ს პოლიტიკა საუდის მიმართ „სულმდაბალი იყო, რადგან პოლიტიკის ბევრი შემოქმედი დაფინანსებას საუდის არაბეთიდან იღებს“ (**Frum & Perle 2003:142**). საერთოდ, მთელი წიგნი ზოგადად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ლანძღვას ეთმობა, რადგან მათ თვალი დახუჭეს საუდის არაბეთის ტერორიზმთან კავშირზე.

აშშ-ს პრეზიდენტის შეფასებისას ბევრი მკვლევარი მიიჩნევს ბუშს არაკომპეტენტურ, მიაშიტ პოლიტიკოსად, რომელსაც არ ჰქონდა მიმდინარე საგარეო პოლიტიკის კომპლექსურობის აღქმის უნარი და ამიტომ 9/11-ის ტერაქტმა იგი ადვილად დასაყოლიებელი გახადა ნეოკონსერვატორთა მხრიდან (**Packer 2005: Chapter 2; Galbraith 2006: Chapter 5; Ferguson 2007**). მათი აზრით, ბუში ნეოკონსერვატორებმა დაიყოლიეს და თავისი გეგმა შესთავაზეს: ახლო აღმოსავლეთი უნდა გარდაექმნათ რეგიონის შუაგულში დემოკრატიის შექმნით. ბუში უჯერებდა იმ ნეოკონსერვატორებსაც, რომლებიც არწმუნებდნენ პრეზიდენტს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაში. ჰიპოთეზას ერთგვარად კვებავს ბუშის მიერ მსოფლიო პოლიტიკის არცოდნა, რაც გამოვლინდა 2000 წლის საარჩევნო კამპანიის დროს. კერძოდ, ნიუ ჰემპშირის პრაიმერიზამდე ცოტა ხნით ადრე ბუშმა პასუხი ვერ გასცა ჟურნალისტის

კითხვებს მსოფლიო ლიდერების შესახებ (Mann 2004:255). საუდელ პრინც ბანდართან შეხვედრისას, თავად ბანდარის თქმით, ბუშმა მას უთხრა: „წარმოდგენაც არ მაქვს, რას ვფიქრობ საერთაშორისო პოლიტიკაზე“ (Woodward 2006:3). მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ ეს ყველაფერი ასე მარტივად სარწმუნო იყოს. ჩვენი აზრით, უფრო სწორი არიან დაალდერი და ლინდსეი, რომლებიც თავის წიგნში აღნიშნავენ: „შესაძლოა, თეთრ სახლში მისვლისას ბუშმა არ იცოდა, რომელი გენერალი მართავდა პაკისტანს, მაგრამ მისი პრეზიდენტობისას იგი იყო მარიონეტების მმართველი პირი და არა მარიონეტი“ (Daalder & Lindsay 2003:15-16).

ბუშმა თავადაც იცოდა, რომ არ იყო ძლიერი საგარეო პოლიტიკაში. მისი, როგორც ლიდერის მიზანი იყო, „შეეკრიბა ძლიერი და ეფექტურად მოქმედი ჯგუფი თავისი გეგმის განსახორციელებლად“. სხვებზე ნდობას იგი სიძლიერედ აღიქვამდა და ამომრჩევლებს ახსენებდა ხოლმე: „მე შევკარი ძლიერი და გონიერი ხალხის ჯგუფი და ველი მათგან რჩევებს“. იგი ერთგვარად იყენებდა თავისი მრჩევლების კვალიფიკაციას საგარეო პოლიტიკაში, რათა საკუთარი დაეჩრდილა (Daalder & Lindsay 2003:32).

და ბოლოს, ზოგიერთი მკვლევარი მიჩნევს, რომ ერაყის გამოყენება სურდათ პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად და ბუშის მეორე არჩევნებში გასამარჯვებლად (Zelizer 2009: Chapter 18; Zelizer 2010: Chapter 8; Baker 2009: Chapter 21; Moore 2004: Part 1). ანალიტიკოსთა ის ნაწილი, რომლებიც ბუშს მაკიაველისეულ ლიდერად წარმოაჩენენ, რაც, ჩემის აზრით, ძალზე გაზვიადებულია, თვლიან, რომ მას ჰქონდა რესპუბლიკური გარდაქმნების სტრატეგია (Skowronek 2008: Chapter 4, Chapter 5; Schier 2004; Schier 2008: Chapter 5; Dubose, Reid, Cannon 2003: Part 3). უმცროს ბუშს აბრალებენ ხოლმე თავისი ოჯახის პოლიტიკური მანქანისა და ნავთობ ინტერესებისათვის ბრძოლას (Bryce 2004: Chapter 17; Phillips 2004: Part 3). როდესაც ჯორჯ უოკერ ბუში პრეზიდენტი გახდა, მან მიზნად დაისახა, არ გაემეორებინა მამამისის შეცდომა და აკვიატებადაც კი ექცა ეს (Bush 2010: Chapter 2; Newhouse 2003:16; Kaplan 2008:130). უფროსი ბუშის ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ მან გაფლანგა მაღალი საპრეზიდენტო რეიტინგი, რაც არაბეთის ყურეში პირველმა ომმა მოუტანა.

1999 წელს უმცროსმა ბუმმა უთხრა ბიოგრაფიის მწერალ მაიკ ჰერკოვიცს: „ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორ წარმოჩნდეს დიდებულ ლიდერად არის თავი გამოიჩინოს როგორც მთავარსარდალმა. მამაჩემმა დააგროვა პოლიტიკური კაპიტალი ქუვეითიდან ერაყელების განდევნით. მაგრამ მან იგი გაფლანგა. მე რომ მქონდეს ერაყში შეჭრის შანსი ... იგივე შესაძლებლობა რომ მქონოდა, არ გავფლანგავდი ძალაუფლებას. ყველაფერს შევძლებ, რაც მინდა და მე წარმატებული პრეზიდენტობა მექნება“ (**Baker 2009:423**). სავარაუდოდ, ბუშისა და მისი მრჩეველების მიზანი იყო, მიეღწიათ პოლიტიკური წარმატებისათვის, რაც ომის წამოწყებით შეიძლება მომხდარიყო. მაგალითის სახით, ამ შემთხვევაში ისინი ალბათ მარგარეტ თეტჩერის ფოლკლენდის ომში წარმატებას იშველიებდნენ (**Baker 2009:424**). სენატორობისას კი დიკ ჩეინი ღიად აცხადებს: „დაიწყე პატარა ომი. აირჩიე ქვეყანა, სადაც გექნება შეჭრის გამამართლებელი საბუთი და შეიჭერი“ (**Baker 2009:424**). ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით ვიცე პრეზიდენტს იგივე მისწრაფება ამოძრავებდა და სურდა „ერაყში შეჭრა, რადგან ეგონა, რომ აქ გამარჯვება სწრაფად და მარტივად მიიღწეოდა. თან ამერიკის შეერთებული შტატები ამას მარტო იზამდა. ...ომში გაურთულებელი გამარჯვება შესაძლებელს გახდიდა 2004 წლის არჩევნებში წარმატებას და რესპუბლიკური პარტიის მრავალწლიან დომინირებას“ (**Unger 2007:182**).

როდესაც პრეზიდენტები ომს იწყებენ, მათ დიდი იმედი აქვთ, რომ ხალხის აზრი მათ მოქმედებებს დაემთხვევა. ამავე დროს, ომს რისკიც დიდი ჰქონდა – ამერიკის სამხედროების გაჭიანურებულ ომში ჩაბმით იგი საფრთხეს უქმნიდა საკუთარ იმიჯს. პრეზიდენტმა ერთგვარად ითამაშა ერაყის საკითხით, რადგან მამამისმა არ დაასრულა საქმე ბოლომდე და ბაღდადამდე არ მივიდა და ამით წააგო 1992 წლის არჩევნები. ბუში მხურვალედ უჭერდა მხარს „სამხედრო საქმეში რევოლუციას“ და სჯეროდა, რომ ერაყში შეჭრა იქნებოდა სწრაფი და მარტივი. 1999 წლის 23 სექტემბრის სიტყვაში ბუშმა მოიწონა „ომის ტექნოლოგიებში რევოლუციაც“ (**Kaplan 2008:27**). ჩეინის რჩევით, პრეზიდენტმა **დენ კოუტსის** კანდიდატურაც კი უარყო თავდაცვის მდივნის პოსტზე ეროვნული სარაკეტო თავდაცვისა და „სამხედრო საქმეში რევოლუციისადმი“ ნაკლები ენთუზიაზმის გამო (**Kaplan 2008:29**). პრეზიდენტმა ბუშმა, დაამტკიცა რა თავდაცვის მდივნად დონალდ რამსფელდი, განაცხადა, რომ ამ უკანასკნე-

ლის პირდაპირი მოვალეობა „*პენტაგონის შიგნით სტატუს კვოს შეცვლა იქნებოდა*“ (Graham 2009:204).

ბუშმა კარგად უწყოდა, რომ რესპუბლიკელებს უფრო მეტი რეიტინგი ჰქონდათ ეროვნული უსაფრთხოების გამო, ვიდრე დემოკრატებს. ვიეტნამის შემდეგ მათ უფრო მკაცრი მიდგომა აირჩიეს საგარეო პოლიტიკის მიმართ (Holsti 1996:139). ბუშის პოლიტიკურმა მრჩეველმა **კარლ როუზმა** შიდა მიმოწერისას აღნიშნა: „*ჩვენ შეგვიძლია ქვეყანას მივმართოთ ამ საკითხით, რადგან ხალხი ენდობა რესპუბლიკელებს ამერიკის სამხედრო სიძლიერის, მამასადაძამე, მთელი ქვეყნის, დაცვა-გაძლიერების საქმეში*“ (McClellan 2008:113).

ერთგვარად ყალიბდება **ბუშის დოქტრინა**, რომელიც რა თქმა უნდა მისი ადმინისტრაციის დოქტრინაც იყო. პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია გამოსცა 2002 წელის სექტემბერში. დოკუმენტის მე-5 თავი აჯამებს ადმინისტრაციის მისწრაფებას გამოიყენოს მიდგომა, რომელიც ცნობილია როგორც **ბუშის დოქტრინა**. იგი აერთიანებდა სხვადასხვა ფრაქციათა მიზნებსა და ხედვებს. ადმინისტრაციას უკვე აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დეკლარაციული ძალისმიერი პოლიტიკა, რომლის მიზანია „*აღვკვეთოთ ჩვენი [აშშ-ს] მტრების მუქარა ჩვენდამი, ჩვენი მოკავშირეებისა და ჩვენი მეგობრების მიმართ*“ (Record 2003:4).

ბუშის დოქტრინის განხილვისას მას რამდენიმე ნაწილად ყოფენ. **ჯოზეფ ნაი** მიიჩნევს, რომ იგი სამ საყრდენს ეყრდნობა. პირველ რიგში, მისი აზრით, ბუშის ადმინისტრაციას სურდა საერთაშორისო ინსტიტუტების გავლენის შესუსტება და მათი უუნარობის წარმოჩენა, რაც ამერიკას კვლავ გააერთიანებდა. მეორე გახლდათ პრევენციული ომის ახალი დოქტრინის მიღება, მამასადაძამე პრევენციის გაფართოება უპრევენდენტო დონემდე. მესამე – ბუშის დოქტრინა დემოკრატის აცხადებს როგორც საბოლოო გადაწყვეტილებად ახლო აღმოსავლეთის ხალხის ტანჯვისა და ზეწოლის აღსაკვეთად (Nye 2006). **რობერტ ჯერვისი** მეოთხე ასპექტსაც ამატებს ბუშის დოქტრინას. მისი აზრით, ბოლო ნაბიჯი არის სამივე ელემენტის გაერთიანება – ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონია. ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო ნორმებისა და წესების დაცვა არ მოეთხოვებოდა დომინანტ ძალებს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დომინანტი ძალები სხვაგვარად იქცევიან სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, თორემ საერთაშორისო წესრიგი საფრთხის ქვეშ დადგებოდა

(**Jervis 2003**). დოქტრინა მოითხოვდა ახალ აზროვნებას ახალი საფრთხეებიდან გამომდინარე. ცივი ომის დროინდელი შეკავებისა და იზოლირების დოქტრინები აღარ იყო შედეგის მომტანი ამერიკის თავდაცვისათვის.

ბუშის დოქტრინა საბოლოო ჯამში კისრულობდა ვალდებულებას, ყოველგვარი გზით ეცადა საერთაშორისო პოლიტიკის ტრანსფორმირება. იგი გახლდათ იმ ხედვის მიმდევარი, რომ ახალ საფრთხეებთან გამკლავება მხოლოდ ახალი სტრატეგიითა და მეთოდებითაა შესაძლებელი.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა აზრი ჯორჯ ბუშის პიროვნების როლთან მიმართებაში გაყოფილია. ზოგიერთი პრეზიდენტ ბუშს წარმოადგენს უპირობო ლიდერად, რომელსაც ხელთ უპყრია მართვის სადავეები (**Zelizer 2009; Zelizer 2010; Baker 2009; Moore 2004; Skowronek 2008; Schier 2004; Schier 2008; Dubose, Reid, Cannon 2003**). ამავე დროს, ხშირად რჩება გრძნობა, რომ ჯორჯ ბუში სხვადასხვა ძლიერი პოლიტიკოსის გავლენის ქვეშ ექცევა. ამასთან, აშკარაა პირადი მოტივები გადაწყვეტილების მიღებისას.

ფაქტი ფაქტად რჩება, ამერიკამ უკიდურეს ფორმას მიმართა და ომი დაიწყო. ამჟამად გამოაშკარავებული ეროვნული უსაფრთხოების არცერთი დოკუმენტი არ მიუთითებს რაიმე სახის დისკუსიის არსებობაზე, ამერიკა უნდა შეჭრილიყო ერაყში თუ არა (**Prados & Ames 2010**). ყველა დოკუმენტი მიუთითებს, რომ განხილვა თეთრ სახლში შეეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა წამოეწყოთ ომი და როგორ გაეშუქებინათ ეს კონფლიქტი საშინაო თუ საგარეო არენაზე. აქამდე არცერთი სამხილი არ გამოჩენილა იმის დასადასტურებლად, რომ პრეზიდენტს ომის გარდა რაიმე სხვა გეგმა ჰქონდა ან რაიმე შეხვედრა რომ ჩატარებულიყო ომის ხარჯებისა და სარგებლის შესახებ. დონალდ რამსფელდი ადასტურებს წინდახედულობის ნაკლებობას, როდესაც წერს თავის მემუარებში: „*მე და პრეზიდენტს მრავალჯერ გვექონდა საუბარი ომის სამზადისზე, მაგრამ მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, მას რომ ეკითხოს, ვთვლიდი თუ არა ომს მართებულ გადაწყვეტილებად*“ (**Rumsfeld 2011:456**).

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნეოკონების დიდ ნაწილს არ ჰქონდათ ბუშთან კონტაქტი. გადაწყვეტილება მიიღო ძალიან ვიწრო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა ბუშის, ჩეინის, პაუელის, რაისის, ჯორჯ ტენეტისა და რამსფელდისაგან (**Schier**

2008:138). როგორც ბუშმა უთხრა ბობ ვუდუორდს: „*მე გარედან რჩევა არ მიმიღია. ვინც იტყვის, რომ მრჩეველები არ არიან ადმინისტრაციის წევრები, ამბობს სიცრუეს. სამხედრო საბჭო არის ერთადერთი ორგანო, საიდანაც მე ვიღებ სწორ რჩევას*“ (Lehman 2004).

და მაინც, რატომ იქნა შერჩეული ჯორჯ ბუშის მიერ სამიზნედ ერაყი? ჩვენი აზრით, გადაწყვეტილების მიღებისას ჯორჯ ბუშს ნამდვილად უნდა გაეთვალისწინებინა მონაცემები იმის შესახებ, რომ ერაყი აქტიურად ცდილობდა ბირთვული იარაღის შექმნას. მართალია, მოგვიანებით ეს არ დადასტურდა, მაგრამ ამ შემთხვევაში უმთავრესი ალბათ მაინც ის იყო, რომ 11 სექტემბრის შემდეგ შექმნილ ვითარებაში მსგავსი ინფორმაციის დაუსაბუთებლად უარყოფა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. სხვა საქმეა, რომ ერაყში შეჭრა ბუშისთვის სხვა მიზეზების გამოც იყო მიმზიდველი. უპირველეს ყოვლისა, ეს იქნებოდა მამამისის მიერ დაუმთავრებელი საქმის ბოლომდე მიყვანა. გარდა ამისა, ერაყი სასურველი სამიზნე იყო ნავთობის გამოც. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ერაყში შეჭრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პრეზიდენტი ბუში ძირითადად სწორედ შემდეგი სამი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: 1. პირადი მტრის მოსპობა; 2. ნავთობის ახალ წყაროზე კონტროლის დამყარება; 3. ერაყის ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცევისთვის ხელის შეშლა. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის დამყარებას, ბუშისთვის ეს ასევე სასურველი იყო, მაგრამ არა გვგონია, რომ გადაწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღებისას. ჩვენი აზრით, ერაყის დემოკრატიზაციას უფრო პროპაგანდისტული დანიშნულება ჰქონდა.

თავი II

რეალობის გაუთვალისწინებლობის სინდრომი – რატომ ვერ შესძლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში კონტროლის დამყარება

§1. ომისთვის მზადების ფაზა: ჰქონდა თუ არა თეთრ სახლს ერაყის ომისშემდგომი მოწყობის გეგმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2003 წლის 19 მარტს დაწყებული სამხედრო ოპერაცია სწრაფმავალი და წარმატებული გამოდგა. 9 აპრილს აშშ-ს სამხედრო შენაერთები შევიდნენ ბაღდადში, რაც ფაქტობრივად ერაყის მხრიდან ორგანიზებული წინააღმდეგობის დასასრულს ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, ეს არ აღმოჩნდა ერაყის კამპანიის ბოლო წერტილი. მართალია, სადამ ჰუსეინის დასამხობად წარმოებული კამპანია, თუ მას სამხედრო თვალსაზრისით შევაფასებთ, ნამდვილად წარმატებული იყო. კოალიციურმა ჯარებმა საკმაოდ დიდი ზომისა და მოსახლეობის მქონე ქვეყანა 21 დღეში დაიკავეს, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა ერაყელებსაც და კოალიციურ ჯარსაც უსაფრთხოების განცდა დაუკარგა. ამერიკელები ბევრად უფრო დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ მას შემდეგ, რაც დაამყარეს კონტროლი ერაყზე.

თეთრ სახლში არ არსებობდა ერთიანი აზრი ოკუპაციის ვადებთან დაკავშირებით. ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა ომის დაწყებამდე მაინცდამაინც არც მიმდინარეობდა. ზოგიერთი, ფეისის ჩათვლით, ფიქრობდა, რომ როგორც კი სადამს დაამხობდნენ ძალაუფლება, უნდა გადაეცათ ერაყიდან განდევნილი ლიდერების მცირე ჯგუფისათვის, რომელთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა კავშირი (**Feith 2008a:380**). თავის მხრივ, კოლინ პაუელსა და რიჩარდ არმიტეჯი ამის დიდი მოწინააღმდეგეები იყვნენ. მათი აზრით, ძალაუფლების გადაცემა ე.წ. ერაყელი ექსტერნალებისთვის, ანუ ერაყის გარეთ მყოფი ოპოზიციონერებისათვის, არაფრით არ შეიძლებოდა. არმიტეჯს სჯეროდა, რომ ამერიკელებს ამ შემთხვევაში მოუწევდათ მრავალწლიან, გარდამავალ პერიოდთან გამკლავება. იგი არ ენდობოდა ექსტერნალებს და ამიტომ ჩამოუყალიბდა ეს მოსაზრება. მას განსაკუთრებით ჩალაბი და სანდო ერაყული მთავრობის შექმნის იდეა არ მოსწონდა (**Feith 2008a:370**).

ერაყში აშშ-ს პოლიტიკის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მუდმივი დაპირისპირება იყო. სახელმწიფო უწყებებს შორის არსებული დაძაბულობა შეიძლება აიხსნას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სახელმწიფო დეპარტამენტების ვარაუდით, რომ ერაყის შიდა და გარე ოპოზიციურ ძალებს შორის იქნებოდა განხეთქილება პოსტსადაამურ ერაყში. ფეისის აზრით, ამან ხელი შეუშალა ადმინისტრაციას, შედეგიანად ემუშავა ერაყის გარე ოპოზიციასთან ომის წინ და სწრაფად გადაეცა ძალაუფლება ერაყელებსათვის ბაასის მთავრობის დამხობის შემდეგ (**Feith 2008a:389-390**).

სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მუდმივად აკეთებდნენ აქცენტს, რომ ერაყის გარე ოპოზიციის ლიდერებს აკლდათ ლეგიტიმურობა და შესაბამისად მცირე მხარდაჭერა ჰქონდათ ერაყში. ფეისის თქმით, შიდა და გარე ოპოზიციის დაპირისპირების იდეა უმნიშვნელოვანესი იყო სახელმწიფო დეპარტამენტისათვის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ცენტრალური სარდლობისათვის პოსტსადაამური ერაყის მოწყობის საკითხში. ამის მთავარი მიზეზი იყო სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მტრობა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის აჰმედ ჩალაბის მიმართ, შემდგომში კი მმართველი სუნიტური ელიტის გავლენა ამ მოსაზრების ჩამოყალიბებაში. ყველა მათგანი სუნიტები იყვნენ, რომლებსაც ემინოდათ დემოკრატიულად მართული შიიტური ერაყის (**Feith 2008a:372**).

არსებული მასალების კვლევისას ნათელი ხდება, რომ ამერიკას არ სურდა არავითარი კავშირი ჰქონოდა ადგილობრივ თუ გარე ოპოზიციასთან, რომელთაც „უუნაროებად“ და „ძალაუფლებადაკარგულებად“ აღიქვამდნენ (**Feith 2008a:372**). ომის სტრატეგიის შემუშავებისას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სახელმწიფო დეპარტამენტი მტრულად იყვნენ განწყობილი მიმდინარე პროცესებში ერაყის ოპოზიციის ნებისმიერი სახით ჩართვასთან დაკავშირებით. რიჩარდ არმიტეჯმა უარყო შუალედური მთავრობის ჩამოყალიბების ყველა შესაძლებლობა შეჭრის შემდეგ ან ომის მსვლელობისას. ამ დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა ერაყის ომისშემდგომი მოწყობის გეგმების დროულად შემუშავებას (**Feith 2008a:253**). დაგლას ფეისი წერს, რომ გენერალი ტომი ფრენკსი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მეოთხე, ომისშემდგომ-

მი გეგმის მომზადების ფაზას. ის ხაზს უსვამს, რომ ფრენკსმა გადადგომის შესახებ ბრძანება წარადგინა ბალდადის აღებიდან ექვს კვირაში, რაც აშკარად მიუთითებს მისი მხრიდან ვალდებულების თავიდან არიდებას (**Feith 2008a:291**).

ფეისი ასევე წერს, რომ სახელმწიფოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები აგვიანებდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ერაყიდან განდევნილებთან რაიმე პოლიტიკური, სადაზვერვო ან სამხედრო საკითხების განხილვას. შედეგად, აშშ-ს თავად მოუწია ერაყის კონტროლი ბაასის მთავრობის დამხობის შემდეგ (**Feith 2008a:370**). მისი აზრით, ოპოზიციის ადრეულ კონფერენციებს, რაც 2002 წელს ლონდონში და მას შემდეგ მოხდა, შეეძლო პოსტსადამური პოლიტიკური სურათის შეცვლა ერაყში. ამას, შესაძლოა, მოემზადებინა ნიადაგი ძალაუფლების გადაცემისათვის და აერიდებინა საოკუპაციო ხელისუფლებისა და გარდამავალი საოკუპაციო მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი, რამაც ერთ წელზე მეტი გასტანა (**Feith 2008a:381**).

2002 წლის 25 ივლისს გამართულ სადილზე, სადაც მოადგილეები შეხვდნენ ერთმანეთს, რიჩარდ არმიტეჯმა წარადგინა ორი დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა მოამზადა. პირველი ოკუპაციას შეეხებოდა, მეორე კი – გრძელვადიან ოკუპაციას, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით ბონის შეთანხმების¹⁸ ავღანური მოდელის გამოყენება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ავღანეთის შემთხვევაში გარე ოპოზიციას უფრო მეტი მხარდამჭერი ყავდა, ერაყში კი შიდა ოპოზიციას ჰქონდა უპირატესობა. შესაბამისად, ბონის შეთანხმების მსგავსი დოკუმენტის დაწუნების ერთ-ერთი მიზეზი ეს გახლდათ (**Feith 2008a:278**). მეორე დოკუმენტში საუბრობდნენ, რომ მრავალწლიანი გარდამავალი პერიოდი იყო საჭირო დემოკრატიული ინსტიტუტების ასაშენებლად. ეს საჭირო იყო, რომ არ დაეკარგათ შიდა ამომრჩევლები და ერაყში განვეითარებინათ სანდო, დემოკრატიული ხელმძღვანელობა (**Feith 2008a:278**).

დაგეგმვა პენტაგონმაც უგულუბელყო, რადგან როდესაც ერაყში შეჭრა ჯერ კი-

¹⁸ ბონის შეთანხმება – ავღანეთში დროებითი ღონისძიებების გატარების შეთანხმება, მუდმივი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. ეს არის შეთანხმებების კრებული, რომლებიც შეიქმნა ავღანეთის სახელმწიფოს აღსადგენად მას შემდეგ, რაც აშშ-მ დარტყმა მიიტანა თალიბების რეჟიმზე.

დევ არ იყო გადაწყვეტილი, მსგავს დაბრკოლებებზე ფოკუსირება ომისათვის შემაფერხებელი იქნებოდა. ამიტომ ამის განხილვა საერთოდ არ ხდებოდა. (**Freedman 2008:429**). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ძალიან მცირე ყურადღებას უთმობდნენ ომისშემდგომ შესაძლო სიძნელეებს. მათ არც სურდათ, სხვები ჩარეულიყვნენ ამ საქმეში, რადგან „არ უნდოდათ ჩრდილის მიყენება იმ ფაქტორისათვის, რომ გამარჯვება ძალზე მცირე ძალებით იყო შესაძლებელი“ (**Freedman 2008:429**).

გეგმების არასრულობა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ რეალურად საომარ მოქმედებებზე მუშაობა 2002 წლიდან შევიდა აქტიურ ფაზაში და, აქედან გამომდინარე, ყოველისმომცველი ხედვა ვერ შეიმუშავეს. ეს, პირველ რიგში, ცხადი გახდა იმ არეულობით, რაც ერაყის შიგნით დაიწყო ბაასის მთავრობის დამხობის შემდეგ. მართალია, დაგლას ფეისმა 2002 წლის ზაფხულში რამდენჯერმე სცადა შეექმნა ომისშემდგომი დაგეგმვის ოფისი და დაენიშნა ვინმე საქმის შესასრულებლად. თუმცა ვერაფერი მოახერხა. 2002 წლის 18 ოქტომბერს რამსფელდმა მაინც სთხოვა მას წარედგინა კანდიდატები ამ პოზიციისათვის, თუმცა არც ამას არ მოჰყოლია რაიმე შედეგი. შემდგომში ფეისმა სტივენ ჰედლისაგან შეიტყო, რომ პრეზიდენტს არც სურდა მსგავსი ოფისის შექმნა, სანამ დიპლომატიური ძალისხმევით ცდილობდა საქმის მოგვარებას (**Feith 2008a:316**).

ზარზარა ბოდინი რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისის ერთ-ერთი თანამშრომელი იხსენებს, რომ ამერიკის გეგმა იყო აგვისტოს ბოლოსთვის დაეტოვებინა ქვეყანა (**Packer 2005: Chapter 4, Special Plans 132**). დონალდ რამსფელდის თანაშემწე **ლოურენს დი რიტა** ქუვეითში შეხვდა რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისის გუნდს, სანამ ეს უკანასკნელი ბალდადში გაემგზავრებოდა. იგი აცხადებდა, რომ ამერიკა არ დარჩება ერაყში სამ-ოთხ თვეზე მეტ ხანს და დატოვებდა მას, როდესაც შექმნიდა დროებით მთავრობას. 2003 წლის სექტემბრისთვის კი მხოლოდ 25 000 სამხედრო დარჩებოდა ერაყში (**Packer 2005: Chapter 4, Special Plans 133**). ძირითადი დასკვნა, რაც ომის შესახებ კეთდებოდა პენტაგონში, იყო ის, რომ ომი იქნებოდა სწრაფი, მარტივი და იაფი (**Ricks 2009:15**).

ჯორჯ ბუშ-უმცროსის დამოკიდებულება პრობლემისადმი აშკარა იყო. მას არა-

ვითარი სურვილი არ ჰქონდა, ამერიკული ჯარი ერაყში დაეტოვებინა. ეს მისი ავღანეთისადმი დამოკიდებულების გაგრძელება იყო. როდესაც ქაბული დაეცა, ბუშმა დაასკვნა: „აშშ-ს ძალები იქ არ დარჩებიან... ჩვენ საპოლიციო სამუშაოებს არ ვაწარმოებთ“ (Woodward 2002:267). ბუშს მიზნად ჰქონდა დასახული, რომ ერაყი არ გადაქცეულიყო ბალკანეთის მსგავს პროცესად – აქ მოვლენები სწრაფად, ძალისმიერად და გამიზნულად განვითარდებოდა და არ გახდებოდა საჭირო გრძელვადიანი სამხედრო ძალების დისლოცირება (Gordon & Trainor 2007:525). ეს მაინცდამაინც არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ბუშმა გააკრიტიკა დემოკრატების კანდიდატი, მოქმედი ვიცეპრეზიდენტი ელ გორი და თქვა: „ნება მომეცით, გითხრათ, რის გამო ვარ კიდევ შეწუხებული. მე შეწუხებული ვარ ოპონენტით, რომელიც ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესსა და სამხედრო პროცესს ერთი მნიშვნელობით ხმარობს“ (O’Leary & McGarry 2005:252). ის ასევე აღნიშნავდა: „პრობლემურია სამხედროთა უვადოდ განთავსება და ბუნდოვანი მისიები“. მას ნათლად დასახული სამხედრო მიზნები სურდა და კითხვა, რომელსაც განიხილავდა, იყო: „როდის უნდა წამოვიდეთ“ (Bush 1999c).

ბუშის მსგავსად ფიქრობდა რამსფელდიც, რომელიც მიიჩნევდა, რომ კლინტონის ადმინისტრაციამ უსაფუძვლოდ შეაკავა აშშ-ს ძალები ბალკანეთში. იგი ასკვნიდა, რომ სამხედრო ძალების გრძელვადიანი განთავსება „დამოკიდებულების პრეცედენტს“ შექმნიდა, რაც კოსოვოელებს ფეხზე მყარად დადგომაში შეუშლიდა ხელს. მათთვის ავღანეთის ომი იყო მოდელი: ავღანელებს დახმარებოდნენ საკუთარი ქვეყნის აშენებაში და არ მოეხდინათ დიდი ზომის სამშვიდობო ძალების დისლოცირება (Gordon & Trainor 2007:173). 2001 წლის 11 ოქტომბრის დირექტორების კომიტეტის შეხვედრაზე რამსფელდმა გააკეთა მოხსენება, რომ „სასურველია შევქმნათ სტაბილური პოსტთალიბანური ავღანეთი, მაგრამ არა აუცილებლად აშშ-ს მიერ... ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესი არ არის ჩვენი სტრატეგიის ნაწილი“ (Feith 2008a:101). რამსფელდი აკრიტიკებდა 90-იანი წლების აშშ-ს პოლიტიკას. მისი ანალოგია იყო კაცი, რომელმაც არასდროს არ გაუშვა ხელი თავის შვილის ველოსიპედს და, შესაბამისად, ჩამოყალიბდა 40 წლის კაცი, რომელმაც არ იცის ველოსიპედის ტარება (Feith 2008a:149). ფეისი წერს, რომ რამსფელდს გადაწყვეტილი ჰქონდა, არ ჩარ-

თულიყო ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესში (Feith 2008a:149). ამ მხრივ ის ნამდვილად თანმიმდევრულ განცხადებებს აკეთებდა, რადგანაც მუდამ ამტკიცებდა, რომ აშშ-ს არ შეეძლო სხვა ქვეყნის ლიდერების არჩევა (Feith 2008a:133). ერაცთან მიმართებაში მისი პოზიცია ცალსახა იყო: მას იმიტომ სურდა ერაცთან ომის სწრაფად წარმართვა, რომ ამით მისი რევოლუციური მიდგომა სამხედრო განვითარებასთან მიმართებაში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდებოდა. ამიტომაც თავიდანვე იგი მხარს უჭერდა, რაც შეიძლება მცირე დროის ოპერაციას მინიმალური სამხედრო დანაყოფების მონაწილეობით. მას მაქსიმუმ 100-120 დღე უნდოდა ერაცში გაჩერებულიყო. გეგმის ნაწილი გახლდათ ჩალაბის დანიშვნა ლიდერად და მისი დატოვება (Lerner 2004). ამავე დროს, მართალია, რამსფელდი საოკუპაციო მთავრობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ იგი ერაცელებისათვის მთავრობის გადაცემასაც არ ჩქარობდა სადამის რეჟიმის დამხობის შემდეგ. მას სჯეროდა, რომ ერაცის ოპოზიციის ლიდერები შედარებით უცნობები იყვნენ ერაცელებისათვის, შესაძლოა არაკომპეტენტურებიც, კორუმპირებულებიც იყვნენ და ახალ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებდნენ. ის ერაცსა და ავღანეთს განსხვავებულად აღიქვამდა, რადგან ერაცს არსებითი სამხედრო სიძლიერე და ნავთობი ჰქონდა (Feith 2008a:402). მას არ სურდა ახალი ერაცის აშენება ძველ საზოგადოებაზე. მას სურდა, სრულად დაემალა სახელმწიფო და გამოეყენებინა კერძო ინდუსტრია ახალი საზოგადოების ასაშენებლად (Dower 2010:352).

ბუშის ადმინისტრაციის მიერ წინამორბედი ხელისუფლების გადაწყვეტილების კრიტიკა ბალკანეთში ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესში ჩარეულიყვნენ, არაფერი იყო თუ არა საკუთარი პოლიტიკიდან გამომდინარე მიდგომა. პრეზიდენტი ფიქრობდა, რომ სადამის რეჟიმს დაამხობდნენ და ერაცის რეკონსტრუქციას ერაცელებს გადააბარებდნენ (Gordon & Trainor 2007:578). მას სურდა სადამ ჰუსეინის გაგდება და ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის აშშ-ს სასარგებლოდ შეცვლა. ამასთან, აშშ-ს უნდა აეცილებინა გრძელვადიანი ძვირიანი და ძალაგამომცლელი მშვიდობის შენარჩუნებისა და ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესი. ერაცისათვის კი დამოუკიდებლობა მიენიჭებინა. ეს თეორია აშშ-სა და ერაცისათვისაც გამოსადეგი იქნებოდა (Gordon & Trainor 2007:174). თუმცა, როგორც ფეისი აღნიშნავს, არც ბუშსა და არც მის წინამორბედებს არ ჰქონდათ დაგეგმილი ამ დონის

ომის წარმართვა. აშშ-ს ინსტიტუტები და კანონები არ იყვნენ მზად გამკლავებოდნენ შეჭრის შემდგომ სტაბილიზაციასა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ოპერაციებს **(Feith 2008a:158)**.

მსგავს აზროვნებას დიდი გავლენა ჰქონდა აშშ-ს ომისშემდგომ სამზადისზე და დამოკიდებულებაზე. ადმინისტრაცია დაეყრდნო თანამედროვე ექსპერტიზას. სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას ითვალისწინებდნენ პანამაში შეჭრის გამოცდილებას და ეყრდნობოდნენ ჰაიტის 1994 წლის, ბოსნიის, კოსოვოსა და აღმოსავლეთ ტიმორის მაგალითებსაც, თუმცა ამას აშშ-ში ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესის დოქტრინა არ შეუქმნია **(O'Leary & McGarry 2005:251)**. კონდოლიზა რაისი აღწერს აშშ-ს სამხედროთა როლს და ფუნქციებს. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროები „სასიკვდილო ინსტრუმენტი“ იყო და არავითარ შემთხვევაში „სამოქალაქო მშვიდობის ძალა“. რაისის შეფასებით, *„სამხედროები არ არიან განკუთვნილი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისათვის და მათი საუკეთესო გამოყენება ხდება მკაფიო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“* **(Rice 2000)**.

2002 წლის 3 სექტემბერს **ენდრიუ კარდმა** შეკრა ჯგუფი, რომელსაც დაარქვა „თეთრი სახლის ერაყის საკოორდინაციო კრება“ ერაყთან ომის ეგექტური ორგანიზებისათვის **(Woodward 2004a: Chapter 16)**. ამავე პერიოდში შეიქმნა „სპეციალური დაგეგმვის სამსახური“ უშუალოდ ერაყის საკითხის განსახილველად. ბუშის ადმინისტრაცია შიშობდა, რომ სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღს გამოიყენებდა უკიდურეს შემთხვევაში, რათა წინ აღდგომოდა შეჭრას **(Feith 2008a:307)**. მიუხედავად ამისა, აშშ ფრთხილობდა, რათა მისი პოლიტიკა არ აღქმულიყო, როგორც ექსპანსიონიზმი. ჯერ კიდევ 2002 წლის ივნისში პრეზიდენტი აცხადებდა, რომ აშშ იმპერია არ იყო, რომ გაფართოებულყო **(Cox 2005:19)**. მეორე მხრივ, ბუშის ადმინისტრაცია მეტ ყურადღებას უთმობდა ომის წამოწყების მიზეზების გამყარებას, რათა პოლიტიკური ექვები გაეფანტათ ამერიკაშივე. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ერაყი მიიღებდა ამერიკული სტილის დემოკრატიას და სწორედ ამ იდეოლოგიით იყვნენ დაბრმავებულები **(Galbraith 2006:112)**.

2003 წლის 10 იანვარს, ერაყიდან განდევნილებთან შეხვედრაზე, ბუშმა სცადა შეჭრასთან დაკავშირებით ერაყელთა დამოკიდებულების გარკვევა. მან განჭვრიტა,

რომ ომით ერავს სერიოზული ზიანი არ მიაღებოდა. ის ამტკიცებდა, რომ უარესის მოლოდინში იყო, თუმცა, მისი თქმით, ამერიკა სრულად აიღებდა პასუხისმგებლობას გარდაუვალ ზიანზე და ერავს მარტო არ მიატოვებდა. აქვე მამამისის შეცდომაც აღნიშნა, როდესაც 1991 წელს უფროსმა ბუშმა არ დაიცვა ერავი. მან ამერიკელების ორი არმია ახსენა: პირველი, რომელიც იბრძოლებდა და მეორე რომელიც აღადგენდა ერავს (**Draper 2008:188**). ერავის ომის წინ და ავღანეთის ომის დროსაც ბუში აღნიშნავდა, რომ აშშ-ს ჯარები აღმშენებლობისათვის უნდა გამოეყენებინათ (**Woodward 2004a: Epilogue**).

2003 წლის 1 მარტის თავის ცნობილ სიტყვაში ბუშმა განაცხადა, რომ ერავში იწყებოდა ახალი, აღდგენის ფაზა. ის ხაზს უსვამდა, რომ დრო და მძიმე შრომა იქნებოდა საჭირო. მან თქვა: *„ჩვენ დავდგებით ერავის ახალ ლიდერებთან ერთად, რომლებიც შექმნიან ერაველი ხალხისაგან, ხალხით და ხალხისთვის დაკომპლექტებულ მთავრობას. დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლას დრო დასჭირდება, თუმცა ეს ამად ღირს. ჩვენი კოალიცია დარჩება, სანამ საქმეს არ მოვრჩებით. შემდეგ ჩვენ წავალთ და დავტოვებთ თავისუფალ ერავს“* (**Woodward 2006:187**).

ფეისი წერს, რომ „ოპერაცია თავისუფლება ერავს“ შესრულებისას და მის შემდგომ მისი ოფისი აგრძელებდა მუშაობას ოკუპაციის თავიდან ასაცილებლად. ერავის დროებითი ხელისუფლების შესახებ წინადადება ბუშმა 2003 წლის 10 მარტს დაამტკიცა (**Feith 2008a:436**). იმავე დროს დაგლას ფეისმა პრეზიდენტს მოახსენა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრებაზე ერავის დროებითი მთავრობის კონცეფციის შესახებ. იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ აერიდებინათ პოსტსადაამური ერავის პირდაპირი და სრული კონტროლი. თუ აშშ დაამყარებდა საოკუპაციო ხელისუფლებას, ეს აღიქმებოდა როგორც სამხედრო მმართველობა და ნაკლებ მხარდაჭერას მოიპოვებდა ერაველთა, დიდი ბრიტანეთისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ფეისის აზრით, ეს ძალაუფლების ვაკუუმს შექმნიდა, რომელსაც გამოიყენებდა ირანი ან რომელიმე სხვა გარე ძალა. გარდა ამისა, შეიქმნებოდა არაჯანსაღი მდგომარეობა ერავული ნაციონალიზმისათვის (**Feith 2008a:406-407**).

ზოგადად, ომისათვის შემუშავებული გეგმა უფრო მეტად ჰგავდა შევარდნას, სადამის დამხობასა და ერავის დატოვებას. ამიტომ ერავის ომისშემდგომი მოწყობის

გეგმაც არ არსებობდა. შესაბამისად, არ არსებობდა არც მზაობა ომისშემდგომი სტაბილიზაციისათვის. ყოველივე ამან სავალალო როლი ითამაშა შემდგომ პროცესებში.

§2. ერაყის ოკუპაციის საწყისი ფაზა: ექსპერიმენტების ხანა

ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე, 2003 წლის 20 იანვარს შეიქმნა ერაყის რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების სამმართველო, რომლის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა გადამდგარი გენერალი **ჯეი გარნერი**. ამან ნათლად აჩვენა, რომ აშშ-ს ძალიანაც არ სურდა ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესში ჩართვა და მათი ფოკუსი ჰუმანიტარულ კრიზისზე უფრო იყო მიმართული, რადგან გარნერი მეთაურობდა ოპერაციას სახელად „უზრუნველვეყოთ კომფორტით ერაყის ქურთისტანი“, რათა გადაადგილებული ქურთები დაეპურებინათ და მათი რეპატრაცია მოეხდინათ (**Feith 2008a:349**). იგი განიხილებოდა ცენტრალური მმართველობის ნაწილად, რათა დახმარებოდა მას სამოქალაქო ექსპერტიზით ომის შემდგომი, მეოთხე სარეკონსტრუქციო ფაზის შესასრულებლად (**Feith 2008a:349**). რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისი ძალიან რთული ორგანიზაცია იყო. ამის მიზეზი კი სააგენტოთაშორისო სტრუქტურა გახლდათ. ამას დამატა მისი მიზანი, ემუშავა სამხედროებთან (**Feith 2008a:350**).

19 მარტს, ერაყის წინააღმდეგ ოპერაციის დაწყების დღეს, აღნიშნული სამმართველო გარდაიქმნა კოალიციურ დროებით ხელისუფლებად, რომელიც თავდაცვის დეპარტამენტს ექვემდებარებოდა და რომელსაც გარნერი 21 აპრილს ჩაუდგა სათავეში (მანამდე აღნიშნულ ორგანოს ოფიციალური ხელმძღვანელი არ ჰყავდა, თუმცა რეალურად ამ ფუნქციას სწორედ გარნერი ასრულებდა). გარნერს არ მოეწონა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილი 1000-გვერდიანი დოკუმენტი – „ერაყის პროექტის მომავალი“ – და უგულებელყო ის. როგორც გორდონი და ტრეინორი ამტკიცებენ, დოკუმენტის იგნორირება სწორედ სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის დაპირისპირების გამო მოხდა (**Gordon & Trainor 2007:182**).

გარნერმა ახალ ადმინისტრაციაში ქურთების აქტიურად ჩართვაც სცადა. **ნავ-შირვან მუსტაფა ამინი** იხსენებს გარნერის ვიზიტს ქურთისტანში 2003 წლის აპრილ-

ში. იგი ითხოვდა მასუდ ბარზანისა და ჯალალ ტალაბანის ბაღდადში ჩასვლას და ახალი ადმინისტრაციის დამყარებაში დახმარებას. გარნერი მოითხოვდა, ოპოზიციის ზრდას, რათა მათ ორგანიზება გაეწიათ ეროვნული კონფერენციისათვის და მოეწვიათ 300-500 ერაყელი რომ შეექმნათ პოსტსადამური ერაყის პირველი მთავრობა, ამერიკელების მეთვალყურეობით, მაგრამ ეს არ გამოვიდა ძირითადად ოპოზიციის უმოქმედობის გამო. ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭო საუბარს ანდომებდა დროს და არანაირი მოქმედება არ მოუხდენია. სამი კვირა ამ წინადადებას ეწინააღმდეგებოდნენ და ამის შემდეგ ნება დართეს, პროცესში ჩართულიყო **იბრაჰიმ ჯაფარის** ისლამური დავა პარტია და **ნასერ ალ-ჩადერჩის** ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია. ამან საბოლოოდ გაუცრუა ერაყის ოპოზიციის იმედი აშშ-ს ხელმძღვანელობას და უფრო მეტად შეაგულიანა ერაყის დამოუკიდებლად კონტროლში. გაეროს 1483-ე რეზოლუცია დაამტკიცეს და ამერიკის სტატუსი განისაზღვრა, როგორც ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოსი, დიდ ბრიტანეთთან ერთად (**Amin 2007**). ბრემერიც ადასტურებს ამ პოზიციას. იგი ამბობს, რომ როდესაც განდევნილთა ჯუფმა, რომლებთანაც აშშ-ს ჰქონდა კავშირი, ვერ მოახერხა წარმომადგენელთა რიცხვის გაზრდა, კოალიციურმა დროებითმა ხელისუფლებამ თავად დაიწყო ერაყელი ლიდერების ძებნა ჯგუფის შესავსებად (**Bremer, Dobbins, Compert 2008:36**).

გარნერს, რომელიც მართლაც სხვანაირად უყურებდა ერაყის საკითხს, ჰქონდა მცდელობა, რომ ერაყში სასწრაფოდ, არა უგვიანეს ივლისის შუა რიცხვებისა, ჩაეტარებინა არჩევნები. მისი თქმით, *„რაც ჩვენ გვჭირდება, არის ერაყის ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც ხალხის თავისუფალ ნებას გამოხატავს. ეს მათი ქვეყანაა... მათი ნათობია“* (**Palast 2006**). 2004 წლის 18 მარტს მან BBC-ს განუცხადა: *„მე უპირატესობას ვანიჭებდი ერაყელებისთვის ხელისუფლების რაც შეიძლება მალე გადაცემას. ეს კი არჩევნების სახით უნდა მომხდარიყო... მე ვთვლიდი, რომ ერაყელები თავად უნდა გამხდარიყვნენ საკუთარი ბედ-იღბლის პატრონები“* (**Leigh 2004**).

როგორც ჩანს, სწორედ ასეთი დამოკიდებულების ბრალი იყო ის, რომ გარნერი სასწრაფოდ, უკვე 2003 წლის 12 მაისს ჩაანაცვლეს **პოლ ბრემერით**. პენტაგონი ირწმუნებოდა, რომ ეს თავიდანვე გეგმის ნაწილი იყო. როგორც ჯორჯ პეკერი ხსნის, რომ

გეგმა იყო გაეგზავნათ ერაყში სამოქალაქო წარმომადგენელი, რათა მხარი დაეჭირა ერაყის დროებითი მთავრობისათვის (**Packer 2005:144**). ჩვენი აზრით, ეს აშკარად მცდარი არგუმენტია. გარნერი რომ დანიშნულიყო თანამდებობაზე ერაყში შეჭრამდე ან ბალდადის აღებამდე, კიდევ შეიძლებოდა იმაზე ფიქრი, რომ ის იქნებოდა წარმომადგენელი მხოლოდ საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პერიოდში და შეიცვლებოდა ომის დასრულების შემდეგ. ვინაიდან გარნერი თანამდებობაზე დაინიშნა 2003 წლის 21 აპრილს, როდესაც ბრძოლები უკვე დასრულებულიყო, ამ არგუმენტის გამოყენება შეუძლებელია. თუ აშშ-ს ხელისუფლებას სურდა სამოქალაქო პირის დანიშვნა ერაყის დროებითი ხელისუფლების დასახმარებლად, მაშინ ეს შესაძლებელი იყო უკვე აპრილში. ასე რომ, აშკარაა, ვაშინგტონში მაინცდამაინც არ მოეწონათ გარნერის პოზიცია.

ჩვენი აზრით, შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გარნერი აბსოლუტურად სწორი იყო თავის შეფასებებში და მისი ტაქტიკის გამოყენების შემთხვევაში სავსებით შესაძლოა ახლო აღმოსავლეთში მოვლენები აშშ-სთვის ბევრად უფრო ხელსაყრელად განვითარებულიყო.

კოალიციური დროებითი ხელისუფლების ახალ ხელმძღვანელს, ლუის პოლ ბრემერს უფრო მეტი საერთო ჰქონდა ნეოკონსერვატორებთან, მაგ. ვულფოვიცთან. ჩავიდა თუ არა ერაყში, ბრემერმა გარნერს აცნობა, რომ ერაყის არმიას არ აღადგენდა და არც ბაასის პარტიასთან იმუშავებდა. მან ადგილობრივი არჩევნებზე გააუქმა, რაც ერაყელების მიერ იყო დაგეგმილი. მან ცვლილებები შეიტანა კოალიციური დროებითი ხელისუფლების ფუნქციებშიც. მართალია, თავიდან ეს ერთეული გათვალისწინებული იყო როგორც სამოქალაქო მთავრობა, მაგრამ იგი მაინც უფრო სამხედრო გახლდათ, რადგან შედგებოდა მრავალი სარეზერვო ოფიცრისაგან, თუმცა ოფიცრების დიდ ნაწილს უკვე ჰქონდა სათანადო სამოქალაქო გამოცდილება. არსებობდა საშუალო რანგის სპეციალისტების სერიოზული დეფიციტი. არაბული ენის მცოდნე რეგიონული ექსპერტებიც კი არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობით. ბრემერს თავისი მოადგილე ოფიციალურად არ დაუნიშნავს, მაგრამ კლეიტონ მაკმანაუეი ითვლებოდა მის უახლოეს მრჩევლად და მისი არყოფნის შემთხვევაში მეთაურობდა კოალიციურ დროებით ხელისუფლებას (**Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:16**). რამსფელდის

ფორმალური ბრძანებით ბრემერს ჰქონდა კოალიციური ერთობლივი ძალების (CJTF-7) მეთაურის გენერალ რიკარდო სანჩესის მხარდაჭერაც.

თავიდანვე დაბნეულობას იწვევდა კოალიციური დროებითი ხელისუფლების ურთიერთობა ვაშინგტონთან. ეს დანაყოფი ერთდროულად იყო თავდაცვის დეპარტამენტის ნაწილი, მრავალეროვნული ორგანიზაცია და უცხო ქვეყნის მთავრობა. ბრემერიც, ერთი მხრივ, რამსფელდს ემორჩილებოდა, თუმცა პატაკს პრეზიდენტის სპეციალურ დესპანსაც აბარებდა (**Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:17**). ეს კი იწვევდა გარკვეულ გაუგებრობას ურთიერთობის სტატუსზე. რამსფელდმა ბრემერის შტაბის უფროსს აუკრძალა სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურში აყვანა, ვინაიდან ამ უკანასკნელებს პირდაპირ უნდა მიეწოდებინათ ინფორმაცია ვაშინგტონში. საკუთარ სააგენტოებთან პირდაპირი კავშირი. თავდაპირველად თავდაცვის დეპარტამენტი ბრემერის პატაკს არ აწვდიდა სახელმწიფო დეპარტამენტს, თეთრ სახლსა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს. შემდგომაც კი აგვიანებდა ინფორმაციის მიწოდებას (**Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:18**).

ოკუპაციის საწყის პერიოდში ძირითადი ხარვეზები მოდის სწორედ პოლ ბრემერისა და კოალიციური დროებითი ხელისუფლების შეცდომებზე. პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ერთგვარი დაპირისპირების გამო ვერ ხერხდებოდა კოორდინირებული მუშაობა და გეგმების შეთანხმება. **დაგლას ფეისი** ასკვნის, რომ ბუშის ადმინისტრაციის მთავარი წევრებიდან და სახელმწიფო დეპარტამენტიდან უხალისოდ უდგებოდნენ საკითხს, რადგან პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდნენ, თუმცა ვერცერთი ვერ შეეწინააღმდეგა მას დისკუსიისას (**Feith 2008a:272**). **რიჩარდ არმიტეჯი** აღნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკაში, რომელიც კონდოლიზა რაისის მიერ უნდა ყოფილიყო კოორდინირებული, ეფექტური ნაბიჯები არ იყო გადადგმული (**Woodward 2004a: Epilogue**).

დამატებით, ომის შემდგომ ამერიკამ ვერ შეძლო ძალის ერთიანობის შენარჩუნება. კოალიციის დროებითი ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნა ერაყში. სინამდვილეში კი ასე არ მომხდარა – ცენტრალურმა სარდლობამ და კოალიციის დროებითმა ხელისუფლებამ სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს მოქმედება. ცენტრალური სარდლობა რამსფელდს აბარებდა პატაკს.

მართალია, **პოლ ბრემერს** უნდა ჩაეხარებინა პატაკი რამსფელდისათვის, მაგრამ ის ამას არ ასრულებდა. შედეგად, არ იყო ლიდერთა ერთობლიობა და, აქედან გამომდინარე, არც ძალის ერთობლიობა (**Davis 2006:435**). უფრო მეტიც, უწყებათაშორისი დებატები ვაშინგტონში უარყოფდა აღმდგენი პროგრამისთვის ძალის საჭიროებას (**Allawi 2007:81**).

ბრემერმა საკუთარ თავს ფაქტობრივად დიქტატორის უფლებები მიანიჭა. 14 თვის მანძილზე ბრემერმა 100 ბრძანება გასცა, რაც აშშ-ს სამხედროებისა ან ერაყის მთავრობის მიერ უნდა ყოფილიყო აღსრულებული. გაეროს სპეციალური **დესპანი** ლახდარ ბრაჰიმი ბრემერს „*ერაყის ახალ დიქტატორსაც*“ კი უწოდებს (**Juhasz 2006:197**). მან თავის თანაშემწეებს განუცხადა 2003 წლის 12 მაისს, რომ დემოკრატია ვერ იმუშავებდა, თუ პოლიტიკურ სტრუქტურებს არ ექნებოდათ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. ამის უზრუნველყოფა კი პოლიტიკური პარტიების, თავისუფალი პრესის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და სახელმწიფო ხარჯებში ანგარიშვალდებულებით იყო შესაძლებელი (**Bremer & McConnell 2006:19**). პოლ ბრემერი ერაყში ჩავიდა მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის სამხედრო ოპერაციები წარმატებით დასრულდა. იგი იტყვის, რომ მას რთული როლი დაეკისრა ერაყის აღმშენებლობის საქმეში. იგი კოალიციის გამოწვევებს სამ პუნქტში აღწერს: „*ერაყელი ხალხისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ერაყის დაყენება უფრო გახსნილ, ჰუმანურ და დემოკრატიული საზოგადოების გზაზე, ბოლოს ერაყის მომავლადავი და დახურული ეკონომიკის რეფორმა.*“ მისივე თქმით, პირველი პუნქტი სამხედროების მისია იყო, ხოლო ბოლო ორი – კოალიციური დროებითი მთავრობის (**Bremer, Dobbins, Compert 2008:21**).

ბრემერის ერაყში ჩასვლით ამერიკელების პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. **ბრედ სუონსონი**, კოალიციური დროებითი მთავრობის წევრი, ამერიკელების ერაყში ყოფნას ორი ფაზით აღწერს: 1. თავდაჯერებულობის ფაზა, როდესაც ნაკლები სამხედრო ძალით, მცირე გეგმით, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ დაიპყრო ქვეყანა და ვარაუდობდა ექვსი კვირის მანძილზე დაეტოვებინა ის ფუნქციონირებადი მთავრობით; 2. ქედმაღლობის ფაზა, რაც ითვალისწინებდა ამერიკის მხრიდან დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყენებას მას შემდეგ, რაც გააზრებულ იქნა

პრობლემის სირთულე, რათა პრობლემა მაინც გადაწყვეტილიყო (**Packer 2005:187**).

ბრემერს სჯეროდა, რომ ძლიერი პოლიტიკური ინფრასტრუქტურის შექმნით, აშშ-ს შეეძლო წარმატების მიღწევა ერაყში. მას სურდა გერმანული და იაპონური მოდელების გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქაოსი, სამოქალაქო ომი და ტირანია გამეფდებოდა (**Bremer & McConnell 2006:205**). ორი ვარიანტი არსებობდა: პირველი – მმართველობის დაუყოვნებლივ, არჩევნების გარეშე, გადაბარება ერაყული მთავრობისათვის ან მეორე – მმართველობის შენარჩუნება და შედარებით ნელი, ფრთხილი პოლიტიკური პროცესის შედეგად სუვერენიტეტის აღდგენა (**Bremer, Dobbins, Compert 2008:33**). ერაყელებისათვის ხელისუფლების გადაცემის ირგვლივ არსებული განსხვავებული მოსაზრებების გამო ამერიკის შეერთებული შტატები გრძელვადიან ოკუპაციაში აღმოჩნდა ჩართული. ძირითადად ეს იყო იმის მიზეზი, რომ უფრო მეტად ინკლუზიური პოლიტიკური გარემოს შექმნა სურდათ (**Galbraith 2006:116**). ერაყში მიმდინარე სირთულეების გვერდით ბუშის ადმინისტრაციამ გადახედა საწყის გეგმებს ომის შემდგომი ერაყის შესახებ. ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესის თავიდან აცილება შეუძლებელი ჩანდა. ამერიკელი სამხედროების რიცხვი გაიზარდა, რამაც ბაღდადში უფრო დიდი პატრულირება გამოიწვია. 2003 წლის ივნისმა აშკარად გამოაჩინა ცვლილება ამერიკის პოლიტიკაში – ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესისაკენ სწრაფვა ცხადი გახდა (**Daalder & Lindsay 2003:154**).

ბრემერმა გადაწყვიტა, შეექმნა სამოქმედო გეგმა, რადგან ვაშინგტონის ომის შემდგომმა გეგმებმა არ გაამართლეს (**Bremer & McConnell 2006:154**). ბრემერმა უარი თქვა ერაყის დროებითი მთავრობის შექმნაზე, რადგან, მისი აზრით, ერაყის ლიდერებს არ ჰქონდათ სათანადო კომპეტენცია და ისინი არაწარმომადგენლობითები იყვნენ (**Feith 2008a:445-446**). ფეისი ირწმუნება, რომ შეჭრის წინ ერაყის ხელისუფლების შექმნის იდეა არ მოსწონდათ ადმინისტრაციაში. მაგრამ ომის შემდგომ ერაყის მთავრობის შექმნა, რომელიც ცნობილი იყო ერაყის დროებითი ხელისუფლების სახელით, დამტკიცებულ და მოწონებულ იქნა პრეზიდენტისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ. პაუელმა და არმიტეჯმა სცადეს ამ გეგმის შეჩერება, მაგრამ გარნერმა მაინც დაიწყო მისი განხორციელება, თუმცა, საბოლოო ჯამში, ბრემერმა უარი თქვა მას-

ზე (Feith 2008a:375). ფეისი ასევე ბრალდებად აყენებს ერაყის პოლიტიკური კონფერენციის გადადებას ერთი წლით, რამაც დიდი ზიანი მოუტანა პოსტსადაამურ ერაყს (Feith 2008a:282). მისივე თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, დაასკვნეს რა ექსპატრიატი პოლიტიკოსების არაკომპეტენტურობა და ლეგიტიმურობის სიმცირე (Feith 2008a: 279). იგი ასკვნის, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურსა და სახელმწიფო დეპარტამენტს გარკვეული გავლენა ჰქონდათ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და მეთაურთა ყრილობაზე, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს ერაყში დიდი გავლენა ჰქონდათ ბრემერის ხედვებზე ერაყის ექსპატრიატების შესახებ. ცენტრალურ მმართველობაში ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმაც შეძლეს გარკვეულწილად ერაყის ექსპატრიატების შესახებ შეექმნათ წარმოდგენა სამხედრო მეთაურებისათვის. ამის მიზეზი იყო ის მოსაზრებაც, რასაც მეთაურები განიხილავდნენ – ერაყელთა გადამზადება და წვრთნა დროის ხარჯვა იყო (Feith 2008a:370). მაშინაც კი, როდესაც ბრემერმა შექმნა ერაყის მმართველი საბჭო, მან გადაწყვიტა ამ ორგანოსთვის არ მიეცა დამოუკიდებელი მმართველობის უფლება და ის კოალიციური დროებითი მთავრობის ქვეშ მოაქცია, თუმცა მმართველობა არ გაუზიარებია მასთან (Feith 2008a:447). 2003 წლის 13 ივლისს კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ შექმნა ერაყის მმართველობის საბჭო, რომელიც 6 ერაყელი ლიდერისაგან, ერთი გარე და 18 სხვა წევრისგან შედგებოდა. ისინი კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ შეარჩია (Feith 2008a:447).

ერთ-ერთი პირველი, რაც ბრემერმა ჩასვლისას გააკეთა, იყო კონსულტაციების წამოწყება, რაც საბოლოოდ მმართველი საბჭოს შექმნით დაგვირგვინდა. ეს იყო ორგანო, დაკომპლექტებული ერაყის ემიგრანტებისა და ადგილობრივი ლიდერებისაგან, რომლებიც თავად ბრემერმა აირჩია გაეროსა და ამერიკელი და ბრიტანელი რეგიონული ექსპერტების ჯგუფის მხადაჭერით. ეს დანაყოფი ძირითადად რჩევების მისაცემად შეიქმნა. დაგეგმილი იყო მისი გავლენის ზრდა მომდევნო თვეებში (Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:20).

ავგისტოში ბრემერმა მმართველ საბჭოს ნება დართო, დაენიშნა ერაყელი მინისტრები სააგენტოების მეთაურებად. აქედან გამომდინარე, კოალიციური დროებითი

მთავრობის მრჩევლებს შედარებით მნიშვნელოვანი როლი მიენიჭათ, მათ შეუნარჩუნდათ ვეტოს უფლება ძირითად საკითხებზე. ჯერ კიდევ ვაშინგტონში ბრემერს უთხრეს, რომ ამერიკელი სამხედროების ძირითადი ნაწილი ერაყიდან მომდევნო თვეებში უნდა გამოსულიყო და 2003 წლის შემოდგომისთვის მხოლოდ 30 000 სამხედრო დარჩებოდა. ამიტომ ბაღდადში ჩასვლისთანავე მან საკუთარ მოხელეებს განუცხადა, რომ წესრიგი და კანონი უნდა გამხდარიყო პრიორიტეტი, თუმცა მალევე ორი ბრძანებით ხელი შეუწყო უწესრიგობასა და აჯანყებებს (**Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:21**).

პირველივე ბრძანებით მან ბაასის პარტიის წევრებს აუკრძალა მთავრობაში ყოფნა. 2003 წლის 16 აპრილს კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ დაშალა ბაასის პარტია. ინდივიდები, რომელბიც უმაღლესი მენეჯმენტის სამ საფეხურზე იყვნენ, უნდა დაკითხულიყვნენ ბაასის პარტიასთან თანამშრომლობის გამოსავლენად (**CPA Order 1 2003**). მოგვიანებით ბრემერი ახსნის, რომ მას მაღალი რანგის ბაასისტებისაგან უნდოდა თავის შეკავება, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიციელები, მასწავლებელი და ექიმებიც კი გაუშვეს სამსახურებიდან. მეორე ბრძანების მიხედვით კი დაიშალა ერაყის არმია (**CPA Order 2 2003**) და ათასობით შეიარაღებული ადამიანი უმუშევარი დარჩა.

ამ ორმა ბრძანებამ ბრემერისა და ამერიკული ოკუპაციის ოპოზიციონერები ოფიციალურად გააქრო, მაგრამ ასევე შეიქმნა განათლებული და კარგად შეიარაღებული საზოგადოების ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერდა აჯანყებას. ამ ბრძანებებიდან რამდენიმე თვეში ქვეყანა გაეხვა ქაოსში. ჟურნალისტები და მკვლევარები კი ცდილობდნენ გარკვევას, თუ ვის კისერზე იყო ამ ორი საბედისწერო ბრძანების გაცემა. ჩარლზ ფერგიუსონი, იკვლევს რა საკითხს და ატარებს მრავალ ინტერვიუს სხვადასხვა რანგის სპეციალისტებთან, ამ ორი ბრძანების შემოქმედად ასახელებს უოლტერ სლოკომბერს, რომელიც კოალიციურ დროებით მთავრობაში მრჩევლად მუშაობდა (**Ferguson 2007**). ბრემერის დანიშვნამდე უსაფრთხოების საკითხების მეთაურად დაინიშნა უოლტერ სლოკომბერი. სწორედ მას და მრავალ სხვა თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელს ეგონა, რომ კარგი იქნებოდა ერაყის არმიის დაშლა და ახლის შექმნა. სწორედ ამას ემსახურებოდა ბრემერის 16 მაისის ბრძანებაც, რომელიც 19 მა-

ისს რამსფელდმა დაამტკიცა. 22 მაისს ამის შესახებ პრეზიდენტსა და სხვა მაღალჩინოსნებს ეცნობა. არავის გაუპროტესტებია ბრძანების შინაარსი. 2004 წლის დასაწყისისთვის აშშ-ს ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ უნდა აღედგინათ ერაყის არმია და პოლიცია. მართალია, გადადგმულმა ნაბიჯებმა გაზარდა რაოდენობა, მაგრამ ხარისხი ძალიან დაბალი იყო. ამიტომ მიიჩნევა, რომ ბრემერის 14-თვიანი მმართველობისას ძალოვანი სტრუქტურების დაშლა ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება იყო **(Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:22)**.

არმიისა და პოლიციის აღდგენის მცდელობა ძალიან დუნედ და წარუმატებლად მიმდინარეობდა. ბრემერი ეთანხმებოდა გენერალ სანჩესს, რომ ამერიკელებს უნდა ეთავათ ახალი არმიის გადამზადება, თუმცა რეალურად საქმის შესრულება ძალიან ჭიანჭურდებოდა. პოლიციის აღსადგენად ნიუ იორკის პოლიციის ყოფილი უფროსი ბერნარდ კერიკი ჩაიყვანეს ბაღდადში. მაგრამ მან არ დაუთმო თავისი დრო ახალი წევრების რეკრუტირებასა და წვრთნას. სულ რაღაც 4 თვეში კერიკმა დატოვა ბაღდადი და ბრემერმა კვლავ თავის თავზე აიღო საპოლიციო ძალების შეკრებისა და წვრთნის გეგმა **(Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:24)**.

დებაასიფიკაციის გეგმა დენაციფიკაციის მოდელს ემყარებოდა, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბებში. გერმანიის შემთხვევაში საუბარი იყო მოსახლეობის 2,5 პროცენტზე **(Herz 1948: 577)**, ხოლო ერაყში – 0.1 პროცენტზე **(Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:113)**. მეორე განსხვავება კი ისაა, რომ გერმანიაში მაღალი რანგის ნაცისტი ლიდერების მიმართ გატარდა რეპრესიები, ხოლო ერაყში იგი თითქმის ყველას შეეხო. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. თავდაცვის დეპარტამენტის მიერ შეგულიანებულმა ბრემერმა საქმის შესრულება მმართველ საბჭოს გადააბარა, ამ უკანასკნელმა კი პირდაპირ შემსრულებლად აჰმედ ჩალაბი აირჩია. მას და მის მიმდევრებს კი ნაკლებ აინტერესებდათ ბაასის პარტიის წევრების აღდგენა სხვადასხვა სამსახურებში მათი დანაშაულის სიმსუბუქის მიუხედავად. მალევე ბრემერი მიხვდა თავისი გადაწყვეტილების სიმცდარეს. იგი განიცდიდა დიდ წნეხს შიიტი და ქურთი ლიდერებისაგან, რომ პროცესი გაგრძელებულიყო. ბრემერმა საბოლოოდ მაინც სძლია მმართველი საბჭოს წნეხს და დააბრუნა სამსახურში რამდენიმე ათასი მასწავლებელი **(Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:113)**.

ერაყში ეკონომიკური სტაბილურობის შექმნა ეყრდნობოდა გეგმის ნაწილს, რო-

მელიც შესრულებული იყო კომპანია „ბირინგ პოინტის“ მიერ. გეგმა ბუშის ადმინისტრაციას 2003 წლის 21 თებერვალს გადაეცა (**Juhasz 2006:195**), მაგრამ კონტრაქტს ხელი მხოლოდ 2003 წლის 24 ივლისს მოაწერეს. კონტრაქტის სათაური გახლდათ: „ეკონომიკური გამოკეთების სტიმულირება, რეფორმა და მდგრადი ზრდა ერაყში“. ეს კონტრაქტი თებერვლის გეგმისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. კონტრაქტის მიხედვით უნდა შეექმნათ სრულიად თავისუფალი ბაზარი, მთლიანად უნდა გაეჭროთ ცენტრალიზებული, შეჭრამდე არსებული ეკონომიკა. კონტრაქტში ნახსენებია: „ზომები მიღებული იქნება იმისათვის, რომ შეიქმნას საფუძველი მუშა ეკონომიკისათვის, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის მოცემული სიტუაცია, რაც ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარების შედეგად შეიქმნა... საუბარია შემდეგ რეფორმებზე – ფისკალურ რეფორმაზე, ფინანსური სექტორის რეფორმაზე, ვაჭრობის, საკანონმდებლო და მარეგულირებელ რეფორმასა და პრივატიზაციაზე“ (**USAID 2003**).

ეს რეფორმებიც, რა თქმა უნდა, ვერ განხორციელდებოდა, ბრემერის მთავრობას ოპოზიცია რომ ჰყოლოდა. ამიტომ მისმა პირველმა და მეორე ბრძანებამ ერაყი გაწმინდა ყოველგვარი პოლიტიკური ოპოზიციისაგან. მისი მომდევნო კანონები ძირითადად ხელს უწყობდა „ბირინგ პოინტის“ მიზნების გატარებას. მაგალითად, მე-12 ბრძანებამ გააუქმა ყოველგვარი ტარიფი, საბაჟო გადასახადი, იმპორტის გადასახადი, ლიცენზიის თანხა და მსგავსი ხარჯები ერაყში შემომავალ ყველა პროდუქციაზე (**CPA Order 12 2003**). მე-17 ბრძანებით კოალიციის ჯარებსა და ყველა კონტრაქტორს იმუნიტეტი მიენიჭა ერაყის კანონებისაგან (**CPA Order 17 2003**). 37-ე ბრძანებით ერაყის პროგრესირებადი გადასახადების სისტემა შეიცვალა ბრტყელი გადასახადებით, რაც ძალიან უნდოდა ისეთ რესპუბლიკელებს, როგორებიც იყვნენ ჯეფ კემპი, სტივ ფორბსი და ფილ გრეჰემი (**CPA Order 37 2003**). 39-ე ბრძანებით მოხდა სახელმწიფოს კუთვნილი ყველა ბიზნესის პრივატიზაცია, უცხოურ ფირმებს მიეცათ უფლება 100% წილი ჰქონოდა ერაყის ბიზნესში, ერაყიდან შესაძლებელი გახდა ნებისმიერი რაოდენობის თანხის შეუზღუდავად გადარიცხვა (**CPA Order 39 2003**). მე-40 ბრძანებით უცხოელებს შეეძლოთ ერაყული ბანკების 50%-იანი წილის ფლობა (**CPA Order 40 2003**), თუმცა 94-ე ბრძანებით ეს შეზღუდვაც მოიხსნა და 50% გაიზარდა 100%-მდე (**CPA Order 94 2004**).

ამ ბრძანებების გამო ერაყში ცხოვრება გაჭირდა, უმუშევრობამ მოიმატა და პროდუქციის ფასი გაძვირდა. ცენტრალურ ბანკთან ერთად ახალი ვალუტაც კი გამოიცა, რათა მოეხდინათ დინარის სტაბილიზირება. სტაბილურობა, უსაფრთხოება, წესრიგი ჩანასახშივე გაქრა. მიუხედავად ამისა, 2004 წელს ერაყში შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდა 46,5 პროცენტით (**Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009:32**), რაც უბრალოდ ბრწყინვალე მიღწევა იყო. ამერიკელებისთვის სამწუხაროდ, ეს შედეგი ვერ შეინარჩუნეს დაწყებული აჯანყებების გამო.

ბრემერიც არ იყო აღფრთოვანებული ერაყელი ლიდერების უნარებით. მისი აზრით, მათ აკლდათ თავდადება, ბეჯითობა და მმართველობისათვის საჭირო ჩვევები. შესაბამისად, მან გადაწყვიტა ერაყის მართვა, სანამ სათანადო სამოქალაქო საზოგადოებას არ ჩამოაყალიბებდა, განავითარებდა დემოკრატიას და ახალ მმართველობას არ შექმნიდა. კოალიციური დროებითი ხელისუფლება სათავეში უნდა დარჩენილიყო მრავალი წელი, სანამ ამის მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი ახალი კონსტიტუციისა და არჩევნების შექმნით. რამსფელდის აზრით კი, ბრემერის ეს კონცეფცია და ამისთვის შესასრულებელი სამუშაოები არ იყო საჭირო (**Feith 2008a:458**). ბრემერმა დაასკვნა: „*ერაყიდან განდევნილი ლიდერების ჯგუფი არ ასახავდა ერაყელი მოსახლეობის ბალანსს...*“. მისი აზრით, სუნიტები მცირედ იყვნენ წარმოდგენილნი, ქურთები კი – ზედმეტად. ჯგუფში არ შედიოდნენ ქალები ან მნიშვნელოვანი ერაყული უმცირესობების წარმომადგენლები – ქრისტიანები და თურქმანები. იგი ამატებს, რომ ჯგუფი იყო „ცუდად ჩამოყალიბებული“ და „მცირე წარმომადგენლებით დაკომპლექტებული“ (**Bremer 2008a**).

ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და სახელმწიფო დეპარტამენტში ხაზს უსვამდნენ ერაყის საზოგადოებაში ღრმა დაყოფას, რაც სადამის ხანგრძლივი ტირანიის შედეგი იყო. მათი აზრით, აშშ იძულებული იქნებოდა, გრძელვადიანი პროცესი წამოეწყო ერაყის წარმომადგენლობითი მთავრობის გზაზე დასაყენებლად. ბრემერი კვლავ ირწმუნებოდა, რომ პრეზიდენტი მარტის თვისათვის დაეთანხმა მცირევადიანი ოკუპაციის იდეას (**Bremer 2008a**). ფეისი აკრიტიკებს ბრემერს, რადგან იგი არ ენდობოდა ერაყელებს და არ სურდა მათთვის ძალაუფლების გადაცემა. მისი აზრით, ბრემერს რომ მოენდომებინა, შეძლებდა ერაყელი პოლიტიკოსების წინ წამოწევას.

ამის მაგალითად მას მოჰყავს 2003 წლის 15 ნოემბრის შეთანხმება, რის შედეგადაც შეიქმნა გარდამავალი ადმინისტრაციული კანონი, დაიშალა ერაყის მმართველი საბჭო და შეიქმნა დროებითი ხელისუფლება (Feith 2008a:448). ბრემერი მუდმივად წნეხის ქვეშ იყო. 2003 წლის ოქტომბრიდან მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულდა. იგი იმედგაცრუებით ასკვნის: „თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლია გაუმკლავდეს სირთულეებს 6 თვეში, ჩვენ მივიღებთ მეტად „მოუწესრიგებელ“ საუკუნეს“ (Bremer & McConnell 2006:189). ბრემერმა უთხრა ენდრიუ კარდს, რომ ერაყელები-სათვის მმართველობის ადრე გადაცემა „პრეზიდენტის წარმოდგენას ერაყზე გაართულებდა, თუ საერთოდ შეუძლებელს არ გახდიდა“. ბრემერი აცნობიერებდა გრძელვადიანი ოკუპაციის საშინაო შედეგებს, მაგრამ მოითხოვდა აშშ-ს „გაეკეთებინა ის, რაც საჭირო იყო ერაყისათვის ხუთი, ათი ან ოცი წლის შემდგომ პერიოდში“ (Bremer & McConnell 2006:206).

ბრემერს სურდა კოალიციური დროებითი მთავრობის მართვის ზედმიწევნითი გეგმის შექმნა. მას ამბიციური ხედვა ჰქონდა, დამსხვრეული ქვეყანა გადაექცია აყვავებულ, სამართლიან, მშვიდობისმოყვარე ქვეყანად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებით (Bremer & McConnell 2006:1115). ბრემერმა თავისი შვიდსაფეხურიანი გეგმა წარმოადგინა „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში „ერაყის გზა დამოუკიდებლობისაკენ“ 2003 წლის 8 სექტემბერს (Bremer 2003). მისი თქმით, კოალიციური დროებითი ხელისუფლება და ერაყის მმართველობის საბჭო შეთანხმდნენ, რომ პირველი ნაბიჯი იქნებოდა კონფერენციის მოწვევა ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად. ეს ერაყელი ხალხის მიერ უნდა ყოფილიყო რატიფიცირებული. ამას არჩევნები მოჰყვებოდა, ერაყის სუვერენული მთავრობით და ოკუპაციის დასასრულით. ეს პოლიტიკური თანმიმდევრობა, ბრემერის აზრით, საჭირო იყო კოალიციური დროებითი მთავრობის შექმნის შემდეგ ლიდერების უმოკლეს ვადაში დასაკომპლექტებლად (Bremer, Dobbins, Compert 2008:38). თუმცა ფეისი აღნიშნავს, რომ ბრემერის სტატია „ვაშინგტონ პოსტში“ იყო უხეში გადახრა ადმინისტრაციის ერაყის დროებითი მთავრობის სტრატეგიიდან. იგი უფრო იყო სახელმწიფო დეპარტამენტის მრავალწლიანი ოკუპაციის გარდამავალი სამოქალაქო ხელისუფლების მაგალითი. ბრემერმა თავიდანვე აცნობა მმართველ საბჭოს, რომ კოალიციური დროებითი მთავრობიდან ხელისუფლების გადაცემის პრო-

ცესი დამოკიდებული იყო შემდეგზე:

1. მუდმივი კონსტიტუციის შექმნა;
2. რეფერენდუმის ჩატარება კონსტიტუციის შესახებ;
3. საერთაშორისოდ აღიარებული გენერალური ასამბლეისა და კაბინეტის შესაქმნელად არჩევნების ჩატარება;
4. ერაყისათვის სუვერენიტეტის დაბრუნება (**Bremer 2003**).

15 ნოემბრისათვის ვაშინგტონმა გამოსცა ახალი გეგმა ერაყისათვის. 2004 წლის 28 თებერვლისთვის უნდა დაესრულებინათ შუალედური კონსტიტუცია (გარდამავალი ადმინისტრაციული კანონი). გაზაფხულზე არაპირდაპირი წესით უნდა აერჩიათ გარდამავალი პარლამენტი. 30 ივნისისთვის ამ პარლამენტის მიერ არჩეული მთავრობა გადაიბარებდა სუვერენიტეტს. 2005 წლის მარტისათვის დამფუძნებელი ასამბლეის არჩევა მოხდებოდა კონსტიტუციის დასაწერად. აგვისტოსთვის კი რეფერენდუმი უნდა ჩატარებინათ კონსტიტუციის მიღება-არმიღების საკითხზე. ამ ყველაფერს კი დაავგირგვინებდა ახალი მთავრობის არჩევნები 2005 წლის ბოლოსათვის (**Diamond 2004**).

2003 წლის 16 ივნისის აიათოლა სისტანის ფატვამ უარყო კოალიციური დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული წარმომადგენლების დაწერილი კონსტიტუცია. რა თქმა უნდა, ამან გაართულა ხელისუფლების გადაცემის პროცესი. ამასთან, რამსფელდს სურდა შეთანხმებული განრიგი ერაყის დამოუკიდებლობის ადრეული აღიარებისათვის, რათა ამერიკას მოეშორებინა ოკუპანტი ძალის იარლიყი. აშშ-ს არ სურდა, შეწინააღმდეგებოდა არჩევნებს (**Feith 2008a:467**).

რამსფელდმა ბრემერი დაიბარა 13 სექტემბერს, რათა ერჩია მისთვის ძალაუფლება გადაეცა ერაყის მმართველი საბჭოსათვის ან რომელიმე ჯგუფისთვის (**Bremer & McConnell 2006:167**). რამსფელდს ყველანაირად სურდა გრძელვადიანი ოკუპაციის თავიდან აშორება. მისი აზრით, კოალიციური დროებითი მთავრობის დაშლის თარიღი უნდა გაცხადებულიყო, სასურველ თარიღად მას 2004 წლის ივნისი მიაჩნდა. ბრემერის 7-საფეხურიანი გეგმა საბოლოო ჯამში უარყოფილ იქნა. ამის მაგივრად დროებითი კონსტიტუცია შეთანხმდა, რადგან არჩევნები ოკუპაციას კიდევ უფრო გააგრძელებდა (**Feith 2008a:464**). ვიცეპრეზიდენტი ჩეინიც არ იყო კმაყოფილი მდგომარე-

ობით. მისი აზრით, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებამ და პოლ ბრემერის მეთაურად დანიშვნამ შეანელა ხელისუფლების გადაცემის პროცესი. (**Draper 2008:387**). გეგმა შეიცვალა აიათოლა სისტანისა და ვაშინგტონს შორის არსებული წინააღმდეგობის გამო. 2003 წლის 15 ნოემბერს აშშ-ს მთავრობის დამტკიცებით, კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ და მმართველმა საბჭომ ახალი გეგმა წარმოადგინეს. გეგმის მიხედვით, მათ ერაყელ ექსპერტებთან ერთად უნდა ემუშავათ დროებითი კონსტიტუციის შესამუშავებლად, რაც ერაყელი პოლიტიკოსებისათვის შექმნიდა სამართლებრივ ბაზას და არჩევნებისკენ გაკაფავდა გზას. შეთანხმების მიხედვით, არაპირდაპირად არჩეულ ერაყულ მთავრობას უნდა მიეღო ხელისუფლება კოალიციისაგან. აიათოლა სისტანი შეთანხმების ამ ნაწილს არ ეთანხმებოდა. კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ და გაერომ ერთად შეიმუშავეს სისტანისთვის პასუხი და გარკვეულ კონსენსუსსაც მიაღწიეს. ყველა მხარე შეთანხმდა, რომ დროებით კონსტიტუციას შეიმუშავებდა მმართველი საბჭო და ერაყელი ექსპერტები 2004 წლის გაზაფხულზე, კოალიციური დროებითი ხელისუფლება კი ხელისუფლებას გადასცემდა არარჩეულ, წარმომადგენლობით დროებით მთავრობას 2004 წლის 1 ივლისს (**Bremer, Dobbins, Compert 2008:39**). რაც შეეხება კონსტიტუციას, იგი საბოლოოდ 2005 წლის 15 ოქტომბერს მიიღეს. შედგა რეფერენდუმი, რომელიც 79%-იანი წარმატებით დასრულდა. მას ხმა მხოლოდ სუნიტმა არაბებმა არ მისცეს. ერაყი გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენულ, დემოკრატიულ და ფედერალურ სახელმწიფოდ, მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით (**გელოვანი 2009:143**).

ბრემერი ფიქრობდა, რომ ერაყელთა ჯგუფი, რომელიც ვერ წყვეტდა ყველაზე ზოგად საკითხებსაც კი, არ იყო მზად ერაყის სამართავად ან თუნდაც ამ პასუხისმგებლობის გასაზიარებლად (**Bremer, Dobbins, Compert 2008:37**). ერაყის მმართველ საბჭოს უფრო ნაკლები ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე ერაყის დროებით ხელისუფლებას (**Feith 2008a:447**). ფეისის თქმით, ბრემერმა გამგზავრებამდე მიიღო შესაბამისი კონსულტაციები ვაშინგტონში ერაყის დროებით ხელისუფლების შექმნის შესახებ, მაგრამ ბაღდადში ჩასვლის შემდეგ მან გადაიფიქრა და პენტაგონის მსგავსი მარტივი გეგმა მოიფიქრა, რომლის მოქნილობაშიც ის დარწმუნებული იყო (**Feith 2008a:437**). აღსანიშნავია ისიც, რომ ბრემერი ერაყში ჩასვლამდეც ფიქრობდა, რომ ერაყის ლიდე-

რები უუნარონი იყვნენ ხელისუფლების ადრეულ სტადიაზე გადასაბარებლად. ამ მოსაზრების დამცველთა სურვილს იგი აღწერს როგორც „უგუნურ ფანტაზიას“ (**Feith 2008a:440-441**). ბრემერის გეგმა გარდამავალი ადმინისტრაციული კანონის მიხედვით, იყო შეექმნა გაერთიანებული, დემოკრატიული და სტაბილური ერაყი, რომელსაც ჰქონდა კარგი ეკონომიკა და წარმომადგენლობითი მთავრობა (**Bremer & McConnell 2006:115**). ბრემერს სურდა, შეექმნა ერაყის ხელისუფლება, რათა ერაყელებისათვის ეჩვენებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულად იყო განწყობილი პოლიტიკური რეფორმის შესასრულებლად და ხელისუფლების ერაყელებისათვის გადასაცემად. ბრემერი ხაზს უსვამდა, რომ მისი სურვილი იყო, გაეფართოებინა პოლიტიკური სპექტრი და იგი ყველა ერაყელის წარმომადგენლობითად ექცია. ამის შესახებ მან ერაყის ოპოზიციას პირველივე შეხვედრისას განუცხადა (**Feith 2008a:78**).

ბრემერს სჯეროდა, რომ მას პირდაპირი მანდატი ჰქონდა პრეზიდენტისაგან, რომელმაც ბრემერს უთხრა, რომ მას სურდა ერაყელი ხალხისათვის წარმომადგენლობითი მთავრობის შექმნა და რომ მათ არ მიატოვებდა. ბუშმა დაასკვნა: „ჩვენ დავრჩებით, სანამ საქმე არ შესრულდება. შენ შეგიძლია ჩემი მხარდაჭერის იმედი გქონდეს, პოლიტიკური კალენდარისა თუ მედიის განცხადებების მიუხედავად“ (**Feith 2008a:12**). 2003 წლის 12 ნოემბრის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეკრებაზე ვაშინგტონში ბუშმა განაცხადა: „*მე მჯერა ერაყელი ხალხის ისტორიული სიკეთის. მათ აქვთ მშვიდობაში ცხოვრების ინსტინქტი, რომელიც უნივერსალური ღირებულებებით არის მართული. ეს კი პოლიტიკაზე მაღალია... ყველასათვის მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ჩვენ კურსს გავაგრძელებთ და მე განზრახული მაქვს წარმატების მიღწევა*“ (**Feith 2008a:227**). ბრემერის თქმით, დროებითი კონსტიტუცია ან გარდამავალი ადმინისტრაციული კანონი იყო კოალიციური დროებითი მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ერაყის პოლიტიკური მომავლისთვის (**Bremer, Dobbins, Compert 2008:39**).

ბრემერის გეგმამ, ფეისის მიხედვით, გამოიწვია გრძელვადიანი სტრატეგიული ზიანი. პირველ რიგში, მან ხელი შეუწყო აჯანყებულებს სახალხო მხარდაჭერის მოპოვებაში. გეგმამ დაადასტურა აჯანყების მეთაურთა მოსაზრება აშშ-ს დომინანტობისა და ექსპლუატაციის შესახებ. მან ასევე დემოკრატიული ოპოზიციის შექმნაც და-

აზარალა. მან ერაცის ყველა პრობლემა – პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური – აშშ-ს ხელმძღვანელობის პრობლემად აქცია (**Feith 2008a:516**).

ბრემერმა განუცხადა ვაშინგტონში უფროსობას, რომ მას სამი მთავარი მიზანი ჰქონდა. პირველ რიგში, მას სურდა, უკან დაეტოვებინა პროფესიონალური, არაკორუმპირებული და ადამიანის უფლებების მაღარებელი საპოლიციო ძალები. შემდგომ უნდა შეექმნათ ჯარი, რომელიც არ ჩაეროდა საშინაო საქმეებში და საბოლოოდ ძალაუფლება გადაეცა კონსტიტუციაზე დაყრდნობით არჩეული ერაცული მთავრობისათვის (**Bremer & McConnell 2006:203**). ბრემერის მიზანი იყო, შეექმნა ისეთი ერაცი, რომელსაც წარმომადგენლობითი მთავრობა ჰქონდა. იგი აღიარებდა, რომ ეს იყო კომპლექსური გამოწვევა, რომელსაც დრო სჭირდებოდა, რადგან ერაცელებს თვითმმართველობისა და დამხმარე ინსტიტუტების მცირე გამოცდილება ჰქონდათ. მისი ამბიცია იყო დემოკრატიის გამგები მთავრობის შექმნა (**Bremer & McConnell 2006:116**). 2003 წლის 22 სექტემბერს მმართველი საბჭოსათვის ძალაუფლების შესაძლო გადაცემის განსახილველად ვულფოვიცი ბრემერს შეხვდა. ამ შეხვედრისას ბრემერი კვლავ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერაცის მმართველი საბჭო უბრალოდ არაკომპეტენტური იყო. მისი აზრით, საბჭოს წარმომადგენლობების სიმცირეც აკნინებდა. ბრემერს სჯეროდა ვულფოვიცის შეხედულების, რომ დემოკრატიული ერაცი რეგიონში რევოლუციას მოახდენდა, მაგრამ აქვე დასძინა, რომ მოთმინება იქნებოდა საჭირო ამისათვის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ერაცი საერთოდ აითვისებდა დემოკრატიას (**Bremer & McConnell 2006:171**). ბრემერის ერაცში მუშაობის მიზანი იყო არა მხოლოდ დემოკრატიის ჩამოყალიბება, არამედ სოციალური შოკის მშთანთქველების შექმნა, რაც დემოკრატიის სტაბილურობას უზრუნველყოფდა. იგი შეწუხებული იყო ადმინისტრაციის კონკრეტული წარმომადგენლებით და მათ უწოდებდა ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესის ამრიდებლებს (**Bremer & McConnell 2006:12**).

ფეისის აზრით, აშშ-მ სასიკვდილო შეცდომები დაუშვა ერაცში, მაგრამ ყველაზე დიდ შეცდომად მაინც მიაჩნია სადამის რეჟიმის დამხობიდან მალევე ძალაუფლების გადაცემის პროცესის ვერშესრულება. სწორედ ამან შექმნა წარმოდგენა ერაცის მოსახლეობაში, რომ აშშ არა განმათავისუფლებელი, არამედ ოკუპანტი იყო. იგი ხსნის:

„მრავალი ერაყელის პირადი ღირსება და ეროვნული სიამაყე შეილახა. თავის მხრივ, ამან ბაასისტებს, უცხოელ ჯიჰადისტებსა და ექსტრემისტებს მისცა საშუალება, გააქტიურებულიყვნენ ერაყის ავად განწყობილ მეზობლებთან ერთად“ (**Feith 2008a:368**). ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰომიარ ზეზარი „უოლ სტრიტ ჯორნელში“ აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი შეცდომა იყო მისიის შეცვლა განმანათავისუფლებლობიდან ოკუპანტობაზე (**Pollock 2006**). ფეისი ირწმუნება, რომ განთავისუფლება და არა ოკუპაცია იყო მთავრობის მაღალი ფენების კონცეფცია. პრეზიდენტი ბუში ხაზს უსვამს „განთავისუფლებას და არა ოკუპაციას“ როგორც საკუთარ პრინციპს. მთავრობის ყველა სააგენტოს შორის იყო კონსენსუსი, რომ ოკუპაცია გამოიწვევდა პარტიზანულ ომს, ტერორიზმსა და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას (**Feith 2008a:368**). ჯორჯ პეკერსაც იგივე აზრი აქვს და გარნერის ცვლილებას ბრემერით აღწერს, როგორც რაციონალურ გადაწყვეტილებას და მცდელობას ერაყის კონტროლი დაებრუნებინათ ერაყელებისათვის (**Packer 2005:144**).

ბრემერი კი კარგავდა მოთმინებას. კოალიციური დროებითი ხელისუფლება სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა ერაყში. 2004 წლის 21 აპრილის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეკრებაზე იგი აღნიშნავს, რომ რაც უფრო დიდ ხანს ჩერდება ერაყში, „უფრო რწმუნდება ხელისუფლების ერაყელებისათვის რაც შეიძლება მალე გადაცემის სისწორეში“ (**Bremer & McConnell 2006:343**). 2004 წლის 19 იანვარს ბრემერი შეხვდა კოფი ანანს ნიუ იორკში, სადაც მან ხაზი გაუსვა, რომ კოალიცია მიესალმებოდა „გაეროსთან გრძელვადიანი პატრნიორობის“ ჩამოყალიბებას და გაეროს წარმომადგენლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობაც დადო (**Bremer & McConnell 2006:281**). 2004 წლის 23 აპრილს მან განაცხადა დებაასიზაციის პოლიტიკის შემსუბუქების შესახებ. არმიის მრავალი ოფიცერი და მასწავლებელი კვლავ აიყვანეს სამსახურში (**Bremer & McConnell 2006:342**).

ალი ალავი, ერაყის მმართველობის საბჭოს მინისტრი, აღწერს ორ მიზეზს, რამაც ხელი შეუწყო სიტუაციის გაუარესებას ერაყში. პირველ რიგში, კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ არ შეიმუშავა ახალი მმართველობის სისტემა, როგორც ეს ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მათ არ შეცვალეს უმაღლეს ემელონებში მთავრობის წევრები ერაყის ექსპატრიატებით. არსებული ვითარება ბაასის მთავრობის უბრალო

გაგრძელება იყო. მეორე, კოალიციურ დროებით მთავრობას არ ჰქონდა მანდატი პირდაპირ ემართა ქვეყანა და შესაბამისად განეხორციელებინა რეფორმები. ეს ქმედებები ეწინააღმდეგებოდნენ განთავისუფლების სურვილს და ერაყში გრძელვადიანი დისლოცირების შიშს უფრო ამძაფრებდნენ. ეს კი ამერიკელებისათვის არ იყო მისაღები (Allawi 2007:161).

გაეროს ერაყის მისიის პოლიტიკური მრჩეველი **დასან სალამე** ასკვნის, რომ პრობლემა არა ბაღდადში, არამედ ვაშინგტონში იყო. ეს იყო ომი, რომელიც გადაწყვიტა, იბრძოლა და მოიგო ახალი ტიპის ამერიკელებმა – იდეოლოგთა ჯგუფმა, რომლებიც განსხვავდებოდნენ იმ სტერეოტიპული ჩინოვნიკებისაგან, რომლებიც 50 წლის მანძილზე ახლო აღმოსავლეთის საკითხით იყვნენ დაკავებულნი (Packer 2005:214). აშშ-მ ვერ გათვალა ის, რომ ასეთი სუსტი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყანაში გარდამტეხი ცვლილებების გატარება იქნებოდა გრძელი და დამლელი პროცესი. ბუშის ადმინისტრაციამ ვერ განსაზღვრა, რომ ეროვნული დემოკრატიის მშენებლობა ადგილობრივი ჯგუფების მხარდაჭერას საჭიროებს (Shapiro 2007:38). ბუშის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო ოკუპაციაში ჩაბმული ლიდერების მომარაგება რეგიონის ექსპერტებით.

ნაწილობრივ ერაყში დაწყებული პრობლემები იმის ბრალიც იყო, რომ ადმინისტრაციაში მომუშავეები არ იყვნენ კვალიფიციურები ერაყისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეში. 11 სექტემბრის შემდგომ პრეზიდენტის ირგვლივ შეკრებილი ხალხი ნამდვილად არ განიცდიდა ინტელექტის ნაკლებობას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან და ისლამური სამყაროს გამოწვევებთან მუშაობის გამოცდილება. ადმინისტრაციაში მრავალი პირი კონცენტრირებას საბჭოთა კავშირზე ახდენდა, მაგრამ როდესაც პრობლემების ცენტრმა გადაინაცვლა ახლო აღმოსავლეთში, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რაც უნდა გადაედგათ იმ გუნდით, რაც ადმინისტრაციას ჰყავდა. როგორც შემდგომში **ზალმაი ხალილზადი** აღნიშნავს, სტრატეგი, რომელსაც არ აქვს გუმანი და ცოდნა იმ რეგიონისა, რომელზეც მუშაობს, აუცილებლად შექმნის პრობლემებს. აშშ-ს მთავრობას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის ხალხი უმაღლეს დონეზე, რომლებსაც განსაკუთრებული ცოდნა ექნებოდა ერაყსა და ახლო აღმოსავლეთზე. 9/11-ის შემდეგ მალევე აშშ-ს დააკლდა რეგიონული ექსპერტიზა და გამოც-

დილება, უნარები, რომლებიც გრძელვადიან წვრთნას საჭიროებდნენ საზოგადოების სირთულისა ან თუნდაც ენის შესწავლაში“ (**Khalilzad 2009**). ყოფილი ელჩი ტიმ კარნი ამბობს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის პროფესიონალ არაბისტებსაც კი არ იყენებდნენ, რადგან, მათი აზრით, ერაყი ვერ იქნებოდა დემოკრატიული (**Galbraith 2006:95**). გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედებისას რეალური მდგომარეობა უნდა გამოეყენებინათ, რაც ჭირდა იმის გამო, რომ ამერიკას არც დრო ჰქონდა დარჩენილი და არც გამართული სადაზვერვო მონაცემები ერაყის შიდა ვითარების შესახებ.

ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო ის, რასაც ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ინსტიტუტი შეჭრამდე გამართულ სამდღიან სემინარზე ურჩევდა აშშ-ს სააგენტოებს – არსებობდა შეუსაბამობა და ხარვეზი აშშ-ს რიტორიკასა და რეალურ მოქმედებას შორის (**Ricks 2006:65**). ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ალინა რომანოვსკი იმავე სემინარზე აცხადებდა, რომ ერაყში დემოკრატიის დამკვიდრება მძიმე იქნებოდა. მისი თქმით, ერაყს არასდროს ჰქონია ცენტრალიზებული მმართველობა, რომელსაც დემოკრატიული ლეგიტიმურობა ექნებოდა. იგი მიიჩნევდა, რომ აშშ-ს ძალები საკმარისი აღმოჩნდებოდა რეჟიმის დასამხობად, მაგრამ არა იმ მისწრაფების განსახორციელებლად, რაც აშშ-ს ჰქონდა ამ ქვეყნის მიმართ (**Ricks 2006:65**). ვაშინგტონის ოფისებსა და ლონდონში მიღებულ გულუბრყვილო იდეალისტურ გადაწყვეტილებებს ნაკლები ჰქონდა საერთო ფაქტებთან და რეალურ მდგომარეობასთან (**Allawi 2007:130**).

ერაყი უფრო მეტად იყო თემური წყობილების აგრარული ქვეყანა, სადაც ფერმერები ექვის თვალთ უყურებდნენ უცხოელებს. ერაყელები ძირითადად იბადებოდნენ და სიცოცხლეს ამთავრებდნენ ასეთ ფერმებში და მათი ერთგულებაც სწორედ ტომს ეკუთვნოდა. ამერიკას უჭირდა რეალური სურათის შეფასება და აქედან გამომდინარე შეცდომებს უშვებდა. ამასთან, არც რელიგიურ-კულტურული სხვაობები იქნა გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ კოლინ პაუელმა სცადა პრეზიდენტისათვის მესიჯი გადაეცა ერაყში შეჭრის შემდგომ ვითარებასა და მის ოკუპაციაზე. მან აუხსნა, რომ ერაყელებს დემოკრატია არასდროს ჰქონიათ (**Woodward 2004a: Chapter 14**). ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეროვნული დაზვერვის საბჭომ დაასკვნა, რომ ერაყში დემოკრატიის მშენებლობა რთული იქნებოდა მისი

ავტორიტარული ისტორიიდან გამომდინარე. აშშ-ს სამი მიმართულებით შეეძლო წარმატების შენარჩუნება: პირველ რიგში, ერაყელი ხალხის უსაფრთხოება უნდა მოეხდინათ, მეორე – ერაყელთა ხელში ძალაუფლების გადაცემის პროცესი უნდა დაეჩქარებინათ, მესამე კი – ალდგენისა და განვითარების მაღალი დონე იყო (**Gordon & Trainor 2007:537**).

აშშ ხშირად გადამეტებულ ძალასაც იყენებდა, რაც ხელს უშლიდა ზოგადად სტრატეგიას – დაეცვათ და აღედგინათ ერაყი. მრავალ შემთხვევაში ეს აღვივებდა უნდობლობას ერაყელთა შორის და ასევე უგულბელყოფის გრძნობას თესავდა. იმასაც კი იხსენებდნენ, რომ არმიის მეთაურმა განაცხადა: „ერთადერთი, რაც ამ ქვიშის ნიგერებს ესმით, ძალაა და მე მათ ამ ძალას ვაჩვენებ“ (**Gordon & Trainor 2007:512**).

2003-2006 წლებს შორის აშშ-ს სამხედრო სტრატეგია ფოკუსირებული იყო ძალის დაცვასა და მტრებთან შეტევაზე (**Ricks 2009:5**). ტაქტიკა, რასაც აშშ მიმართავდა, იყო დაფუძნებული იდეაზე „მოკალი და შეიპყარი“ (**Ricks 2009:122**). აშშ ვერ მიხვდა, რომ რეალური ტაქტიკა უნდა ყოფილიყო „გულისა და გონების“ მოგება. პასუხისმგებლობით რომ მოკიდებოდნენ საქმეს, გარდაუვლად მიაღწევდნენ წარმატებას – ერაყელი ხალხის პოლიტიკურ მხარდაჭერას. უფრო მეგობრული ტონის დაჭერით შეიქმნებოდა შედარებით მარტივი სურათი. ბრემერს აღნიშნული ბრძანებები რომ არ გამოეცა, ან შეეცადა მაინც, რომ სხვა კუთხით მიედწია მიზნისათვის, სიტუაცია უფრო სტაბილური იქნებოდა.

პრობლემა დაკავშირებული იყო სუსტ და არაადეკვატურ გეგმასთან, ასევე ერაყში არსებული რეალობების არცოდნასთან. ამას ემატებოდა აშშ-ს სააგენტოებს შორის არსებული შეუთანხმებლობაც.

ერაყის შიდა თუ გარე ოპოზიცია ამერიკისთვის განხილვის საგნად იქცა ომამდე კარგა ხნით. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა ოპოზიციონერს ეჭვის თვალით უყურებდნენ. ერაყის ოპოზიცია იყო ჯგუფი, რომელიც იწოდებოდა როგორც დემოკრატიული ერაყის ოპოზიცია – ასე იყო ახსნილი ერაყის თავისუფლების აქტში. იან შაპირო წერს, რომ ერთ-ერთი მთავარი წესია, არ დაუჯერო ექსპატრიატთა გუნდს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ლეგიტიმური ოპოზიცია, სანამ ამის დამადასტურებელი სამხილი არ იქნება და არ დაამტკიცებენ, რომ ადგილობრივი ოპოზიციის ფართო

მხარდაჭერა აქვთ (**Shapiro 2007:112**). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკელები უფრო ჩალაბისეულ ერაყს იცნობდნენ და არა რეალურს. აჰმედ ჩალაბიმ კი 1990-იანებში წამოწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და ერაყის დატოვება მოუხდა. თუმცა ამის მერეც მისი კანდიდატურა განიხილებოდა ამერიკის დამხმარეთა სიაში. როდესაც პოლ ბრემერმა სცადა პოლიტიკური სპექტრის გაფართოება სუვერენიტეტის გადაცემის გაჭიანურებით, ერაყიდან განდევნილებმა დაგმეს მისი ნაბიჯი. აჰმედ ჩალაბიმ განუცხადა ბრემერს: *„ამ პოლიტიკური პროცესის შენელებით თქვენ შესაძლოა დაანახოთ ერაყელებს, რომ ამერიკა დიდხანს აპირებს გაჩერებას ერაყში. ეს კი კარგი სიგნალი არაა“* (**Bremer & McConnell 2006:89**). ერაყში არსებული ომისშემდგომი ქაოტური ვითარება იმის გამო კი არ იყო, რომ აშშ-ს არ ჰქონდა გეგმა, არამედ იმიტომ, რომ მათ ერთგვარად მისდიეს მცდარ გეგმას (**Gordon & Trainor 2007:571**).

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია ჯიუტად ცდილობდა ერაყში არსებული მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის დამადასტურებელი სამხილების აღმოჩენას. დაზვერვაც აქტიურად მუშაობდა ამ საკითხებზე. თუმცა 2004 წლის 8 თებერვლის ინტერვიუზე პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ იარაღი ვერ აღმოაჩინეს: *„მე ველოდი, რომ იქ იქნებოდა იარაღის რეზერვები... ჩვენ ვფიქრობდით, რომ მას იარაღი ჰქონდა“* (**Woodward 2004a: Epilogue**). მაგრამ ომის წინ და მის მერეც პრეზიდენტი ბუში მტკიცედ იცავს გავრცელებულ მოსაზრებას ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ. ერაყში შეჭრამდე ერთი თვით ადრე თავისი პოზიცია ნათლად ჩამოაყალიბა რამსფელდმა: *„ერაყი ეკუთვნის ერაყელებს და ჩვენ არ მივესწრავით, მოვიგოთ ან ვმართოთ იგი. ჩვენ ვიმედოვნებთ, გავანადგუროთ ერაყის მასობრივი განადგურების იარაღი და ერაყელ ხალხს დავუბრუნოთ თავისუფლების მოპოვებაში“* (**Rumsfeld 2003**).

ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ვერ შეძლო მართებული დაზვერვის უზრუნველყოფა. მათ ვერც ის დაადგინეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი არ იყო ერაყში. მათ ნახევრად გასამხედროებული ფიდაინების როლის სწორი შეფასებაც ვერ მოახერხეს. ქვეყანაში მიმობნეული იარაღის მარაგების არსებობაც არ იცოდნენ (**Gordon & Trainor 2007:573**).

როგორც ვიცით, მასობრივი განადგურების იარაღის ფლობა და მისი განვითა-

რების აქტიური პროგრამები იყო ძირითადი მნიშვნელობის მქონე ბრალდება რაც სა-
ჯაროდ წაუყენა აშშ-ს ხელმძღვანელობამ ჰუსეინსა და ერაყს. სწორედ ამით ამარ-
თლებდნენ ომს. საბოლოოდ კი ამან გარკვეულწილად ჩრდილი მიაყენა ამერიკის სა-
შინაო და საგარეო ასპარეზზე სამართლიანობას. მისი პრეზიდენტობის ბოლოს ბუმმა
განაცხადა: „ყველაზე დიდი სინანული პრეზიდენტობისას იყო ერაყში დაზვერვის
კრახი. ბევრმა საკუთარი რეპუტაციის ხარჯზე განაცხადა, რომ მასობრივი განადგუ-
რების იარაღი წარმოადგენს სადამ ჰუსეინის დამხობის საფუძველს. ეს მხოლოდ ჩემი
ადმინისტრაციის წევრები არ ყოფილან. კონგრესის წევრები, რომლებიც ვაშინგტონში
ჩემს მოსვლამდეც მოღვაწეობდნენ, ერაყზე დებატებისას, მსოფლიოს სხვადასხვა
ქვეყნების ლიდერები ერთსა და იმავე სადაზვერვო მასალას ეყრდნობოდნენ... ნეტავ
დაზვერვა სხვანაირი ყოფილიყო“ (Spilius 2008). ბრემერი ასკვნის, რომ პრეზიდენტ
ბუმის მესიჯი იყო ის, რომ ამერიკის ერაყში შეჭრა უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრა-
ლოდ რეჟიმის ცვლილება და სისასტიკისგან თავისუფალი „ახალი ერაყი“ უნდა შეექ-
მნათ. პრეზიდენტ ბუმს სჯეროდა, რომ, ისტორიული სირთულეების მიუხედავად,
აშშ-ს უნდა ეცადა სადამის დამხობის შემდეგ ერაყი დაეყენებინა დემოკრატიულ გზა-
ზე. ანალოგად მოჰყავდათ გერმანია და იაპონია, რომლებიც აშშ-ს მტრები იყვნენ, სა-
დაც დამარცხების შემდგომ აღდგენითმა სამუშაოებმა ორივე მხრისათვის მომგებიანი
შედეგი მოიტანა (Feith 2008a:409).

რამსფელდს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გავლენაც კი არ
მოსწონდა ავღანეთში და ამის შესახებ ჩიოდა კიდევ დირექტორების შეხვედრაზე. ამ
შეხვედრებზე ყველამ, პრეზიდენტის ჩათვლით, დაასკვნა, რომ თავდაცვის მდივანი
უნდა ყოფილიყო ერაყის წინააღმდეგ გეგმის შემუშავების პროცესის ხელმძღვანელი.
რამსფელდმაც უზრუნველყო ერთპიროვნული ლიდერობა, როდესაც ერაყთან ომის
მომზადება ჩააბარეს (Woodward 2006:79). ამან ერთგვარად აღკვეთა სხვა სააგენტოე-
ბის ჩართულობა საერთო საქმეში და, რა თქმა უნდა, ომისშემდგომი გეგმების შემუშა-
ვების საკითხშიც. 2003 წლის აგვისტოში რამსფელდი ესტუმრა ერაყს. მან პრიორიტე-
ტულად ჩათვალა ერაყის ეროვნული არმიის წვრთნის დაჩქარება. ორი ბატალიონის
გაწვრთნის ნაცვლად, რასაც კოალიცია აკეთებდა, მან მოითხოვა 27 ბატალიონის
შემადგენლობის გაწვრთნა (Bremer & McConnell 2006:151). ეს მოთხოვნა შექმნიდა

მეტ ეროვნულ სამხედროებს მცირე წვრთნით, რაც ერაცოდან აშშ-ს სწრაფ გამოსვლას შეუწყობდა ხელს.

აშშ-ს სამხედროების შეზღუდული რაოდენობა იყო მორიგი ფაქტორი, რამაც ერაცში წამოწყებული პრობლემები გაამწვავა. დონალდ რამსფელდმა გავლენა იქონია გენერალ ფრენკსის გეგმაზე და სამხედროთა მცირე რაოდენობა შეინარჩუნა. მან ფრენკსს შეახსენა იმ დიდი მოცულობის სამხედრო კონტინგენტზე, რაც 1991 წელს ერაცის ქუვეითიდან გასადევნად გამოიყენეს „ოპერაცია უდაბნოს ქარიშლისას“ (**Feith 2008a:129**). შედეგად, ფრენკსის გეგმით, სამხედროთა რაოდენობა 170 000 არ აღემატებოდა (**Woodward 2004a: Chapter 11**). ამასთან, მისიას მხოლოდ ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: ტომი ფრენკსი აღწერს, რომ მისი მისია ორი მიზეზის გამო იყო შეზღუდული: 1. რეჟიმის ცვლილება; და 2. ერაცისათვის კონვენციური თუ მასობრივი განადგურების იარაღის ჩამორთმევა (**Franks & McConnell 2005:330-331**).

მსგავსი მიდგომა სამხედრო ტრანსფორმაციის დოქტრინის გაგრძელება იყო, რასაც ბუში კამპანიის დროს ახსენებდა. მან განაცხადა: „*ომი ყურეში იყო გასაოცარი გამარჯვება, მაგრამ ამას 6-თვიანი დაგეგმვა და სამხედროთა ტრანსფორმირება დასჭირდა ჩვენი დივიზიების ტრანსპორტირებისა და ბრძოლის ველზე განთავსებისათვის*“ (**Bush 1999c**). პრეზიდენტს სურდა გრძელი და უვადო ომის თავიდან არიდება. ტომი ფრენკსი ეუბნებოდა: „*ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რეგიონში რომ არ დავრჩეთ*“ (**Woodward 2004a:310**). 2003 წლის 15 აპრილს ბუში შეხვდა ომში ჩართული უწყებების უფროსებს, რათა განეხილათ ერაცოდან შესაძლო გამოსვლა (**Gordon & Trainor 2007:525**).

თავად ბრემერმა მოგვიანებით აღნიშნა, რომ „*ვაშინგტონმა უზრუნველყო მხოლოდ იმ რაოდენობის სამხედროების მობილიზება, რაც საჭირო იყო რეჟიმის დასაბოხობად და არა დაწყებული წინააღმდეგობებისა და აჯანყებების ჩასახშობად... აშშ-მ ომი წამოიწყო ერაცში მაქსიმალური რეფორმების გეგმით და მინიმალური ფულითა და ადამინისეული ძალით*“ და, შედეგად, მნიშვნელოვანი სირთულეები აღმოჩნდა ამბიციების არეალსა და რეალურ მოქმედებას შორის (**Bremer, Dobbins, Compert 2008**). იგივეს ამბობდნენ ბრემერის წინამორბედი ჯეი გარნერის გუნდის წარმომადგენლებიც, რომლებიც ჩიოდნენ, რომ სამყოფი რესურსები არ ჰქონდათ ქვეყნის ფუნ-

ქციის აღსადგენად. აშშ-ს სამხედროები პატარა ადგილზე იყვნენ გაშლილები და ამიტომ ყველა საჭიროებას და, პირველ რიგში, უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდნენ **(Gordon & Trainor 2007:524)**.

2003 წლის ივნისში ბრემერი აღელვებას ვერ მალავდა შედარებით მცირე რაოდენობის ამერიკელ სამხედროთა დისლოცირების გამო. კონდოლიზა რაისთან სატელეფონო საუბრისას მან აღნიშნა, „კოალიციას იმის ნახევარი სამხედრო ჰყავს, რაც აქ გვჭირდება და შეიძლება ჩვენ წინააღმდეგ შეიცვალოს სიტუაცია“ **(Bremer & McConnell 2006:106)**.

2003 წლის სექტემბერში რამსფელდი ეწვია ერაყს, რათა შეეფასებინა ამერიკელ სამხედროთა შემცირების შესაძლებლობა. ბრემერი გვარწმუნებს, რომ რამსფელდს დიდი წნეხის ქვეშ ჰყავდა სამხედრო მეთაურები, რათა თავისი გეგმა განეხორციელებინა **(Bremer & McConnell 2006:155)**. რამსფელდის მცირე და სწრაფი ჯარის დოქტრინა ბუმსაც მოსწონდა, თუმცა რეალურად მისი ამოქმედებისას ნათელი გახდა დოქტრინის სირთულე. ფილიპ ზელიკოვმა და მეგან ო'სალივანმა დაასკვნეს, რომ ერაყში მოვლენათა უკუსვლა სწორედ ადამიანური რესურსების სიმცირის გამო გამოწვეულ აჯანყებებთანაა კავშირში **(Draper 2008:399)**.

2003 წლის 25 თებერვალს, არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსის ვადის ამოწურვამდე 4 თვით ადრე, ერიკ შინსეკიმ, სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტთან შეხვედრისას, სენატორ კარლ ლევინს სამხედროთა რაოდენობის შესახებ კითხვაზე უპასუხა, რომ „არაერთი ასეულობით ათასი სამხედრო შეიძლება გახდეს საჭირო. ესაა რიცხვი, რაც დაგვჭირდება. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ საომარი მოქმედებების შემდგომი კონტროლი იმ გეოგრაფიული რეგიონისა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. არსებობს ეთნიკური დაძაბულობაც, რამაც სხვა პრობლემები შეიძლება წარმოშვას. ამიტომაც საჭიროა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების არსებობა“ **(Levinson 2008)**. ამასთან, ერაყის ოკუპაციის გეგმა (OPLAN 1003-98), რომელიც 1996 წელს სრულად გადაიხედა და 1998 წელს განახლდა, ითვალისწინებდა 380 000 სამხედროს ჩართულობას. დაახლოებით იგივე რიცხვით ოპერირებდა გენერალი ენტონი ზინი, რომელიც ხედავდა ხარვეზს კონკრეტულად ომისშემდგომი წესრიგის დამყარებაში, 1999 წელს საომარი თამაშის, სახელად „უდაბნოს გადალახვა“, ხელმძღვანელობისას **(Zinni 2006)**.

გენერალ-მაიორი სპაიდერ მარკსი ამბობდა, რომ სათანადო რაოდენობის სამხედროები არ ჰყავდათ, რათა აჯანყებებს გამკლავებოდნენ. მან სისუსტე ორი ძირითადი მიმართულებით ახსნა: ერთი – აშშ-ს არ ჰყავდა საჭირო რაოდენობის ძალები, რათა მოეხდინა პატრულირება დაზვერვის მიზნით და შეექმნა ნათელი სურათი მტრის რეალური ძალების შესახებ; მეორე – აშშ-ს მეტი ძალები სჭირდებოდა უკვე არსებული სადაზვერვო მასალების შესაბამისადაც რომ ემოქმედათ. მცირე სამხედრო ძალების არსებობის შედეგად, ამბოხებებს წარმატების უფრო მეტი შანსი ჰქონდა (**Gordon & Trainor 2007:566**).

2003 წლის 1 მარტს მწირი სამხედრო რესურსებით გამოწვეული ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. თურქეთის პარლამენტმა უარყო წინადადება ერაყის ჩრდილოეთში ფრონტის გახსნის შესახებ. ეს ზიანის მომტანი იყო, რადგან რადგან მეოთხე ქვეითმა დივიზიამ ვერ განახორციელა შეტევა ჩრდილოეთიდან (**Gordon & Trainor 2007:525:131**).

მორიგი პრობლემა, რაც ამერიკამ ერთგვარად ხელოვნურად შექმნა, ერაყის არმიის დაშლა იყო. შეჭრამდე რამდენიმე ხნით ადრე **უილიამ ლუტის** სპეციალური დაგეგმვის სამსახურმა 2003 წლის 21 იანვარს წარმოადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა შესაძლო რეფორმებს ან ახალი არმიის ჩამოყალიბებას. გარნერმა, თავის მხრივ, სხვა გეგმა წარმოადგინა. ამან განსაზღვრა ერაყის არმიის როლი რეკონსტრუქციის პროცესში. იგი მოექცეოდა სამოქალაქო კონტროლის ქვეშ (**Feith 2008a:367**). ომის დაწყებისას სახმელეთო შემადგენლობის მეთაურ გენერალ დევის მაკკირმანს სჯეროდა, რომ ომის შემდგომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერაყის არმიის გამოყენება შეიძლებოდა. გარნერს კი სურდა ამ სამხედროების იაფ მუშახელად გამოყენება, სანამ მათ ახალი ერაყული არმიისთვის გადაამზადებდნენ. ამას კი იგი საჭიროდ თვლიდა საკუთარი პერსონალის სიმცირის გამო (**Gordon & Trainor 2007:236**). გარნერმა მოახსენა უფროსობას, პრეზიდენტის ჩათვლით, ერაყის არმიის შენარჩუნების შესახებ. მისი წინადადება დაამტკიცეს ხელფასების დანიშვნასთან ერთად (**Packer 2005:133**). ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრებაზე 2003 წლის 12 მარტს დაგლას ფეისმა განაცხადა, რომ ერაყის რეგულარული არმიის დაშლაზე თავი უნდა შეეკავებინათ. მისი აზრით, არმიის 3-5 დივიზიის გამოყენება შეიძლებოდა ახალი ერა-

ყული არმიის ბირთვად. ფეისის გეგმა იყო, „*უცებ არ მოეხდინათ დემობილიზაცია და ხალხი ქუჩაში არ გაეყარათ, არამედ ისინი გამოეყენებინათ აღმშენებელ ძალად*“ (Woodward 2004a: Chapter 31). ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თავდაცვის შტაბის დირექტორის ფრენკ მილერის აზრით, ერაყის არმიის შემცირება შეიძლებოდა, თუმცა მისი გამოყენებაც უნდა მომხდარიყო კონკრეტული სარეკონსტრუქციო პროექტებისათვის (Packer 2005:129).

აშშ ცდილობდა, არ მიეღო ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამტარების შთაბეჭდილება. რამსფელდთან შეხვედრისას, ყოფილი ერაყელი ოპოზიციონერი კანან მაკია თავის ეჭვებს გამოხატავს იმის გამო, რა პოლიტიკაც აშშ-ს ჰქონდა ერაყის მიმართ. მან განაცხადა: „*თქვენ ისე ცდილობთ არ წარმოჩნდეთ იმპერიალისტებად, რომ ერაყელებს ვერც კი აგრძნობინებთ, თქვენ თუ მართავთ ქვეყანას. დემოკრატია არ განვითარდება, თუ აშშ-მ არ უხელმძღვანელა მას*“ (Feith 2008a:420). ფეისი წერს, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც დაშალეს ერაყის არმია, მისი დისფუნქციური ორგანიზება იყო. მაგალითად, ერაყის არმიაში 11 000 მაღალი რანგის ოფიცერი იყო, მაშინ როდესაც აშშ-ს ჯარში – მხოლოდ 8 000 (Feith 2008a:367).

ბრემერის მოსაზრებით, განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამა უფრო უკეთ უნდა ყოფილიყო მომზადებული. ეს შეასუსტებდა არმიის დაშლასთან დაკავშირებულ რეაქციას და ახალი ძალების შედგენის საქმეს გააიოლებდა. იგი ამ პროგრამებს აღწერს, როგორც ჩვეული სარეკონსტრუქციო რუტინის ნაწილს, რასაც ამერიკა ბოლო 20 წლის მანძილზე ომისშემდგომი აღდგენებისას იყო მიჩვეული. „*შეჭრის წინ ასეთი პროგრამის წესიერად არდაფინანსებამ, არგანვითარებამ და საჭირო პერსონალით არმომარაგებამ გვიჩვენა ამ მიდგომის შეცდომა*“ (Bremer, Dobbins, Compert 2008: 27).

აჯანყება არ იყო გარდაუვალი. იგი გაამწვავა სამხედრო და პოლიტიკურმა შეცდომებმა. აშშ-მ ვერ შეძლო ომის შემდგომი ოპერაციებისათვის მომზადება, მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა ომი მინიმალური სამხედრო ძალებით დაეწყო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალებისა და დამხმარე შენაერთების განთავსების უარყოფით, ერაყის არმიის დაშლითა და ათასობით შეიარაღებული ადამიანის ქუჩაში გაშვებით, ადგილობრივი არჩევნების ჩაუტარებლობით დიდი ზიანი მიადგა ომისშემდგომ სტაბი-

ლიზაციას.

არმიის დაშლისა და დროებითი მთავრობის დამყარების პარალელურად მიმდინარეობდა ერაყის სახელმწიფო უწყებების გაწმენდა ბაასისტური ელემენტებისაგან. გარდამავალი პერიოდისათვის წარმომადგენლობითი და რაიმე მნიშვნელობის მქონე მთავრობის შესაქმენლად, ბრემერმა დაიწყო „ბაასის მთავრობის მოშორების გადაჭარბებულ“ მნიშვნელობაზე გადაკვრით საუბარი. ეს იყო აშშ-ს სტრატეგიაში ცვლილების ერთგვარად ფარული აღიარება. საყურადღებო ფაქტორია ახალ მთავრობაში დიდი რაოდენობის სუნიტების თანამონაწილეობაც (**Allawi 2007:283**). კოალიციის დროებითი მთავრობის ბრძანებები ერაყის ხელისუფლების დებაასიფიკაციასა და არმიის დაშლაზე იყო ძირითადი შემაგულიანებელი და წამაქეზებელი ფაქტორი აჯანყებებისათვის (**Allawi 2007:283**).

მას შემდეგ, რაც კონდოლიზა რაისმა უარი თქვა სპეციალური დაგეგმვის სამსახურზე, მან 2003 წლის მარტში ომისშემდგომი პასუხისმგებლობა ფრენკ მილერს გადააბარა. მილერის აზრით, დებაასიფიკაცია შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პარტიის ერთი პროცენტისათვის (**Packer 2005:129**), თუმცა ეს რეალურად არ მომხდარა. ბრემერი თვლის, რომ უნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რაც გერმანის ოკუპაციისგან ვისწავლეთ, იყო ნაცისტების სრული, ძირფესვიანი აღმოფხვრა. ამიტომ, მისი აზრით, ერაყის სტაბილიზირება ბაასის პარტიის თავიდან მოშორებით იყო ერთადერთი მართებული გამოსავალი. ბრემერი თვლიდა, რომ სწრაფი, კონტროლირებადი პროცესების წყალობით აშშ შეძლებდა ერაყში სხვადასხვა ინსტიტუტების აღდგენას და ადგილობრივებისთვის მათ გადაცემას (**Packer 2005:198**).

2003 წლის 4 ნოემბერს ბრემერმა შეადგინა „კოალიციური დროებითი მთავრობის მემორანდუმი ნომერი 7“ და მმართველ საბჭოს მიაწვია უფლება, მოეხდინა ერაყის საზოგადოების გაწმენდა ბაასისტებისაგან კოალიციური დროებითი მთავრობის ნომერ პირველი ბრძანების შესაბამისად. ეს პროცესი განხორციელდა უმაღლესი ეროვნული დებაასიფიკაციის კომისიის მიერ, რომელსაც აჰმედ ჩალაბი მეთაურობდა. ბრემერი წერს, რომ მან ერაყელთა მოთხოვნას მეტი ძალაუფლების შესახებ პროცესის მსვლელობისას ეტაპობრივად უპასუხა. საბოლოოდ, ბაასისტებისაგან ერაყის გაწმენდა ერაყელ პოლიტიკოსებს დაევაალათ, რაც, ბრემერის აზრით, შეცდომა იყო

(Bremer, Dobbins, Compert 2008:21-56). ჩვენი აზრით, ბრემერი ამ შემთხვევაში სწორია, რადგანაც ერაყელების საქმისადმი მიდგომამ და კლანურ-ნათესაური ურთიერთობებმა ამ პროცესზე უარყოფითი გავლენა ნამდვილად მოახდინა. დებაასიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ამერიკა აირიდებდა იმ პრობლემებს, რაც ერაყში შეიქმნა.

დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება ერაყში იყო ვაშინგტონის ხასიათისა და აღქმის გამოძახილი. ეს ორი მიზეზით მოხდა: 1. კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ აჩვენა, რომ არაკომპეტენტური იყო, რათა ომის შემდგომ ვითარებას გამკლავებოდა; 2. იგი ერაყში არსებულ რეალობების შესახებ ვაშინგტონში ნეოკონსერვატორთა ბანაკის უცოდინრობის ანარეკლი გახლდათ. ერაყში არსებული მუდმივი ქაოსის გამო, ნეოკონსერვატორთა როლმა დაკნინება დაიწყო. ნელ-ნელა ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ და სახელმწიფო დეპარტამენტმა მოიპოვეს უპირატესობა ერაყის ირგვლივ პოლიტიკის შემუშავებაში (Allawi 2007:281). ნეოკონსერვატორები ვაშინგტონში ადგილს უთმობდნენ სხვა ჯგუფებს. დროებითი მთავრობისათვის უფლებამოსილების გადაცემით ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობისა და წესრიგის შესახებ კამათი წინა პლანზე წამოიწია (Allawi 2007:337). დროებითი ხელისუფლება გამოიყენებოდა, როგორც სიმბოლო არაბული სამყაროს შესარიგებლად და მათ დასამშვიდებლად. იგი ერაყის შესახებ ახალი ხედვის გამოძახილი გახლდათ ნეოკონსერვატორთა იდეების საწინააღმდეგოდ. შიიტები ღრმად იყვნენ მარგინალიზებული, რითიც ამცირებდნენ არაბული სამყაროს შიშს შიიტური ქვეყნის შექმნის თაობაზე, რომელსაც ირანთან ექნებოდა კავშირი (Allawi 2007:296). კოალიციური დროებითი მთავრობის დროს შიიტების დიდი რაოდენობა ნაწილობრივ შემცირდა. ერთადერთი ისლამისტი ლიდერი, ვინც დარჩა, იყო ადელ აბდ ელ-მაჰდი, რომელიც უფრო თავშეკავებული იყო, ვიდრე რადიკალი. ხელისუფლება ერაყში გადანაწილდა ამერიკელების ინტერესების გათვალისწინებით (Allawi 2007:289).

ერაყში მიმდინარე აჯანყებების გამო ვაშინგტონში გადაისინჯა წინა სტრატეგიები. ძალადობა არ იყო დაკავშირებული რეჟიმის ნარჩენებთან. სუნიტების მიერ უარყოფილ იქნა პოსტსაომარი წესრიგი. ისინი უფრო მეტად გავლენიანები ხდებოდნენ ახალ განვითარებად წესრიგში. სარგებლობის მომტანი ბაასისტებიც კი მიიღეს. ამ

ახალ მიდგომაზე გავლენა, რა თქმა უნდა, ახალი დროებითი მთავრობის შემადგენლობამაც იქონია (Allawi 2007:289). ეს ერთგვარი შემობრუნება იყო სტრატეგიაში, რაც დროებით მთავრობას უნდა გაემყარებინა. დებასიფიკაციის ბრძანების ახალი ინტერპრეტაცია შეეხებოდა მხოლოდ სადამის უახლოეს გარემოცვას, წინა რეჟიმის მთავარ მუშაკებს კი გამოიყენებნენ სუნიტების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რათა აჯანყება შეეკავებინათ (Allawi 2007:337). ეს იყო შემობრუნება დებასიფიკაციისა და დემილიტარიზაციის პოლიტიკაში, რათა სუნიტები დაემოშმინებინათ, რომლებიც აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალად ითვლებოდნენ (Allawi 2007:289). გენერალი სანჩესი გაანთავისუფლეს უმაღლესი მთავარსარდლის პოსტიდან და იგი გენერალმა ქეისიმ შეცვალა (Ricks 2006:393). ჰორიზონტზე გამოჩნდა გაეროც. პრეზიდენტმა ბუშმა 2003 წლის ევროპული ტურნეს დროს გამოხატა დამოკიდებულების ცვლილება საერთაშორისო საკითხებისადმი. მან დიდი ინტერესი გამოიჩინა მრავალმხრივი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო კონსენსუსის მიმართ, რაც სერიოზულად ცვლიდა აშშ-ს ხელმძღვანელობის საგარეო პოლიტიკისადმი ბუშის მიდგომას. ერაყში შეჭრამ ცხადყო, რომ მხოლოდ სამხედრო ძალის უპირატესობა არ იყო საკმარისი, რათა მიეღწიათ სასურველი შედეგისათვის. ბუშმა უფრო დიდი ნდობა გამოუცხადა საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს და ევროპულ მოკავშირეებს ირანის ბირთვული შესაძლებლობების საკითხის გადაწყვეტაში. ჩრდილო კორეის ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ ის რეგიონული მიდგომის განვითარებას მოითხოვდა (Daalder & Lindsay 2003:198). ერაყში გაეროს აქტიური ჩართულობა იყო მთავარი ცვლილება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაეროს თანამშრომლობაში ერაყის საკითხის ირგვლივ. იგი იყო ერაყისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართ ამერიკელების განახლებული პოლიტიკის ნაწილი (Allawi 2007:282).

აშშ-ს სტრატეგია იცვლებოდა. მუდმივმა და შეუბრალებელმა ძალადობამ ბუშის ადმინისტრაცია აიძულა, გადაეხედა ერაყის მიმართ პოლიტიკისათვის. ნეოკონსერვატორების მოსაზრებები გვერდზე გადადო ვაშინგტონმა აიად ალავის დანიშვნით. ერაყის მიმართ ახალ მიდგომას შედეგის მომტანად აღიქვამდნენ (Allawi 2007:337). დროებითი მთავრობის შექმნის მთავარი იდეა და მიზანი იყო მაქსიმალურად შეემცირებინათ ერაყის კავშირი ირანთან და პანარაბული შესახედაობის შენარჩუნება.

ყველაზე მეტად კი იგი შექმნილი იყო, რათა ამერიკელების იზოლაციონისტური პოლიტიკა ირანის მიმართ უფრო გაემყარებინათ ერაყის ჩართულობით (Allawi 2007:299). დროებითი ხელისუფლება გამოყენებულ იქნა როგორც ძალა პოსტსადაამური ერაყის მიმართ არსებული წინა პოლიტიკის შესაცვლელად. იგი იყო საშუალება ჩამოშორებული სუნიტების კვლავ დასაბრუნებლად (Allawi 2007:289), თუმცა მიმართულება ისევ დემოკრატიის პოპულარიზაცია იყო. მას შემდეგ, რაც ვერ აღმოაჩინა მასობრივი განადგურების იარაღი, ბუშის ადმინისტრაციამ თავისი მისწრაფება დემოკრატიის გავრცელებას დაუკავშირა (Feith 2008a:521).

ფეისი წერს, რომ დანიშნულმა დროებითმა მთავრობამ თავისი საქმიანობა აღასრულა პოლიტიკური პროცესის გაგრძელებით. იგი ძირითადად დაკომპლექტებული იყო ყოფილი ემიგრანტებით და მისი ლეგიტიმურობის საკითხი არც დაყენებულა. ფეისი თავის მხრივ სვამს შეკითხვას, თუ რატომ ვერ მოახერხა აშშ-მ ერაყში მთავრობის ჩამოყალიბება 14 თვის მანძილზე და რატომ გაეხვა ოკუპაციაში (Feith 2008a:496). ბრემერისთვის ეს მოსაზრება მცდარია, რადგან „*მთავრობას მოუწევდა პოლიტიკურ და სამართლებრივ ვაკუუმში მუშაობა*“ და არავის წინაშე არ იქნებოდა ვალდებული, პირველ რიგში კი ერაყელი ხალხის. მისი აზრით, მთავრობა ეგრევე რომ შეექმნათ, იგი ძალაუფლებას კონსტიტუციის გარეშე მიიღებდა. ასევე ვერ მიიღებდა იმ პროცედურებს, რაც მთავრობის ჩამოსაყალიბებლად ან ასარჩევად იყო საჭირო, კანონთა აღსასრულებლად საჭირო გადაწყვეტილებებსაც ვერ მიიღებდნენ (Bremer, Dobbins, Compert 2008:35).

მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ (ხუან) რიკარდო კოული დეტალურად ხსნის გარდამავალი ეროვნული ასამბლეის არჩევნებს: „*ეს არის მთავრობა, რომელსაც კარგი ურთიერთობა ექნება ირანთან. ... თუმცა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს არ იყო ის შედეგი, რაც აშშ-ს სურდა*“ (Allawi 2007:289). ამით აიხსნება ზალმაი ხალილზადის ვიზიტი ერაყში 2005 წელს. მას ახალი მიზანი ჰქონდა. იგი წერს: „*მე ჩავედი ერაყში ნათელი შეხედულებით, რომ ჩვენ გვჭირდებოდა სუნიტი არაბების პოლიტიკურ პროცესში ჩართვა*“. ამ დროს კი სუნიტები გარდამავალი კონსტიტუციის შემქმნელი ასამბლეის არჩევნებს, რომელიც 2005 წლის იანვარში ჩატარდა, ბოიკოტს უცხადებდნენ. არჩევნების შედეგად პრემიერ მინისტრი გახდა იბ-

რაჰიმ ჯაფარი. ხალილზადი ბალდადში ელჩის სტატუსით ჩავიდა და მისი მისია იყო მათი (სუნიტების) პოლიტიკურ პროცესში ჩართვა (**Khalilzad 2009**).

2004 წლის ნოემბერში გენერალი ჯორჯ ქეისიმაც გადახედა აშშ-ს სტრატეგიას გენერალ რიკარდო სანჩესის გამგზავრების შემდეგ. ახალი სტრატეგია ბრიტანელებთან თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა, რათა აჯანყების საწინააღმდეგო მოქმედებები უზრუნველყოთ. გეგმა ითვალისწინებდა ერაყელების გაწვრთნას აშშ-ს ხელმძღვანელობით. 2005 წლის თებერვალში ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უმაღლესი მმართველობა განიხილავდა „ყოვლისმომცველი აჯანყების საწინააღმდეგო კამპანიის გეგმას. როგორც იქნა, 2 წლის შემდეგ აშშ-მ აღიარა, რომ ერაყის საკითხი არ იყო გადაწყვეტილი (**Packer 2005:446**). „გაწმენდის, შენარჩუნებისა და აშენების“ მეთოდი 2005 წელს მოიწონა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა და შემდეგ მან ასახვა ჰპოვა სპეციალურ სახელმძღვანელო დოკუმენტში (**Field Manual 2006**). „მოკლედ, ერაყის მთავრობასთან ჩვენი პოლიტიკურ-სამხედრო სტრატეგია უნდა იყოს გაწმენდა, შენარჩუნება და აშენება: ტერიტორიის გაწმენდა აჯანყებისაგან, მათი უსაფრთხოების შენარჩუნება და მტკიცე ერაყული ინსტიტუტების აშენება“ (**Rice 2005**). გენერალმა ქეისიმ ერაყის უსაფრთხოებასთან გასამკლავებლად სხვა მიდგომა დაიჭირა. იგი ფოკუსირებას ახდენდა აჯანყების ძალადობის შეკავებაზე, ერაყის სამშვიდობო ძალების შექმნაზე, ეკონომიკის აღდგენასა და მტრულად განწყობილ სუნიტურ ჯგუფებთან დაკავშირებაზე თანამშრომლობისა და იძულების გამოყენებითაც (**Ricks 2006:393**).

აღნიშნულმა სტრატეგიამ არ გაამართლა. აშშ-ს სამხედრო ძალები წმენდნენ ტერიტორიას და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერაყელებს აძლევდნენ, რომლებსაც არც სათანადო ხარისხი და არც რაოდენობა არ ჰქონდათ ამის გასაკეთებლად (**Ricks 2009:51**). აშშ-ს მუდამ უწევდა უკვე „გაწმენდილი“ ტერიტორიის თავიდან გასუფთავება (**Ricks 2009:55**). ძირითადი მიზეზი ამისა იყო, ის, რომ აშშ-ს სამხედრო ძალებს არ ჰქონდათ სათანადო სიძლიერე, რათა შეენარჩუნებინათ ტერიტორია და შემდგომ დაეცვათ მოსახლეობა (**Ricks 2009:103**).

შეჭრის შემდგომი პერიოდი სამი ძირითადი ფაზით ხასიათდებოდა. პირველი ფაზა სადამის რეჟიმის დამხობასთან ერთად მყისიერად დაიწყო. იგი ნეოკონსერვა-

ტორთა მიერ იყო შთაგონებული. ბუშის ადმინისტრაციამ თავისი იდეალისტური და მიამიტი მისწრაფება პოსტსაომარი წესრიგის შესახებ მცირე წარმატებით განახორციელა. მეორე ფაზა უფრო საღი გონებით იყო ნაკარნახები, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას უსვამდა ხაზს აიად ალავის დროებითი მთავრობის ჩათვლით. ამ პერიოდში უპირატესობა უსაფრთხოებას მიენიჭა და ახალი ერაყის მშენებლობამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ბაასისა და ერაყის სამხედრო ძალების ყოფილი მუშაკები ჩართეს უსაფრთხოების პროცესში. მესამე ფაზით პროდასავლური პოლიტიკური წესრიგი შეიცვალა გარდამავალი მთავრობით, რომელშიც შიიტური ელემენტები ჭარბობდნენ. ეს ფაზა ჩამოყალიბდა ზალმაი ხალილზადის დიდი ჩარევის შედეგად, რაც სუნიტების შემდგომ მონაწილეობას ითვალისწინებდა კონსტიტუციისა და ძალთა ბალანსის დაცვის საქმეში (Allawi 2007:398-399).

ბატალიონის სარდალი ვიცეპოლკოვნიკი დომ კარაჩილო აღწერს აშშ-ს შეჭრის სხვადასხვა ფაზებს: განთავისუფლება, ოკუპაცია და აჯანყების საწინააღმდეგო მოქმედებები, რომლებსაც არ მოეპოვებათ პარალელი ამერიკის ისტორიაში. კარაჩილო უარყოფს რაიმენაირ მსგავსებას გერმანიის, იაპონიის, ვიეტნამისა ან ფრანგული ალჟირის მაგალითებთან. მისთვის აჯანყებას არ ჰქონდა ორგანიზებული სახე, არამედ იგი იყო სხვადასხვა სახის ელემენტების უსისტემო ნაზავი (Packer 2005:302). ჩვენ არ ვეთანხმებით კარაჩილოს ამ მტკიცებას. რეალურად აჯანყება მძლავრ, ორგანიზებულ ძალად იქცა, რომელსაც დაფინანსების წყაროებიც გააჩნდა.

მიუხედავად ამისა, ბუშის მეორე პრეზიდენტობისას ძირითადი ცვლილებები მოხდა საგარეო პოლიტიკის ჯგუფში. უმაღლესი რანგის მუშაკები შეიცვალნენ – რაისი, ვულფოვიცი, ფეისი და მოგვიანებით რამსფელდი. აშშ-ს ხელმძღვანელობამ ევროპის მიმართ უფრო მეგობრული დამოკიდებულება გამოავლინა. ერაყის ირგვლივ მრავალმხრივი ჩართულობის იდეის შესახებაც გამოიკვეთა ინტერესი. ბუშის ადმინისტრაციამ გაეროს ჩართულობა ერაყში უფრო გაზარდა გაეროს 1770-ე რეზოლუციით. გაეროს უფრო მეტი პოლიტიკური როლი მიენიჭა და ეროვნული შერიგების საქმის პოპულარიზაციაც უნდა მოეხდინათ (Kennedy-Pipe 2008:417).

2006 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიამ ხაზი გაუსვა ბუშის დოქტრინის მნიშვნელობასა და მის უპირატესობას. ეს უკვე არსებული პოლიტიკის

გამომახილი იყო (**Lynch & Singh 2008:179**). ბუშის ადმინისტრაციამ მეორე არჩევნებით მინიჭებული მანდატი გამოიყენა არსებული პოლიტიკის გასაგრძელებლად (**Ryan 2006:187**). კონდოლიზა რაისმა ხაზი გაუსვა ამ მიდგომას 2005 წელს კაიროში: „60 წლის მანძილზე, ჩემი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, მისწრაფოდა ამ რეგიონში სტაბილურობისაკენ დემოკრატიის გაფართოებით და ჩვენ მას ვერ მივადწიეთ. ახლა კი ჩვენ ახალ კურსზე გადავდივართ. ჩვენ ყველა ხალხის დემოკრატიულ მისწრაფებას ვუჭერთ მხარს“ (**BBC 2005**).

მსგავსი ცვლილებები, როგორც ფილიპ გორდონი აღნიშნავს, მეორე პრეზიდენტობისას უმაღლვე არ განხორციელებულა. გორდონი ამ პერიოდს „კონტრევოლუციურს“ უწოდებს. შემდგომ მრავალმხრივი ჩართულობა, ალიანსები და კონსულტაციები უფრო ღირებული გახდა. საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორცაა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც პირველი პრეზიდენტობისას არ გამოირჩეოდა დიდი მხარდაჭერით, უფრო ღირებული გახდა. გაეროს თანადგომაც კონკრეტულ საკითხებში მისასაღმებელი გახდა. ეს ყველაფერი კი მიანიშნებდა წარსული პოლიტიკისაგან უკან დახევას (**Gordon 2006**).

ერთ-ერთი მოსაზრებით ცენტრალური პრობლემა ის გახლდათ, რომ რამსფელდმა ვერ შეიმუშავა ადეკვატური გეგმა, რადგან მას და ნეოკონსერვატორებს ჰქონდათ ძალზე ოპტიმისტური წარმოდგენა, რომ ერაყი მარტივად გახდებოდა დემოკრატიული. აქვე პრობლემის მიზეზად ასახელებენ კონფლიქტს რამსფელდის პენტაგონსა და პაუელის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის (**Ferguson 2007**). ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასაწყისში ბუში და უმაღლესი რანგის ლიდერები ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესს არც კი განიხილავდნენ მნიშვნელოვნად, მაგრამ 9/11-ის შემდეგ ადმინისტრაციამ საჭიროდ ჩათვალა ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის მშენებლობა. თუმცა გეგმა არსებობდა და არც იმაზე იყო ორაზროვნება, თუ ვინ მეთაურობდა ოკუპაციას. 2003 წლის იანვარში რამსფელდმა მოითხოვა ოკუპაციის სრული ხელმძღვანელობა, რაზეც ბუში დასთანხმდა. გორდონისა და ტრეინორის მიხედვით, პაუელმა იცოდა, რომ ოკუპაცია ქაოსში გადაიზრდებოდა და ამიტომ დაუთმო იგი პენტაგონს (**Gordon & Trainor 2007: 171**).

რამსფელდს ჰქონდა საკუთარი მოსაზრება, რაც შეიძლება ნაკლები სამხედროე-

ბით წამოეწყო ერაყის პროექტი. ამან საშუალება მისცა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტი რეალობად ექცია: 1. სამხედროთა მცირე რიცხვი ნიშნავდა, რომ სამხედრო სერვისები უნდა შეეცნოთ დაქირავებული პერსონალით. რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა სახელმწიფოს როლის შემცირებასა და კერძო სექტორის დაწინაურებას; 2. მცირე რაოდენობა გულისხმობდა, რომ ჯარს ვერ გამოიყენებდნენ ვერანაირი ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესისათვის. როგორც კონდოლიზა რაისმა 2000 წლის კამპანიისას განაცხადა, ჩვენ არ გვჭირდება 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ჯარისკაცები ბავშვებს აცილებდეს ბაღში (**Elliot 2003**); 3. სამხედროების მცირე რაოდენობის შედეგად უფრო მეტი ფული გამოთავისუფლებოდა სამხედრო საქმეში რევოლუციისათვის; 4. დაიქირავეს კერძო კონტრაქტორები, რასაც თავისი პლუსი ჰქონდა. პირველ რიგში, მათზე არ ვრცელდებოდა ინფორმაციის თავისუფლების აქტი და არც კონგრესს შეეძლო გავლენის მოხდენა. ამიტომ კონტრაქტორებს მოვალეობის აღსრულება შეეძლოთ საიდუმლოდ, კონგრესის დასტურის გარეშე (**Avant 2005: Chapter 5**); 5. მცირე რაოდენობის სამხედროები გულისხმობდა სიკვდილიანობის მცირე მაჩვენებელსაც. მაგალითად, თუ რომელიმე კონტრაქტორი ფირმის მძღოლი დაიღუპებოდა რესურსების გადაზიდვისას, იგი არ გამოჩნდებოდა ამერიკული დანაკარგის სიაში. და თუ ეს მძღოლი საერთოდ მესამე სამყაროს წარმომადგენელი იქნებოდა, დიდი ალბათობით, მისი სიკვდილის იგნორირება მოხდებოდა ამერიკული მედიისა და შესაბამისად ამერიკული საზოგადოების მხრიდან. 2008 წელს დასაქმებული 47 000 კაციდან 35 000 სწორედ მესამე სამყაროს ქვეყნიდან იყო (**Chatterjee 2009:142**). როგორც ვიეტნამმა აჩვენა, დიდი რაოდენობით მსხვერპლი ზიანს აყენებს პრეზიდენტის რეიტინგს. რამსფელდი თავის წიგნში “Known and Unknown” ხშირად იშველიებს ვიეტნამის მიმართ ამერიკელი საზოგადოების დამოკიდებულებას. მან განსჭვრიდა, რომ ერაყის გრძელვადიანი პროექტისათვის სამხედროთა დანაკარგი მინიმუმამდე უნდა დაეყვანათ. ეს რესპუბლიკელთა რეიტინგს შეინარჩუნებდა და საზოგადოების მხარდაჭერასაც უზრუნველყოფდა.

ყველაზე კარგად შესრულებული მიზანი გახლდათ კერძო კონტრაქტორების ფართოდ გამოყენება. 2007 წლის სექტემბრისათვის ერაყში იყო 180 000 კონტრაქტორი და მხოლოდ 163 000 სამხედრო (**Lardner 2007**). კერძო კონტრაქტორების გამოყენება

გულისხმობდა კონგრესის ნაკლებ ჩარევას. ეს ასევე ნიშნავდა, რომ ამერიკას მცირე დანაკარგი ექნებოდა. მაგალითად, ჰელიბერტონი თავის მუშაკებს ძირითადად მესამე სამყაროს ქვეყნებიდან ქირაობდა. 2001 წლიდან მოყოლებული 2011 წლამდე დაახლოებით 2 000 კონტრაქტორი დაილუპა და 15 000 დაშავდა ერაყსა და ავღანეთში (Stillman 2011).

მრავალი მიზეზი დასახელდა ერაყში წარუმატებლობის გამომწვევად. თავი და თავი ვაშინგტონში დაწყებული შეუსაბამობები და სააგენტოთა არასათანადო კომუნიკაცია გახლდათ. იქმნება სურათი, რომ ვერცერთი მნიშვნელოვანი სააგენტო ვერ ახდენდა საკითხის მართებულად განხილვასა და კვლევას. ყველაზე დიდი ბრალი კი, ჩვენი აზრით, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს მიუძღვის. მათი მუშაობისას გამოვლენილი ფაქტების სიმწირე ან ზოგადად ერაყის შიდა პოლიტიკური ვითარების არცოდნა უმთავრესი მიზეზია ერაყის ომისშემდგომი პრობლემებისა. უნდობლობა ერაყის ოპოზიციის მიმართ და ერაყის არმიის დაშლა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს ხელმძღვანელობას რამსფელდის დოქტრინის შესაბამისად სამხედროთა მცირე კონტინგენტი ჰყავდა მობილიზებული, ერაყში დაწყებული აჯანყებების აშკარად ხელისშემწყობი ფაქტორია. გასაგებია, რომ რამსფელდს სურდა თავისი რევოლუციური მიდგომის მაქსიმალურად გამოყენება და მცირე სამხედრო ძალის ჩაბმა ომის პროცესში, მაგრამ გაუგებარია, რატომ გადაწყვიტეს, რომ ომის შემდგომ ერაყის კონტროლისთვის არ გამოეყოთ დამატებითი ძალები, როგორც არაერთი გენერალი მოითხოვდა ამას. ფაქტი ფაქტად რჩება – ომის შემდეგ შექმნილმა დროებითმა მთავრობამ დაკარგა ქვეყანაზე კონტროლი, რამაც საბოლოოდ აჯანყებების წინაშე დააყენა ამერიკელი და კოალიციური სამხედრო ძალები. თავისუფალი ბაზრის იდეა კი იდეად დარჩა.

§3. საოკუპაციო ძალების მთავარი გამოწვევა – აჯანყებები და მაროდორობა

აჯანყებებთან გამკლავება იყო ბუშის ადმინისტრაციის ძირითადი დილემა, რადგან რესპუბლიკური პარტიის საგარეო პოლიტიკის მეთაურს აღარ სურდა სისუს-

ტის გამოვლენა (**Woodward 2006:474**). როგორც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილემ **ჯონ მაკლაფლიმ** განაცხადა, ერაყის აჯანყება ოთხი ძირითადი ფრაქციის მიერ იყო ორგანიზებული: ყოფილი ბაასისტების, ყოფილი მებრძოლების, ერაყის ნაციონალისტებისა და ტომების მიერ (**Woodward 2006:261-562**). ირანსაც დიდი გავლენა ჰქონდა ერაყში. ირანის რევოლუციურ რაზმს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა გზებზე ბომბების განლაგებაში, რამაც მრავალი ამერიკელის სიცოცხლე იმსხვერპლა (**Blair 2010a**). 2010 წლის იანვარში ტონი ბლერმა განაცხადა, რომ პოსტსადამური ერაყის ერთ-ერთი ასპექტი, რაც არავის მოსვლია აზრად, იყო ის, რომ ირანი მხარს დაუჭერდა ალ-კაიდას. ამ შემთხვევაში ფიქრობდნენ, რომ ეს ორი „სამყარო“ ერთმანეთს არასდროს შეერეოდა. რაც გაუთვალისწინებლად მოხდა, იყო ის, რომ ორივეს საერთო ინტერესი გამოუჩნდა – ერაყის დესტაბილიზაცია (**Blair 2010a**).

ამ ალიანსს კიდევ ერთი ღერძი ჰქონდა. დაგლას ფეისი აღნიშნავს, რომ ბუშის ადმინისტრაცია ელოდა შურისძიებებს, მაროდიორობას, ტერორისტულ თავდასხმებს, ერაყში ძალადობის აღზევებას მეზობელი ქვეყნების მიერ, მაგრამ არავინ ელოდა მდგრად ამბოხებას, რომელსაც დამხოვილი ბაასისტები უხელმძღვანელებდნენ უცხოელ ჯიჰადისტებთან ერთად (**Feith 2008a:415**). როდესაც ერაყი დაეცა, ბაასისტებმა გადაწყვიტეს, რომ **ისლამი** იყო ყველაზე კარგი საშუალება ამბოხების გასაძლიერებლად და გასაგრძელებლად. ამიტომ რადიკალმა ჯიჰადისტებმა და ყოფილი რეჟიმის წევრებმა საერთო ენა გამონახეს (**Gordon & Trainor 2007:586**). ფეისი დამატებით აღნიშნავს, რომ ამერიკას არ გაახსენდა 1996 წლის ოსამა ბენ ლადენის **ფატვა (Fatwa Nr 1 1996)**, სადაც იგი ომს უცხადებდა ამერიკას არაბეთის ნახევარკუნძულზე სამხედროების განთავსების გამო და ამას სამხედრო ოკუპაციას უწოდებდა. ამის შესახებ აქცენტი არც პენტაგონს გაუკეთებია და არც ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს მოუხდენია მისი ხაზგასმა (**Feith 2008a:407**). ფეისი ირწმუნება, რომ ასეთი სახის ამბოხებას არც დაზვერვის ოფიცრები და არც პოლიტიკის აღმსრულებლები არ ელოდნენ. ბაასისტებმა, ჯიჰადისტებთან თანამრომლობით, შეძლეს ზიანის მომტანი სამხედრო კამპანიის გაჩაღება ერაყში (**Feith 2008a:275**).

ერაყის რეკონსტრუქცია საგრძნობლად დააზარალა დაწყებულმა აფეთქებების სერიამ. თავდაპირველად ბაღდადში იორდანის საელჩო ააფეთქეს 2003 წლის 7

ავგისტოს. 19 ავგისტოს გაერთიანებული ერების ცენტრალური ოფისის აფეთქებას გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სერჟიო ვიეირა დე მელო და გაეროს თანამშრომლები ემსხვერპლნენ (Symonds 2003). აიათოლა მოჰამედ ბაქირ ალ ჰაკიმისა და მისი მიმდევრების მცირე ჯგუფის მკვლელობამ 29 ავგისტოს ასევე დიდი გავლენა იქონია. ეს აფეთქებები მოასწავებდნენ ამბოხებების დაწყებას (Feith 2008a:449).

სუნიტები ამბოხების ძირითადი მამოძრავებლები იყვნენ. გაეროს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელი **რობერტ ბლექვილი** ერთ-ერთ სუნიტ ლიდერს უმტკიცებდა: „ჩვენ გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი განზრახვაა ახალ ერაყში სუნიტებს ყველა მიმართულებით ჰქონდეთ უპირატესობა და პრივილეგიები.“ ამაზე კი პასუხად მიიღო „ბატონო ელჩო, თქვენ არ გესმით – ჩვენ გვინდა ვმართოთ ერაყი“ (Woodward 2006:296). არმიის პოლკოვნიკი **დერეკ ჰარვი** პრეზიდენტ ბუშს შეხვედრისას მოახსენებდა ერაყის იმჟამინდელ ვითარებასა და ამბოხების შესახებ. მისი თქმით, ყურადღების დიდი კონცენტრაცია ხდებოდა უცხოურ მებრძოლებზე და არა ამბოხების რეალურ ბირთვზე – სუნიტურ ოლიგარქიასა და მათ რელიგიურ ნაციონალიზმზე (Ricks 2006:409). ერაყის მომავალი და პოსტსაომარი პერიოდი ეყრდნობოდა ერაყელთა მიერ ახალი ხელისუფლების აღქმასა და დანაკარგებისა და სარგებლის შეფასებას. ის ძალადობა, რაც ერაყში აღმოცენდა, ძირითადად გამოწვეული იყო ახალი სახელმწიფო სისტემის გაურკვევლობით. ოკუპაციის შემდეგ სუნიტებს აღარ ეპყრათ ხელთ განუსაზღვრელი ძალაუფლება, შიიტები კი მოსახლეობას იმორჩილებდნენ (Allawi 2007:133). მეტიც, ბუშის რიტორიკის სასურველი შედეგი კი უნდა ყოფილიყო დემოკრატიისა და მშვიდობის ხელის შეწყობა ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ამას ერაყელებთან საერთო ნაკლებად ჰქონდა. ეს მიზანი ერაყის დაპყრობის ლოგიკური პროდუქტი უნდა გამხდარიყო და არა როგორც ცვლილების გულწრფელი მცდელობა. ერაყელებს განსაკუთრებით სჯეროდათ, რომ ამერიკის შემოჭრას ოთხი ძირითადი მიზეზი ჰქონდა. 1. ერაყის ვრცელი ნავთობსიმდიდრის კონტროლი; 2. ერაყის გამოყენება, რათა გამოეცადათ და გაეღიზიანებინათ ირანი; 3. ერაყის დანაწევრება, რათა სუსტი ახლო აღმოსავლეთი შეექმნათ; და 4. ისრაელისათვის ერაყის საშიშროების მოხსნა (Allawi 2007:459). ამბოხების, რომლის საწყის ეტაპში თავად ჰუსეინიც მონაწილეობდა, მეთაურებმა შექმნეს ოთხნაწილიანი გეგმა. მათი მიზანი იყო, პირველ

რიგში, განედევნათ ოკუპანტები, დაესუსტებინათ ერაყის ინსტიტუტები, შეექმნათ ერაყელებში უკმარისობის გრძნობა ახალი ხელისუფლების მიმართ და შეენარჩუნებინათ სუნიტების გავლენა (**Gordon & Trainor 2007:584**).

2003 წლის აპრილში აღმოაჩინეს ერაყის სადაზვერვო სააგენტოს – მუხაბარატის ბრძანება. იგი შეიცავდა სამოქმედო გეგმას ბაასის მთავრობის, სადამის ფიდაინებისა და დაზვერვის წევრებისათვის სადამის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში. ბრძანება შეიცავდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობაში მყოფთა დახოცვის, სამინისტროების დაწვის, მაროდორობისა და დოკუმენტთა განადგურების მითითებას. ყველაფერი უნდა ექნათ ერაყში ქაოსის გასაღვივებლად. ბრძანება ბაასის პარტიის ყველა წევრს ურჩევდა ჯოჯოხეთის მოწყობას ერაყში სადამის დამხობის შემთხვევაში (**Woodward 2006:184**). 2003 წლის 23 იანვრით დათარიღებულ ბრძანებაში კი მითითება კეთდებოდა ოფიცრებისადმი, რა უნდა ექნათ, თუ ერაყს დაიპყრობდნენ. საბოტაჟისა და მაროდორობის გარდა ელექტროსადგურები უნდა გაენადგურებინათ და შიიტთა წმინდა ადგილებში შეეღწიათ (**Woodward 2006:184**). მართალია, ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ წყაროში ამაზე საუბარი არ არის, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ამ ბრძანების აღმოჩენამ გამოიწვია დებაასიფიკაციის მასშტაბების ზრდა.

2003 წლის ივლისისთვის ბრემერი გალიზიანებას ვერ მალავდა პენტაგონის გულგრილობის გამო, რასაც იგი მიმდინარე ამბოხებების მიმართ იჩენდა. ბრემერი ფიქრობდა, რომ სამხედროები, რომლებიც რამსფელდმა დანიშნა, ცდილობდნენ შტატების ჯარების გაყვანას ერაყიდან (**Bremer & McConnell 2006:105-106**). ბრემერი თვლიდა, რომ აშშ-ს სამხედროებს „უჭირდათ მტერთან საბრძოლველად სათანადო ეფექტური საშუალებების მოძებნა“ (**Bremer & McConnell 2006:220**).

2004 წლის 31 მარტს, როდესაც ამბოხება მოძლიერებული იყო და ფალუჯას კრიზისიც იწყებოდა, პრეზიდენტმა ჯორჯ უოკერ ბუშმა გააკეთა განცხადება. მან აღნიშნა: „ჩვენ კვლავ ვებრძვით ავაზაკებსა და ტერორისტებს ერაყში, რომლებიც უდანაშაულოთა მკვლელობებზე უფრო წავლენ, ვიდრე თავისუფლების უპირატესობას აღიარებენ.“ მან ასევე დაამატა, რომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს, აღდგომოდნენ ამ პრობლემას. „მკვლელების ეს ნაკრები ვერ აღუდგება წინ ჩვენ სურვილს. ამერიკა არასდროს იქნება შემინებული ავაზაკებისა და მკვლელების მიერ. ჩვენ აგრესიულად

დავარტყამთ ტერორიზმს ერაყში“ (Woodward 2006:297). ამერიკის ტაქტიკა ამბოხების ჩასახშობად წარმატებული იყო დროის მცირე მასშტაბში, თუმცა მას მრავალი ხარვეზი ჰქონდა სტრატეგიის მხრივ. ამერიკელი სამხედროები საბოლოო მიზანს ვერ ხედავდნენ და კრიზისის აღმოსაფხვრელად ფოკუსირებას ყოველდღიურ ტაქტიკაზე ახდენდნენ. ამ დროისთვის ამბოხების მამოძრავებელ ძალად ითვლებოდა ძველი რეჟიმის მიმდევართა მცირე, მტრულად განწყობილი ჯგუფები (Ricks 2006:185). ყოფილი თავდაცვის მდივანი, ჯეიმს შლეზინგერი, რომელიც აბუ ღარიბის სკანდალისას არაერთ გამოკითხვას ხელმძღვანელობდა, ხაზს უსვამს ორ უმთავრეს შეცდომას, რაც პენტაგონის წარმომადგენლებმა მცდარ ვარაუდებზე დაყრდნობით დაუშვეს: 1. შესაძლო ამბოხებისათვის გეგმის მოუმზადებლობა; და 2. ამბოხება დაწყების შემდეგ რეაგირების დაგვიანება (Ricks 2006:378).

ერაყში ამბოხებისა და არასტაბილურობისას, კონსულტანტმა სტივენ ჰერბითსმა რამსფელდს უთხრა „ნიუ იორკ თაიმზში“ დაბეჭდილ ცნობაზე, რომელიც სენატორმა ჯოზეფ ბაიდენმა და საგარეო ურთიერთობების საბჭოს ყოფილმა მეთაურმა ლესლი გელბმა გააკეთეს. სტატიაში შემოთავაზებული იყო გრაფიკი და მიზანი შეექმნათ სამი ავტონომიური რეგიონი (ქურთების, შიიტებისა და სუნიტების). საზღვრები დეფაქტო დგინდებოდა (Gelb 2003). ეს ყველაზე კეთილგონიერი ნაბიჯი ჩანდა. რამსფელდი ამ მოსაზრებას არც დაეთანხმა და არც უარყო იგი (Woodward 2006:481). სენატორი ბაიდენი მხარს უჭერდა ერაყის სამ მთავარ ნაწილად გაყოფას: ქურთების, სუნიტებისა და შიიტების ანკლავს, ბაღდადში სუსტი ცენტრალური მთავრობით, რომელიც კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად საგარეო ურთიერთობებს და ნავთობშემოსავალს აკონტროლებდა. ბუშის ადმინისტრაცია ერთიანი ერაყის გეგმას ემხრობოდა (Gordon & Trainor 2007:596).

პოლპოლკოვნიკ სტივენ პეტერსონის აზრით, საჰაერო და სახმელეთო კამპანია, რასაც შოკი და შიში უნდა მოეტანა ბაღდადის რეჟიმის დამხობასთან ერთად, დამლუპველი იქნებოდა ერაყის აღდგენითი პროცესისა და წესრიგის შენარჩუნებისათვის. მისი აზრით, აღდგენითი პროცესისათვის სხვა სახის მართვისა და კონტროლის დამყარება იქნებოდა საჭირო. სამხედრო და საპოლიციო ძალები კვლავ საქმეში უნდა ჩაბმულიყო. მისივე თქმით, სამხედროთა ყოველი ძალისხმევა აღიქმებოდა, როგორც

ომის შემდგომი ერაყისათვის გათვალისწინებული სტრატეგიის ნაწილი (**Gordon & Trainor 2007:168**).

ბუშის ადმინისტრაცია ალბათ არც ელოდა, ბალდადი ასე მალე თუ დაეცემოდა. მხოლოდ სამი კვირა და მცირე სამხედრო ძალისხმევა დასჭირდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას. ბუშის ადმინისტრაციის აზრით, უფრო გრძელვადიანი ომი გამოიწვევდა გაცილებით მეტ დანაკარგებს ბრძოლის ველზე. იგივე ლოგიკით, დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, სადამის ჩამოგდების შემდეგ ერაყში ამერიკელი სამხედროების არასაკმარისი რაოდენობა იქნა გაგზავნილი (**Galbraith 2008:50**), ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ქაოსს და აჯანყების წამოწყებას. ტომი ფრენკსმა ეს ადრევე გაითვალისწინა და ამას „კატასტროფული წარმატება“ უწოდა (**Franks & McConnell 2005 :392**).

ქურთისტანის პატრიოტული გაერთიანების წარმომადგენლები ამერიკელებს ეუბნებოდნენ, რომ ერაყის სამხედრო, პოლიტიკური თუ სამთავრობო ბაასის პარტიის ინსტიტუტები სწრაფად დაემხოვდნენ და დიდ ადმინისტრაციულ ვაკუუმს დატოვებდნენ ბალდადში. ამის გამო ქვეყანა მაროდორობაში, ქაოსსა და ძალადობაში ჩაეფლებოდა. ნავშირმან მუსტაფა ამინი, ჯალალ ტალაბანის მოადგილე ერაყის მმართველ საბჭოში ასკვნის, რომ ეს საკითხი მკაფიოდ გამოიკვეთა ომის წინ არაერთ შემთხვევაში. მათ ელჩ რაიან კროკერს, ზალმაი ხალილზადსა და გარნერს ურჩიეს ამის თაობაზე (**Amin 2007**).

ბალდადში მომუშავე **დრიუ ერდმანის** აზრით, გაეროს დიპლომატია საფრთხეში ჩავარდებოდა, აშშ-ს დეპარტამენტების კონკრეტული წარმომადგენლები რომ მოეხსნათ ომის შემდგომი პროცესის დაგეგმვიდან. ერაყის ოკუპაციას ადარებდნენ ამერიკის მიერ ფრანგული ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობას და არა გერმანიისას, რომელიც, თავის მხრივ, წინასწარ გაცილებით უკეთ იყო დაგეგმილი (**Packer 2005:146**). ომის წინ მცდარი შეკითხვებიც დაისვა. ეროვნული უშიშროების საბჭოს ახლო აღმოსავლეთის საქმეთა დირექტორმა **ელიოტ აბრამსმა** უთხრა პრეზიდენტს, რომ ორი მილიონი ადამიანი შესაძლოა გადაადგილებულიყო ომის შედეგად. მოსამზადებელი სამუშაოებიც ამის გათვალისწინებით მიმდინარეობდა. ბუშმა თავისი გუნდისათვის ნათელი გახადა, რომ ეს ძალისხმევა სათანადოდ უნდა აღსრულებულიყო როგორც სახალხო დიპლომატიის საშუალება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს

პოზიტიური იმიჯით უზრუნველყოფდა (**Woodward 2004a:276-278**).

აჯანყებების ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი მიზეზი გახდა მაროდიორობა. საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება უმთავრესი ფაქტორი იყო ერაყში სტაბილურობის შესაქმნელად და ერაყელთა მხრიდან განმათავისუფლებლებისადმი ნდობის დასამყარებლად. 2002 წლის აგვისტოში ქურთი ლიდერი **ჯალალ ტალაბანი** ვაშინგტონში ვიზიტისას საუბრობდა შეჭრის შემდეგ ბაღდადში შესაძლო მაროდიორობაზე. მიუხედავად ამისა, გარნერის მიერ თეთრ სახლში შეტანილი წინადადება ერაყში საპოლიციო მრჩეველების წარგზავნის შესახებ, რათა წესრიგი და კანონი აღედგინათ, მალევე უარყვეს (**Gordon & Trainor 2007:180**). ტონი ბლერის განცხადებით, არსებობდა მოლოდინი, რომ კოალიციური ძალები ჩავიდოდნენ სამოქალაქო სერვისით სრულად გამართულ ერაყში და ერაყის პოლიცია საშინაო უსაფრთხოებას თავის თავზე აიღებდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რადგან პოლიციაში მრავლად იყვნენ ბაასის პარტიის წარმომადგენლები. ბაასისტები არ გამოცხადდნენ სამსახურში, ხოლო სხვა თანამშრომლები, სასჯელის თავიდან არიდების მიზნით, არ დაბრუნდნენ უკან. დამატებით, კორუფციის გამო ერაყის პოლიციას სუსტი რეპუტაცია და იმიჯი ჰქონდა (**Blair 2010b: Chapter 15 Iraq: The Aftermath**). 2003 წლის 10 მარტს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ფრენკ მილერმა განაცხადა, რომ კანონის უზენაესობის წარმატებით დამყარება კონფლიქტის შემდგომ კრიტიკული იქნებოდა სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ეს კი რეკონსტრუქციისა და აღდგენის სამუშაოებს გაამარტივებდა (**Woodward 2004a:339**). ბრემერმა იცოდა, რომ ბაღდადში მობილიზებულ 40 000 ათას ამერიკელ სამხედროს არ ჰქონდა მაროდიორობის აღკვეთის ბრძანება (**Bremer & McConnell 2006:14**). ამერიკამ ვერ შეძლო საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა, რადგან რამსფელდსა და მის დამხმარეებს ეს არ მიაჩნდათ მნიშვნელოვნად (**Galbraith 2006:113**). ადმინისტრაციამ ვერ შეძლო თავისი, როგორც ოკუპანტი ძალის მოვალეობის შესრულება მაროდიორობის არშეჩერებით. ადმინისტრაცია არც რეგიონის ექსპერტებს უსმენდა (**Galbraith 2006:111**). როდესაც ამერიკელი სამხედროები ბაღდადში ჩავიდნენ, ისინი განცვიფრდნენ მაროდიორობის დონით. მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ გამკლავებოდნენ საკითხს. ერთადერთი, რაც მათ მოახერხეს, რამდენიმე ჰოსპიტალის დაცვა იყო. თუმცა მათ არ ჰქონ-

დათ ბრძანება, ესროლათ მაროდორებისათვის ან აღედგინათ წესრიგი. ისინი ფოკუსირებას მტრის დამარცხებაზე ახდენდნენ (**Gordon & Trainor 2007:489**).

მაროდორობის პრობლემაზე საუბრები რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისის შექმნისთანავე დაიწყო. ამ პრობლემას იხილავდნენ რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისის პირველ ძირითად ყრილობაზე 2003 წლის თებერვალში ეროვნული უსაფრთხოების უნივერსიტეტში. მიუხედავად ამისა, როდესაც საკითხი წამოსწიეს, ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლებს მიეცათ ინსტრუქცია, არ მოეხდინათ „ომისშემდგომ მოვლენებზე რეაგირება“, უმთავრესად იმ მოტივით, რომ სათანადო რაოდენობის სამხედრო პერსონალი არ ჰყავდათ (**Packer 2005:123**). გენერალმა უესლი კლარკმა 2003 წელს განაცხადა: „გაჩაღებულმა უწესრიგობამ ერთგვარად შეასუსტა ის ამერიკული სანდოობა და გზა გაუხსნა უფრო ღრმა და ორგანიზებულ წინააღმდეგობას მომდევნო კვირების განმავლობაში“ (**von Hippel 2005:255**). დროებითი კოალიციური მთავრობის წარმომადგენლის აზრით, აშშ-ს ხელმძღვანელობის შეცდომებმა შექმნა ეს ამბოხება. ამერიკის შეერთებული შტატების თავშეკავება მაროდორობის შეჩერების მიმართ, წესრიგის დამყარების სურვილის ნაკლებობა და ბრემერის პირველი ბრძანებები გახდა უკუსვლის მიზეზი (**Packer 2005:196**).

მინიმალური სამხედრო ძალების შესახებ რამსფელდის დოქტრინის გარდა, მაროდორობის აღზევებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურქეთის უარმა აშშ-ს ძალების ერაყის ჩრდილოეთისაკენ გატარებაში, რის გამოც რეგიონში ამერიკული ძალების რაოდენობა ვერ გაიზარდა. (**von Hippel 2005:255**). დროებითი კოალიციური მთავრობის მრჩეველი ნოა ფელდმენი ხსნის, თუ როგორ დაიწყო მთელი ერაყის უკუსვლა მაროდორობით. ამან აჩვენა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს სამხედრო ძალები, როგორ არ ამყარებდა აშშ წერიგს და როგორ გაიზარდა ერაყელებში წარმოდგენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ წარმოადგენდა სერიოზულ საბრძოლო ძალას (**Packer 2005:138**). ფეისი წერს, რომ მას შემდეგ, რაც ძირითადი საბრძოლო მოქმედებები მორჩა, მან სთხოვა თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილე კრისტოფერ ლემბს, დახმარებოდა წესრიგის დამყარების შესახებ დოკუმენტის მომზადებაში. ლემბმა წარმოადგინა დოკუმენტი „ერაყში საზოგადოებრივი წესრიგის შენარ-

ჩუნების“ შესახებ. ანალიტიკური ნაშრომის წინაპირობა იყო ის, რომ ცენტრალური მმართველობა არ ახდენდა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე ფოკუსირებას. დოკუმენტი ამტკიცებდა, რომ დეტალური გეგმის შეუმუშავებლობა გავლენას ახდენდა პოსტსადაამურ ერაყში წესრიგის აღდგენაზე. ხაზი იყო გასმული რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისსა და ცენტრალურ მმართველობას შორის თანამშრომლობის ნაკლებობაზე, რასაც შეეძლო საგანგაშო მდგომარეობის ინიცირება. რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისს სჯეროდა, რომ ცენტრალური მმართველობა უზრუნველყოფდა პოსტსაომარი სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭირო ძალებს (Feith 2008a:362-64). ფეისი და ლემბი წერენ, რომ ფუნდამენტური დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო სწრაფი სამხედრო ოპერაციები, რაც აღკვეთდა სამოქალაქო პირების ზედმეტ შეწუხებას, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული პანამის მაგალითი, როდესაც აშშ-ს ძალების სწრაფ ოპერაციას ადგილობრივი დიქტატორის მანუელ ნორიეგას წინააღმდეგ ასევე მოჰყვა მასობრივი სახალხო უწყესრიგობა (Feith 2008a:364). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში პანამისა და ერაყის მაგალითების შედარება არც ისე კორექტულია, რადგანაც პანამაში ვითარება საკმაოდ მალე დასტაბილურდა. თანაც, მანუელ ნორიეგას დაპატიმრების შემდეგ ამერიკელებმა სასწრაფოდ გაიყვანეს დამატებით შეყვანილი შენაერთები და ძალაუფლება გადასცეს კანონიერად არჩეულ პრეზიდენტ გილიერმო ენდარას.

2002 წლის 18 ოქტომბერს ერთ-ერთ შეხვედრაზე ფეისმა დასვა კითხვა პოსტსაომარ ერაყზე და თავადვე გასცა პასუხი – ომის შემდგომ ადგილობრივი ადმინისტრაცია თავდაცვის დეპარტამენტს დაემორჩილებოდა. მანვე გააგრძელა, რომ ეს კითხვა სპეციალურად წამოსწია გენერალ ფრენკსის თანდასწრებით, რადგან მას სურდა ნათელი მოეფინა ყურადღების ნაკლებობისთვის, რასაც იგი ხედავდა მისი მმართველობისას და სადამის რეჟიმის დამხობის შემდეგ წესრიგის დამყარებაში (Feith 2008a:319). მისი აზრით, მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ-ს ხელმძღვანელობა ომის მომზადებისას ეყრდნობოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფასებებს, რომელთა თანახმადაც ერაყის პოლიცია ძირითადად ხელშეუხებელი დარჩებოდა, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იყო ერაყში შეჭრის უზრუნველსაყოფად საჭირო სამხედროთა რაოდენობის განსასაზღვრად. ცსს-ს თანამშრომლები ას-

კვნიდნენ, რომ ერაყის პოლიცია შეინარჩუნებდა წესრიგს შეჭრის შემდგომ (**Feith 2008a:363**). აშშ-ს პრეზიდენტი და მისი გარემოცვა სწორედ ამ შეფასებას ეყრდნობოდა. მაროდობის, ამბოხებებისა და სამოქალაქო არეულობის გამკლავება ერაყის პოლიციას დაევალა. ფეისის აზრით, ეს იყო დაზვერვის უმთავრესი ხარვეზი. ამან აჩვენა, თუ რა მცირე ინფორმაციას ფლობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ერაყზე. იგი ასკვნის, რომ სააგენტო უარყოფდა ზოგიერთ გამოწვევას, რომელზეც მიუთითებდნენ, რადგან საკუთარ მოსაზრებებში იყო დარწმუნებული (**Feith 2008a:365**).

ერაყის ოკუპაციის საწყისი პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა. ამერიკელების მიერ ამ დროს დაშვებულ შეცდომებს გრძელვადიანი ეფექტი აღმოაჩნდა. ბუნებრივია, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება უცხო ქვეყნის ძალებისადმი პრაქტიკულად ყოველთვის უარყოფითია, ხოლო როდესაც საოკუპაციო ნაწილები ვერ ახერხებენ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას და აგვიანებენ სამოქალაქო ხელისუფლების გადაცემას, ეს კიდევ უფრო ზრდის უკმაყოფილებას. ხშირად ეს იწვევს არა მარტო სიტუაციის გამწვავებას, არამედ ახალი გარეშე მოთამაშეების გამოჩენასაც. სწორედ ასე მოხდა ერაყში და გარკვეულწილად ირანული გამოდგა ის ფაქტი, რომ დღე როდესაც ამერიკამ მოიგო ომი ერაყთან, ასევე იქცა დღედ, როდესაც მან იგი დაკარგა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ტონი ბლერი** ასკვნის, რომ ერაყში ვითარების გართულების კიდევ ერთი მიზეზი იყო ირანისა და **ალ-კაიდას** ერთობლივი ხელის შემშლელი როლი (**Blair 2010b: Chapter 15 Iraq: The Aftermath**). საზღაური, რაც ამერიკამ და მისმა საგარეო პოლიტიკამ გადაიხადა, იყო შესამჩნევი. ნაცვლად იმისა, რომ მძლავრი მესიჯი გაეგზავნათ ირანისა და ჩრდილო კორეისათვის, ამერიკა ერაყში მიმდინარე რთულ პროცესებში აღმოჩნდა ჩართული. არ გაამართლა იმედმაც, რომ ერაყი გახდებოდა ერთგვარი „დემოკრატიის ლოკომოტივი“ ახლო აღმოსავლეთში. ეს ისედაც რთული მისაღწევი იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, დემოკრატიაზე გადასვლის სიცოცხლისუნარიანობის ჩვენების ნაცვლად, ეს პროცესი ძალიან რთულად წარმოჩინდა, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მარტო აღმოჩნდნენ და სხვა ერების ჩართვაც ვერ უზრუნველყვეს (**Gordon & Trainor 2007:582**). სუნიტურ ელიტას დემოკრატია არ მოსწონდა, რადგან ეს შიიტურ უმრავლესობას გაუხსნიდა

გზას ქვეყნის მმართველობაში. ამან გააღრმავა მათი ცუდი განწყობილება გარეშე ძალების მიმართ. მათ სადამის ჩანაცვლება რომელიმე სუნიტი გენერალით უფრო მოეწონებოდათ (**Feith 2008a:372**). შესაბამისად, სუნიტებმა არ მოისურვეს ახალი მმართველი ძალის ნაწილი გამხდარიყვნენ. ნათლად ჩანდა ასევე ირანის მიერ ერაყის საქმეებში ჩარევაც. ირანის მიზანი იყო, შეეჩერებინა ძლიერი და ერთიანი ერაყის განვითარება. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ სუნიტურ ერაყს რვაწლიანი სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა ირანთან გადატანილი. ირანს ასევე სურდა რეჟიმის ცვლილება ძვირ და სისხლიან საქმედ ექცია აშშ-ს ხელმძღვანელობისათვის, რათა მომავალში ირანისათვის აერიდებინათ თავიდან აშშ-ს მსგავსი ჩარევა (**Gordon & Trainor 2007:592**). ტონი ბლერის აზრით, კოალიციამ დაასკვნა, რომ ირანი უბრალოდ დააკვირდებოდა პროცესს და მას „არ აინტერესებდა ერაყის დესტაბილიზაცია“. ესეც მცდარი პროგნოზი გამოჩნდა, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, ირანს არ სურდა შიიტური უმრავლესობით შემდგარი დემოკრატია თავის სამეზობლოში (**Blair 2010b: Chapter 15 Iraq: The Aftermath**).

ბრემერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ირანი არ იჩენდა თანამშრომლობის სურვილს მაშინ, როდესაც იგი იყო დროებითი კოალიციური მთავრობის ლიდერი (**Bremer 2009**), თუმცა ირანი არც უკიდურესად ხელისშემშლელი იყო. მხოლოდ ხანდახან აღმოაჩენდა ხოლმე ამერიკა ერაყში მომუშავე რევოლუციურ გვარდიას. ასევე იშვიათად წააწყდებოდნენ ხოლმე ირანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ელემენტებს, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ძირითადად საშუალო დონის ხალხთან. მისი თქმით, ბევრად უფრო დიდი პრობლემა დასაწყისიდანვე იყო სირია. კოალიციურმა გარდამავალმა მთავრობამ შეიტყო დაკავებულებისაგან, რომ თვითმკვლელი ამფეთქებლების ძირითადი ნაწილი სირიიდან იყვნენ. ბრემერი ხსნის, რომ მათ შემდეგ შეიტყვეს, თუ რა დიდ როლს თამაშობდა სირია საუდის არაბეთიდან, იემენიდან და ჩრდილო აფრიკიდან თვითმკვლელი ტერორისტების რეკრუტირებაში. ისინი გადაჰყავდათ სირიაში, საიდანაც კვეთდნენ ერაყის საზღვარს ანბარში და ხანდახან მოსულიდანაც. ბრემერი დარწმუნებული იყო, რომ ბაასური სირია იყო ამაში გარეული, რადგან სირიაში მთავრობის ჩაურევლობის გარეშე არაფერი ხდებოდა (**Blair 2010b: Chapter 15 Iraq: The Aftermath**).

§4. ცვლილებების პერიოდი

ერაყში ძირითადი ცვლილებები მოხდა მაშინ, როდესაც ძალადობამ თავის პიკს მიაღწია. აჯანყებას ყველა ის ნიშანი ჰქონდა, რაც შიიტებისა და სუნიტების დაპირისპირებას ახლავს. 2006 წლის ნოემბრის აშშ-ს კონგრესის არჩევნებმა აჩვენეს, რომ ბუშის ადმინისტრაციას სახალხო მხარდაჭერა უმცირდებოდა. დემოკრატებმა ერაყის პოლიტიკისადმი ახალი მიდგომის პირობა გამოიყენეს თავიანთი კამპანიის სლოგანად და უმრავლესობა მიიღეს კონგრესში, მაგრამ ბუშს თავად სჯეროდა, რომ პოლიტიკის ძირეული ცვლილება არ მოხდებოდა ბეიკერ-ჰამილტონის მოხსენების რეკომენდაციის შემდეგაც კი (Allawi 2007). ერაყში სიტუაციის გაუარესების შესახებ განცხადება მხოლოდ 2006 წელს გაკეთდა. გარდამტეხ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს სენატორ ჯონ უორნერის განაცხადება: *„სიტუაცია ხელიდან გვეცლება და კურსის ცვლილებაზე ფიქრია საჭირო, თუ სიტუაცია 2006 წლის ბოლომდე არ შეიცვლება“* (Lerman 2006). 2006 წელის ოქტომბერში კონდოლიზა რაისიც ეწვია ბაღდადს, რათა გამოეხატა თავისი იმედგაცრუება ერაყის ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური უმოქმედობის გამო (Ricks 2006:442). ერაყის შემსწავლელ ჯგუფს, რომელსაც ჯეიმს ბეიკერი და ლი ჰამილტონი მეთაურობდნენ, 2006 წლის 15 მარტს ებრძანათ ერაყში არსებული ვითარების შეფასება. ბეიკერ-ჰამილტონის „ერაყის შემსწავლელი ჯგუფი“ შედგებოდა მრავალი რეალისტი მოაზროვნისაგან, ვისაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მამა ბუშთან. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ეს ჯგუფი ერაყიდან ამერიკელ სამხედროთა გამოყვანას მოითხოვდა (Karl & Shipman 2006; CNN 2006). მართლაც, მათ 79 რეკომენდაცია შეიმუშავეს (Baker & Hamilton 2006), რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ აშშ-ს დაეჩქარებინა უსაფრთხოების ერაყის მთავრობისათვის გადაცემა და დაეწყო უკან გამოსვლა. ამასთან დაკავშირებით ნეოკონსერვატორი დევიდ ბრუკსი აკეთებს შემდეგ კომენტარს: *„ბეიკერ-ჰამილტონის მოსაზრებები ეფუძნებოდა იმ ექსპერტების დასკვნებს, რომლებიც მოუწოდებდნენ ერაყის სამხედროთათვის გადაეხარებინათ მეტი პრობლემები და ირანსა და სირიაზე მოეხდინათ კონცენტრირება“* (Brooks 2008). ბუში უარყოფდა ამ

იდეებს, რადგან იგი იზიარებდა American Enterprise Institute-ის მიერ შემუშავებულ გეგმას „არჩევანია გამარჯვება: ერაყში წარმატების გეგმა“, რომელიც სამხედროთა რაოდენობის მკვეთრ ზრდას ითვალისწინებდა (**Benjamin 2007**).

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: მართალია, ნეოკონსერვატორთა გეგმა ითვალისწინებდა სამხედროთა რაოდენობის ზრდას, მაგრამ ამას ერაყის შემსწავლელი ჯგუფის რეკომენდაციებიც მოითხოვდა. 39-ე რეკომენდაციაში ეწერა: *„ჩვენ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ მოკლევადიან რედისლოცირებას ან ამერიკული საბრძოლო შენაერთების რაოდენობის ზრდას ბაღდადის სტაბილიზაციისათვის, ან ტრენინგებისა და აღჭურვის მისიის დასაჩქარებლად, თუ ამერიკის მთავარსარდალი ერაყში ჩათვლის, რომ ეს ნაბიჯი ეფექტის მომტანი იქნება“* (**Baker & Hamilton 2006**). ბეიკერმა თავისი გეგმა სენატშიც კი დაიცვა, როდესაც განაცხადა: *„პრეზიდენტის გეგმას მანსი უნდა მიეცეს. უბრალოდ მიეცით მას მანსი“* (**Fox News 2007**). ბეიკერის ჯგუფში გეგმის მთავარი დამცველი იყო **რობერტ გეიტსი**, რომელიც უფროსი ბუშის დროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი იყო. შემდგომში მან დონალდ რამსფელდი ჩაანაცვლა თავდაცვის მდივნის პოსტზე (**Schier 2008:148**). ამავე დროს პრეზიდენტი მისდევდა ბეიკერის ჯგუფის რჩევებს და განაახლა დიპლომატიური ურთიერთობები სირიასთან და ირანთან. აშშ-მ დიპლომატიებიც კი მიავლინა ირანში. სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ღიად აცხადებდა, რომ ამერიკას უნდოდა ურთიერთობა დაეთხოვრა ირანთან და ამბობდა: *„ჩვენ გვინდა ბევრი ირანელის ჩამოსვლა ქვეყანაში... ჩვენ განვიზრახეთ, ხმა მივაწვდინოთ ირანელ ხალხს“* (**MacAskill 2008**). ბუშმა აშშ-სირიის ურთიერთობებშიც შეიტანა გარდატეხა და დათანხმდა 2007 წლის მაისში რაისისა და სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრას (**Cornwell 2007**). ყოველივე ამის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ერაყში არსებული პრობლემების ნიადაგზე ბუშის მეორე პრეზიდენტობისას ნეოკონსერვატორების, რეალისტებისა და პრაგმატიკოსების კავშირმა ფორმირება დაიწყო (**Kennedy-Pipe 2008:404**).

2006-2007 წლებში აშშ-ს კონგრესმა უფრო აქტიურად დაიწყო საქმიანობა ვიდრე წინა წლებში (**Ricks 2006:451**). 2006 წლის ნოემბრის შუალედური არჩევნებისა და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინით არავის არ მოსვლია აზრად სამხედ-

როთა რაოდენობის გაზრდა მოეთხოვა. რესპუბლიკელებსაც და დემოკრატებსაც მათი რაოდენობის შემცირება სურდა (**Gordon & Trainor 2007:596**). მას შემდეგ, რაც დემოკრატებმა კონგრესზე კონტროლი დაამყარეს, ისინი მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ერაყის სამხედროების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მსვლელობას. კონგრესი ადმინისტრაციას აკისრებდა პასუხისმგებლობას ერაყის მიმართ წაყენებული ბრალდების გამო, რისთვისაც უნდა გაესამართლებინათ კიდევ ერაყი. დემოკრატების მიერ კონგრესში უპირატესობის მოპოვებამ საშუალება მისცა ბუშის ადმინისტრაციას, მოეხდინა იმ ხალხის კონცენტრირება, რომლებმაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყვეს ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბებას. ომის შემდგომ კონგრესი არ ჩანს აქტიურ აქტორად და მხოლოდ 2007 წლიდან გააქტიურდა.

ერაყის მიმართ ახალ მიდგომას, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა როგორც **The Surge**,¹⁹ დიდ მხარდაჭერას უწევდა ფრედერიკ კაგანი. ახალი სტრატეგიის განხორციელებაში ერთ-ერთი მთავარი როლი დაეკისრა გენერალი დევიდ პეტრეუსს, თუმცა რეალური ცვლილება ერაყში 2006 წლის შემოდგომაზე მოხდა. გენერალმა პიტერ პეისმა შექმნა საიდუმლო ჯგუფი სტრატეგიის გადასახედად. 13 დეკემბერს ამ პანელის დასკვნები აცნობეს პრეზიდენტს. მათი აზრით, სტრატეგია უნდა შეეცვალათ – პირდაპირი ბრძოლიდან გადასულიყვნენ დამხმარის, გამწვრთნელისა და მრჩეველის როლში. ეს კი უნდა მომხდარიყო ძალების სერიოზული გაზრდით 20 000 უსაფრთხოების კონტრაქტორითა და 30 000 მოკავშირე ჯარისკაცით, რათა კონკრეტულ ძალადობას გამკლავებოდნენ და ბალდადის უსაფრთხოება გაეზარდათ (**Ricks 2006:98**). თუმცა 2007 წელს გენერალ ჯორჯ ქეისის (CASEY) „წმენდის, შენარჩუნებისა და აშენების“ სტრატეგია შეიცვალა ახალი სტრატეგიით, რომელსაც გენერალი დევიდ პეტრეუსი ადასრულებდა. ძირითადი მიზანი ერაყელი მოსახლეობის დაცვა იყო (**Lynch & Singh 2008:182**). გენერალმა პეტრეუსმა კოალიციური ძალების მეთაურობა 2007 წლის 10 თებერვალს ჩაიბარა, მანამდე კი მან წარმატებით გამოიჩინა თავი 2003 წელს ჯერ როგორც 101-ე სამხედრო-საჰაერო დივიზიის მეთაურმა.

¹⁹ აღნიშნული სტრატეგიის სახელწოდების ქართულ ენაზე თარგმნა გარკვეულ სიძნელეებს იწვევს. სიტყვასიტყვით თარგმანი, რომელიც „აღმასვლას“ ან „ზრდას“ ნიშნავს, ამ შემთხვევაში უაზროა. შესაბამისად, ჩვენ გადავწყვიტეთ, გამოგვეყენებინა ინგლისური სახელწოდება – შ.კ.

ამ შემთხვევაში იდეა იყო, გაეზარდათ აშშ-ს სამხედროთა რაოდენობა ბალდადში და ანბარში 17000 და 4000 ჯარისკაცით შესაბამისად. პეტრეუსი ჩამოაყალიბებდა 36 სადარაჯოს ბალდადში, სადაც აშშ-სა და ერაყის სამხედროები ერთობლივად იცხოვრებდნენ და იმუშავებდნენ. ერაყელი სამხედროები აშშ-ს ჯარებთან ერთად იმორიგეებდნენ, დაეხმარებოდნენ მათ და ძალადობის აღმოფხვრაშიც მიიღებდნენ მონაწილეობას. ეს ახალი მიდგომა ცნობილი გახდა, როგორც **“The Surge”**. იდეა „გაწმენდა, შენარჩუნება და აშენება“ იყო და არა ქალაქებისა და ტერიტორიების დაკავება და შემდეგ კვლავ მიბრუნება და თავიდან დაკავება, როგორც ადრე ხდებოდა. ფოკუსირება ხდებოდა მოსახლეობის დაცვაზე, რაც წინა წლებში მინიმუმამდე იყო დაყვანილი (Ricks 2006:444-445).

The Surge-ის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა გენერალმა რეიმონდ ოდიერნომ. მან და მისმა თანამშრომლებმა გეგმის ძირითადი ნაწილი მანამ შეიმუშავეს, სანამ 2007 წლის თებერვალში პეტრეუსი ჩავიდოდა ერაყში (Tran 2008).

აჯანყების საწინააღმდეგო მოქმედებები ერთი დიდი ნაკლით გამოირჩეოდა, რაც აშშ-ს სამხედროებს გამორჩათ. თუ მოსახლეობას არ უზრუნველყოფ მშვიდობით და უსაფრთხოებით, არ აქვს მნიშვნელობა გარეშე სამხედროთა რიცხვის შემცირებას. თუ სადავეები ადგილობრივ მთავრობას აქვს, რომელსაც არ შესწევს ძალა ადეკვატური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დიდია შანსი სიტუაცია კოლაფსის დონემდე გაუარესდეს. ის სიტუაცია კი, რაც 2006 წლისათვის ერაყში ვითარდებოდა, ერაყის მთავრობის უსაფრთხოების ძალების ზრდასთან ერთად, იყო სწრაფად მზარდი ძალადობის შედეგი.

ბუში დარწმუნებული იყო **The Surge-ის** წარმატებაში. იგი იმედოვნებდა ამერიკელების სამხედრო ძალების გრძელვადიან დარჩენას ერაყის მთავრობის მოთხოვნისამებრ. მისი თქმით, *„საფრთხე ისაა, რომ ხალხი მოდის ოფისში და ამბობს: „მოდით, პოპულარიზაცია გავუწიოთ სტაბილურობას. ეს უფრო მნიშვნელოვანია“.* პრობლემა ისაა, რომ იდეოლოგიურ ომში სტაბილურობა არ არის პასუხი ხალხის დახოცვისა და ტერორიზმის ძირეულ პრობლემაზე“ (Draper 2008:418). ბუშმა თავისი აზრები ერაყში ვითარების გაუარესებაზე გამოხატა 2008 წლის 1 დეკემბერს. მან თავისი გადაწყვეტილებას „ძნელი“ უწოდა, რადგან მრავალი ხალხი ურჩევდა მას ერაყი-

დან გამოსვლას ან დარჩენას. თუმცა, მოუსმინა რა მრავალს, მან დაასკვნა: „*მე არ დავუშვებ, რომ თქვენი შვილების სიცოცხლე ფუჭად დაიკარგოს, მე მჯერა რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, მე ყველაფერს ვიზამ, რომ ერაყში გამარჯვებას მივალწიოთ*“ (Phillips 2008).

2008 წლის 27 ნოემბერს ერაყის პარლამენტმა დაამტკიცა უსაფრთხოების პაკტი, რომელიც მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების გასვლას ერაყიდან 2011 წლის ბოლოსათვის (Rubin, Robertson, Farrell 2008). პაკტმა ერაყის მთავრობას საშუალება მისცა, მოლაპარაკება ეწარმოებინა აშშ-თან, რათა მათი ერაყში ყოფნა გაგრძელებულიყო თუ მდგომარეობა არასტაბილური იქნებოდა. ბუშის ადმინისტრაცია აღშფოთებული იყო, რადგან შეთანხმება ახლად არჩეული პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადმინისტრაციისთვის უნდა გადაეცათ. ბუშმა განაცხადა: „*ორი წლის წინ ეს დღე წარმოუდგენელი იყო, მაგრამ The Surge-ის წარმატება და ერაყელი ხალხის სიმამაცემ ამ ორ შეთანხმებას დაუდო საფუძველი, რაც ერაყის პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა*“. უსაფრთხოების პაკტი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: აშშ-ერაყის სამხედრო ძალების შეთანხმება და სტრატეგიული ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც სამხედრო და სხვა დონეებზე თანამშრომლობას მოითხოვდა (Raghavan 2008). ეს შეთანხმება ფაქტობრივად ნიშნავდა, რომ ძალაუფლება ერაყელებს სრულად დაუბრუნდათ (Fenning 2009).

შეჭრის შემდგომი მოვლენები ერაყში რამდენიმე საფეხურით შეიძლება დახასიათდეს. თავიდან აშშ ოკუპანტი ძალა იყო, და შესაბამისად დომინანტი სამხედრო ძალა ქვეყანაში. ხელისუფლების გადაცემის პროცესი თანდათან განხორციელდა. ახალმა სამთავრობო ინსტიტუტებმა, რომლებიც უფრო ქმედითები იყვნენ, ნელ-ნელა მოიპოვეს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი. ალავის მთავრობიდან მალიკის მთავრობამდე, რომელიც 2005 წლის დეკემბრის ეროვნული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა, ძალაუფლების გადაცემა თანდათანობითი იყო. ერაყს არჩეული მთავრობა და კონსტიტუცია ჰქონდა. მან უფრო მეტი ლეგიტიმურობა მოიპოვა დამოუკიდებლად მოქმედებისათვის.

მართალია, ერაყთან ომის გაჩაღების გადაწყვეტილება არ იყო ადვილი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეთრ სახლში ამ პერიოდში არსებობდა ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა ომის სხვა ქვეყნებში გადატანასაც. შესაძლო სამიზნედ ირანი

და სირია მოისაზრებოდა. ამ შემთხვევაში კი ჯორჯ ბუში მყარად დადგა თავის პოზიციაზე და უარყო კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია. ტონი ბლერის მტკიცებით, ჩეინი მუშაობდა ერაყის, სირიის, ირანის საკითხებზე და, რა თქმა უნდა, ჰეს-ბოლასა და ჰამასის ირგვლივაც (**Blair 2010: Chapter 13**).

2007 წელს სწორედ ჩეინიმ და ადმინისტრაციამ მოახდინეს დიდი გავლენა ჯორჯ ბუშზე, რომ აშშ დაპირისპირებოდა ირანს ბირთვული იარაღის პროგრამისა და ერაყის აჯანყების თანადგომისათვის. 2007 წლის ივლისში თეთრი სახლის დახურულ სხდომაზე ჩეინიმ მოითხოვა ამერიკის ძალის დემონსტრირება და ირანის დაბომბვა ერაყის საზღვართან ახლოს (**Strobel, Walcott, Youssef 2007**). ჩეინი უფრო მეტად უწევდა რეკომენდაციას ირანის დამბომბვას, როდესაც ბუშის პრეზიდენტობის მეორე ვადა დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ ბუშმა არ მოისურვა მისი რეკომენდაციის გათვალისწინება. 2009 წლის აგვისტოში კი ჩეინიმ განაცხადა: „*ალბათ მე ყველა სხვა ჩემ კოლეგაზე უფრო დიდი გულშემატკივარი ვიყავი სამხედრო მოქმედებებისა*“ (**Phillips 2009**).

ჩეინი მარტო არ იყო ამ საკითხში. ნეოკონსერვატორი ნორმან პოდჰორეციც ცდილობდა გავლენის მოხდენას. 2007 წელს იგი შეხვდა პრეზიდენტს და უთხრა მას, რომ ირანი დაებომბა და აერიდებინა თავიდან ჰოლოკოსტი. შეხვედრის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ „*ჯორჯ უოკერ ბუში არ დატოვებდა ოფისს ისე, რომ ირანს ჰქონოდა ბირთვული იარაღი ან ისეთ ზღვარზე მისულიყო რომ უკან მობრუნება შესაძლებელი აღარ იქნებოდა*“ (**Global Research 2007**). რა თქმა უნდა, ბუშს შეეძლო ნებისმიერ მომენტში ებრძანებინა ირანის დაბომბვა, მაგრამ ჩეინისა და ნეოკონსერვატორების წნეხის მიუხედავად, მაინც არ მოიქცა ასე. ეს შეიძლება ჩაითვალოს იმის მაგალითად, რომ ბუში არ იყო მარიონეტი არავის ხელში, თუმცა, როგორც წესი, ხშირად ექცეოდა ამა თუ იმ პოლიტიკოსის ან მრჩეველის გავლენის ქვეშ.

ფაქტი, რომ აშშ-მ დამოუკიდებლად წამოიწყო ომი ერაყთან, ნიშნავდა იმას, რომ იგი მზად იყო საჭიროებისამებრ ემოქმედა საერთაშორისო საზოგადოების გარეშე. საწყის ეტაპზე შოკისა და სისწრაფის გეგმა წარმატებული გამოდგა და სადამის რეჟიმი დაემხო. თუმცა დროთა განმავლობაში ეს ეფექტი დაიკარგა და აშშ-ს ტექნოლოგიურად წინ მდგარ ჯარს მოუწია გამკლავება ცუდად და ხშირ შემთხვევაში კუსტარუ-

ლი ასაფეთქებელი საშუალებებით შეიარაღებულ აჯანყებასთან. რამსფელდის სწამდა, რომ რევოლუცია სამხედრო საქმეში გამოდგებოდა იმის სადემონსტრაციოდ, მცირე ცოცხალი ძალით შესაძლებელია ომის წარმართვა და გამარჯვება. თუმცა ერაყში დაწყებულმა სიტუაციამ რეალურად ცხადყო, რომ ეს არ იყო მთლად მართებული მიდგომა. ომში გამარჯვებასთან ერთად მნიშვნელოვანია დაკავებული ტერიტორიის შენარჩუნება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა ქვეყანა არ გაეხვეს ქაოსში. ამერიკელებმა კი ვერ აღადგინეს წესრიგი ერაყში. აქედან გამომდინარე, მათ მიიღეს ის არეულობა და თავს დატეხილი ტერორი, რის შედეგს დღემდე იმკის მსოფლიო.

როდესაც ბარაკ ობამამ დაიკავა თეთრი სახლი, საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ მთავრობა მეტ-ნაკლებად გამჭვირვალედ მიიღებდა გადაწყვეტილებებს. მოსაზრება კიდევ უფრო გამყარდა, როდესაც პრეზიდენტმა ობამამ გუანტანამოს ციხის დახურვის შესახებ გააკეთა განცხადება. ამერიკული საზოგადოება დარწმუნდა, რომ საგარეო პოლიტიკა კულუარებში აღარ გადაწყდებოდა. მიუხედავად ამისა, გუანტანამოს ციხე მხოლოდ 2011 წელს დაიხურა (**Elliot 2011**). ობამას ერთპიროვნული პრეზიდენტობის გამოხატულების ყველაზე კარგი მაგალითია ლიბიასთან ომის წამოწყება კონგრესისაგან ნებართვის თხოვნის გარეშე (**Felzenburg 2011**). ობამამ სამხედრო ბიუჯეტი დაახლოებით იმავე დონეზე დატოვა, რაც 2009 წელს იყო (**Kaplan 2009**).

თავისი საპრეზიდენტო კამპანიისას ობამა აცხადებდა, რომ ჯარებს გამოიყვანდა ერაყიდან, მაგრამ ოფისის დაკავებიდან რამდენიმე თვეში ნათელი გახდა, რომ გეგმა იყო სამხედროების საომარი ვითარებიდან გამოყვანა. აშშ-ს კვლავ ათასობით სამხედრო ჰყავდა რეგიონში. ერაყში სამხედროების არსებობა და ზოგადად ახლო აღმოსავლეთში ბაზების შენარჩუნება სწორედ რომ აშშ-ს პირველობის გეგმის ერთ-ერთი პუნქტი იყო.

ობამას საპრეზიდენტო რეიტინგი განსაკუთრებით გაიზარდა ბინ ლადენის მკვლელობის შემდეგ. ლიბიის დაბომბვამაც გაამყარა მისი, როგორც მთავარსარდლის პოზიცია. გამოდის ისე, რომ ობამამ აშშ-ს პირველობის გეგმის უფრო მეტი დეტალი შეასრულა, ვიდრე ბუშმა. გარკვეულწილად ეს ჩეინის პოლიტიკის გავლენის შედეგაც არის. მართალია, ამერიკელ ხალხზე ვინმეს მტრად წარმოჩენას აღარ აქვს იმდენი

გავლენა, მაგრამ სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებისათვის ბიუჯეტიდან დიდი თანხა გამოიყო.

ბუშის ადმინისტრაციისაგან განსხვავებით, ობამა არ იყენებდა ამერიკელი საზოგადოებისათვის ტერორის საფრთხის მიყიდვის სტრატეგიას. ეს მისთვის გაცილებით რთული გახლდათ, რადგან 9/11-ის შემდეგ არ მომხდარა რაიმე ტერაქტი, რისი გამოყენებაც მას ამისათვის შეეძლებოდა. თუმცა კი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. დღესდღეობით მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, პრეზიდენტი ობამა კვლავ მოითხოვს სენატისაგან ახლო აღმოსავლეთში ჯარების შეყვანის ნებართვას. ამ ეტაპზე რეგიონის დესტაბილიზაციის საფრთხე აშკარად მაღალია. შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობისა და დანარჩენი სამყაროს ნაწილიც ერთგვარი სიმპათიით უყურებს ობამას მომდევნო ნაბიჯებს. არსებობს ვარაუდი, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევით მოხდება ისლამური სახელმწიფოს განადგურება და რეგიონში არსებული სტაბილურობის აღდგენა. რამდენად ხელოვნურია შექმნილი დამაბულობა, ეს მეორე საკითხია და მისი განხილვა სცდება ჩვენი საკვლევი თემის ჩარჩოებს.

ოკუპაცია სრულდება, როდესაც უცხო მხარეს გაჰყავს თავისი სამხედროები, თუმცა ხშირად მხოლოდ ეს არ არის მისი განმსაზღვრელი. თვითგამორკვევის პროცესის გაძლიერებაც ასევე აუცილებელია. არ არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ 2003 წლის აპრილიდან 2004 წლის ივნისამდე ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ოკუპანტი ძალა ისე მოქმედებდა და ქვეყნის მეთაური იყო კოალიციური დროებითი მთავრობის ადმინისტრატორი პოლ ბრემერი. ამავე დროს საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2003 წლის 8 მაისით დათარიღებულ წერილში, რომელიც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს პრეზიდენტს მისწერეს გაეროში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მუდმივმა წარმომადგენლებმა – ჯერემი გრინსტოკმა და ჯონ ნეგროპონტემ, სიტყვა ოკუპაცია საერთოდ არ არის ნახსენები. სადემონსტრაციოდ მოგვყავს ფრაგმენტი: *„ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო და კოალიციის პარტნიორები აგრძელებენ ერთობლივ მუშაობას, რათა უზრუნველყონ ერყის სრული განიარაღება მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გამოყენების საშუალებებისაგან გაერთიანე-*

ბული ერების უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად. კოალიციაში ჩართული ქვეყნები იმოქმედებენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მათ შორის ერაყელი ხალხისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევასთან დაკავშირებულ ასპექტშიც. ჩვენ ვიმოქმედებთ, რათა უზრუნველვყოთ ერაყის ნავთობის დაცვა და მისი გამოყენება ერაყელი ხალხის სასარგებლოდ“. წერილში ასევე საუბარია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო და კოალიციის წევრები აღიარებენ ერაყელი ხალხისათვის ისეთი გარემოს შექმნის სასწრაფო საჭიროებას, რომელშიც ისინი თავისუფლად აირჩევენ საკუთარ პოლიტიკურ მომავალს. ამისათვის ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო და კოალიციის წევრები დაეხმარებიან ერაყლებს პირველი ნაბიჯების გადადგმაში რათა აირჩიონ წარმომადგენლობითი მთავრობა დაფუძნებული კანონის უზენაესობაზე, ფუნდამენტურ თავისუფლებსა და ერაყელი ხალხისათვის კანონის თანაბარ მნიშვნელობაზე მათი რელიგიის, სქესის თუ ეთნიკურობის მიუხედავად“ (**Letter to UN 2003**). წერილში არსად არ არის ნახსენები სიტყვა ოკუპაცია. მინიშნებაც კი არ კეთდება ამის შესახებ, თუმცა ასევე ცნობილი ფაქტია, რომ 2003 წლის 22 მაისის გაეროს 1483-ე რეზოლუციით ამერიკის შეერთებულ შტატებს და კოალიციის სხვა წევრებს საოკუპაციო ძალის სტატუსი მიენიჭათ (**Resolution 1483 2003**).

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ. ბუნებრივია, ამ საკითხზე მსჯელობა შეუძლებელი იყო საკუთრივ ერაყში შეჭრის მიზეზების დადგენის გარეშე. დღემდე გაურკვეველია, თუ რატომ შეიჭრა ამერიკის შეერთებული შტატები ერაყში; ვინ იყვნენ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშეები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ერაყში შეჭრის გადაწყვეტილების მიღებაზე; რა იყო მათი მთავარი მოტივი; რის მიღწევას ცდილობდნენ ამერიკელები ერაყში და, საბოლოო ჯამში, რამდენად წარმატებული გამოდგა მათი წამოწყება; რამდენად ეფექტური იყო აშშ-ს მმართველობა ერაყში და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს არასრული სიაა იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვებისა, რომლებზეც პასუხს მივყავართა სპარსეთის ყურის მეორე ომის ირგვლივ არსებული ბუნდოვანების გაფანტვისკენ.

აქვე დავძენთ, რომ ერთი დამაკმაყოფილებელი პასუხის მოძიება ფაქტობრივად შეუძლებელია. ჯერ კიდევ მრავალი ინფორმაცია დაფარულია და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. თუმცა კი არსებული მასალებისა თუ დოკუმენტების კვლევის შედეგად დგინდება, რომ ერაყის მიმართ ყურადღება ჯორჯ უოკერ ბუშს პრეზიდენტობამდე კარგა ხნით ადრე ჰქონდა. ეს არცაა გასაკვირი. ბუშების მთელი ოჯახისათვის ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი ერთგვარ პირად საქმედ იქცა. გასათვალისწინებელი ფაქტორია ისიც, რომ უმცროსი ბუში ცდილობდა მამის თვალში ავტორიტეტის ამაღლებას და მის მიერ „ბოლომდე არმიყვანილი საქმის“ დასრულებას.

ლოგიკურია პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის საგარეო პოლიტიკა და ზოგადად მისი პრეზიდენტობა ორ ნაწილად გავყოთ: 2001 წლის 9/11-ის ტერაქტამდე და ტერაქტის შემდეგ. ამერიკელი ერისათვის საკუთარ ტერიტორიაზე მოწყობილი თავდასხმა ცვლილებების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ეს ტერაქტია იმ გარდაქმნების ინდიკატორი რაც დაიწყო სავაჭრო ცენტრის მიწასთან გასწორების შემდეგ. ყველაზე ხშირად ომის წამოწყების მიზეზად სწორედ 11 სექტემბერის მოვლენებს ასახელებენ. ჩვენის მხრივ კი თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: ტერაქტი გახლდათ ერთ-ერთი საბაზი, და არა მიზეზი, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომის წამოსაწყე-

ბად. ჩვენი აზრით, ერაყში შეჭრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პრეზიდენტი ბუში ძირითადად სწორედ შემდეგი სამი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: 1. პირადი მტრის მოსპობა; 2. ნავთობის ახალ წყაროზე კონტროლის დამყარება; 3. ერაყის ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცევისთვის ხელის შეშლა. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის დამყარებას, ბუშისთვის ეს ასევე სასურველი იყო, მაგრამ არა გვგონია, რომ გადაწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღებისას. ჩვენი აზრით, ერაყის დემოკრატიზაციას უფრო პროპაგანდისტული დანიშნულება ჰქონდა.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საპირწონე ოპონენტის არარსებობის პირობებში იქცევა ერთპიროვნულად. აშშ-ს ხელისუფლება უსაფრთხოების დაცვის საბაზითა და საშიშროების სპეკულირებით ინტერესთა სფეროში აქცევს ისეთ ტერიტორიებს, რომლებიც ადრე პერიფერიულებად ითვლებოდა. საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ აშშ-ს მიერ გატარებული პოლიტიკა სწორედ ამაზე მიუთითებს. პერიფერიულ ქვეყნებში ჰეგემონობის მოპოვება კი უმთავრესი ბერკეტია და განიხილება უალტერნატიო საშუალებად პირველობის სტატუს კვოს შესანარჩუნებლად.

ამერიკელები ლიბერალურ დემოკრატიულ ფასეულობებს განიხილავენ, როგორც მორალურად უპირატეს შეხედულებებს და ცდილობენ მათ გავრცელებას სხვა ქვეყნებში ე.წ. „დემოკრატიის ექსპორტის“ გზით. ამ მოტივით წამოწყებული ჯვაროსნული ლაშქრობები აშშ-ს პირადი დამოკიდებულებითაც შეიძლება ავხსნათ. ერაყთან მიმართებაში ეს ერთ-ერთი მოტივატორი და მამოძრავებელი ძალა იყო. რეგიონში სამხედრო ბაზების განთავსებით აშშ-ს ხელისუფლება (განურჩევლად დემოკრატიებისა თუ რესპუბლიკელებისა, რადგან საკითხი აუცილებლად გრძელვადიან ჭრილში უნდა განვიხილოთ) საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცევს ეკონომიკურად მნიშვნელოვან რეგიონს. მას ძირითად ნავთობმომწოდებელზე კონტროლის დამყარებით შეეძლება გავლენა მოახდინოს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე. მეორე მხრივ კი ნავთობით მდიდარ ქვეყანაში პოლიტიკური თუ სამხედრო ჰეგემონის სტატუსს ამოფარებული მეგობრობა ეროვნული ინტერესებისათვისაც სასარგებლოა.

ნავთობი არის ის ქვაკუთხედი, რაც მუდმივ პოლემიკას იწვევს მკვლევარებში.

თუკი თეორიის ამ ნაწილს გავითვალისწინებთ ეროვნულ ინტერესებს უნდა დავუმატოთ იმ კონკრეტული პირების ინტერესი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნავთობთან. გამომდინარე აქედან, ომი ერაცთან სწორედ ამ ელიტის მისწრაფებებს ემსახურებოდა. დიკ ჩეინი არის ის მთავარი პოლიტიკოსი, რომელიც ერაცის წინააღმდეგ ომს ამ თვალსაზრისით განიხილავდა. ომი ჩეინისათვის იყო საშუალება, რათა უფრო ნაყოფიერად ჩაბმულიყო ნავთობინტერესებში.

რიჩარდ ჩეინისთან ერთად დონალდ რამსფელდიც აქტიურად მუშაობს ერაცში შეჭრის გამართლება-აღსრულებისათვის. ამ ორი პოლიტიკოსის დუეტი და ნეოკონსერვატორების დაუღალავი შრომა ხელისშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა კონფლიქტის გასაჩაღებლად. მათ გამოიყენეს ერაცში კონფლიქტი რათა შეენარჩუნებინათ და გაეხანგრძლივებინათ ამერიკის შეერთებული შტატების პირველობა საერთაშორისო სისტემაში. აშშ-ს სახმედრო ძალის დემონსტრირებით სცადეს საშინაო და საგარეო დონეზე შებოჭილობის დაძლევა. ჩეინი და რამსფელდი ათწლეულების მანძილზე მუშაობდნენ ქვეყნის პირველობის გასამყარებლად. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი სწორ შესაძლებლობად ჩათვალეს და ერაცი სამიზნედ ამოიღეს საკუთარი იდეოლოგიის განსახორციელებლად.

იყო თუ არა ჯორჯ უოკერ ბუში მარიონეტი მათ ხელში? ჩემი აზრით, პასუხი ცალსახაა. მართალია, აშკარად ჩანს ჩეინის, რამსფელდისა და ნეოკონსერვატორების უდიდესი გავლენა ჯორჯ ბუშ-უმცროსზე, მაგრამ ერაცის საკითხში, ჩვენი აზრით, პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. პირველ რიგში, ერაცთან კონფლიქტის წარმატებით დასრულება საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს მამამისის მიერ წამოწყებულ საქმეს, შექმნიდა ძლიერი პრეზიდენტის იმიჯს და აამაღლებდა მის რეიტინგს მომდევნო არჩევნებისათვის. ბუშების ოჯახისათვის სადამ ჰუსეინი და ერაცი პირად საქმედ იქცა. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული შეჯიბრი მიმდინარეობდა უფროს და უმცროს ბუშს შორის. ჩვენი აზრით, რასაც ბუში ცდილობდა, იყო ის, რომ აერიდებინა მამამისის პრეზიდენტობის ჩრდილი და დაეტოვებინა საკუთარი კვალი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. მის ქმედებაში გარკვეულწილად შურისძიების ელემენტებიც შეინიშნება. სადამ ჰუსეინი ხომ ის კაცია, ვინც პრეზიდენტის მამის მოკვლა სცადა.

ჰუსეინი ბუშების ოჯახის პირადი მტრის ამპლუაშია და უმცროსი ბუში მთელი ოჯახის სახელით ცდილობს პასუხი აგებინოს მას. შესაბამისად, ხდება ინტერესთა თანხვედრა. იკვრება გუნდი, რომელშიც ერთიანდებიან ისეთი ნეოკონსერვატორები, როგორებიც არიან პოლ ვულფოვიცი, რიჩარდ პერლი, დონალდ რამსფელდი, დიკ ჩეინი, კონდოლიზა რაისი, რიჩარდ არმიტეჯი და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ჯორჯ უოლკერ ბუში. ამ ჯგუფმა ყოველგვარი საქმიანობა გასწია, რათა არსებული სტრატეგია რეალობად ექციათ. ნეოკონსერვატორებს ზოგადად ახასიათებთ გრძელვადიანი ინტერესებისათვის ბრძოლა და ამისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ძალაუფლების გამოყენებასაც არ ერიდებიან. მათი ძირითადი პრინციპი დემოკრატიის ექსპორტია. ფაქტია, რომ ერაყის საკითხი მუდამ განიხილებოდა თეთრი სახლის ადმინისტრაციაში, მაგრამ არსებულმა მოსაზრებებმა და თეორიებმა სამოქმედო გეგმის სახე ტერაქტის შემდეგ მიიღო. ნეოკონსერვატორთა იდეებისათვის ფრთების შესხმაც სწორედ ამ პერიოდიდან იწყება.

რამსფელდი პენტაგონს უტევდა საკუთარი სამხედრო მოსაზრების გასატარებლად და მოიპოვა კიდევ გამარჯვება. ომი სწორედ მისი გეგმის მიხედვით წარიმართა და სამყარომ იხილა ახალი ტაქტიკა. სამხედრო თვალსაზრისით სპარსეთის ყურის მეორე ომი დიდი გამარჯვება იყო აშშ-ს ხელისუფლებისათვის. რამსფელდს ერაყის გამოყენება სურდა მაგალითისთვის. მთელს მსოფლიოს უნდა ენახა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სიძლიერე.

რიჩარდ ჩეინი თანამშრომლობს კონგრესთან და ილწვის ნავთობინტერესების დასაკმაყოფილებლად. კვლევამ ცხადყო, რომ მისი ერთ-ერთი მიზანი პრეზიდენტის ძალაუფლებისა და ერთპიროვნულობის ზრდაც იყო. ეს, რა თქმა უნდა, თავად უმცროს ბუშსაც აძლევდა ხელს. ერაყში ომის წარმატებით დასრულების გზით მას სურდა პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება მომდევნო არჩევნებისათვის. შეიქმნებოდა პრეცედენტი ერთპიროვნული ლიდერისა, რომელიც მტკიცედ იღებს გადაწყვეტილებებს. ეს კი გულისხმობდა იმას, რომ პრეზიდენტს წინასწარ ჰქონოდა განზრახული სამხედრო ძალის გამოყენება საგარეო პოლიტიკაში არა როგორც უკანასკნელი ზომა, არამედ როგორც შესაძლებლობა თავისი მტკიცე ხასიათის დასამტკიცებლად. ბუშის მთავარი მიზანი გახდა იმ პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება, რაც მას საშუალებას

მისცემდა თავისუფლად ემოქმედა საერთაშორისო დონეზე და ამით არ გამოეწვია ამერიკელი ხალხის წყრომა. მან ისიც იცოდა, რომ წარმატებული პირველი პრეზიდენტობა აუცილებლად იქნებოდა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების საწინდარი.

როგორც აღვნიშნეთ, ერაყში შეჭრის ერთ-ერთი საბაზი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტია. ამასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს ერაყის დადანაშაულება ტერორიზმთან კავშირში და მასობრივი განადგურების იარაღის აქტიური პროგრამების ფლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თავგამოდებით ცდილობდა რაიმე სახის დამადასტურებელი სამხილი მოეპოვებინა ამის თაობაზე, რეალური საბუთები უბრალოდ არ აღმოჩნდა. ეს ცხადყო ომის შემდგომმა მოვლენებმაც. 2004 წლის 8 თებერვლის ინტერვიუზე პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ იარაღი ვერ აღმოაჩინეს: „*მე ველოდი, რომ იქ იქნებოდა იარაღის რეზერვები... ჩვენ ვფიქრობდით, რომ მას იარაღი ჰქონდა*“ (Woodward 2004a: Epilogue). ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება, რასაც უყენებდნენ ერაყს, მცდარი გამოდგა.

ომის წამოწყების ძირითადი საბაზი უსაფუძვლო ბრალდებებს უფრო ჰგავს, ვიდრე სამხილებით გამყარებულ განცხადებებს. სამწუხაროდ, იმ პერიოდში ამერიკული საზოგადოება და მისი მიმდევარი ევრობელებიც იჯერებდნენ ოფიციალური პირების განცხადებებს და მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ ერაყის წინააღმდეგ ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას. დღეისათვის გამოაშკარავებული დოკუმენტებიდან და მასალებიდან, სხვადასხვა მონოგრაფიული წყაროებიდან თუ საკითხით დაინტერესებული მკვლევარების პუბლიკაციების განხილვიდან გამომდინარე ერთადერთი დასკვნა, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ სადამ ჰუსეინს არ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი და არც ალ-კაიდასთან აქტიურ კავშირში იმყოფებოდა. როგორც აღვნიშნეთ ამის შესახებ ინფორმაცია პერიოდულად მიეწოდებოდა კიდევ პრეზიდენტსა და ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებს, თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი მათთვის, რათა მიეღოთ ომის წამოწყების გადაწყვეტილება. შესაძლოა, აქ გარკვეული გავლენა იქონია თავად სადამ ჰუსეინის შეცდომამაც, როდესაც გაეროს ინსპექტორების ერაყში შემვებაზე უარი განაცხადა. ბუნებრივია, დღეს მსოფლიო საზოგადოება უკეთესად არის ინფორმირებული, ვიდრე აშშ-ს ხელისუფლება 2001-

2003 წლებში, თუმცა აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: აშშ-ს ხელისუფლებამ პრაქტიკულად წინასწარ სცნო დამნაშავედ ერაყი ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში, შეჭრის შემდგომ ჩატარებულმა გამოძიებებმა კი ცხადყო, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

გარდა ზემოხსენებულისა, ერაყი მიმზიდველი იყო შტატებისთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ჩვენი კვლევის ერთ ერთი ასპექტი ამერიკის კერძო კორპორაციებს, ნავთობკომპანიებსა და კერძო ბიზნესს ეხება. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ორი მიმართულება გამოვყოთ. 1. ის კერძო კონტრაქტორები არიან, რომლებიც დაქირავებული იყვნენ სამხედრო ოპერაციებში და ერაყის ომისშემდგომ რეკონსტრუქციაში მონაწილეობის მისაღებად; და 2. ის ნავთობკომპანიები თუ კორპორაციები, რომლებიც ერაყის ბანკებისაგან და ნავთობისაგან ნახულობდნენ სარგებელს. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ ომი მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების ნიადაგზე წარმოიშვა, თუმცა ინდუსტრიულმა ფაქტორმა აშკარად დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მოგვიანებით კი გაჩნდა ერაყში თავისუფალი ბაზრის შექმნის იდეა და ერაყში ჩამოყალიბებული კოალიციური დროებითი მთავრობის მეთაურმა პოლ ბრემერმა მიიღო კანონების ისეთი კრებული, რაც უცხოელ ინვესტორებს და კომპანიებს ხელს უწყობდა ერაყში ფეხის მოკიდებაში.

ამისათვის ამერიკას, პირველ რიგში, ერაყის სტაბილიზირება უნდა მოეხდინა. რამსფელდის გეგმის მიხედვით კი არ იყო გათვალისწინებული საკმარისი რაოდენობის სამხედროები არსებული ნავთობის ველებისა და ნავთობსადენების დასაცავად. არც ახალი მასობრივი მშენებლობების დაწყებისათვის საჭირო დაცვის უზრუნველყოფა შეეძლოთ. მიღწეული სამხედრო წარმატება მალევე შეიცვალა კრახით. ოკუპაციის შემდგომ გამოვლენილ ხარვეზებს მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. ოკუპაციის საწყის პერიოდში ძირითადი ხარვეზები მოდის პოლ ბრემერისა და კოალიციური დროებითი მთავრობის შეცდომებზე. მნიშვნელოვანი ფაქტორია პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ერთგვარი შუღლი. ამის გამო ვერ ხერხდებოდა კოორდინირებული მუშაობა და გეგმების შეთანხმება. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ იყო დაპირისპირება პენტაგონსა და სახელმწიფო დეპარტამენტს შორის. წესით ორივე უწყებას ერთი მიზანი ჰქონდა, მაგრამ პირველობისათვის ბრძოლამ გამოიწვია

მსგავსი შეუთანხმებლობა. არ ხდებოდა ინფორმაციის სათანადოდ გაცვლა. ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფდნენ მნიშვნელოვან დოკუმენტაციებს. დაპირისპირებას დონალდ რამსფელდმაც შეუწყო ხელი, რადგან მის სამხედრო სტრატეგიას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა პენტაგონში. შესაბამისად, იგი ცდილობდა დამოუკიდლებად ემოქმედა და არ ჩაერია პენტაგონის მაღალჩინოსნები საქმეში.

ომის შემდგომ ერაყში ვერ მოხერხდა სათანადო წესრიგის დამყარება და ამას თავისი მიზეზები გააჩნია. პირველ რიგში, რამსფელდის პოლიტიკის გათვალისწინებით არ იყო მობილიზებული სათანადო რაოდენობის ცოცხალი ძალა. ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა საკმარისი იყო ქვეყნის ოკუპაციისათვის, ხოლო შემდგომი სტაბილიზაციის, წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო გახლდათ ბევრად მეტი ჯარისკაცი. დამატებით, ომის შემდგომ ამერიკამ ვერ შეძლო ერთიანობის შენარჩუნება. კოალიციის დროებითი ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნა ერაყში. სინამდვილეში კი ასე არ მომხდარა – ცენტრალურმა სარდლობამ და კოალიციის დროებითმა ხელისუფლებამ სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს მოქმედება. მცირე ცოცხალი ძალა ასევე გულისხმობდა, რომ იქნებოდა კერძო კონტრაქტორების დაქირავების საჭიროება. ეს მომგებიანიც კი იყო აშშ-ს ხელისუფლებისათვის, ვინაიდან, ჯერ ერთი, არ იქნებოდა საჭირო სენატისაგან დამატებითი ნებართვისა და მხარდაჭერის მოთხოვნა და საქმესაც ჩუმად გააკეთებდნენ; მეორე, დაქირავებული მუშებისა თუ სამხედროების დაღუპვის შემთხვევაში მონაცემები არ აისახებოდა როგორც ამერიკელთა დანაკარგი. ამით კი ვიეტნამისეულ საფრთხეს აირიდებდნენ თავიდან და ბუმის პრეზიდენტობას ლაქა არ დააჩნდებოდა მრავალი ამერიკელი ახალგაზრდის დაკარგული სიცოცხლის გამო.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ერაყში ომის შემდეგ არეულობა დაიწყო, იყო დროებითი კოალიციური ხელისუფლების მეთაურის, პოლ ბრემერის პერსონა. ოფიციალურად პოლ ბრემერის უპირველესი მიზანი იყო ნიადაგის მომზადება რათა ერაყელებს აერჩიათ დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული მთავრობა. ესეც ნეოკონსერვატორების ძირეული იდეოლოგიის – „დემოკრატიის ექსპორტის“ გაგრძელება გახლდათ. მისი პირდაპირი მოვალეობა გახლდათ ხელი შეეწყო სამოქალაქო წესრიგისათვის და მთავრობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. თუმცა ამას გამო-

რიცხავდა მის მიერ გადადგმული ნაბიჯების ლოგიკა. ერაყს ბრემერის სახით ახალი ტიპის დიქტატორი მოევლინა. მისი დროინდელი მოვლენების კვლევისას ნათელი ხდება, რომ, დემოკრატიული მთავრობის შექმნის პარალელურად, ბრემერი იბრძვის ერაყში კერძო ბიზნესკომპანიებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. 14 თვის მანძილზე მან 100 ბრძანება მიიღო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი ორი ბრძანება გახლდათ.

პირველი ბრძანებით მან წამოიწყო დებაასიფიკაციის პროცესი და პარტიის წევრებს აუკრძალა მთავრობაში ყოფნა. მეორე ბრძანებით კი სამსახურებიდან გაათავისუფლეს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები. სწორედ ამ ორი ბრძანების გამო დამძიმდა ისედაც გართულებული ვითარება. დებაასიფიკაციის უშუალო აღსრულება დაევალა ოპოზიციონერ აჰმედ ჩალაბის, რაც დიდი შეცდომა იყო. ამ უკანასკნელის მოქმედებამ ყოვლევგარ ზღვარს გადააჭარბა და განათლებული, ინტელექტუალი და პროფესიონალი კადრები ქუჩაში აღმოჩნდნენ. ამას ზედ დაერთო ძალოვანი სტრუქტურების დაშლა. მართალია, ერაყის არმია და პოლიცია კორუმპირებული იყო, არც სათანადო წვრთნა და აღჭურვილობა ჰქონდა, მაგრამ გათავისუფლებულმა და შეიარაღებულმა ერაყელებმა ჩვეულებრივ მოსახლეობაში დაიწყეს გათქვეფა. აჯანყებისათვის სასათბურე პირობები შეიქმნა. ეს ორი ბრძანება დღემდე ყველაზე დიდი კრიტიკის საგანია. შეიქმნა განათლებული და კარგად შეიარაღებული საზოგადოების ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერდა აჯანყებას. ამ ბრძანებებიდან რამდენიმე თვეში ქვეყანა გაეხვა ქაოსში. რა თქმა უნდა, იყო მცდელობა აღედგინათ არმია და პოლიცია, თუმცა პროცესი ძალზე დუნედ და წარუმატებლად ხორციელდებოდა.

აჯანყება არ იყო გარდაუვალი. იგი გაამწვავა სამხედრო და პოლიტიკურმა შეცდომებმა. მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა ომი მინიმალური სამხედრო ძალებით დაეწყო, აშშ-მ ომის შემდგომ წესრიგის დამყარება ვერ შეძლო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალებისა და დამხმარე შენაერთების განთავსებაზე უარის თქმით, ერაყის არმიის დაშლითა და ათასობით შეიარაღებული ადამიანის ქუჩაში გაშვებით, ადგილობრივი არჩევნების გადადებით დიდი ზიანი მიადგა ომისშემდგომ სტაბილიზაციას.

პირველ რიგში, ბრემერის გეგმამ ხელი შეუწყო აჯანყებას სახალხო მხარდაჭე-

რის მოპოვებაში. მან დაადასტურა აჯანყებულების მოსაზრება აშშ-ს ოკუპანტობის შესახებ და ასევე დააზარალა დემოკრატიული ოპოზიციის შექმნის იდეა. ერაყის ყველა პრობლემა – პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური – შტატების პრობლემად იქცა. აშშ-მ ვერ გათვალა ის, რომ ასეთი სუსტი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყანაში გარდამტეხი ცვლილებების გატარება იქნებოდა გრძელი და დამღლე-ლი პროცესი. ბუშის ადმინისტრაციამ ვერ განსაზღვრა, რომ ეროვნული დემოკრატი-ის მშენებლობა ადგილობრივი ჯგუფების მხარდაჭერას საჭიროებდა. ბუშის ადმი-ნისტრაციამ ვერ უზრუნველყო ოკუპაციაში ჩაბმული ლიდერების მომარაგება რეგი-ონის ექსპერტებით, რაც თავისთავად დიდი ხარვეზია.

გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედებისას რეალური მდგომარეობა უნდა გამოეყენებინათ, რაც ჭირდა იმის გამო, რომ ამერიკას არც დრო ჰქონდა დარჩენილი და არც გამართული სადაზვერვო მონაცემები გააჩნდა ერაყის შიდა ვითარების შესა-ხებ. ფაქტია, რომ ერაყს დემოკრატია და დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით არჩეული მთავრობა არასოდეს ჰყოლია. მისთვის სრულიად უცხო ელემენტი იყო წარმომადგენლობითი, თავისუფალი, არაკორუმპირებული და არჩევითი მთავრობა. ვერ ვიტყვით, რომ ამ ფაქტორს ამერიკის შეერთებულ შტატებში სრულად გამორიც-ხავდნენ, მაგრამ დიდი ყურადღებაც არ დაუთმიათ ერაყის ისტორიული სინამდვი-ლისათვის. ერაყი უფრო მეტად იყო თემური წყობილების აგრარული ქვეყანა, სადაც ფერმერები ეჭვის თვალით უყურებდნენ უცხოელებს. ერაყელები ძირითადად იბა-დებოდნენ და სიცოცხლეს ამთავრებდნენ ასეთ ფერმებში და მათი ერთგულებაც სწო-რედ ტომს ეკუთვნოდა. ამერიკას უჭირდა რეალური სურათის შეფასება და აქედან გამომდინარე შეცდომებს უშვებდა. არ იქნა გათვალისწინებული რელიგიურ-კულ-ტურული სხვაობებიც. აშშ ხშირად გადამეტებულ ძალასაც იყენებდა, რაც ხელს უშ-ლიდა ზოგადად სტრატეგიას – დაეცვათ და აღედგინათ ერაყი. მრავალ შემთხვევაში ეს აღვივებდა უნდობლობას ერაყელთა შორის და ასევე უგულვებელყოფის გრძნობას თესავდა. აშშ ვერ მიხვდა, რომ რეალური ტაქტიკა უნდა ყოფილიყო „გულისა და გონების“ მოგება. ბრემერს აღნიშნული ბრძანებები რომ არ გამოეცა, ან ეცადა მაინც, რომ სხვა კუთხით მიეღწია მიზნისათვის, სიტუაცია უფრო სტაბილური იქნებოდა.

პრობლემა დაკავშირებული იყო სუსტ და არაადეკვატურ გეგმასთან. ამას ემატე-

ბოდა აშშ-ს სამთავრობო უწყებებს შორის არსებული შეუთანხმებლობაც.

მრავალი მიზეზი დასახელდა ერაყში წარუმატებლობის გამომწვევად. თავი და თავი ვაშინგტონში დაწყებული შეუსაბამობები და უწყებათა არასათანადო კომუნიკაცია გახლდათ. იქმნება სურათი, რომ ვერცერთი მნიშვნელოვანი უწყება ვერ ახდენდა საკითხის მართებულად განხილვასა და კვლევას. ყველაზე დიდი ბრალი კი, ჩვენი აზრით, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს მიუძღვის. მათი მუშაობისას გამოვლენილი ფაქტების სიმწირე ან ზოგადად ერაყის შიდა პოლიტიკური ვითარების არცოდნა, ერაყის ომისშემდგომი პრობლემების უმთავრესი მიზეზია. უნდობლობა ერაყის ოპოზიციის მიმართ და ერაყის არმიის დაშლა, იმის გათვალისწინებით, რომ შტატებს რამსფელდის დოქტრინის შესაბამისად სამხედროთა მცირე კონტინგენტი ჰყავდა მობილიზებული, ერაყში დაწყებული აჯანყებების აშკარად ხელისშემწყობი ფაქტორია. გასაგებია, რომ რამსფელდს სურდა თავისი რევოლუციური მიდგომის მაქსიმალურად გამოყენება და მცირე სამხედრო ძალის ჩაბმა ომის პროცესში, მაგრამ გაუგებარია, რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ომის შემდგომ ერაყის კონტროლისთვის არ გამოეყოთ დამატებითი ძალები, როგორც არაერთი გენერალი მოითხოვდა ამას. ფაქტი ფაქტად რჩება – ომის შემდეგ შექმნილმა დროებითმა მთავრობამ დაკარგა ქვეყანაზე კონტროლი, რამაც საბოლოოდ აჯანყებების წინაშე დააყენა ამერიკელი და კოალიციური სამხედრო ძალები. თავისუფალი ბაზრის იდეა კი იდეად დარჩა.

ის ძალადობა, რაც ერაყში აღმოცენდა იყო ნაწილობრივ უცხოური ძალის უარყოფისკენ მიმართული. მაგრამ ძირითადად იგი გამოწვეული იყო ახალი სახელმწიფო სისტემის გაურკვევლობით. სუნიტებს აღარ ეპყოთ მართვის სადავეები და აჯანყების ბირთვიც სწორედ სუნიტებისაგან შეიკრა. მეტიც, ბუშის რიტორიკის სასურველი შედეგი კი უნდა ყოფილიყო დემოკრატიისა და მშვიდობის ხელის შეწყობა ახლო აღმოსავლეთში მაგრამ ამას ნაკლები ჰქონდა საერთო ერაყელებთან.

აჯანყების საწინააღმდეგო მოქმედებები ერთი დიდი ნაკლით გამოირჩეოდა, რაც აშშ-ს სამხედროებს გამორჩათ. თუ მოსახლეობას არ უზრუნველყოფ მშვიდობით და უსაფრთხოებით, არ აქვს მნიშვნელობა გარეშე სამხედროთა რიცხვის შემცირებას. როდესაც მართვის სადავეები ადგილობრივ მთავრობას აქვს, რომელსაც არ შესწევს

ძალა ადეკვატური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დიდია შანსი სიტუაცია კოლაფსის დონემდე გაუარესდეს. ის სიტუაცია კი, რაც 2006 წლისათვის ერაყში ვითარდებოდა ერაყის მთავრობის უსაფრთხოების ძალების ზრდასთან ერთად, იყო სწრაფად მზარდი ძალადობის შედეგი.

ძირეული ცვლილებები ერაყის მიმართ 2006 წლიდან დაიწყო, როდესაც ძალადობამ აქამდე არნახულ დონეს მიაღწია. ბუშის რეიტინგი შემცირდა. დემოკრატებმა კონგრესში გაიმყარეს პოზიციები. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ჯორჯ ბუშმა სრულიად ახალი მიდგომისა და პოლიტიკის გატარება, რომელიც ცნობილი გახდა “The Surge-ის” სახელით.

ფაქტი, რომ აშშ-მ დამოუკიდებლად წამოიწყო ომი ერაყთან, ნიშნავდა იმას, რომ იგი მზად იყო საჭიროებისამებრ ემქომედა საერთაშორისო საზოგადოების გარეშე. საწყის ეტაპზე შოკისა და სისწრაფის გეგმა წარმატებული გამოდგა და სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაემხო. თუმცა დროთა განმავლობაში ეს ეფექტი დაიკარგა ერაყში შექმნილმა სიტუაციამ ცხადყო, რომ ეს არ იყო მთლად მართებული მიდგომა. თავდასხმასთან ერთად მნიშვნელოვანია დაკავებული ტერიტორიის შენარჩუნება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა ქვეყანა არ გაეხვეს ქაოსში. შტატებმა კი ვერ გათვალეს ერაყის სიძლიერე და შესაბამისად ვერ აღადგინეს წესრიგი. აქედან გამომდინარე კი მიიღეს არეულობა და თავს დატეხილი ტერორი.

პრეზიდენტ ჯორჯ უოკერ ბუშის დროს ვერ მოხერხდა ერაყის პრობლემის გადაჭრა. 2008 წელს გაფორმდა შეთანხმება ერაყსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, სადაც გაიწერა აშშ-ს ჯარის გასვლის ვადები. 2011 წლის 31 დეკემბერს ამერიკელმა ჯარისკაცებმა ოფიციალურად დატოვეს ერაყი, თუმცა 2014 წელს სამხედრო-საჰაერო ძალები დაბრუნდნენ ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საომრად. 2008 წლის ხელშეკრულებამ ფაქტობრივად დაასრულა ერაყის ოკუპაცია და დაუბრუნა ხელისუფლება ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებს. მიუხედავად ამისა, ვითარება ერაყში დღემდე არასტაბილურია, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ ამერიკელების მიერ 2003 წელს დაშვებული შეცდომებითაა გამოწვეული.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

წყაროები და დოკუმენტები:

1. **1992 Draft:** 1992 Draft Defense Planning Guidance, Institute for policy studies, March 12, 2008. Accessed on May 25, 2015 at: http://rightweb.irc-online.org/profile/1992_Draft_Defense_Planning_Guidance
2. **Baker & Hamilton 2006: Baker, James and Hamilton, Lee H.** The Iraq Study Group Report: The Way Forward: A New Approach, New York, Vintage Books. 2006. Accessed on May 25, 2015 at: http://online.wsj.com/public/resources/documents/WSJ-iraq_study_group.pdf
3. **Blair 2010a: Blair, Tony.** Rt Hon Tony Blair transcript. The Iraq Inquiry. 2010. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.iraqinquiry.org.uk/media/45139/20100129-blair-final.pdf>
4. **Blanchard & Prados 2007: Blanchard, Christopher M. and Prados, Alfred B.** Saudi Arabia: Terrorist Financing Issues. CRS Report to Congress, September 14, 2007. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.fas.org/sgp/crs/terror/RL32499.pdf>
5. **British Government Briefing Papers on Iraq 2002: British Government Briefing Papers on Iraq.** June, 2002. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB254/doc04.pdf>
6. **Bush 1999a: Bush, George W.** Governor George W. Bush, A Distinctly American Internationalism. Ronald Reagan Presidential Library, Simi Valley, California, November 19, 1999. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.mtholyoke.edu/acad/intrel/bush/wspeech.htm>
7. **Bush 1999b: Bush, George W.** Press Conference by the President. The White House. 2006. Accessed on May 25, 2015 at: <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2006/11/20061108-2.html>
8. **Bush 1999c: Bush, George W.** Remarks to The Citadel. 1999. Accessed on May 25, 2015 at: http://www.citadel.edu/pao/addresses/pres_bush.html
9. **Bush 2001: Bush, George W.** Address to a Joint Session of Congress and the American People. The White House. 2001. Accessed on May 25, 2015 at: <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2001/09/20010920-8.html>
10. **Bush 2002a: Bush, George W.** President Bush Meets with French President Chirac. The

- White House. 2002. Accessed on May 25, 2015 at: <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/05/20020526-2.html>
11. **Bush 2002b: Bush, George W.** President Bush, Prime Minister Blair Hold Press Conference. The White House. 2002. Accessed on May 25, 2015 at: <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/04/20020406-3.html> SeiZleba iyos presa
 12. **Bush 2002c: Bush, George W.** President's Remarks at the United Nations General Assembly. The White House. 2002. Accessed on May 25, 2015 at: <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/09/20020912-1.html>
 13. **Bush 2003a: Bush, George W.** President Delivers 'State of the Union. The White House. 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2003/01/20030128-19.html>
 14. **Bush 2003b: Bush, George W.** Speech to the American Enterprise Institute. 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://teachingamericanhistory.org/library/document/speech-to-the-american-enterprise-institute/>
 15. **Bush 2007: Bush, George W.** President's Address to the Nation. The White House. 2007. Accessed on May 25, 2015 at: <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2007/01/20070110-7.html>
 16. **Cheney 1999: Cheney, Dick.** Full Text of Dick Cheney's Speech at IP Autumn Lunch. Institute of Petroleum. Autumn, 1999. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.resilience.org/stories/2004-06-08/full-text-dick-cheney-s-speech-institute-petroleum-autumn-lunch-1999>
 17. **CIA 2002: Central Intelligence Agency (CIA),** "Iraq's Weapons of Mass Destruction Programs," October 2002. Accessed on May 25, 2015 at: https://www.cia.gov/library/reports/general-reports-1/iraq_wmd/Iraq_Oct_2002.htm
 18. **Compartment planning effort 2002:** Compartment planning effort. National Security Archive Electronic Briefing Book No. 214. Tab. I. 2002. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB214/Tab%20I.pdf>
 19. **CPA Order 01 2003:** Coalition Provision Authority Order 1, 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB418/docs/9a%20-%20Coalition%20Provisional%20Authority%20Order%20No%201%20-%202005-16-03.pdf>
 20. **CPA Order 02 2003:** Coalition Provision Authority Order 2, 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB418/docs/9b%20-%20Coalition%20Provisional%20Authority%20Order%20No%202%20-%202008-23-03.pdf>

21. **CPA Order 12 2003:** Coalition Provision Authority Order 12, 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.iraqcoalition.org/regulations/CPAORD12.pdf>
22. **CPA Order 17 2003:** Coalition Provisional Authority Order 17, 2003. Accessed on May 25, 2015 at: http://www.usace.army.mil/CEHR/Documents/COALITION_PROVISIONAL.pdf
23. **CPA Order 37 2003:** Coalition Provisional Authority Order 37, 2003. Accessed on May 25, 2015 at: http://www.iraqcoalition.org/regulations/20030919_CPAORD_37_Tax_Strategy_for_2003.pdf
24. **CPA Order 39 2003:** Coalition Provision Authority Order 39, 2003. Accessed on May 25, 2015 at: http://www.iraqcoalition.org/regulations/20031220_CPAORD_39_Foreign_Investment.pdf
25. **CPA Order 40 2003:** Coalition Provision Authority Order 40, 2003. Accessed on May 25, 2015 at: http://www.casi.org.uk/info/cpa/20030924_CPAORD40.pdf
26. **CPA Order 94 2004:** Coalition Provision Authority Order 94, 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.iasplus.com/asia/iraqbankinglaw.pdf>
27. **Dilton 2002: Dilton, Gerry B.** The IAEA in Iraq, Past Activities and Findings, IAEA BULLETIN, 2002. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.iaea.org/sites/default/files/publications/magazines/bulletin/bull44-2/44201251316.pdf>
28. **Dobbins, Jones, Runkle, Mohandas 2009: Dobbins, James; Jones, Seth G; Runkle, Benjamin, and Mohandas, Siddharth.** National Security Research Division. Occupying Iraq. Carnegie Corporation of New York. Rand Corporation, 2009. Accessed on May 25, 2015 at: http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2009/RAND_MG847.pdf
29. **ElBaradei 2003: ElBaradei, Mohamed.** IAEA Director The Status of Nuclear Inspections in Iraq: An Update. 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.iaea.org/newscenter/statements/2003/ebsp2003n006.shtml>
30. **Fatwa Nr 1 1996:** Osama Bin Laden Fatwa Nr. 1. 1996. Accessed on May 25, 2015 at: http://www.pbs.org/newshour/updates/military-july-dec96-fatwa_1996/
31. **FBI 2002: FBI Director** Denies 9/11 Hijackers Had Laptops, Computers, Missing links Remarks prepared for delivery by Robert S. Mueller III, Director, Federal Bureau of Investigation Commonwealth Club of California San Francisco, CA. April 19, 2002.

Accessed on May 25, 2015 at: http://www.wanttoknow.info/911/9-11_summary_articles/020419fbinolaptops911

32. **Field Manual 2006:** State army Field Manual 3-24. Cointer insurgency. 2006 Accessed on May 25, 2015 at: <http://usacac.army.mil/cac2/Repository/Materials/COIN-FM3-24.pdf>
33. **Future of Iraq 2003: New State Department Releases on the "Future of Iraq" Project.** National Security Archive Electronic Briefing book No. 198. 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB198/FOI%20Oil.pdf>
34. **Goldwater-Nichols Act 1986:** Goldwater-Nichols Department Of Defense Reorganization Act Of 1986. PUBLIC LAW 99-433-OCT. 1, 1986. Accessed on May 25, 2015 at: http://history.defense.gov/Portals/70/Documents/dod_reforms/Goldwater-NicholsDoDReordAct1986.pdf
35. **Gore-Bush Debate 2000:** Transcript of second Gore-Bush debate, October 11, 2000. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.debates.org/?page=october-11-2000-debate-transcript>
36. **Hussein Interview Session 01 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 1, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/02.pdf>
37. **Hussein Interview Session 02 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 2, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/03.pdf>
38. **Hussein Interview Session 03 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 3, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/04.pdf>
39. **Hussein Interview Session 04 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 4, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/05.pdf>
40. **Hussein Interview Session 05 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 5, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/06.pdf>

41. **Hussein Interview Session 06 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 6, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/07.pdf>
42. **Hussein Interview Session 07 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 7, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/08.pdf>
43. **Hussein Interview Session 08 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 8, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/09.pdf>
44. **Hussein Interview Session 09 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 9, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/10.pdf>
45. **Hussein Interview Session 10 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 10, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/11.pdf>
46. **Hussein Interview Session 11 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 11, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/12.pdf>
47. **Hussein Interview Session 12 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 12, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/13.pdf>
48. **Hussein Interview Session 13 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 13, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/14.pdf>
49. **Hussein Interview Session 14 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 14, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The

- National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/15.pdf>
50. **Hussein Interview Session 15 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 15, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/16.pdf>
 51. **Hussein Interview Session 22 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 22, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/23.pdf>
 52. **Hussein Interview Session 23 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 23, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/24.pdf>
 53. **Hussein Interview Session 24 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 25, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/24.pdf>
 54. **Hussein Interview Session 25 2004:** Hussein, Saddam. Interview Session 25, Conducted by George Piro: Baghdad Operations Centre: Federal Bureau of Investigation. The National Security Archive: The George Washington University. 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB279/26.pdf>
 55. **Kagan & Schmitt 2003: Kagan, Donald and Schmitt, Gary.** Rebuilding America's Defenses, Project for a New American Century. 2003. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.informationclearinghouse.info/pdf/RebuildingAmericasDefenses.pdf>
 56. **Kean, Hamilton, Ben-Veniste, Kerrey, Fielding, Lehman, Gorelick, Roemer, Gorton, Thompson 2004: Kean, Thomas; H. Hamilton, Lee; Ben-Veniste, Richard; Kerrey, Bob; Fielding, Fred; Lehman, John; Gorelick, Jamie; Roemer, Timothy; Gorton, Slade; Thompson, James.** The 9/11 Commission Report: Final Report of the National Commission on Terrorist Attacks Upon the United States, New York, W.W. Norton and Company, 2004. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.9-11commission.gov/report/911Report.pdf>
 57. **Khalizad, White, Marshall 1999: Khalizad, Zalmay; White, John; Marshall, Andrew.** Strategic Appraisal: The Changing Role of Information in Warfare, RAND Corporation,

1999. Accessed on May 25, 2015 at:
http://www.rand.org/pubs/monograph_reports/MR1016.html
58. **Letter to UN 2003:** Letter from the Permanent Representatives of the UK and the US Jeremy Greenstock and John G Negroponte addressed to the President of the Security Council, 8 May 2003. Accessed on May 25, 2015 at:
<https://www.globalpolicy.org/component/content/article/168/36083.html>
59. **Morse 2001: Morse, Edward L. A.** Strategic Energy Policy Challenges for the 21st Century, Independent Task Force on Strategic Energy Policy. 2001. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.ratical.org/ratville///CAH/linkscopy/energycfr.pdf>;
60. **Note by the Secretary General 1997: United Nations,** Note by the Secretary General, October 8, 1997 w/att: Letter dated 6 October 1997 from the Director General of the International Atomic Energy Agency to the Secretary General. National Security Archive Electronic Briefing Book No. 80. Accessed on May 25, 2015 at:
<http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB80/wmd07.pdf>
61. **Oil For Food 2010:** Office of the Iraq Programme: Oil for Food. 2010. Accessed on May 25, 2015 at: <http://www.un.org/Depts/oip/background/scrsindex.html>
62. **Powell 2002: Powell, Colin.** The President's International Affairs Budget Request For FY 2003. Committee on International Relations: House of Representatives. 2002. Accessed on May 25, 2015 at:
http://www.globalsecurity.org/military/library/congress/2002_hr/77532.pdf
63. **Prados & Ames 2010: Prados, John and Ames, Christopher.** Iraq War. Part II: Was There Even a Decision? NationalSecurity Archive Electronic Briefing Book 328, Online. 2010. Accessed on May 25, 2015 at:
<http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB328/index.htm>
64. *Report on the U.S. Intelligence Community's Prewar Intelligence Assessments on Iraq 2004: United States Senate, Select Committee on Intelligence Report on the U.S. Intelligence Community's Prewar Intelligence Assessments on Iraq Released on July 7, 2004.* Accessed on May 25, 2015 at:
<http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB129/senateiraqreport.pdf>
65. **Resolution 1483 2003:** United Nations Resolution 1483, 22 May, 2003. <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/368/53/PDF/N0336853.pdf?OpenElement>
